საზოგადოებრივ-სალიტერატურო ჟურნალი

ჩიბუ

3

2020

მთავარი რედაქტორი	ნანა ქარდავა
პასუხისმგებელი რედაქტორი	ანა გერანტია
არტრედაქტორი	თათული რუხაძე
დაკაბადონება	ვახტანგ ზაქარაია
საკონსულტაციო საბჭო:	როლანდ ნიჟარაძე
	ირმა კეკელიძე
	ჯემალ გამახარია
	ზურაბ ხონელიძე
	გურამ ოდიშარია
	მარიამ მირესაშვილი
	ზურაბ პაპასკირი
	მანონ გულისკერია
	თამარ ზარანდია

ჟურნალი გამოდის
აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის
მთავრობის მხარდაჭერით

აფხაზეთის განათლებისა და კულტურის სამინისტრო
სსიპ „კულტურის, სპორტის და ახალგაზრდულ საქმეთა სააგენტო“
მისამართი: თბილისი, უზნაძის ქ. №68; ელ-ფოსტა: **riwa1975@gmail.com**
ტელ.: 598 49 30 05; 599 90 81 28

ჟურნალში გამოქვეყნებულ მასალებზე პასუხისმგებელნი არიან ავტორები
ყველა უფლება დაცულია.

სარჩევი

რედაქტორის გვერდი 5

თეატრი

ლიანა მიქაშავიძე –
სოხუმის ქართული თეატრი გისმენთ! 6

ნანა ქარდავა –
ის ორი, საბედისწერო დღე 16

პოეზია

მერი პაპუნაშვილი –
ათოვდა სოხუმს 23
რას ვინატრებდი 23

გიორგი ესებუა –
მოცალეობა 24
მღელვარება 24

მწერლობა

მაია ტყემალაძე –
პაწაწინა ქისაკი 25

თეა კალანდია –
ცნობილი კაცი 31

თათული რუხაძე –
„ღმერთმა მაცოცხლოს განთიადამდე“ 34

პოეზია

ტაიფ აჯბა –
მიწის ანგელოზი 37

ივანე თარგა –
სადაც კი წავალ სახეტიალოდ... 38

ეთერ სამხარაძე-ჯღამაძე –
მე მოვალ მაშინ... 39
ოქროს ფესვი 39
ფიქრები საქართველოზე 39
გულის ძახილი 40
აფხაზეთის გაზაფხული 40

პროზა

ნოდარ ბოკუჩავა –
აპოკალიფსი 41

მურმან ხურცილავა –
მგლები 50

ნანა ჯეჯელია –
იაფოს ხუნდები 57

ერთი ლექსი

გათუ დანელია –
უნდა გველოდო აფხაზეთო! 62

მაია მიქაია –
პაემანი ბლოკპოსტზე 63

მანონ გულისკერია –
„შენს ზამთარზე და შენს გაზაფხულზე“ 64

სარჩევი

კრიტიკა

ნანა კუცია –
ხელოვანი და ომი 65

დარიკო ფიფია –
ანდრო ჟვანიას შემოქმედება 70

დათია გადალაშვილი –
ბუდიდან გადმოცვენილები 76

ახალი წიგნიდან

ირაკლი შამათავა –
გამშვები პუნქტი 77

პოეზია

ეკატერინე გაგედავა –
ზღვა ღელავს 80
„აბდაუბდებში დაგვეკარგა ღმერთი და ვჯავრობთ“ 80

ნატალია ზღვისპირელი –
არა, სოხუმი არ დაცემულა 81

ნანა გასვიანი –
რექვიემი 82

მხატვრობა

სლავა დენისოვი, მხატვარი ჯადოსნური სოხუმიდან 83

ნერსე გაცაში –
სამი გაკვეთილი დენისოვისგან 86

გენო კალანდია –
გრძნეული სხივი 87

პუბლიცისტიკა

ნაპო მესხია –
რუსეთის ფაქტორი ქართულ-აფხაზურ კონფლიქტში 88

დოკუმენტური პროზა

დონა კოლხი – დოდო ნარმანია –
დევნილობის ჟამის ქრონიკები 93

ახალი წიგნიდან

არტურ იურკევიჩი, მალხაზ ჯაჯანიძე –
დამარხული ვაზი 97

„რიწა“ 2020 №3 107
ინგლისურენოვანი რეზიუმე 108

ნანა ქარდავა

ომი...

– რა მოკლე სიტყვაა და რამდენ ბოროტებას იტევს!

ხელოვანი...

– რა ლამაზად ჟღერს და რამხელა თავგანწირვას გულისხმობს!

„ომი და ხელოვანი“ 2020 წლის №3 „რიწის“ თემაა. ამ ნომრის ყდას რომ დახედავთ, შეჩერდით, დაფიქრდით და უსმინეთ... „უსმინეთ როგორ ძგერს სიმღერით აღსავსე გული“. ეგებ, დღეს უფრო ძალუმადაც ძგერდეს ეს ორი, სიმღერით აღსავსე, მოკლული გული...

არ მგონია, დღევანდელ აფხაზეთში, სადაც ტაიფ აჯბას გაიხსენებენ, იქვე ეთერ სამხარაძე-ჯღამაძის ამბავს ყვებოდნენ...

არ მგონია!

ჩვენ ორივე გავიხსენოთ... ორივე პოეტი იყო, ორივე ომის მსხვერპლია. არც ერთის განსასვენებელი ადგილი არ ვიცით... ესაა ომის სიმართლე თუ სიმართლე ომზე...

წარმომიდგება ხოლმე, ხშირად, საშინელი ზმანება, თუ როგორ ხვრეტენ პოეტს პოეტობის გამო და ისევ ეთერ სამხარაძის ლექსი მეხმარება:

„წამს აღმოხდა მწარე ოხვრა
და ჰა, გულმკერდდალეწილს
ათი ტყვია ერთად მოხვდა
პირსისხლიან გარეწრის“

ამ სტრიქონებს, ტაიფ აჯბას ხსოვნასაც ვუსადაგებ, რასაკვირველია. სიკვდილმა არ იცის ეროვნება, ომს კი ჭკუა არ აქვს! გალაკტიონს მიაჩნია, რომ სიკვდილი ვარდისფერი გზაა და „რომ ამ გზაზე ზღაპარია მგოსანთ სითამამე“...

ტაიფ აჯბა, ომის დროს დაწერილ დღიურში, ხშირად იმეორებს, ნეტა განთიადამდე მაცოცხლაო. მას სძულდა ომი. ისევე, როგორც ეთერ სამხარაძეს: „ღმერთო, ღმერთო, შეაჩვენე ქვეყნად ომის ხსენება.“

ამ ნომრის წინასიტყვაობას, საოცარი სიზუსტით მიესადაგება პოეტი ქალის სიტყვები, 1988 წელს, სოხუმში დაწერილი ლექსისთვის რომ წარუმძღვარებია: „და ჰა, მკითხველო, მიიღე გარდასულ დღეთა მოგონებებით აცრემლებული სტრიქონები“...

ლიანა მიქაშავიძე

სოხუმის ქართული თეატრი გისმენთ!

ქართული და აფხაზური თეატრის მსახიობები სოხუმში, ბარათაშვილის ქუჩაზე ვცხოვრობდით, მსახიობების სახლში. საერთო, დიდი ეზო გვქონდა. პირველ სადარბაზოში ქართველები, ხოლო მეორეში – აფხაზები ვსახლობდით. ვმუშაობდით ერთ თეატრში, გვყავდა ერთი დირექტორი. დილაადრიან ახმაურდებოდა ჩვენი ეზო, იყო გადაძახილ-გადმოძახილი. ყველანი ერთად მივიჩქაროდით რეპეტიციაზე. კოლექტივის წევრები ისე ვხვდებოდით ერთმანეთს, თითქოს გუშინდელი რეპეტიციის შემდეგ საუკუნემ გაიარა. განსაკუთრებული სიყვარულისა და ურთიერთობის ქალაქი გვქონდა. საერთო სიხარულიცა და საერთო ტკივილიც ბევრი გვინახავს.

როგორ შემიძლია დავივიწყო ის პერიოდი, როდესაც აფხაზეთის მთავრობამ შემოგვთავაზა ეშერის მთაზე სააგარაკო ნაკვეთები, რომელიც სოხუმიდან ცხრამეტი კილომეტრით იყო დაშორებული, ზღვის დონიდან ცხრაასი მეტრის სიმაღლეზე. გვეჩქარებოდა ადგილის ნახვა. მაშინ თეატრში გავდიოდით ლევ ტოლსტოის „კაზაკების“ რეპეტიციას. დამდგმელმა რეჟისორმა, ბატონმა იური კაკულიამ გადაწყვიტა რეპეტიცია არ ჩაეტარებინა და ეშერის მთაზე წავეყვანეთ. გაგონილი გვქონდა, რომ ულამაზესი ადგილი იყო, მაგრამ ნანახმა გაგვაოცა! ღრუბლების სიმაღლიდან დავცქეროდით ქალაქს და ზღვას... არაჩვეულებრივად მწვანე და ხასხასა იყო ირგვლივ ყველაფერი. ბატონმა იურიმ დრო არ დაკარგა და იმპროვიზებული რეპეტიციაც გავმართეთ. შემდეგში, სპექტაკლის სცენაზე მსვლელობისას, ეს ეპიზოდი საოცარი სანახავი იყო და დამსახურებულ ოვაციას იმსახურებდა.

ჩვენი სააგარაკო ადგილი, თითქოს ცასთან ახლოს შეერჩიათ.მისკენ მიმავალ გზაზე, თხილის ხეივანი უნდა გაგვევლო. დამსვენებლებს ტოტებზე შეებათ ფერად-ფერადი ლენტები და ბუნების სილამაზეს ესეც აფერადებდა. მე ჩემთვის ავირჩიე საოცრად ლამაზი ნაკვეთი,რომლის გვერდითაც მიტოვებული ქოხი იდგა. ქოხს სახურავი ჰქონდა, მაგრამ კედლები იყო ფარღაღალა, არც კიბე, არც საკეტები. თოხის ტარის მიბჯენით იკეტებოდა შესასვლელი კარი. ამ ნაკვეთის პირდაპირ რუსების სამხედრო ნაწილი იყო განლაგებული, სადაც შესვლა არ შეიძლებოდა, დიდი ასოებით მიეწერათ „запрещено!“ შუა ღამეს მესმოდა აშვებული ცხენების ფრუტუნი. თვალწინ მიდგას ახლაც, ფაფარაშლილი ცხენები როგორ გარბოდნენ. სქელი ნისლის ქულებში ისინი ხან ჩანდნენ, ხან არა. საოცარი სანახავი იყო. დილით ადრე ვიღვიძებდი, ჩამოვჯდებოდი ქოხის წინ საფეხურად მიდგმულ აგურებზე და მზის ამოსვლას ვეგებებოდი... ბუნება ჩემ თვალწინ იღვიძებდა... ქვევით, შორს მოჩანდა ჩემი სოხუმი, ზღვის რკალი რომ თითქოს გულში იხუტებდა... ზღაპარში მეგონა თავი.

1993 წლის 13 აგვისტოს, მე და ჩემი დეიდაშვილი, ღამე აგარაკზე დავრჩით. უკვე ღამდებოდა. დამსვენებლები ბოლო ავტობუსს უცდიდნენ. უცნაური, მომაკვდინებელი სიჩუმე ჩამოვარდა... იმ პერიოდისთვის ვითარება დაძაბული იყო და მეც, რატომღაც ცუდი წინათგრძნობა მქონდა. ავიჩემე, რაღაც უცნაური სიჩუმეა. ასე მგონია, ომი იწყება-თქო. ბოლო ავტობუსს გამოვყევით.

14 აგვისტოს ყველაფერი შეიცვალა. შეუძლებელია მეხსიერებიდან ამოშალო ეს ავადსახსენებელი დღე. ჩემს ბინაში გაისმა ტელეფონის განუწყვეტელი ზარის ხმა. კელასურიდან ამხანაგი მირეკავდა: „ლიანა, სასწრაფოდ დატოვეთ სახლი, შეატყობინე ყველას, სოხუმში ტანკები შემოდიან, ისვრიან. ქუჩებში ბევრი დახოცილი ყრია. ჩქარა, ჩქარა დატოვეთ სახლი, სოხუმისკენ მოდიან!“ სასწრაფოდ ჩავირბინე ეზოში. ყველას გავაგებინე ეს საშინელი ამბავი. გავედი ქუჩაში. ქალაქისკენ მიმავალი ხალხი უკან გავაბრუნე. სანაპიროს მხრიდან უკვე ისმოდა აფეთქების ხმა. იქეთ გავიქეცი. აქა-იქ ხალხი შეკრებილა, ჯგუფებად იდგნენ. მათთან მივირბინე. თუმცა, ბევრი არც ამათ იცოდნენ. ჩვენი ეზო შეიცვალა: აფხაზმა მსახიობებმა, რაღაც უცნაური, საიდუმლო გადაადგილება დაიწყეს, საიდუმლოდ იკრიბებოდნენ, თითქოს რაღაცისთვის ემზადებოდნენ. ქართველებს რომ არ დაესწროთ, ისინი უსათუოდ დაიწყებდნენ ომს. აფხაზებთან ერთად, ქართველებსაც ვამტყუნებ – ჩვენ უნდა გვცოდნოდა, რომ ერთი გასროლა, ერთი ტანკის გამოჩენა ომს გამოიწვევდა! აკი, დაიწყო კიდეც.

სროლებმა იმატა. სახლებში გამოვიკეტეთ. მახსოვს, ომის პირველი დღეები იყო. სახლში მოირბინეს ჩემმა ვაჟმა გიამ და მისმა მეგობარმა კახა ძაძამიამ. „ლიანა დეიდა, დაწექი!“ – იყვირა კახამ. ჭურვების აფეთქების გამაყრუებელი ხმა... სასწრაფოდ გავწექით იატაკზე, ვისაც სად მოგვიწია. სროლა რომ შეწყდა, თავები წამოვწიეთ და გაოგნებულები შევაცქერდით ერთმანეთს. დიდი ხანი არ იყო გასული, მას შემდეგ, რაც გოგი ქავთარაძემ დადგა კორნეიჩუკის „ფრონტი“. რამდენჯერ გაგვამეორებინა ასეთი მიზანსცენა. რა ვიცოდით მაშინ, რომ ნამდვილი ომის მონაწილე გავხდებოდით და ამის ცოდნა გამოგვადგებოდა.

მახსოვს, ახლობლები ერთმანეთს ყოველ საღამოს მოვიკითხავდით. ქუჩები, სადარბაზოები დაჭრილებით იყო სავსე. ბევრნი იყვნენ, ყველას ვერ მიეშველებოდი. ომმა და ტყვიამ არ იცის ეროვნება, ქართველიც და აფხაზიც კვდებოდა. ქალაქში შემოვიდა „მხედრიონი“, მახსოვს შიშის ზარს სცემდნენ აფხაზებს, რომლებიც ნაჩქარევად ტოვებდნენ სოხუმს. უღირსი ქართველებიც გამოჩნდნენ. ისინი არბევდნენ მოსახლეობას, ქურდობდნენ, ყაჩაღობდნენ. მოსახლეობამ დაიწყო თასვისი სახლების, უბნის დაცვა. შემოიღეს მორიგეობა. გუდაუთაში გამაგრებულმა აფხაზებმა, რუსებთან და გადამთიელებთან ერთად შეუტიეს გაგრას, რომელიც ორ ოქტომბერს დაეცა. ტელევიზიით ვუყურებდით ათასობით მოკლული ქართველი როგორ ეგდო გაგრის სტადიონზე. ჩვენამდე აღწევდა ხმები გაუპატიურების, წამების, ცოცხლად დაწვის, სასტიკად მოპყრობის შესახებ და პარალელურ რეჟიმში, იგივე ტელევიზიით ვხედავდით, როგორ მიემგზავრებოდნენ თბილისიდან დუბაიში ქართველი ტურისტები. მათ გვერდით კი უამრავი მოხალისე, საქართველოსთვის გულანთებული პატრიოტი, სამშობლოს დასაცავად აფხაზეთში მოეშურებოდა. ჩვენი სამშობლო ჩვენს თვალწინ დაიყო: მებრძოლებად, მძარცველებად და ქართველ ტურისტებად.

ვინც ომის პერიოდში სოხუმში იმყოფებოდა ემახსოვრება „დაჭრილ მეომართა დაცვის დედათა კომიტეტის“ საქმიანობა. ეს კომიტეტი შეიქმნა ომის დაწყების პირველსავე თვეს, პროფესორ ნუცა არდაშელიას ხელმძღვანელობით. მან აგვისტოს იმ საშინელ დღეებში, როდესაც ქალაქი ინტენსიურად იბომბებოდა და დაჭრილებით იყო სავსე, ტელევიზიის საშუალებით სასწრაფოდ მოუხმო თავზარდაცემულ მოსახლეობას: ქალს, დიდსა და პატარას,ახალგაზრდას და ასაკოვანს,

გასულიყვნენ წინა ხაზზე, გამოეყვანათ დაჭრილები, დახმარებოდნენ საავადმყოფოებს და ჩვენც გამოვცხადდით ქალბატონ ნუცასთან. სასწრაფოდ შევქმენით ეს ორგანიზაცია. 1992 წლის ორ ოქტომბერს იურიდიულად გავფორმდით. შევქმენით შტაბი ენგელსის ქუჩაზე, პროკურატურის შენობაში. ქალბატონ ნუცასაგან მივიღეთ დავალებები და ომის დამთავრებამდე ვემსახურებოდით საავადმყოფოებს, გამოგვყავდა დაჭრილები ბრძოლის ველიდან. ჩვენ თორმეტნი ვიყავით. მიმდინარე ომის პერიოდში, ხშირად საკუთარი სიცოცხლის ფასად ვიცავდით დაჭრილ მეომართა სიცოცხლეს, ორგანიზაციას დიდ დახმარებას უწევდნენ: ჯანმრთელობის სამინისტრო, საქველმოქმედო ორგანიზაციები და ქალაქის მოსახლეობა. მე თამამად შემიძლია ვთქვა, ყველა სოხუმელი ვინც სოხუმში იმყოფებოდა ომის დროს, ომის მონაწილეა. დაიწყო საშინელი დღეები. დღითიდღე მდგომარეობა უარესდებოდა. ქალაქს უტევდნენ ყოველი მხრიდან. ჭურვები სკდებოდა ქალაქის ყველა უბანში. იწვოდა და ინგრეოდა საქართველოს ეს ულამაზესი მხარე. საავადმყოფოები გაივსო დაჭრილებით. ცეცხლის ალში იყო გახვეული ჩვენი ნასათუთევი ქალაქი. არ იყო შუქი, არ იყო წყალი. წყალს სამ დღეში ერთხელ მანქანებით ჩამოატარებდნენ. ჩვენ ზემოთ – ვიემში იყო წყარო, ასეთი ქალაქში სამი-ოთხი თუ იქნებოდა. წარმოდგენილი გაქვთ, როგორი რიგი იდგა?! ურიკებზე გვედგა ორმოცდაათლიტრიანი კასრები. ჩემი ურიკა ძველი იყო და სიმძიმისგან ჭრაჭუნებდა. მიკვირს, რომ ღამითაც კი არ ვერიდებოდი წყალზე, შორ მანძილზე წასვლას. ესეც ომის კანონია – უშიშარი ხდები!

ქალაქში სასწრაფოდ შეიქმნა „ხსნის არმია“ ლორიკ მარშანიას ხელმძღვანელობით. თითქმის ყოველდღე ვიკრიბებოდით მთავრობის სახლში. ამ ორგანიზაციაში გაერთიანებული ვიყავით ქართველები და აფხაზები. მიზანი იყო ომის შეჩერება მშვიდობიანი გზით. ჩვენი მსახიობი ბიჭები, ომის დაწყების პირველივე დღიდან ჩაერთნენ ბრძოლაში, გადანაწილდნენ სხვადასხვა ბატალიონში: კახა ძაძამია, გია ფარცვანია და ჯაბა ჯაიანი, ავღანელთა სპეცდანიშნულების ბატალიონში, როლანდ ხუროძე და ნოდარ ფერცულიანი არტილერიაში. დათო გაჩეჩილაძე პოლიციაში. ვასიკო ჩხეიძე 332-ე სადაზვერვო ბატალიონში, დათო კვაჭაძე და დიმა ჯაიანი „სოხუმელში“, ლევან ლოგუა, ზ. ვიბლიანი, თ. ვეკუა, ს. ბოჭორიშვილი და კახა სოფრომაძე ოცდამესამე ბატალიონში, ნუგზარ ჩიქოვანი, ემზარ სიდიანი და ნათელა ბერიკაშვილი ტელევიზიაში. ოცდაცხრა წელი გავიდა, მაგრამ ტკივილი მოუშუშებელია. ვერა და ვერ ვივიწყებ შემზარავ სურათებს, რომელნიც ყოველთვის თავს მაგონებენ, მითუმეტეს, აქ თბილისში. აფხაზეთის კულტურის სამინისტროში ხშირად ვხედავ ჩვენ მებრძოლ ბიჭებს, რომელთაც არ უყვართ ამ საშინელების გახსენება. აფხაზეთის ომის დროს, ისინი ერთ ბატალიონში იყვნენ, ერთად იცავდნენ თავის ქალაქს. აქაც ერთად მუშაობენ და ერთგულად ემსახურებიან ხელოვნებას.

არასოდეს დამავიწყდება ერთი ეპიზოდი. თბილისში ჩამოსული, პირველად საავადმყოფოს მივაშურებდი, რათა დაჭრილი მეომრები მომენახულებინა. პალატიდან პალატაში გადავდიოდი, თითოეულ მათგანს ვეფერებოდი, ვამხნევებდი, ვაიმედებდი. კორიდორში, ჩემ გვერდით, ჩაატარეს გორგოლაჭებიანი საკაცე – საოპერაციოდ მიჰყავდათ დაჭრილი. უცებ მესმის ძალიან ხმადაბლა: „ნუნუ ექიმო, ნუნუ ექიმო“... შევჩერდი. მივხვდი, რომ მე მეძახდა ნუნუ ექიმს, თუმცა გამორიცხული არ იყო მის ნამდვილ ექიმსაც ნუნუ რქმეოდა სახელად. გარკვეული დროის შემდეგ, ისევ მომესმა ძახილი. მივიხედე და ვნახე, ყველა მე მიყურებდა. მივხვდი რაშიც იყო საქმე: ეს დაჭრილი სოხუმელი იყო, ჩემი მაყურებელი; მას ნანახი ჰქონდა „საბრალდებო დასკვნა“, სადაც მე ნუნუ ექიმს ვთამაშობდი. ამიტომაც მომმართავდა ჩემი სცენიური გმირის სახელით. მასთან მივირბინე. „ნუნუ ექიმო, მე შრომიდან ვარ, მე თქვენ ნანახი მყავხართ ნუნუ ექიმის როლში, ავტობუსითაც კი გვიმგზავრია ერთად...

თქვენ ჩემი საყვარელი მსახიობი ხართ," – ამბობდა და ფერი ეკარგებოდა. ექთნებმა საოპერაციოში შეიყვანეს...

რუსები და გადამთიელები, აფხაზებთან ერთად, სოხუმს რომ უტევდნენ, ჩვენები მომგებიან პოზიციებს დაიკავებდნენ თუ არა, ბრძანება დაეწეოდათ, უკან დახევის შესახებ. ძალით ათმობინებდნენ, ბრძოლით მოპოვებულ უპირატესობას. ერთხელაც, გიას, კახას და ჯაბას ბატალიონი წინ ბრძოლით რომ მიიწევდა, უკანდახევის ბრძანება მოვიდა. ჯარისკაცები დაიბნენ, შიშმა და გაურკვევლობამ დაისადგურა. ამის შემხედვარე ჯაბას ომახიანად წამოუწყია სიმღერა: „ჩემო კარგო ქვეყანავ", რასაც სხვა მეომრებიც აჰყოლიან. ამან ისეთი სტიმული მისცა ბატალიონს, რომ ის ბრძოლა უდანაკარგოდ მოიგეს თურმე.

ერთხელ, როდესაც დაჭრილები ჩამოვიყვანეთ თბილისში, ჩემ მეგობართან დავრჩი ღამის გასათევად. შუა ღამეს გაისმა ტელეფონის ზარის ხმა. გია მირეკავდა გუმისთის პოზიციებიდან. ბრძოლა შეწყვეტილი იყო და ხმა კარგად ისმოდა: „დედა, მომისმინე, ახლა ამ წუთას, მეორე ხაზზე აფხაზი მებრძოლი მესაუბრება. მეუბნება, რომ სოხუმელია, რომ ძალიან უყვარს ქალაქი და არავის დაუთმობს მას." გიაც იგივეს ეუბნებოდა, რადგანაც ორივე მხარეს სოხუმელები აღმოჩნდნენ. ერთმანეთის სახელები არ უთქვამთ და ამდენად, ვინაობა არ იცოდნენ. მე კარგად მესმოდა, როგორ ურჩევდა აფხაზი მეომარი ჩემ შვილს, დაეგდო იარაღი და თავი გადაერჩინა. ხმა მეცნო. დარწმუნებული ვარ, ჩემი კოლეგა, აფხაზი მსახიობის ვაჟი იყო. ვინ იცის, ეგებ ის ბათალი იყო, ან ადგური, იქნებ ასლანბეი. საშინელებაა ამაზე ფიქრიც კი. ბიჭები ხომ ერთ ეზოში იზრდებოდნენ. აი, ასე გვაქცია ამ ავანტიურამ გუშინდელი მეზობლები და კოლეგები მტრებად!

როდესაც ქალაქი განუწყვეტლად იბომბებოდა, ჩემ აფხაზ, ხანდაზმულ კოლეგებზე ვფიქრობდი. წელიწადი და ორი თვე ხომ ჩვენ ვაკონტროლებდით ქალაქს. არ მინდოდა სოხუმში დარჩენილი აფხაზი ასაკოვანი კოლეგები უყურადღებოდ მიმეტოვებინა. ისინი ხომ მამაჩემის თაობის მსახიობები იყვნენ. მე მათ თვალწინ გავიზარდე. ამიტომაც, ვალდებულად ვთვლიდი თავს მეზრუნა მათზე. მახსოვს, გუდაუთიდან რომ გვიტევდნენ და ჭურვები სკდებოდა პრაქტიკულად ყველგან, მე პროდუქტებით ხელში, გავრბოდი აფხაზ მსახიობთან, რომელიც ჩემი სახლიდან კარგა მოშორებით ცხოვრობდა. ის და მისი მეუღლე ავად იყვნენ, მიმხედავი კი არავინ ჰყავდათ. ქალაქი ინტენსიურად იბომბებოდა და მე გავრბოდი, თავს დროდადრო სადარბაზოებს ვაფარებდი. ძლივს მივაღწიე კასლანძიების სახლამდე. კარი თავად ბატონმა ლევარსანმა გამიღო. რომ დამინახა გაოცებულმა მკითხა: „Лиана, как ты могла, видишь что творится?! Только Колина дочка могла так!" ბევრი რამ გავიხსენეთ.



სცენაზე არაერთხელ მითამაშია მეომრის როლი, ცხოვრებაში ეს გაცილებით რთული აღმოჩნდა

მაგალითად, როგორ ჩამოვიდნენ სოხუმის თეატრში სამუშაოდ სრულიად ახალგაზრდა მსახიობები: კუკური ლაფერაძე და გელა რევაზიშვილი. თეატრმა ისინი სასტუმრო „რიწაში“ მოაწყო. წამყვანი მსახიობები იყვნენ. „ხევისბერ გოჩაში“ ლაფერაძე ონისეს თამაშობდა, გოჩას კი რევაზიშვილი. ერთხელ სასტუმროს დირექტორმა მათ გამოუცხადა: – „თეატრს არა აქვს თანხა რომ გადაგიხადოთ და ხვალ ნომერი გაათავისუფლეთ“. ახალგაზრდებმა თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელს მოახსენეს ეს ამბავი. გ. გაბუნიამ შეკრიბა თეატრის ორივე დასის მსახიობები და გამოაცხადა „იქნებ დროებით შეიფაროთ“. წამოდგნენ ქართველი მსახიობები, მაგრამ ვინ დააცალა, წამოდგა ლევარსან კასლანძია: „ხალხი არა ხართ? მე სამოთახიან ბინაში ვცხოვრობ. ვის აქვს უფლება შემეცილოსო, სტუმრები მე უნდა წავიყვანო!“ – და მართლაც, ისინი დიდხანს ცხოვრობდნენ ერთად. ბატონ ლეოს დას ადრე ჯგერდიდან ორი ქილა მაწონი თუ მოჰქონდა, ახლა მაწვნებითა და პროდუქტებით დატვირთული ყოველ კვირას ჩამოდიოდა და ამბობდა: „ერთი ძმა მყავდა უწინ. ახლა კი, სამი ძმა მყავსო“. ასეთი სიყვარულით ცხოვრობდნენ აფხაზი და ქართველი მსახიობები. სწორედ მაშინ მითხრა ბატონმა ლეომ, „მე კასლანძია კი არა, კალანდია ვარო“. ის საქართველოს სახალხო არტისტი და ოტელოს როლის საუკეთესო შემსრულებელი იყო. ერთხელ ჩემს სახლთან შემომხვდა თეატრის დირექტორი შარახ ფაჩალია, ძალიან გაუხარდა ჩემი დანახვა, გულში ჩამიკრა და მითხრა: „ლიანა, ხედავ, რა ხდება? კიდევ კარგი მამაშენი ვერ მოესწრო ამ ამბავს, მას გული გაუსკდებოდა!“ საქართველოს სახალხო არტისტი იყო მინადორა ზუხბა, მამას ეუბნებოდა ყოველთვის, „კოლია, შენ ხომ იცი, მე ქართველი ვარ, ზუხბაიაო“. გოგი ზუხბა ხშირად, ვითომ ხუმრობით ამბობდა: „ენგურს გაღმა მე ზუხბაია ვარ, გამოღმა ზუხბაო“. ეთერი კოღონია, მინადორა ზუხბას ქალიშვილი, ქართულად არასოდეს ლაპარაკობდა, მაგრამ როდესაც აფხაზების მიერ გამოსროლილი ჭურვი მოხვდა და ხელი მოაგლიჯა, სწორედ ქართველმა მებრძოლებმა წაიყვანეს სასწრაფო დახმარების მანქანით საავადმყოფოში, ტკივილებისგან გულშეღონებული ქალი კვნესოდა და ქართულად ეკითხებოდა ქართველ მებრძოლებს: „სად მიგყავართ, არ მომკლათო,“ თუმცა საოპერაციომდე ვერ მიაღწია და გზაშივე გარდაიცვალა. ქალბატონი ეთერი, ცნობილი აფხაზი პოეტის ივანე თარბას მეუღლე გახლდათ, რომელიც ქართულად კარგად საუბრობდა, ძალიან უყვარდა საქართველოც, რომელსაც არაერთი ლექსი მიუძღვნა. ივანე თარბა ქართველების კარგი მეგობარი და მასპინძელი იყო, სწორედ ეს მეგობრობა არ აპატიეს მას აფხაზებმა და ღალატად ჩაუთვალეს. ომის დამთავრების შემდეგ მისი სახლის კარებზე ყოველდღე ვიღაც „კეთილმოსურნე“ „აფხაზეთის მოღალატე“, „აფხაზეთის გამყიდველიო“, აწერდა თურმე. საყვარელი მეუღლის სიკვდილი, საშინელი ომი, აფხაზების დამოკიდებულება მის მიმართ ვერ აიტანა ბატონმა ვანომ და როგორც გავიგეთ, ფსიქიკაშერყეული პეტერბურგის ფსიქიატრიულ საავადმყოფოში გარდაიცვალა.

დიდი უბედურება დაატყდა ჩვენს თეატრს. ომის დაწყების პირველსავე დღეებში, ჩვენი მსახიობების ლორინა და ომარ ელერდაშვილების ერთადერთი ვაჟი, თეატრში გაზრდილი ჩვენი თანამშრომელი, ვახტანგ ელერდაშვილი სასწრაფოდ ჩამოვიდა თბილისიდან და ჩაერთო ბრძოლაში. მას ბავშვობიდან სათამაშოებიდან გამორჩეულად უყვარდა ტანკი, ამბობდა, რომ გავიზრდები, ტანკისტი უნდა გამოვიდეო. აფხაზეთის ომის დროს №6 ტანკი აირჩია, რომელიც მისთვის საბედისწერო გამოდგა: გუდაუთიდან გამოსროლილი ყუმბარა მოხვდა და ექვსივე მებრძოლი ჩაიწვა მასში. მამამ ძლივს ამოიცნო, ფერფლადქცეული მისი ნაფერები, ერთადერთი შვილი. ჩვენ, მსახიობები გაქვავებული, თავზარდაცემული დედის გვერდით ვიმყოფებოდით, როდესაც დაბეჭდილი ყუთით შემოასვენა მამამ შვილის ფერფლი. დაიჩოქა ლორინას ფეხებთან, დაუკოცნა ხელები, „შენ მეცოდები, შე საცოდავოო“,

– უთხრა და ჩვენდა მოულოდნელად მეცხრე სართულიდან თავი გადაიგდო. თეატრში დაასვენეს მამა-შვილი. ქალაქი იბომბებოდა, განსაკუთრებით თავშეყრის ადგილები და მიცვალებულები თბილისში გადაასვენეს. მთელი საქართველო შეძრა ამ ამბავმა. თეატრალურ მოღვაწეთა კავშირიდან გამოასვენეს მამა-შვილი ელერდაშვილები. ძლიერი ქალი იყო ლორინა, ცრემლს არავის აჩვენებდა, სპექტაკლებშიც იღებდა მონაწილეობას, მუშაობაში გაჰქონდა დრო. სახლში მისული ჩარაზავდა კარს, გამორთავდა ტელეფონს და დილამდე ერთადერთ შვილსა და ქმარს დასტიროდა. ელაპარაკებოდა მათ სურათებს, გულდათუთქული მოსთქვამდა. ამდენს ვერ გაუძლო გულმა და ლორინაც გარდაიცვალა. სამივენი საბურთალოს სასაფლაოზე განისვენებენ.

აფხაზეთის ომს შეეწირნენ სიცოცხლეზე შეყვარებული ჩვენი თეატრის ახალგაზრდა მსახიობები და თანამშრომლები: ნიჭიერი მსახიობი, აფხაზეთში ცნობილი ლოტბარის თენგიზ ჩხეიძის ერთადერთი ვაჟი ვასიკო ჩხეიძე, 332-ე სადაზვერვო ბატალიონის მებრძოლი, ტამიშთან მიმდინარე ბრძოლის დროს ჭურვი მოხვდა, ფეხები მოგლიჯა და გარდაიცვალა. მსახიობი ლევან ლოგუა აფხაზეთის ომის დროს უგზო-უკვლოდ დაიკარგა, არავინ იცის მისი საფლავი ან საერთოდ, დაიკრძალა კი?! ბრძოლის ველზე დაიღუპნენ ახალგაზრდა სცენის მუშები: სლავა ბოჭორიშვილი და თენგიზ ვეკუა. საბრძოლველად წასვლის სამზადისში ტყვია გაუვარდა და ადგილზევე გარდაიცვალა მსახიობ ნუგზარ წერედიანის უფროსი ვაჟი კახა წერედიანი, ის ჩვენი თანამშრომელი იყო. თეატრის უნიჭიერესი მხატვარი, მშობლების ერთადერთი შვილი თემურ ჟვანია, აფხაზებმა მოკლეს მხოლოდ იმისთვის, რომ ის ქართველი იყო. სოხუმში დაბრუნების მოლოდინით სიმარტოვეში დარდით და შიმშილით გარდაიცვალა ჩვენი თანამშრომელი ბ.არქანია. ქ.სოჭში მისი გახრწნილი ცხედარი მეზობლებმა ათი დღის შემდეგ აღმოაჩინეს, ნაქირავებ ბინაში. მსახიობმა იური რობაქიძემ წაგებული ომის შემდეგ ქუთაისს შეაფარა თავი, მაგრამ ვერ შეეგუა ცოლ-შვილის დაკარგვას, უსოხუმობას, უთეატრობას, უსახლკარობას, შიმშილს და თავი ჩამოიხრჩო. ნიჭიერი მსახიობი, სიცოცხლეზე შეყვარებული მეგი შამფრიანი, თბილისში უბინაოდ დარჩენილი, შიმშილისგან გარდაიცვალა. მსახიობი დათო გაჩეჩილაძე, პოლიციის მებრძოლი, საშინლად განიცდიდა წაგებულ ომს. გულმა ვერ გაუძლო, სპექტაკლის მსვლელობის დროს ცუდად გახდა და უსახლკარო მსახიობი საავადმყოფოში გარდაიცვალა. სოხუმში დაბრუნების მოლოდინში, მოსკოვში გარდაიცვალა უნიჭიერესი მსახიობი, ჩვენი საყვარელი გიზო სირაძე. მსახიობი სოსო კალანდაძე აფხაზებმა დასახვრეტად გაიყვანეს, მაგრამ რაღაც ბედად გადაურჩა დახვრეტას, თუმცა მან ვერ შეძლო დაეძლია ის შიში და განცდა, რომელიც სიკვდილამდე მუდამ თან დაყვებოდა. აქ, თბილისის საერთო საცხოვრებელში, მალევე გარდაიცვალა თეატრის სუფლიორი, რომელსაც ომის დროს ჭურვი

კახა ძაძამია, გია ფარცვანია და ჯაბა ჯაიანი

მოხვდა და ფეხი მოაგლიჯა. თბილისში გარდაიცვალა ნინა ბასილაია, რომელმაც მთელი ცხოვრება თეატრს შესწირა. თეატრის თანამშრომელს, კახა სოფრომაძეს, 23-ე ბრიგადის მებრძოლს, გუდაუთიდან გამოსროლილმა ჭურვმა ფეხი მოაგლიჯა. საოპერაციოში, ჯერ კიდევ ნარკოზიდან არგამოსული, გაიძახოდა: „იქიდან ბიჭებო, იქიდან შემოუარეთო!“. ის ჯერ კიდევ ომის აგონიაში იმყოფებოდა. ჩემთვის დაუვიწყარია ასეთი შემთხვევები. მთელ დღეებს საავადმყოფოებში დაჭრილებთან ვატარებდი, საჭიროების შემთხვევაში ექთნებს ვეხმარებოდი. ვხედავდი, თუ როგორ იტანჯებოდნენ დაჭრილები, ხშირად მათ გარდაცვალებასაც შევსწრებივარ. გონებაში არ გამოვრიცხავდი იმ ფაქტსაც, რომ შესაძლებელი იყო ბრძოლის ველიდან ჩემი შვილიც მოეყვანათ, ამიტომაც, საავადმყოფოს კედელზე მიწერილი მქონდა ჩემი ტელეფონის ნომერი, რათა საჭიროების შემთხვევაში დაერეკათ...

1993 წლის 16 სექტემბრის შემდეგ მდგომარეობა გაუარესდა. აფხაზეთი იღუპებოდა. სექტემბრის ბოლოსთვის სოხუმის ბედი გადაწყვეტილი იყო. აფხაზეთის დედაქალაქი სულს ღაფავდა, ბატალიონები და მათი მეთაურები ტოვებდნენ ქალაქს. ამ კრიტიკულ მომენტში, 22 სექტემბერს, სამშობლოს სიყვარულით გულანთებული 90 ახალგაზრდა მებრძოლი თვითმფრინავით თბილისიდან სოხუმის გადასარჩენად გამოემგზავრა. მებრძოლების გარდა, თვითმფრინავში რამდენიმე სამოქალაქო პირიც იმყოფებოდა, მათ შორის, ჩემი სკოლელი როინ ჟვანიაც იყო, რომელიც სასწაულებრივად გადაურჩა სიკვდილს. მისი ნაამბობიდან ცნობილია, რომ ახალგაზრდა მეომრებითა და ტყვია-წამლით დატვირთული თვითმფრინავისთვის, რომელსაც ზღვისთვის უნდა გადაეფრინა, მტერს კატარღებიდან დაუწყია სროლა, ჭურვს თვითმფრინავი შუაზე გადაუმტვრევია, როდესაც თვითმფრინავმა სვლა შეანელა როინის გვერდით მჯდომ სოხუმელ რაულ ჯანჯღავას ჩურჩულით უთქვამს, „პანიკა არ ატეხო, ხედავ რა მოხდა? ჩვენ წინ ჭურვმა გაიქროლაო“. შედეგ შუქი ჩამქრალა და ცეცხლის შავი კვამლი ავარდნილა, ჯოჯოხეთური ხმაური იქაურობას აყრუებდა, როგორც ჩანს ტყვია-წამალი აფეთქდა და თვითმფრინავში მყოფი რამდენიმე ადამიანის გარდა, ყველანი დაიღუპნენ. მფრინავების მოხერხებულობის წყალობით თვითმფრინავი ტორტმანით დაბლა, აეროპორტის მიმართულებით დაეშვა, ბეტონის ფილაქანზე დაენარცხა და შუაზე გაიხლიჩა, იქიდან ერთმანეთში აზელილი, დამწვარ-გაშავებულ ადამიანთა სხეულები გადმოცვივდა. წვისა და ტკაცუნის ხმა დიდხანს ისმოდა, რისი თვითმხილველი სხვებთან ერთად მეც გახლდით. როინი სასწაულებრივად გადარჩა... ის უსაფრთხოების ქამარმა გადაარჩინა, რომელიც მას მჭიდროდ ჰქონდა შემორტყმული. რაული კი თვითმფრინავში ჩაიწვა. დამწვარი სხეულების ნაწილები ბაბუშერის სასაფლაოს მიაბარეს.

როგორ შემიძლია არ გავიხსენო საქართველოს სახალხო არტისტი, ჩვენი თეატრის უხუცესი მსახიობი, უსაყვარლესი ქალი ნორა ყიფიანი, რომელიც მთელი ომის მანძილზე თავის ერთადერთ შვილთან ერთად სოხუმში იმყოფებოდა. 1993 წლის 27 სექტემბერს, როდესაც სოხუმი დაეცა და გამარჯვებული „ბოევიკები“ ქალაქში შემოვიდნენ, იქ დარჩენილ ქართველებს უბრძანეს პასპორტებით ხელში პროსპექტზე გამოსულიყვნენ. კედელთან მიაყენეს და სათითაოდ დახვრიტეს. ქალბატონი ნორას შვილს, ეს ამბავი რომ შეიტყო, გულმა უმტყუნა და საკუთარ სადარბაზოში, პირველ სართულზევე გარდაიცვალა. უბედურმა დედამ ძლივს აიტანა შვილის ცხედარი მეოთხე სართულზე. მთელი ღამე, სანთლის შუქზე, თავის ერთადერთ შვილს თავთან უჯდა. მარტომ გადაუხადა პანაშვიდი. როდესაც აფხაზები მის ბინაში შემოცვივდნენ, ფეხი ჰკრეს ცხედარს – „მოაშორე შენი მიცვალებული აქაურობასო.“ გაუბედურებულმა დედამ სანაპიროზე მოძებნა შვილის მეგობარი, რუსი მეთევზე, რომლის დახმარებითაც პატარა ურიკაზე დაასვენა ცხედარი და იმ საბავშო ბაღის

ეზოში, სადაც მისმა შვილმა ბავშვობა გაატარა, საკუთარი ხელებით გაუთხარა საფლავი. უკან მობრუნებული უბედური დედა აფხაზებმა სახლში არ შეუშვეს და ის მეოთხე სართულიდან გადააგდეს. დამსხვრეული და გონებაარეული ნორა ყიფიანი, ვიღაც აფხაზის ქალმა საავადმყოფოში დააწვინა, როგორც ვითომ რუსი ეროვნების ქალბატონი. ქართველებისგან ქალაქი უკვე დაცლილი იყო. თბილისში ყველანი ვწუხდით, რომ ვერაფრით ვშველოდით ნორას. მოგვიანებით რამაზ ჩხიკვაძის მეუღლემ, ქალბატონმა ნატაშამ, საელჩოსა და წითელი ჯვრის მეშვეობით, მისი თბილისში გადმოყვანა მოახერხა. მე ხშირად ვრჩებოდი ქალბატონ ნორასთან, ძილის წინ მაფრთხილებდა ხოლმე: „დილას გარდაცვლილი რომ მნახო, არ შეგეშინდეს, ე.ი. ჩემს შვილთან წავედიო“. ოთხმოცდაათი წლის ასაკში გარდაიცვალა ნორა ყიფიანი. ის იყო ჩვენი თეატრის სინდისისა და პატიოსნების განსახიერება, ჩვენი თეატრის უკანასკნელი მოჰიკანი, მისით დასრულდა ქართული თეატრის მოღვაწეობა აფხაზეთში. ნორა ყიფიანი რუსთაველის თეატრის მსახიობის ვიქტორ ნინიძის მეუღლე გახლდათ.

უსახლკაროდ და უთეატროდ ცხოვრებას ვერ შეეგუა აფხაზეთის, საქართველოსა და სსრ კავშირის სახალხო არტისტი ბატონი მიშა ჩუბინიძე. თბილისში დევნილის სტატუსით ცხოვრება, მატერიალური სიდუხჭირე, შვილების დაკარგვა, – ამდენმა განცდამ ლოგინად ჩააგდო მხცოვანი მსახიობი. სიკვდილის წინა დღეს აფორიაქებული საწოლიდან წამოდგა და ჩაცმა დაიწყო, თითქოს სადღაც ეჩქარებოდა. დაინვალიდებულ მეუღლეს უთხრა: „ხევისბერი გოჩას“ რეპეტიციაზე მივდივარ, შენ ხომ იცი, მე დაგვიანება არ მიყვარს-ო“ და.... ორი დღის შემდეგ გარდაიცვალა. ამგვარი აფორიაქება კი, ვფიქრობ, ზეციურ სამყაროში გადასვლის წინა რეპეტიცია იყო.

აფხაზეთის თეატრალურ მოღვაწეთა კავშირის სოხუმის დასასვენებელი სახლის დირექტორის, რეჟისორ ანზორ ქუთათელაძის დედა, ოთხმოცდაათი წლის ქალბატონი ნორა ასათიანი, რომელმაც აფხაზეთის ომს ძლივს გამოაღწია, აქ, თბილისში, ყოველ დილით დადიოდა სადგურში და მოლარეს ეკითხებოდა, „შვილო, როდის გადის სოხუმის მატარებელი?“. სოხუმის მშვენება, საქართველოს სახალხო არტისტი თინა ბოლქვაძე ომის დამთავრების შემდეგ, ლოგინად ჩავარდნილი, ყოველ დილით მირეკავდა და მაფრთხილებდა: „სოხუმში უჩემოდ არ წახვიდე!“ აქ, თბილისში უსახლკაროდ დარჩენილი ეს მშვენიერი ქალბატონი ნათესავის, ბესო ჟღენტის ბინაში გარდაიცვალა.

ამ სევდიან მოგონებებთან ერთად, მინდა გავიხსენო დევნილობისა და გაჭირვებაში გარდაცვლილი ჩვენი თეატრის მსახიობები და თანამშრომლები. მე თავს ვხრი მათი ხსოვნის წინაშე: ფლორა შედანია, ბორის თოფურიძე, ნოდარ მასხულია, ნოდარ ქაროსანიძე, ბახა ბექაური, ეფემია ხარაძე, ლიანა კუპრეიშვილი, ირაკლი ოქროპირიძე, ნუგზარ კუპრავა, ჯუმბერ გოგუაძე, ეთერ არქანია, კუკური დეისაძე. სულ ახლახანს კიდევ ერთი დიდი უბედურება დაგვატყდა თავს: აღარ არის დიმა ჯაიანი, საქართველოს სახალხო არტისტი, არაერთი პრემიის ლაურეატი, ნამდვილი კოლხი, ბობოქარი, ენერგიული, ლამაზი, ამაყი. მას უყვარდა თავისი პროფესია, თავისი თეატრი, მოსწონდა მისი ხელმძღვანელობა. უყვარდა ყურადღების ცენტრში ყოფნა... გულსატკენია, რომ აღარ ისმის მისთვის ჩვეული სიტყვები: „მე დიმა ვარ, ჯაიანი!“ მსახიობს არაერთი საინტერესო როლით გაუხარებია მაყურებელი. ჩვენ კარგი პარტნიორები ვიყავით სპექტაკლში „ცეკვის მასწავლებელი“, ორივე მთავარ როლს ვასრულებდით, მე – ფლორელას, ის კი ალდემაროს. რვა სეზონი სცენიდან არ ჩამოვსულვართ, გვიყვარდა და ვუყვარდით მაყურებელს. ცნობილი მწერალი გიგლა ხუხაშვილი ჟურნალ „საბჭოთა ხელოვნებაში“ წერდა: „მაყურებელს ხიბლავს, როცა თეატრში არიან არა მარტო მოხდენილი გარეგნობის, არამედ ქორეოგრაფიასა და ვოკალს დაუფლებული არტისტები. ისეთ დუეტს, როგორიც

ლიანა მიქაშავიძე და დიმა ჯაიანია სპეციალურად უნდა შეურჩიო როლი. ასე ხომ ხშირად ხდება, თითქოს საგანგებოდ მათთვის დაიწერა სამი საუკუნის წინ და რეპერტუარში ისევ ჩნდება მივიწყებული „ცეკვის მასწავლებელი.“ საქართველოსა და მის გარეთ სპექტაკლი ზეიმად გადაიქცეოდა ხოლმე. ცეკვები, ცნობილმა ბალეტმაისტერმა, ბატონმა დავით მაჭავარიანმა დადგა და მაყურებელს კარგ მოგონებად დაუტოვა ეს სპექტაკლი.“

ჩვენ, ძველი თაობის მსახიობები, სულ სამნიღა დავრჩით. დარჩენილ დროს, დარჩენილ სიცოცხლეს ყოველდღე სასიამოვნო მოგონებებით ვივსებთ, ვამხნევებთ ერთმანეთს. ძალიან გულსატკენი იყო ჩვენთვის, საქართველოს სახალხო არტისტის სერგო პაჭკორიას წასვლა ამქვეყნიდან. მე, 15 წლის ვიყავი, როდესაც მან ჩვენს თეატრში დაიწყო მუშაობა. სერგო – კარგი გარეგნობის ნიჭიერი მსახიობი, კარგი მეგობარი, კარგი მამა და კარგი მეუღლე იყო. ბედნიერ მოგონებად დამრჩა მასთან ერთად შესრულებული როლები: ჯენი ტოლბოტი „მარია ტიუდორში“ და ელიზავეტა „კიკვიძეში“. ბატონ სერგოს საფლავში გაყვა სოხუმში გატარებული ახალგაზრდობის დროინდელი ულამაზესი წლების მოგონებანი. ღმერთო, ნათელში ამყოფე მისი სული!

დაუვიწყარია ჩემთვის 1993 წლის 27 სექტემბერი, სოხუმის დაცემის დღე. გულრიფშიდან ჯემალ ქირიამ დარეკა თეატრში და მორიგემ ჩვეული ხმით გასცა პასუხი, სოხუმის ქართული თეატრი გისმენთო. ჯემალის ხმაში სასოწარკვეთა გაკრთა: „სასწრაფოდ დატოვეთ თეატრი და გაეცალეთ იქაურობას. სოხუმის ქართული თეატრი აღარ არსებობს!“... როგორ გინდა გადაიტანო თუნდაც მხოლოდ ეს ფრაზა! მითუმეტეს მე, ვისაც მთელი ცხოვრება მაკავშირებს ამ თეატრთან.

ვერა და ვერ შეეგუა სოხუმის დაკარგვას ცნობილი კომპოზიტორის მამია ბერიკაშვილის ვაჟი, რუსთაველის თეატრის უნიჭიერესი მსახიობი ლევან (ბერდია) ბერიკაშვილი. ის სოხუმშია დაბადებული და გაზრდილი. ერთნაირად უყვარს სოხუმელი ქართველი თუ აფხაზი. საშინლად განიცდის სოხუმის დაკარგვას, ერთხანს სმაც კი დაიწყო, ჯანმრთელობა გაურთულდა და არავინ ელოდა მის გადარჩენას... დააწვინეს საავადმყოფოში, ექიმების მცდელობის მიუხედავად, რამდენიმე დღე უგონო მდგომარეობაში იმყოფებოდა. სოხუმელი ახლობელ-ნაცნობები ძალიან განვიცდიდით მის მდგომარეობას და საავადმყოფოს შესასვლელთან ვტრიალებდით. ერთხელაც, მნახველებს შორის თვალი მოვკარი სოხუმელ მეზობელს, ქალბატონ ავიძბას, რომელიც წინა დღეს ჩამოსულა თბილისში და ლევანის მოუნახულებლად უკან დაბრუნებას არ აპირებდა. ქალმა ექიმებისგან ნებართვა მიიღო და პალატაში შევიდა, გაოგნებული დასცქეროდა უგონოდ მწოლიარე ვაჟკაცს, შემდეგ დაიხარა, აკოცა მას და ჩუმად, აფხაზურ ენაზე იავნანა უმღერა. მოხდა სასწაული, ლევანი შეტოკდა, ნელ-ნელა გონს მოვიდა და აცრემლებული თვალები გაახილა. მსახიობს საგრიმიოროში სოხუმის კუთხე აქვს მოწყობილი, სადაც სოხუმის ხედი, ქართველი და აფხაზი მსახიობების სურათები აქვს გამოფენილი. სოხუმის სიყვარული ამ ახალგაზრდა კაცს მუდამ თან დაჰყვება, რისი დასტურიცაა მის მკლავზე ამოტვიფრული სიტყვები: სოხუმი, ლესელიძის ქ.98. ამ სიყვარულს ლევან ბერიკაშვილი გულით დაატარებს.

ძალიან განვიცდი აფხაზი მსახიობების ძველი პლეადის წასვლას ამქვეყნიდან. მე ხომ მათ თვალწინ გაზრდილი და ამავე დროს მათი კოლეგაც გახლდით. ესენია: შარახ ფაჩალია, საქართველოსა და სსრ კავშირის სახალხო არტისტი, ნელი ეშბა, ბრწყინვალე რეჟისორი და თეატრის ხელმძღვანელი, ლევარსან კასლანძია, საქართველოს სახალხო არტისტი და „ოტელოს“ როლის ბრწყინვალე შემსრულებელი. მინადორა ზუხბა, საქართველოს სახალხო არტისტი – შესანიშნავი „მედეა“. ეთერ კოღონია – საქართველოს სახალხო არტისტი, – ულამაზესი – „ნინო ჭავჭავაძე, არგუნ-კანაშოკი, ჰაეროვანი და ნაზი დეზდემონა. ყველანი საქართველოს სახალხო არტისტები იყვნენ. იყო დრო, როდესაც მათაც ეამაყებოდათ ეს წოდება.

ბევრი სინანულით იგონებდა აფხაზეთის ომს. და მაინც ენანებოდა აფხაზს ქართველი და ქართველს -აფხაზი. იყო ასეთი შემთხვევაც: ომის დროს აფხაზმა ბოევიკებმა შეიპყრეს ჩვენი თეატრის წამყვანი მსახიობი ვალერი არღვლიანი. ბუნებრივია, ჩვენ ყველანი განვიცდიდით ამ ამბავს. ვეძებდით გამოსავალს, რომ როგორმე გადაგვერჩინა ის. ანსამბლ სუხიშვილების ყოფილმა მოცეკვავემ – კანდიდ თარბამ შეძლო ამ პრობლემის მოგვარება, მან და ალექსანდრე ანქვაბმა ვალერი არღვლიანი ტყვეობიდან გაათავისუფლეს.

მაგონდება ასეთი შემთხვევაც: გუმისთაზე მიმდინარე ხანგრძლივი ბრძოლების შედეგად, ქართველების მიერ, განადგურებულ იქნა აფხაზთა ერთი ბატალიონი, რომელთა შორის ანსამბლ „შარათინის“ მოცეკვავეებიც ყოფილან. აფხაზური და ქართული მხარეები შეთანხმდნენ, რომ ერთი საათით შეეწყვიტათ ბრძოლა. აფხაზი დაღუპული მეომრები, მათ მიერ კონტროლირებად გუმისთის მხარეს რომ გადაესვენებინათ. სანამ მიცვალებულთა გადასვენების პროცესი მიმდინარეობდა, აფხაზი და ქართველი მებრძოლები ერთად მიუსხდნენ საველე სუფრას და ასეთი სადღეგრძელო წარმოთქვეს: „შენსა და ჩემს სამშობლოს გაუმარჯოსო“. ისინი ხომ სოხუმში იყვნენ დაბადებულნი, ორივე მხარეს ერთნაირად უყვარდა თავისი სამშობლო, თავისი ქალაქი.

1993 წლის 27 სექტემბერს, როდესაც „ბოევიკები“ შემოვიდნენ ქალაქში, უპირველესად, მინისტრთა საბჭოს შენობას მიადგნენ და იქ მყოფი ქართველები დახვრიტეს. აფხაზი მებრძოლი, ომის დამთავრების შემდეგ, სინანულით იგონებდა თუ როგორ დახვრიტა მან სოხუმში არა მხოლოდ გარეგნული სილამაზით, არამედ ვაჟკაცობითაც გამორჩეული დიმა ჭურღულია. მებრძოლებმა იცნეს ერთმანეთი, როდესაც აფხაზმა დიმას მიუშვირა იარაღი, მან თვალი გაუსწორა აფხაზ თანამოქალაქეს და ჰკითხა: „როგორ შენ უნდა მომკლა მეო?!“ ამ უკანასკნელმა არ დაინდო და მაინც დაახალა ტყვია. ომის დამთავრების შემდეგ ის აფხაზი მებრძოლი, თურმე, სინანულით იხსენებდა დიმას. „Он хороший парень был!“ – უთქვამს. ერთი წლის შემდეგ, ისიც ტრაგიკულად დაღუპულა და საფლავში წაუღია დიმა ჭურღულიას მოკვდინების ცოდვა.

გული მიმძიმდება, როდესაც ზაზა პაკელიანს და მის თანამებრძოლებს ვიხსენებ. კამანში, მათი თავგანწირული წინააღმდეგობის მიუხედავად, მდგომარეობა კრიტიკული იყო. დახმარება, სამწუხაროდ, დროულად ვერ მიიღეს და მოწინააღმდეგემ, რომელიც რიცხობრივად სჭარბობდა მათ, მთლიანად ამოწყვიტა ბატალიონი. დაღუპული მებრძოლები გულრიფშის ძმათა სასაფლაოს მივაბარეთ... ჩვენი გმირი მეომრების ნეშტებით სავსეა აფხაზეთის მიწა. გულსატკენია, რომ ბევრმა დედამ ვერ დაიტირა შვილები... შვილები – სამუდამოდ აფხაზეთში რომ დარჩნენ!

მინდა დავამთავრო ეს უმძიმესი ისტორიები, ასევე ტრაგიკული პიროვნების, ჩემი მეგობრის, შვილმკვდარი მამის, პოეტ ჯანო ჯანელიძის ლექსით:

„ფრთხილად დაადგით ფეხი იმ მიწას,
იქ აფხაზეთში,
იქ იმ მიწაზე,
იქ გზის ნაპირას,
განისვენებენ შინმოუსვლელი ჯარისკაცები.
ვაი, რომ მათთვის
აწ აღარასოდეს აღარ მოვა თეთრი აპრილი,
მათთვის არც მოთოვს, არც გაწვიმდება,
ფრთხილად დაადგით ფეხი იმ მიწას...“

* * *

...და მაინც ...და მიუხედავად ყველაფრის: **„სოხუმის ქართული თეატრი გისმენთ!“**

ზ. ესაკია და ნ. ქარდავა, 2020 წელი

ნანა ქარდავა

ის ორი, საბედისწერო დღე

(ნამდვილი ამბავი)

ავტორისაგან:

დიდხანს ვიფიქრე, თუ რა სახელი შემერჩია ამ მოთხრობისთვის. „საკვირველი დაბადების დღე“, „საოცარი ამბავი“, „მეორედ დაბადებული“ და კიდევ უამრავი რამ გადავსინჯე გონებაში. მალე მივხვდი, რომ სიუჟეტი, რომელსაც თავად ცხოვრება გთავაზობს, ძნელია დაასათაურო. ბედისწერის რაობაზე ყველას გვიფიქრია და ერთ დასკვნამდე მივსულვართ: ბედისწერა არის ის, რაც წარმართავს ადამიანის ცხოვრებას. მასში შეიძლება კორექტივები შეიტანო, მაგრამ მთლიანად ვერ შეცვლი – ეს არავის ხელეწიფება მოკვდავთაგან! ბედისწერა, სადღაც იქ, მაღლა იწერება, ჩვენ არავინ გვეკითხება მოგვწონს თუ არა... არავინ იცის, რის მიხედვით გამოარჩევს ზოგს კარგი და ზოგსაც ცუდი ბედი. ცუდი ბედისწერის ადამიანებს ხშირად ანუგეშებენ, ღმერთს უყვარხარ და გცდისო. კარგი ბედისწერისაზე ამბობენ, უფლის ხელი ერია მის დაბადებაშიო. ანუ, ორივე შემთხვევაში უზენაესის ჩარევა ბედისწერის ამბავში – სახეზეა!

მეგრელებს, ბედისწერასთან დაკავშირებით, ძალიან კარგი გამონათქვამი გვაქვს – „ყვაუჭარე“. ხშირად საბრალო, შესაბრალის ადამიანზე სინანულით ვამბობთ „ყვაუჭარეაო“ ანუ შუბლზე არაფერი აწერიაო. ძველ კოლხებს მიაჩნდათ, რომ ბედნიერ ადამიანებს, ღმერთი შუბლზე დააწერდა კარგ ბედ-იღბალს, ხოლო უბედურის შუბლზე – არაფერი ეწერა!

ჩვენი მოთხრობის გმირზე, ვერავინ იტყვის სიტყვას „ყვაუჭარე“, რადგანაც ის მართლაც იშვიათი ბედისწერის ადამიანია.

ზვიად ესაკია სოხუმელი კაცია. აფხაზეთთან განშორების 27 წლიანი ისტორიის მიუხედავად, სოხუმელად გაგეცნობათ. სოხუმში, ქართული თეატრის მსახიობი იყო. ახლა ბათუმში ცხოვრობს და სახელმწიფო კაპელაში მღერის. სოხუმელები, სწორედ ბათუმში შევხვდით ერთმანეთს. თავისი დაუჯერებელი ისტორია მომიყვა. ამაფორიაქა ამ ამბავმა. სანამ არ დავწერე, ვერ მოვისვენე...

დიდი ხანია შემჩნეული მაქვს, რომ აფხაზეთის ომი ყველა ადამიანისთვის ერთნაირად დაიწყო და ყველასთვის სხვადასხვანაირად დამთავრდა. მარცხი საერთო იყო ყველა ქართველისათვის, მაგრამ საკუთარმა ბედისწერამ ზოგი დაინდო, ზოგი კი გასწირა. ჩვენ მოვყვეთ ამბავს, თუ როგორ დამთავრდა ომი ზვიად ესაკიასთვის, სოხუმელი კაცისთვის, მსახიობისა და ოჯახის მამისთვის. 1993 წლის 29 სექტემბერს მას ორმოცი წელი შეუსრულდა. ვერავინ წარმოიდგენდა ასეთ დაბადების დღეს... ვერავინ წარმოიდგენდა, რომ როცა ყველა სოხუმელისათვის უსაყვარლესი სოხუმი დაეცემოდა, ზვიად ესაკია მეორედ დაიბადებოდა და დარჩენილი ცხოვრების ათვლის წერტილად სწორედ ამ დღეს მოინიშნავდა. არც ადრე უყვარდა ამ ამბის მოყოლა, არც ახლა უყვარს. მაინც ვაყოლებ. კარგი თხრობა აქვს. ამბის გადმოცემაში პროფესიაც უწყობს ხელს. მონუსხული ვუსმენ, გონებით კი იქ ვარ, სოხუმში... 1993 წლის 27 სექტემბრის უბედურ და უიღბლო, განწირულ და ყელგამოჭრილ სოხუმში.

ქართველი მსახიობის ზვიად ესაკიას ნაამბობი:

მეომარი არ ვარ და არც რომელიმე ბატალიონში თუ შენაერთში მიბრძოლია. უბრალოდ, სოხუმელი კაცები ვიკრიბებოდით და გავდიოდით მოწინავე პოზიციებზე: ზოგს დაჭრილს ვშველოდით, ზოგისათვის სანოვაგე მიგვქონდა, დაბომბვის დროს მშვიდობიან მოსახლეობას ვეხმარებოდით, ერთმანეთს ვეხმარებოდით უფრო სწორად. 1993 წლის 27 სექტემბრის დილაც ისევე გათენდა, როგორც ყველა ომისდროინდელი

დილა. მაშინ ვინ წარმოიდგენდა, რომ ჩვენთვის, სოხუმელთათვის, იქ ყოფნის ბოლო სექტემბერი ილეოდა. დაბომბვა დილიდან დაიწყო, როგორც წინა დღეებში. შევიკრიბეთ სოხუმელი ბიჭები და გადავწყვიტეთ მაჭარკის პოსტისკენ გაგვეწია, რათა იქ დისლოცირებული ჩვენი ჯარებისთვის დახმარება გაგვეწია. ერთ მანქანაში ჩავსხედით და ოჯახთან დაუმშვიდობებლად გავწიეთ მაჭარკის მიმართულებით. „მაჭარკის პოსტი“ ყველა აფხაზეთში მაცხოვრებელმა იცის, ფაქტობრივად სოხუმის გარეუბანია. საბჭოთა პერიოდში აქ მილიციის საგუშაგო ე.წ. პოსტი მდებარეობდა. აქვე იყო ხიდი, რომელზედაც ცენტრალური გზა გადიოდა. ამ „პოსტის“ ირგვლივ რამდენიმე ქართული სოფელი იყო. არც ერთ ჩვენგანს არ გვიფიქრია მაშინ, რომ უკან ვეღარასოდეს დავბრუნდებოდით, რომ საკუთარ ოჯახებს ზოგი ვაღარასოდეს ნახავდა, ზოგი კი წლების შემდეგ შეხვდებოდა უაფხაზეთო საქართველოს დანარჩენ ტერიტორიაზე მიმოფანტულს... მაგრამ ეს ყველაფერი „მერე“ იქნებოდა – ჩვენი ცხოვრების საზღვარდამდებელი ომის მერე...

მაჭარკასთან მისულებმა აღმოვაჩინეთ, რომ საგუშაგო ცარიელია, რომ არათუ ტექნიკა, არამედ ერთი თოფიანი ჯარისკაციც კი არ დგას სოხუმის ფაქტობრივ საზღვართან. დავიბენით, თუმცა უკან დახევა არ გვიფიქრია. გადავწყვიტეთ, სადმე ახლოს დავლოდებოდით მებრძოლებს, რომლებიც ჩვენი აზრით მალე გამოჩნდებოდნენ. ამიტომაც, ხიდის გადაღმა სოფელში (ახლა ვერ ვიხსენებ რომელში) ერთ მიტოვებულ სახლს შევაფარეთ თავი. ამ სახლში ჩვენს გარდა კიდევ რამდენიმე ადამიანი იყო შეყუჟული, მათ შორის ბავშვები და ორსული ქალი. არც ერთმა ჩვენგანმა არ იცოდა, რომ იმ დღეს სოხუმი დაეცა. ეს რომ გვცოდნოდა, ათასობით ჩვენი თანამოძმესავით, ალბათ, ჩვენც გამოვწევდით ენგურისკენ, სიცოცხლის გადასარჩენად. მაგრამ მაშინ სოფლებში ხალხმა ვერ გაიგო, რომ ომი რუსების მიერ მხარდაჭერილმა სეპარატისტებმა მოიგეს; რომ ეს საშინელი ხალხი შურისძიების გრძნობით შეპყრობილნი, გადამთიელებთან ერთად, ფეხდაფეხ მოსდევდნენ სოხუმიდან გაქვეულ ქართველებს; რომ სიკვდილის ცელი დაუნდობლად დატრიალდა... ჩვენ, იმ სახლს ბედისწერის ნებით თავშეფარებულებმა, არ ვიცოდით ეს. უფრო მეტიც, 29 სექტემბერს ორმოცი წლისა ვხდებოდი და ვფიქრობდი, ჩქარა როგორ დავბრუნებულიყავი სოხუმში, რათა დაბადების დღე სახლში, ოჯახთან ერთად შევგებებოდი. ასე გაურკვევლობაში დაღამდა 27 სექტემბერი. 28 სექტემბერს, დილით მე და ერთმა მამაკაცმა გადავწყვიტეთ მაჭარკის პოსტამდე მისვლა, რომ გაგვერკვია რა მდგომარეობა იყო. ჩვენი აზრით, თუკი მეომრები დაგვხვდებოდნენ მათ დავეხმარებოდით, თუ არადა ამბავს მაინც გავიგებდით. ხიდი გადავიარეთ თუ არა, ისეთი დაბომბვა დაიწყო, გადმოცემაც მიჭირს. სად დავმალულიყავი არ ვიცოდი. იქვე ხიდს გადაღმა ყანები იწყებოდა. სექტემბერი იყო და სიმინდის ყანაც უკვე ადამიანის სიმაღლეზე ბიბინებდა. შევვარდით იმ ყანაში და მიწაზე გავერთხეთ. თავი რომ წამოვწიე გავოცდი, იმდენი ადამიანი დავინახე ირგვლივ. საწყლები, თავს წამოწევდნენ და ზღვის მიმართულებით იყურებოდნენ. ახლო მდებარე სოფლის მაცხოვრებლები აღმოჩნდნენ. მათგან გავიგე, რომ ომი ქართველთათვის სამწუხაროდ დამთავრებულიყო და ახლა, როგორმე ყველას საკუთარი თავისთვის უნდა ეშველა. ზღვისკენ კი იმიტომ იყურებოდნენ, რომ დიდი გემი გამოჩნდა. მალე გემიდან ხმის გამაძლიერებლით გაჟღერდა, რომ მშვიდობიან მოსახლეობას ეძლეოდა 40 წუთის განმავლობაში გემზე მოხვედრის საშუალება, ამისთვის ნავებს გზავნიდნენ სანაპიროსკენ. მოგვიანებით გავიგე, რომ ეს იყო უკრაინული ფლოტის ლაინერები (მეორე ასეთივე გემი მდგარა აგუძერასთან). მოწოდება რუსულ ენაზე განუწყვეტლივ მეორდებოდა. ყანაში გახიზნულ ადამიანებს, დიახაც უნდოდათ ნაპირამდე მისვლა, მაგრამ შესაძლებელი იყო დაბომბვის მსხვერპლი გამხდარიყვნენ. ამ ყანაში კი ცხადია, დიდხანს ვერ გავჩერდებოდით. უკვე სადღაც შორიდან გვიახლოვდებოდა „გამარჯვებულთა“ ტექნიკის გუგუნი და უცხო, ფსტვინავი ენა სულ უფრო ახლოს ისმოდა. ყანაში დამალულთაგან ზოგი სანაპიროსკენ გაიქცა. ბევრის სიცოცხლე გადაარჩინა იმ გემმა. მაგრამ, რა დამავიწყებს, ჩემ თვალწინ, რამდენის სიცოცხლე მოცელა ტყვიების წვიმამ...

მე ყანაში დარჩენა ვამჯობინე. ჩემი თანმხლები მამაკაცი გემზე აღმოჩნდა. მან მეც მიმატოვა და საკუთარი ძმაც, რომელიც იმ დევნილთა სახლში დარჩა, უცნობ ორსულ ქალთან ერთად. შემდეგში გავიგეთ, რომ დარჩენილები ცოცხლად ჩაწვეს იმ სახლში... არც და ვერც განვიკითხავ ჩემ

თანმხლებ მამაკაცს. ვისაც ომი და დევნა არ განუცდია, მან არ იცის რა ძალა აქვს სიცოცხლის თუნდაც ერთი დღის წყურვილს... და არავინ დაიკვეხნოს არაფერი! ვერავინ იტყვის წინასწარ ასეთ სიტუაციაში როგორ მოიქცევა. სული, როგორც ჩვენში იტყვიან, ტკბილია.

ყანაში ვერც მე დავრჩი დიდხანს. ვინაიდან, მისი დაბომბვა იწყეს სამხედრო ვერტმფრენებმა. გემისკენ გაქცევა არც მიფიქრია, რადგან ცოლ-შვილი სოხუმში მეგულებოდა. ყანიდან სიცოცხლის გადასარჩენად გამოსულს არც ფიქრის დრო მქონდა და რომც მქონოდა, ლოგიკური აზროვნება შეუძლებელი გამხდარიყო. მეც ინსტინქტებს დავმორჩილდი. მხოლოდ ჩემი შვილები მახსოვდა და ალბათ, ამიტომ ხიდისკენ კი არა, სოხუმის მიმართულებით წავედი. ათიოდე ნაბიჯიც არ გამევლო, რომ ჟიგულის „06“ მარკის ავტომანქანა შევნიშნე მიტოვებული. (ალბათ, გემზე ასვლისას მიატოვებდა პატრონი). ჩავხტი და დავქოქე. საწვავიც იყო. ის იყო დავიძარი, რომ მტერიც გამოჩნდა. მათ მანქანა მიზანში ამოიღეს. მესროდნენ ყველა ტიპის იარაღიდან, რაც კი ებადათ. დაცხრილული მანქანა ამოყირავდა და სახურავით დაეცა მიწაზე. რის ვაი-ვაგლახით ამოვძვერი. საკვირველი იყო, რომ არც ერთი ჭრილობა არ მიმიღია, საღ-სალამათი ვიყავი. ის იყო ფეხზე წამოვდექი, რომ დედის გინება შემომესმა. თავზე შავლენტშემოკრულმა სამხედროფორმინებმა ალყაში მომიმწყვდიეს. მე რუსულად კარგად ვსაუბრობ, უაქცენტოდ. შევეცადე ამეხსნა, რომ სოხუმელი ვარ, მსახიობი, რომ არ ვიბრძოდი. მათ ერთადერთი კითხვა ჰქონდათ: „რა ეროვნების ხარ?“ და მეც ერთადერთი პასუხი: „ქართველი!“ ამის გაგონებაზე მომვარდა ორი დაკუნთული ახალგაზრდა კაცი და ისეთი ცემა დამიწყეს, რომლის გახსენება ახლაც მზარავს. გული ვერა და ვერ იჯერეს ჩემი ცემით. პირში დაგუბებულ სისხლთან ერთად საკუთარ კბილებს ვყლაპავდი. სახე თითქოს ჩემი არ იყო. უკვე ტკივილსაც ვეღარ ვგრძნობდი.

– Прикончи эту суку! – უბრძანა ერთმა მეორეს და თვითონ ამხანაგების ჯგუფს დაედევნა. ამან იარაღი მომიშვირა, მაგრამ ჩანდა უცებ მოკვლას არ მიპირებდა. მითხრა კიდეც, ჯერ საცერივით გაგხდი და მერე ჩაგაძაღლებო. ფეხებში მესროლა. კოჭთან ახლოს მომხვდა. ერთადერთი, რასაც ვნატრობდი მალე სიკვდილი იყო. ამ დროს ტრასაზე სამხედრო ტიპის მანქანა გამოჩნდა. ქართველთა მანქანა იყო. ყველამ ერთად ამ მანქანას დაუწყო სროლა. ჩემს მოსაკლავად გამწესებული არაადამიანის ყურადღებაც მიიპყრო ამ სამხედრო მანქანამ. უცებ, მანქანიდან ორი სრულიად ახალგაზრდა ბიჭი გადმოვიდა. გავიგონე, როგორ გადასძახა ერთმა მეორეს, ამათი ჯიშ-ჯილაგიო და წამში ავტომატები მოიმარჯვეს. რას გაუმკლავდებოდნენ, მაინც მჭიდიდან ხელი არ აუღიათ. დაახლოებით 15 კაცი ავტომატებიდან უშენდა. ორივე ჩემ თვალწინ მოკლეს და ხიდის ქვეშ ჩაათრიეს. ამასობაში, რაღაც პერიოდი მივავიწყდით კიდეც. ჭრილობიდან სისხლი მდიოდა. მთელი სხეული მეწვოდა, მაგრამ ხმას არ ვიღებდი, როგორმე რომ თავი არ შემეხსენებინა უნებურად. ამ დროს, ყანაში დარჩენილი მშვიდობიანი მოსახლეობის გამოყვანა დაიწყეს. ვხედავდი, როგორ ჩაყავდათ ხიდის ქვეშ ქალები, ახალგაზრდები, ბავშვები ...შემდეგ – ავტომატის ჯერის ხმას, მოსდევდა სილაზე ტვირთის თრევის საშინელი ხმა. ვხვდებოდი, მკვდრებს მიათრევდნენ... აი, კიდევ ერთი ახალგაზრდა, შავთმიანი ბიჭი გამოიყვანეს სიმინდის სამალავიდან. ბიჭი ხმას არ იღებდა, უაზრო გამომეტყველება ჰქონდა. მეც გავახსენდით. ჭრილობაზე ფეხი მომარტყა ერთმა და მიბრძანა წინ წავსულიყავი. შავთმიანი ახალგაზრდა ბიჭი, რომლის ვინაობა ცხადია, არ ვიცი გვერდზე დამიყენეს. ორივე ერთად ხიდის ქვეშ ჩაგვიყვანეს. ბიჭმა და მე ერთად დავინახეთ მიცვალებულთა გროვა. ხმა არ ამომიღია, ბიჭმა კი ძლივსგასაგონად ჩაილაპარაკა, – ვაიმე, დედა... მიცვალებულებთან ახლოს დგომა გვიბრძანეს, პირით ცხაურისკენ, რომელიც ზღუდე იყო ამ ადგილის – ვერსად გაიქცეოდი. იარაღის გადატენის ხმა გავიგე. ახალგაზრდა ბიჭი არ შემობრუნებულა, მე კი ამ ხმის გაგონების მომენტში სახით შემოვბრუნდი მკვლელებისკენ, მინდოდა მათი სახეები დამენახა, მინდოდა ზურგი არ მეჩვენებინა სიკვდილისთვის. ერთი ისროდა. რაღაც ძალამ მეც და ის ბიჭიც ორ მეტრზე უკან გადაგვაგდო. დაცემის მომენტი მკაფიოდ მახსოვს. ჯერ მეგონა მკვდარი ვიყავი და არ ვინძრეოდი. გვამებზე ზემოდან მოვექეცით. მკვლელებმა მალევე დატოვეს იქაურობა, ჩვენკენ არც გამოუხედავთ. ჩემს გვერდით დავარდნილი ბიჭი მკვდარი იყო, თავის ქალა გადახსნილი ჰქონდა. მე დღემდე არ ვიცი, რამ რა ძალამ გადამარჩინა.

ან საერთოდ შესაძლებელია მოხდეს ასეთი რამ?! აგერ ვარ ცოცხალი მაგალითი იმისა, რომ ადამიანი ბედისწერას ვერსად გაექცევა. უფალს უნდოდა რომ გადავრჩენილიყავი. ამ ტყვიების წვიმაში არც ერთი რომ არ მომხვდა, საოცარია! მაგრამ უფრო საოცარი ისაა, რა ძალამ გადამაგდო თანამოძმეთა გვამებზე?! შეიძლება ყველაფერი დამავიწყდეს: გვამები, სახელები, ფაქტები მაგრამ რა დამავიწყებს იმ შეგრძნებას, როცა ვფიქრობდი რომ ალბათ მკვდარი ვარ, მაგრამ მაინც ვხედავ ჯერ-ჯერობით ყველაფერსთქო. როდესაც დავრწმუნდი, რომ მხოლოდ ნატყვიარი კოჭიდან მდიოდა სისხლი წამოჯდომა გადავწყვიტე, თუმცა ვერ გავინძერი. შიშისაგან, ეტყობა, პარალიზებული ვიყავი. მივხვდი, რომ ვერც ბეტონის კედელს და ვერც ამ რკინის ცხაურს ვერ გადავახტებოდი, მეორე მხარეს ზღვის სანაპირო კი იყო, მაგრამ ზემოდან გაშლილი ხელისგულივით ჩანდა აქაურობა. ცხადია, ვერც იქეთ გავიქცეოდი – აზრი არ ჰქონდა. ალბათ, ცეცხლს წაუკიდებენ ამ გვამებს და მეც ცოცხლად შიგ ჩავიწვებითქო, ამასღა ვფიქრობდი. ასე გვამებში და სისხლის გუბეში გაუნძრევლად ვიწექი, როცა ფეხის ხმა მომესმა. თვალი ოდნავ გავახილე. ვხედავ, ათლეტური აღნაგობის, შავგრემანი ახალგაზრდა კაცი მოდის. იარაღი მხარზე გადაუგდია და სარვალს იხსნის. კედელთან მიდგა ბუნებრივი მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად. შარდავდა იმ დროს, როცა მე წამოვჯექი. წარმოიდგინეთ, მიცვალებულთა გორაზე ერთი გვამი რომ წამოჯდეს! როგორ ხასიათზე დადგებოდით?! ჰოდა, ეს აფხაზი მეომარიც გაშტერდა, პირი დააღო და შარდიც შეუკავდა მოულოდნელობისაგან. შოკიდან რომ გამოვიდა, გაოცებულმა გამომძახა: – Ты что живой?! ვერაფერი ვუპასუხე. – Что, в рубашке родился что-ли, еб твою мать! – არ დაინანა გინება. არაფერი ვუთხარი. მიბრძანა ახლოს მივსულიყავი. გამომკითხა ვინაობა, სადაურობა, პროფესია. რატომღაც ჩემმა მსახიობობამ დააეჭვა და მკითხა, რომელიმე აფხაზ მსახიობს თუ ვიცნობდი. პირველი, ვინც მომაგონდა აფხაზი რეჟისორი ამირან კამკია იყო. შევამოწმებ იცნობ თუ არაო, თუ მატყუებ, აღარ დაგინდობ – მითხრა ბოლოს. იმედივით გაიჟღერეს ამ სიტყვებმა, რადგან არ ვტყუოდი, კამკიას ახლოს ვიცნობდი. გადარჩენის შანსი, ისევ გაჩნდა! მეომარმა ამომიყვანა მაჭარკის პოსტთან და თავის თანამებრძოლებს გასძახა, აბა ეს კაცი რომელმა დახვრიტეთო. მოგვიახლოვდა ჩემი „მკვლელი“ და პირდაღებულმა, ძლივს ამოილუღლუღა – მეო. თან თვალს არ მაცილებდა. უჭირდა დაჯერება, რომ ცოცხალი ვიყავი. ჩემმა გადამრჩენელმა ხოშიანად შეაგინა, სროლა არ გცოდნიაო. მერე მე მიბრძანა, წამოდი და მანქანაში ჩაჯექი, სოხუმში უნდა წაგიყვანო კამკიასთანო. ეტყობა ეს კაცი მეთაური იყო, რადგანაც ენას არავინ უბრუნებდა და მის ბრძანებებს ყველა უსიტყვოდ ემორჩილებოდა. ჩავსხედით მანქანაში და სოხუმისაკენ ავიღეთ გეზი. 28 სექტემბერი საღამოვდებოდა. სოხუმამდე მგზავრობის დროს რაზე ვფიქრობდი, ახლა ვერ ვიხსენებ. ჩემს გადამრჩენელს ვუსმენდი ყურადღებით. ის კი სიტყვაუხვი აღმოჩნდა, თითქოს მღვდელთანაა აღსარებაზეო, ისე დაწვრილებით მიყვებოდა თავის ამბავს.

აფხაზი მეომრის დათო გოგიას ნაამბობი:

– დათო მქვია, გოგია ვარ გვარად. ჰა, გიკვირს ხომ ჩემი მეგრული გვარი?! კი, ასეა – მამაჩემი მეგრელი იყო, დედა აფხაზი მყავს, გუდაუთელი. ოჩამჩირეში დავიბადე და ვიზრდებოდი შვიდ წლამდე. მერე მამამ მიგვატოვა, სხვა ოჯახი შექმნა, სამეგრელოში დასახლდა. სანამ ჩვენთან ცხოვრობდა, მეგრულად მელაპარაკებოდა, ქართულიც მესმოდა. მერე დედაჩემის ძმამ წაგვიყვანა გუდაუთაში, სადაც აფხაზური გახდა ჩემთვის მშობლიური ენაცა და საერთოდ, ყველა ნათესავი, ვისთვისაც კი ჩემთვის – ცოცხალი მამის ობოლი შვილისთვის დახმარების ხელი გამოუწვდია, აფხაზები იყვნენ. პასპორტის აღების დრო რომ მოვიდა და ეროვნების გრაფაში მონაცემის შეტანა რომ მთხოვეს, მივხვდი აფხაზი ვიყავი. ქართველს რატომ ჩავიწერდი?! არც ენა ვიცი, არც ამ ხალხს ვიცნობ! საერთოდაც, ქართველად ვერ მივიჩნევ თავს! ჰოდა, მეც აფხაზი ჩავიწერე და არა იმ მიზეზით, დღეს რომ გვაბრალებენ, პრივილეგიების გამო აფხაზდებოდნენ მეგრელებიო! რა პრივილეგიები?! არაფერი დამკლებია, არც ობლის მძიმე ხვედრი, არც ჯარი, ვერც უმაღლესში ჩავირიცხე. რაც თავი მახსოვს ფიზიკურად ვშრომობდი. მე და ბიძაჩემი ღორებს ვზრდიდით. აი, შენ მსახიობი ხარ. მე კი თეატრში ერთხელ ვარ ნამყოფი. სპეციალურად ჩამოვედით სოხუმში, თეატრის სანახავად. რა კარგი იყო... ვშრომობდი, ვცხოვრობდი და ვიყავი ჩემთვის, არავის ვერჩოდი და არავინ

მერჩოდა, ამის დედაც... საჭმლის ფული მქონდა, არავის ვართმევდი. ის კი არა, სხვასაც ვუმართავდი ხელს. ომი რომ დაიწყო გამიჭირდა ძალიან... ჩემ თავთან გამიჭირდა... გესმის?! არ მინდოდა არც ომი, არც მასში მონაწილეობა. ზოგი ხოა სამხედროობაზე რო ოცნებობს?! მე კი ბავშვობაშიც არ მითამაშია ომობანა, მეჯავრებოდა ძალიან. ჰოდა, ომი რომ დაიწყო და ჩემი მიგობარი კოსტია მოხალისედ ჩაეწერა, ძალიან შემრცხვა. კოსტია აფხაზეთში ჩამოსახლებული რუსი მუშების შვილი იყო. საერთო საცხოვრებელში ცხოვრობდნენ. კოსტია-რუსი მოხალისედ წავიდა და მე კი არ მინდოდა ომში მონაწილეობა. მიჭირდა. რაც არ უნდა იყოს, მამა მყავდა ქართველი და არ მინდოდა მათთან ომი. აფხაზების წინააღმდეგ კი რატომ უნდა მეომა?! ნოემბრის ბოლომდე სახლში ვიჯექი და ომის ამბებს სხვების მონაყოლით ვიგებდი. მერე დაიწყო... ჩემი ბიძაშვილები მოკლეს, ჩვენს სოფელში შვიდი სახლი გადაწვეს, კოსტია ყურებდაჭრილი მოასვენეს, მეზობელი გამიქურდეს...დიახ, დიახ თქვენები ჩადიოდნენ ამას! ცუდი მოსასმენია, ხო?! მარა, რა ვქნა რომ ასე იყო?! არ გსიამოვნებს ხომ მოსმენა, ჰოდა კარგად მისმინე და დაიმახსოვრე, რასაც გეუბნები, ვინიცობაა არ მოგკალი და ცოცხალი გაგიშვი, მოუყევი შენებს, რომ ქართველებმა გამაბოროტეს, ქართველებმა მაიძულეს მიმეტოვებინა ოჯახი, მოხუცი დედა და ომში წავსულიყავი, ჩემი ნათესავების ღირსების დასაცავად. ომი კი, თავადაც იცი, ااا თუ შენ არ იცი? ომი ომია და თავისი კანონები აქვს! ან შენ გკლავენ ან შენ კლავ! მე ეს ბოლო ვარიანტი ავირჩიე. ვკლავდი, ვკლავდი (ხელი საჭეს გამალებით დაარტყა) ვკლავდი, ამის დედაც... ყველას, ვინც სამტროდ მოვიდა ჩემს სოფელში, ჩემ სახლში. მე ხომ არ მივსულვარ მათთან?! ისინი მოვიდნენ! რა რკინიგზას იცავდნენ, რატომ უნდა დაელიათ ფსოუს წყალი?! ესენი ის ნაბიჭვრები არ იყვნენ, ცოტა ხნის წინ სამეგრელო რომ ააწიოკეს?! ჰა, გეკითხები, ისინი არ იყვნენ, თავისიანებს რომ არ ინდობდნენ?! ااااა, დუმხარ... პასუხს არ მაძლევ... ან რა უნდა მიპასუხო, კარგად იცი, რომ მართალი ვარ. ახლა მიგიყვან ტელევიზიაში და ამირან კამკია თუ ამოგიცნობს ხომ კარგი და თუ არა, ორჯერ , ალბათ, არავის უმართლებს ერთი დღის განმავლობაში...

ზვიად ესაკიას ნაამბობი:

სოხუმში მალე ჩავედით. ერთადერთხელ გავიხედე ფანჯრიდან, როცა ჩემ სახლს ჩავუარეთ. არაფერი მითქვამს, შემეშინდა ჩემი ცოლ-შვილიც არ აეყვანა მძევლად, რასაკვირველია თუკი ცოცხლები იყვნენ და სახლში იმყოფებოდნენ იმ დროს. სოხუმის ტელევიზიაში კამკია არ აღმოჩნდა და მგზავრობამ გაგრამდე მოგვიწია.

გაგრაში, სადღაც ოფისში მიგვიყვანეს. ეტყობა, ადრე ქართველის სახლი იყო: ეზოში მოვლილი ვაზი, სახლის წინ მწვანე მოლი. დათომ წინ გამიშვა და თვითონ იარაღმხარზემოკიდებული უკან მომდევდა. ბნელი კორიდორი იყო. უცებ, თითქოს მელოდაო, კარი გაიღო და დერეფანში ამირან კამკია გამოჩნდა. დამინახა თუ არა, ჩემკენ გამოენთო. გულწრფელად გაუკვირდა ჩემი ნახვა, მაგრამ მე მასზე გაკვირვებული ვიყავი, ერთი დღის განმავლობაში ეს მერამდენედ გამიმართლა!

დათომ და ამირანმა გადაწყვიტეს ჩემი საზღვარზე გადაყვანა. მაგრამ უკვე გვიანი იყო, ბნელოდა. ღამე სადღაც ხომ უნდა გამეთია. ამირან კამკიამ თქვა, აქვე ახლოსაა ჩემი ბინა, მოდი ზვიადს ჩემთან წავიყვანო და დათოც მიიპატიჟა. ასე აღმოვჩნდით კამკიას ბინაში.

ამირანის სახლში მისულებს, ახალგაზრდა ქალი გამოგვეგება. ქალს შუბლზე შავი ბალდახინი წაეკრა. ტანში გამცრა. მივხვდი, ვიღაც ახლობელი ეყოლებოდა გარდაცვლილი. დიასახლისი დატრიალდა და სუფრა გააწყო. სუფრას რომ მივუსხედით ღამის 12 საათიც შესრულდა. საათს შევხედე და ამირანს ვუთხარი, ჩემი დაბადების დღეა, 40 წლისა გავხდი-თქო. – ხოდა, ღმერთმა საჩუქარი გაგიკეთა, სიცოცხლე მეორედ გაჩუქა – იხუმრასავით დათომ. ამ დროს შაოსანმა ქალმა მოთქმით ტირილი დაიწყო. უფრო და უფრო უმატა ხმას. აფხაზურად მოთქვამდა და ვერ გავიგე, რას ამბობდა. ამირანმა შემომხედა: – სასწაული გრძელდება, ზვიად! დღეს ჩემი მეუღლის ძმის-ალიკას დაბადების დღეცაა. რომ არა ეს ომი, 26 წლისა გახდებოდა. ამიტომაც გვქონდა განსაკუთრებული პურ-მარილი დღეს. ცოტა ხანში სასაფლაოზე ავდივართ, გათენებამდე აგვაქვს საკურთხი. ომი რომ დაიწყო მაშინვე მოკლეს, თავის სახლში იყო, არ იბრძოდა... ქმრის სიტყვებზე ცოლმა, რომელსაც რამდენადაც მახსოვს აიდა ერქვა, ტირილს უმატა. ამირანმა დაუყვავა და უთხრა: – ნახე, ჩვენს სტუმარს ფეხიდან

სისხლი სდის, ჭრილობა უნდა დავუმუშავოთო. ამ სიტყვების გაგონებისას, ფეხი კიდევ მეტად ამტკივდა. სისხლით გამჟღენთოდა დაგლეჯილი წინდა. ფეხს უკვე ვეღარ ვადგამდი – ტკივილი ძლიერდებოდა. აიდამ წყლიანი თასი მოიტანა. ჩემ წინ ჩაიცუცქა. დიდი მონდომებით გამხადა წინდები. ჯერ საღი ფეხი დამბანა და მერე დაჭრილი ფეხი გამიწმინდა. ასევე, დიდი მონდომებით გადამიხვია, წყალბადის ზეჟანგით დამუშავების შემდეგ. გაოცებული ვიყავი – მთელი გულით აკეთებდა საქმეს.შემატყო, გაოგნებული მზერა. მითხრა, ჩემი ძმის სული აცხონოსო ღმერთმა და ცრემლები ღაპაღუპით ჩამოსცვივდა. ყელზე, საკრავიანი ტყავის თასმაზე, ხის ჯვარი მეკეთა. ეს ჯვარი ბზისგან გამომითალა ჩემმა მეგობარმა მხატვარმა, მასზე ვაზის ორნამენტები იყო ამოტვიფრული. უკვე წლები იყო ვატარებდი და ჯვარი კი პირვანდელი სილამაზით ბრწყინავდა. გულიდან მოვიწყვიტე და აიდას გავუწოდე. გამომართვა, მუჭში მოიმწყვდია და გულზე მიიდო. შემდეგ ფრთხილად ეამბორა და ოთახიდან გავიდა.

სუფრას სამნი ვუსხედით: მე, დავით გოგია და ამირან კამკია. ოჯახის უფროსმა ღინით სავსე ჭიქა აიღო.

– მშვიდობას გაუმარჯოს! – თქვა ამირანმა.

– არა, ამირან, ომს გაუმარჯოს, ომს! – შეაწყვეტინა დათომ.

ჩემი იქ ყოფნის განმავლობაში ხმა არ ამომიღია, ახლა კი ვიგრძენი, გაჩუმება არაფრით შეიძლებოდა.

– ქართველები მშვიდობის სადღეგრძელოს ამბობენ პირველად, – ვთქვი ხმადაბლა.

– უუუფ! – დამცინასავით დათომ – რაც ხელს არ უშლით იომონ, მოკლან.

– როცა გესვრიან, უნდა ესროლო – ხმადაბლა ვთქვი მე.

– აი, ამოტომ მომწონხარ. მართალია, როცა გკლავენ, უნდა მოკლა – თქვა დათომ.

– ბიჭებო, მოდით ყველამ ჩვენ ჩვენი ვთქვათ, – დაძაბულობა განმუხტა ამირანმა.

– ომს გაუმარჯოს! მშვიდობის დროს ყველა ადამიანი ერთნაირია... შრომობს, ცხოვრობს, უყვარს, შვილებს ზრდის და კვდება. აი, ომის დროს კი გამოჩნდება კაცის კაცობა. მტერი როა, იმის კაცობაც გამოჩნდება ომში. ომი სისხლმოწყურებული ადამიანების ასპარეზი კი არაა, სამშობლოს სიყვარულის ასპარეზია. გუშინ გავიმარჯვეთ ომში რომელიც ჩვენ არ დაგვიწყია. თუ საჭირო იქნება, კიდევ ვიომებთ! ომი ლაჩარისთვისაა ცუდი, ვაჟკაცისთვის ომი სიხარულია. სამშობლოსთვის სიხარულით სიკვდილი თუ არ შეგიძლია არც კაცად ვარგიხარ მაშინ – თქვა დათომ.

– მშვიდობას გაუმარჯოს – წამოიწყო ამირანმა.

დათოს უნდოდა შეკამათებოდა, მაგრამ მასპინძელმა ხელის აწევით ანიშნა, დადუმდიო. ამირანი თამადაც იყო და ოჯახის უფროსიც, რაც მთავარია, დათოზე უფროსიც იყო და ამიტომ, ვერ შეეკამათებოდა. ამირანმა განაგრძო: – მშვიდობის დროს ადამიანი აშენებს, ქმნის, ხატავს, წერს, ეფერება, იყვარებს, ხნავს და თესავს. სწორედ ესაა ის, რაც ადამიანს ადამიანად აქცევს და არა კაცის კვლა, სიავე და ბოროტება. აი, დაგვიდგა ნანატრი მშვიდობა, წელიწადზე მეტი ხნის განმავლობაში რომ ველოდით. მართალია, დიდი მსხვერპლი გავიღეთ, მაგრამ გავიმარჯვეთ და მკლავები თუ არ დავიკაპიწეთ, მშვიდობა თუ არ შევინარჩუნეთ, ისე ვერაფერს შევქმნით და ომის დროინდელ ნანგრევებში დავრჩებით.

არ ვიცოდი რა მეთქვა. თითქოს ორივე მართალი იყო და ამავე დროს, ორივე ტყუოდა,

– არის ასეთი ნათქვამი: არს ჟამი ქვების შეგროვებისა და არს ჟამი ქვების სროლისა – აზრის დასრულება დათომ არ მაცალა:

– ჰო, უბრალოდ საით ისვრი ქვებს, ტვინი უნდა დააყოლო!

– მაგას ვამბობ. მე, პირადად, ქვების შემგროვებელი ვარ, რათა სახლი ავაშენო. ომის დროს ყველაფერი ინგრევა, სახლის აშენება კი, მხოლოდ მშვიდობის დროსაა შესაძლებელი. დღეს სიკვდილს რამდენჯერ გადავურჩი. ახლა ზუსტად ვგრძნობ, რომ ღმერთმა დამტოვა არა ქვების სროლისთვის, არამედ რაღაც სხვა მისიით, რომელიც უეჭველად მშვიდობის დროს იქნება შესასრულებელი.

ასეთი საუბარი თითქმის ალიონამდე გაგრძელდა. განთიადისას მანქანაში ჩავსხედით და სასაფლაოსკენ დავიძარით. აქ ადრეც ვყოფილვარ, მაგრამ ამჯერად, სხვა თვალით ვუყურებ აქაურობას, არც ერთი ადამიანისთვის არაა სასიამოვნო, თავის საბოლოო მისამართზე ყოფნა. მით უფრო ჩემს მდგომარეობაში მყოფი ადამიანისთვის. წარმოიდგინეთ, დილის ბინდბუნ-

დი, სასაფლაოს შემზარავი მდუმარება, ორი ნასვამი კაცი და მათი ფაქტობრივი ტყვე, გამწარებულ ქალთან ერთად მივემართებით ქართველების მიერ მკლული აფხაზი ბიჭის საფლავისკენ, ჩემთვის ვფიქრობ, ალბათ, საფლავზე დამაკლავენ-მეთქი; შეიძლება აქ დამტოვონ-მეთქი... რა ვიცი, რას არ ვფიქრობ. მორჩილად, კოჭლი ცხვარივით მივყვები, ჩემი მტკივანი ფეხით.

საფლავი მოვლილია, მზრუნველი დის ხელი ამჩნევია. ამირანმა ღვინო ჩვენი წესით მოასხა საფლავს, იგივე ქნა დათომაც. მე არ გავნძრეულვარ. – რა იყო, შენ არ ეტყვი შენდობას? – მეკითხება დათო. – რატომაც არა, აცხონოს ღმერთმა, ყველას ჩვენ ჩვენი ბედისწერა გვაქვს, ვერავინ გავექცევით – ვამბობ მე.

შემდეგ მეორე ჭიქას ავსებენ და რატომღაც მხოლოდ ერთმანეტს უჭახუნებენ, ისე, რომ მე არ მთავაზობენ.

– ჩვენს სამშობლოს, აფხაზეთს გაუმარჯოს!

მე, თუმცა ფეხი მტკივა, ბოთლისკენ ვიხრები, ღვინით ვავსებ ჭიქას, ვუახლოვდები მათ, ვუჭახუნებ ჭიქას, თან ვამბობ: – ჩვენს სამშობლოს, აფხაზეთს გაუმარჯოს!

გაოცებულები მიყურებენ, ვერ გამიგია რა უკვირთ, ის რომ თამამი ვარ თუ ის, რომ აფხაზეთია ჩემი სამშობლო.

1993 წლის 29 სექტემბრის ალიონი, ჩემი დაბადების მეორმოცე წლისთავი გაგრაში, აფხაზი ბიჭის საფლავზე, სამუდამოდ მამახსოვრდება. საღამოს კი, დავით გოგია მიმიყვანს ფსოუმდე. ვინაიდან, რუსეთს საზღვარი ჩაკეტილი აქვს და იქიდან უპასპორტო ქართველის წამოსვლა უბრალოდ წარმოუდგენელია.

– ფსოუს იქითა ნაპირი დანაღმულია, დღე არ გავა, ძროხა ან ღორი არ აფეთქდეს – მეუბნება დათო – სხვა გზა არაა, პერანგში დაბადებულო, კიდევ ერთხელ უნდა გამოსცადო ბედისწერა. თუ ფონს გახვალ, რუსულ, მეთევზეთა სოფელში აღმოჩნდები. იქ კი რამეს მოახერხებ...

სანაპიროც და მდინარის ფონიც დიდი წვალებით გადავიარე. მეორე ნაპირზე კალმახივით პირდაღებული რომ ვეგდე და ფეხზე ვერ ვდგებოდი, მივხვდი რომ გადავრჩი... მივხვდი რომ გადავრჩებოდი... მ ა ს ასე უნდოდა; მას, სადღაც ღრუბლებიდან მომზირალს...

რუსულ ფილმებში მინახავს ასეთი ხუტორივით დასახლება: – პატარა ხის ქოხმახები, მოშორებით რომ დგანან. რაღაც გულგრილობის თუ ზედმეტი სიმარტივის ნიშნით რომ არიან განსაკუთრებულნი. მივფორთხავდი ეკალ-ბარდებში და დროდადრო თავს ვწევდი, რათა გამერკვია ამ ჩაქვესკნელებულ სოფელში, სადმე მაინც თუ ენთო შუქი. მაგრამ, არა! არსად! ციცინათელაც კი არასად ანათებდა. ძაღლებმა ყეფა ატეხეს, რასაც რუსული დედის გინება მოჰყვა, მათი პატრონების მხრიდან. ბედად მატარებლის რელსები შერვნიშნე. შიმშილისაგან, ტკივილისაგან, სიცივისაგან დაოსებულმა გავიფიქრე, რომ თუ ამ რელსებს გავყვებოდი, აუცილებლად სადმე მივიდოდი. არ ვიცი, შეიძლება ერთი საათი ვიფორთხე ან მეტი და საგუშაგოც გამოჩნდა. მუშამ თუ მცველმა იარაღი დამიმიზნა. – Стой! – გასცა ბრძანება და რომ არ ეყვირა, მაინც გავჩერდებოდი – გული წამივიდა. მოვსულიერდი, რაღაც კაზარმის ტიპის დაწესებულებაში. თავს რუსი მესაზღვრეები მეხვეოდნენ. უფრო გაკვირვებულები ითქმის მათზე, ვიდრე გაბოროტებულები. ნორმალურად მექცეოდნენ. ამ მესაზღვრეებმა გადამიყვანეს სოჭის საავადმყოფოში, სადაც წარმოშობით ქართველმა ექიმმა მიმკურნალა, ხოლო ქართველთა სათვისტომომ, ჩემ ქვეყანაში გამომამგზავრა.

თბილისში ბევრი ახლობელი მყავდა. ღმერთს ვეხვეწებოდი, მოეხდინა სასწაული, ჩემი ცოლ-შვილიც, ჩემსავით გადარჩენილი, ცოცხალი და საღ-სალამათი მეპოვნა...

და ეს სასწაულიც მოხდა! აფხაზეთის ტელევიზია ყოველ საღამოს აცხადებდა, ბევრის და მათ შორის ჩემს განცხადებას, რომ ოჯახის მამა ეძებს თავის ცოლ-შვილს.

წვალებით, მაგრამ მაინც მივაგენი ბათუმში, ერთ-ერთ სასტუმროში თავშეფარებულებს. ჩვენი შეხვედრის მოყოლა შეუძლებელია და არც შევეცდები... ცხოვრებას კი თავისი კანონები აქვს... ვცხოვრობ, ვშრომობ, ვერ ვივიწყებ იმ ორ, საბედისწერო დღეს...

ავტორისაგან:

ძველი მწერლები თხრობის ბოლოს შენდობას სთხოვდნენ მკითხველს.

შენდობას ვითხოვ მეც – ამ მოთხრობის ავტორი...

მერამდენედ დავრწმუნდი, რომ ცხოვრებაა თავად მწერალი და მასზე უკეთ ვერავინ დაწერს...

ჩვენ მწერლები კი, მისგან ვიწერთ...

მხოლოდ და მხოლოდ ვიწერთ, რათა არ დაგვავიწყდეს...

ხსოვნას გაუფრთხილდით...

შემინდეთ...

მერი პაპუნაშვილი

ათოვდა სოხუმს

ათი წლისა შევესწარი საოცარ სურათს –
მარტის თვეში აყვავებულ სოხუმს ათოვდა...
თოვლი არაკებს უყვებოდა სოხუმს და დრანდას,
მთიდან დევებად ეშვებოდნენ დილის ლანდები,
ქარი ცხვრებივით მიმწყემსავდა ნისლების ფარას,
ყინვის მაქმანებს დაექარგა შუშაბანდები.
თოვლი ეფინა აყვავებულ მიმოზის ბარდებს,
თოვლი დნებოდა კამელიის წითელ ტუჩებზე,
და გლიცინიის მტრედისფერ მტევნებს,
ჩამოეთოვათ ცისფერ ქუჩებზე.
პალმის მარაოს ფანტელების ჩქამი ართობდა,
თეთრი პეშვებით ალმასები ცვიოდა ციდან...
სადღაც ისმოდა აფხაზური თბილი სიმღერა...
თოვლს შეფარული ჩიტი ხმობდა მაღალი ხიდან.
ზღვა კი... ჭაღარა პენელოპას ვრცელი სიზმარი,
მარტის მიქარვის დინჯი მსმენელი,
დარბაისლური, მშვიდი მიმოვლით
იყო პოემა, დაუწერელი.
თითქოს უხილავს ჩამოეხსნა ღამის ვუალი,
თითქოს ამწიეს და საუფლოს კართან მამყოფეს...
„ამრას“ წინ ვიდექ დაბნეული
ვმარცვლიდი სიტყვებს:
აჩაი... ახაჭაპური...
ალიმონათი... აკოფე...

რას ვინატრებდი

როგორ გავუძელ, მზის მიდრეკას,
მეწამულ ხანძრებს...
სულს ვახსენებდი უცხო სანახებს,
მიმოზის მზეებს და ოლეანდრებს.
როგორ შვენოდა პალმის სილუეტს
ფრთებგაწუწული პატარა ღალღა,
და ცხელ ქვიშაზე დაწერილ სახელს
როგორ მიშლიდა ჯიუტი ტალღა.
შუაღამისას ლოთი ბოცმანი
გემს აცილებდა ჩუმი ვედრებით
და კამელიის წითელ სიგიჟეს
კლდე აგრილებდა სველი ფერდებით.
ერცახუს მთისკენ მზე მიდიოდა
და მოღველფილი სიცხით ბგერები
რაღაც იდუმალ ამბავს მიმხელდნენ,
მოიარებით და მოფერებით...
რას ვისურვებდი?
სურვილს რა დალევს, ვიდრე ბალახი
შენთვის ხავერდით მოქარგავს მიწას,
ვიდრე იხსენებ, როგორც საზღაპრეთს
დიოსკურიას და ცისფერ რიწას.
რას ვისურვებდი?
რომ ძველი გაგრა, ასე წარმტაცი,
ჩემი „აღთქმული“ ალაგი ზღვასთან
შემომიბრუნდეს...
და ბედნიერი ვიდგე
გაღებულ სამოთხის კართან.

გიორგი ესებუა

მოცალეობა

ძველ აივანზე – ძველი მაგიდა...
რამდენჯერ დამირტყამს გაბრაზებულზე...
ყველა ტკივილი აჩნია და აღარც ერთს იმჩნევს...
აივნიდან ძველი ხედია უახლესი პერსონაჟებით:
წითელკაბიან ტყუპ გოგონას იმითღა ვარჩევ,
ერთი ცხვირს იბზეკს გაბუტვისას,
მეორეს ლოყა ეჩვრიტება უსაყვარლესად –
პარკს ვერ იყოფენ, ველარც ბურთს და ვერც საქანელას...
პარკი ძველია, წაფერდებული ტირიფებით...
დრამაც ძველია – „ტირილი, ტირილი, ტირილი ბევრი“ –
არაფრის გამო...
სხვა დრამაცაა –
შავ კედელზე – წითელი გული და აჩხაბაჩხა მინაწერი –
სიყვარულის კორექტული ახსნა კორექტურული შეცდომებით...
დაბნეულ მიჯნურს სადარბაზო, მგონი, შეშლია...
მგონი, კორპუსიც,
მგონი, უბანიც,
მგონი, სამყაროც...
სიყვარული აქ აღარ სახლობს...
სამყაროსავით ძველ სამყაროს ყველა ტკივილი აჩნია და აღარც ერთს იმჩნევს...
წაფერდებული ტირიფები ქარში ტირიან...

მღელვარება

არსად, არასდროს, არავისთვის მიამბია ზღვიან ქალაქზე –
არ წამართვან-თქო (მერამდენედ!)
წარმოსახვის ქაფით ნაქსოვი, ქაფივით თეთრი და მშვენიერი...
დაბადებიდან დამებედა ორი ქალაქი –
ბაბუს და ჩემი (მოყოლილი და წარმოსახული) –
ზღვით და უზღვაო...
დღისით ვერა და, ღამით, სამოთხის ფოლორცებში ფეხდაცურებულს,
მუხლისთავები სიზმარეთში ამტყავებია...
იქ წაქცეული, აქაც ვკოჭლობდი,
სანამ ცხადის ცხელი სუნთქვა შემაფხიზლებდა...
ზღვაზე ვფიქრობდი (სხვა ვერაფერზე) ცხადის ალმურში...
კიდევ – ბაბუზე –
ზღვის ქალაქი მისგან ვიცოდი,
ნაპირების ხმა – ზღვის ყველა მხრიდან...
ზღვა (და ზღვასავით სველი მზერა ბაბუსი) ცხადის ალმურს მიგრილებდა უზღვაობაში...
ბაბუ (ზღვასავით) ღელავდა ჩემზე და ზღვასავით მიიქცა მერე...
ბაბუ არაა... აღარაა... მხოლოდ ჩემშია...
ზღვაც აღარაა... ისიც - ჩემში - ბაბუასავით...
ცხადის ალმურში
ზღვა და ბაბუ
ღელავენ
ჩემზე...

მაია ტყემალაძე

პაწაწინა ქისაკი

პაწაწინა ქისაკში სასოებით ვინახავ მიწას, რომელთან შეხებისას უსაზღვრო სევდა-ნაღველი მეუფლება, რადგან იგი სისხლით მორწყული, ცრემლდაზღვავებული, ქართული მიწის ნაწილია, იმ მიწისა, ომმა რომ დაგვაშორა, ისე, როგორც უხეში ძალით დედას წაართმევენ შვილს, ან ამოგლეჯენ გულს...

ვუცქერი ახლა ჭრელ ქისაკს და სევდიანი ისტორია მაგონდება.

ცრემლი ჩამომწვეთავს თვალთაგან. ფიქრიც ცრემლის გზას გაუყვება.

ჰოდა, დიდუბის ეკლესიაში შევალ.

ხატებთან სანთლებს ავანთებ და ახლობლებს, სამშობლოს შევავედრებ უფალს, გარდაცვლილებს მოვიხსენიებ.

შვებას ვიგრძნობ და გზას, იქვე, პანთეონისკენ გავაგრძელებ.

ჩავუვლი მურმან ლებანიძის, შოთა ნიშნიანიძის და სხვა დიდებულ ქართველთა საფლავებს. დროდადრო შევყოვნდები, ზეციურ სულთა მდუმარებას მივაყურადებ.

ისევ ვაგრძელებ გზასავალს, გავეშურები პანთეონის სიღრმისაკენ, ცოტაც და, გვერდიგვერდ, კიპარისების იქით-აქეთ მდებარე საფლავებთან შევჩერდები.

ქვაზე მინაწერ ლექსის სტრიქონებს შევავლებ თვალს:

„ოქტომბერში თუ ჩვენს მხარეს ჩაგივლია...“

გამეღიმება.

ქართვლის დედის სადარი, ასი წლის ქალბატონის სახე აილანდება ჩემს წინ და, თითქოს, წლების წინ წარმოთქმული, თრთოლვანარევი სიტყვები მესმის:

„ამაღამ ჩემთან დარჩი და მზის ჩასვლას ერთად ვუცქიროთ!“

„შენ გინახავს სოხუმის ზღვაში მზის საოცარი ჩანარნარება?!“

„იქნებ, ადამ და ევას ჟამიდან მოყოლებული, ადამიანთაგან დაღვრილი ცრემლებითაა სავსე ზღვა?!.“

ც რ ე მ ლ ი !

მაინც რა არის დაუკითხავად თვალს მონადენი ციცქნა ცრემლი?!.

ახლა მეორე საფლავისკენ გამეპარება მზერა.

იქაც, ქვაზე პაწაწინა ლექსია:

„ავწონე ოქრო, ავწონე ვერცხლი,
ავწონე ცრემლი ნამცეცა, მცირე,
როგორ გავოცდი და როგორ შევცბი,
რომ ცრემლი იყო ყველაზე მძიმე.“

ეს სტრიქონები მთელი არსებით ხელოვანს, პოეტსა და საზოგადო მოღვაწეს, ჯანო ჯანელიძეს ეკუთვნის.

ვინ იცის, ვაჟკაცის რამდენი ცრემლი ჩამოღვენთია უჩუმრად პოეტს?!

თუ არა უსაზღვრო ტკივილი, როგორ იგრძნობდა ნამცეცა წვეთის ესოდენ სიმძიმეს?!

სათუთ გულში ყველა ტკივილმა ხანჯალივით გაუარა!

აფხაზეთის მონატრების სიმწარე ხომ, ალბათ, ყოველდღიურად კლავდა!..

ვეღარ გაუძლო სათუთმა გულმა და მარადისობას შეერწყა!

მანამდე?!

მანამდე, ალბათ, სულ ჰქონდა ულამაზეს ზღვისპირეთში დაბრუნების იმედი!..

მანამდე, ომს ზვარაკად შეწირულ, გულდაფლეთილ მეგობარს, უმშვენიერს პოეტს, საოცარი სტრიქონები მიუძღვნა:

„გუშინ, დილით, ო, არ ვიცი, როგორ?
რუსთაველზე გოგოს შევეფეთე,
შენი ღიმით მიღიმოდა გოგო,
და შენს ნათელს ასხივებდა, ეთერ!..
მახსოვს პლატო მე სოხუმში ერთი,
იმ პლატოზე ყვავილივით ენთე,
ცოცხალ იყავ, შენზე სიტყვაც ვერ ვთქვი,
ახლა წასულს გეტყვი სათქმელს, ეთერ!..
საქართველოს ცაზე დროშას ვკიდებ,
დროშა ძლიერ მომაგონებს შენს ფრთებს,
კიდევ ცოტა, კიდევ ცოტა, კიდევ
და მეც მალე მოგეწევი, ეთერ!..
აშრიალებს ქარი ფარჩის კალთას
და ფერები მამულის ცას კვეთენ.
შენ ლამაზი დაი იყავ ძმათა,
დაი იყავ, მოცისფერო ეთერ!..
სურნელება გდევდა უცხო ვარდის,
დღეს ის ვარდი წითლად ბრწყინავს თეთრზე.
ალბათ აქაც მოდგა შენი ლანდი,
მე იმ სურნელს აქაცა ვგრძნობ ეთერ!..
გუშინ, დილით, ო, არ ვიცი, როგორ?
რუსთაველზე გოგოს შევეფეთე,
შენი ღიმით მიღიმოდა გოგო,
და შენს ნათელს ასხივებდა, ეთერ!..“

(ჯანო ჯანელიძე. „ო, არ ვიცი, როგორ?)

ო მ ი !

კაცობრიობისაგან მოფიქრებულ ბოროტებათა შორის ყველაზე საშინელი, ამაზრზენი, გულის ამომგლეჯი, ალბათ, ომია!

რამდენ სიცოცხლეს კლავს, რამდენ ულამაზეს ძეგლს თუ ხელოვნების ნიმუშს აღგვის ხოლმე პირისაგან მიწისა, რამდენ, ჯერაც დაუბადებელ, ლიტერატურულ თუ მუსიკალურ შედევრებს ანადგურებს...

სულ მგონია, ფ ე ხ მ ძ ი მ ე ს მოკვდინებას, მ რ ა ვ ა ლ ს უ ლ ი ს მოშთობას ჰგავს ხელოვანის სიცოცხლის ხელყოფა.

სულის ანარეკლს, ვითარცა ნაყოფს, გონება ასაზრდოებს და ტვინი ამწიფებს. მერე კი?!

დ ა ბ ა დ ე ბ ა !

სულ მგონია, ხელოვანი მშობიარესავით განიცდის ტკივილს, დაბადების სიხარულსაც...

სულ, სულ პირველი ომიდან, დღემდე, ალბათ, რამდენი შემოქმედის სიცოცხლე მოიშთო ისე, რომ სულში ჩასახულმა ნაყოფმა სინათლე ვერ იხილა...

უჰ!!!

შორს გაფრინდა ფიქრი. ამას რომ მივყვე, ვინ იცის, საით გამაქროლებს, რა ლაბირინთებში შემიტყუებს...

ისევ პ ა ნ თ ე ო ნ შ ი . . .

ჰო, დიდუბის პანთეონს ვუბრუნდები.

კიპარისები და გვერდიგვერდ გარინდული ორი საფლავი!

ერთში, ცრემლის შესახებ სულ პაწაწინა, საოცარი ლექსის (და სხვა მრავალი, შესანიშნავი ნააზრევის) ავტორი, ღირსეული მამულიშვილი, ჯანო ჯანელიძე განისვენებს. მეორეში – ჩემი უფროსი მეგობარი, ქართვლის დედის სადარი ქალბატონი, პოეტი და დრამატურგი, თხემით ტერფამდე ხელოვანი, მარიკა ბარათაშვილი.

რამდენი რამ ვისწავლე მის კალთის ქვეშ შეყუჟულმა.

მიხაროდა, მეამაყებოდა, რომ ჩემი სანაქებო მეგობარი მადლმოსილად, წვითა და დაგვით, ფიქრით თუ ჯაფით, კალამმომარჯვებული უახლოვდებოდა საუკუნეს.

ჰო, მე ასი წლის მეგობარი მყავდა!

სანუკვარი, საამაყო მეგობარი, რომელიც ასი წლის ასაკში სიცოცხლის ხანგრძლივობის და სილამაზის, ახალგაზრდად მყოფობის მისებურ საიდუმლოს მიმხელდა:

„მთელი სიცოცხლის მანძილზე, ჩემთვის ავის მოსურნეთათვის, ან მტრისათვის, ფიქრადაც არ გამივლიაო სამაგიეროს გადახდა. ყველას ყველაფერს ვპატიობდი და ვცდილობდი, სიავის წილ სიკეთით მიმეზღოო.“

დამეთანხმებით, თითქოს-და, ძალიან მარტივი, ამავდროულად, ურთულესი „რეცეპტია.“

სწორედ ეს დიდებული ქალბატონი მიამბობდა ომის საშინელებებზე (თავად ხომ რამდენიმე ომის მომსწრე იყო),

ხელოვანის, მწერლის, პოეტის მისიაზე ამ საშინელი ურჩხულის მეფობის ჟამს;

მიამბობდა სოხუმში, შემაღლებულ ადგილზე წამოსკუპულ პატარა, საოცარ სახლზე, რომელსაც, თურმე „ჭრიჭინას“ (მისი სცენარის მიხედვით გადაღებული ფილმიდან, „ჭრიჭინადან“ გამომდინარე) სახლს ეძახდნენ; მიამბობდა მასთან ქართველი და აფხაზი ხელოვანების, პოეტების სტუმრობის შესახებ, მიამბობდა ულამაზეს დღეებზე და...

მიამბობდა, თან ტიროდა, უსაშველოდ გოდებდა დობილის, უმშვენიერესი პოეტის ეთერ სამხარაძე-ჯღამაძის (ორივენი ხომ ჭიათურელები იყვნენ) ბედზე, იმ გმირი ქალის საოცარ ცხოვრებაზე, სოხუმში, ძმათამკვლელი ომის დროს მხეცებმა მხეცურად რომ დახვრიტეს, აფხაზთა და ქართველთა სიყვარულის გამო რომ აწამეს, არ დაინდეს...

დობილის გამო სულში გაწოლილი უსაშველო ტკივილი ლექსად ჩამოიქნა:

„და როს მოიქუფრა ზეცა,
ჩატყდა სამეგობრო ხიდი?
უმალ მოღალატედ გექცა,
ვისაც ძმობილებად თვლიდი.
რაღაც შემზარავი ძალით
სახლში შემოგეჭრა მტერი,
თვალწინ დაგიცხრილეს ქმარი,
თავზე ჩამოგამხეს ჭერი.
შენ რომ უგალობდი გზნებით
დედას – შენს აფხაზეთს მზიანს,
შენი სიმღერების ხმები
დღესაც მის ლაჟვარდში კრთიან...
შენ ხომ მეოცნებე იყავ,
შენ ხომ საგალობლებს წერდი,
როგორ მოაბნიეს მიწას,
შენი დაფლეთილი მკერდი!
თვალი ნაღველით მაქვს სველი...
დავალ, შენს მკვლელებთან ვდაობ,
ვინ, ვინ შემოგბედა ხელი,
ჩემო თვალხატულა დაო!
ფიქრი ტკივილების ტყვეა,
მტრობით გადაბუგულ გზებზე,
პოეტს დაახალეს ტყვია...
გულში მოფართქალე ლექსებს...“

(მარიკა ბარათაშვილი, „პოეტს დაახალეს ტყვია“)

ცრემლი მღვენთავს კიპარისების ძირში მობუზულს და ვნატრობ, მესამე საფლავიც იყოს აქ, ამ ორი დიდებული მამულიშვილის გვერდით.

თუ არა ძმათამკვლელი, საშინელი ომი, იქნებ, ასეც ყოფილიყო, აქ დაეტირათ მზისდარი პოეტი!

მაგრამ?!.

მგონია, ბევრი რამ დავაკელით. სიყვარულზე მომღერალი პოეტის ამაზრზენი მკვლელობის ამბავი მსოფლიოს ყველა კუთხე-კუნჭულში უნდა გაეგოთ...

ა რ ი გ ე ბ დ ა პურს და ს ი ყ ვ ა რ უ ლ ს . . .

საშინელი გაჭირვება იყო.

ადამიანებს ენატრებოდათ პური!

უმშვენიერეს პოეტს ეფლითებოდა გული და მაინც, დააბიჯებდა იმედად. მზის სხივად ჩნდებოდა სოხუმის ქუჩებში, ანათებდა ბნელს. მისი შემხედვარე იღიმოდა ირგვლივ ყველა და ყველაფერი.

უყვარდათ! ეთაყვანებოდნენ!

გამყიდველები (აფხაზები, რუსები...) სიხარულით ხვდებოდნენ და, სხვათაგან უჩუმრად, უხვად აძლევდნენ პურს. ის კი დადიოდა და არიგებდა. არ ჰქონდა მნიშვნელობა, აფხაზს გაუწვდიდა დახმარების ხელს თუ...

ჰო, ხვავრიელად, უშურველად არიგებდა პურს და სიყვარულს, ლექსს თუ იმედს, მზის სხივივით ქალი.

კარგად იცოდნენ აფხაზებმა, როგორ უმღეროდა აფხაზეთს:

„შენი მიწა, ავგაროზად
გულზე ჩამოსაკიდები...“

ვერასოდეს წარმოიდგენდა, ფიქრადაც ვერ გაუელვებდა, რომ გაწირავდნენ, რადგან ყველასგან უზღვავ სიყვარულს გრძნობდა...

ხ ე ლ - ფ ე ხ მოტეხილი თ ო ჯ ი ნ ა . . .

თბილისის ერთ-ერთი ძველი უბნის ძველი სახლის კედელზე აცა-ბაცა ასოებით, ბავშვური ხელით ეწერა:

„ჩემი „თათალა“ სოხუმში დამრჩა! ხელფეხი მოსტეხეს და იტირა. თქვენ გგონიათ, თოჯინებს არ ტკივათ? “

იქვე – ქვემოთ:

„როგორ მენატრები, თათალა!“

... იქ, ზღვისპირას მოგროვილ ნაგავზე,

მართლაც ეყარნენ ხელ-ფეხ მოტეხილი თოჯინები. მათ შორის, იქნებ, „თათალაც“ იყო?!

დამტვრეულ-დამსხვრეული, უამრავი სათამაშოს გორა აღმართულიყო.

თითქოს-და, სასაკლაოაო, ამაზრზენი იყო დახეიბრებული, პაწაწინა პატრონებს დაშორებული სათამაშოები.

ომი და სიკვდილი დაძრწოდა, დააბოტებდა აფხაზეთში...

სიკვდილის არ ეშინოდა პოეტს, ღალატის ეშინოდა, ძალიან ეშინოდა და მაინც,

გვიან ღამით, მარტოსული, ულამაზესი აჩრდილივით მიფარფატებდა ზღვის სანაპიროზე. ესმოდა, მწარედ ქვითინებდნენ ტალღები. მილასლასებდა, მთვარესაც კი ემალებოდა. სწორედ იმ ღამით გადააწყდა „სათამაშოების სასაკლაოს“ და კარგა ხნის ცრემლდაშრეტილი მწარედ აქვითინდა.

სიცივით, სიმწრით ცახცახებდა. იმ გროვიდან ერთ-ერთი, ხელ-ფეხმოტეხილი, ლამაზი თოჯინა (იქნებ, „თათალა?!“) აიღო, ზღვის წყლით განბანა, კაბის კალთით შეამშრალა, გულში ჩაიხუტა და შინისკენ წალასლასდა. თითქოს გათბა, რაღაც ეამა.

ეზოში ფეხაკრებით შესულმა მდუმარედ აუარა გვერდი ვაჟკაცი მეუღლის საფლავს, მტრებმა ულმობლად რომ დაუხვრიტეს, და შინ ქურდივით შეიპარა. შუქი არ აუნთია, ისე შეწვა ლოგინში, თოჯინაც ჩაიწვინა, ბავშვივით მოეფერა.

იქნებ, პაწაწინა პატრონი მოუკლეს?! გაიფიქრა და გულზე მარწუხმა მოუჭირა.

არა, გადარჩებოდა, ამ ჯოჯოხეთიდან გააღწევდა! დაიმშვიდა თავი.

დაძინებით რა დააძინებდა?!

ფრთხილად წამოდგა. სანთელი აანთო. კალამი მოიმარჯვა და ...

წერდა. ფურცლები ლექსებით, თავს გადახდენილი, არსმენილი ამბებით ივსებოდა, ივსებოდა.

დაათენდა. სანთელიც ჩაიწვა.

მაინც წერდა, წერდა. არც შიოდა, არც წყუროდა, ტკიოდა მხოლოდ, უსაშველოდ ტკიოდა!

ისევ წერდა, იქნებ ერთი დღე, იქნებ ორი, სამი?..

ნაწერებიანი ფურცლები ერთად შეაგროვა. ბევრი იყო. გაუკვირდა, რამდენი დამიწერიაო.

„წკაპ-წკუპ!“ ეწვეთებოდა მარტოსულის ცრემლები ფურცლებს, თუმცა მაინც შვებას გრძნობდა.

„იხილავენ კი, დღის სინათლეს?“– გაიფიქრა. გაეღიმა და წარმოიდგინა ხალხით სავსე დარბაზი, სადაც ომის საშინელებებზე ყვება, განაბულ ადამიანებს იმ გაუგონარ, დაუჯერებელ ფაქტებს უამბობს, მხოლოდ თავად რომ ნახა, გამოსცადა, იმ ამბებით გაჯერებულ ლექსებს კითხულობს.

დალანდა, ცრემლებით დანამული უზღვავი ყვავილი მიართვეს. გამამხნევებელი ტაშის ხმაც ჩაესმა თითქოს და, გააჟრჟოლა!..

ახალადშევსილი ფურცლები ძველ ნაწერებს მიუმატა. ბევრი იყო, ძალიან ბევრი.

„ეს ჩანაწერები ადამიანებს თვალებს აუხელენ და გულქვად ქცეულებსაც აფიქრებინებენ, რომ აღარასოდეს იყოს ომი! მაგრამ? ვაი თუ, ისე გაქრნენ, ვერასოდეს იხილონ დღის სინათლე?!.“– გაიფიქრა და სიმწრით ატირდა...

ო მ შ ი დახვრეტილი ვაჟკაცის დ ღ ი უ რ ი დ ა ნ . . .

„პოეტი ქალის სისხლი წვეთავდა ულამაზესი სხეულიდან. ამ დროს უნდა გენახათ სოხუმი. მაშინ იყო სწორედ, ამბოხის ნიშნად ზღვაში დაენთო ხანძარი მზეს. თავად ჩამხრჩვალიყო ზღვაში და იყო ზეცა უმზეოდ, მგლოვიარედ, ამაზრზენად ჩაშავებული. გოლიათი ზღვა კი თვალუწვდენელ სისხლის ხანძარში იწვოდა.

სადღა იყო ლაჟვარდი ცისფერი, ზღვისფერი?! წაელეკა ყველაფერი სისხლს...

პოეტი ქალი დახვრიტეს!

ნეტავი არ გამეცნო იგი!

არა, არა! ნეტავი ერთხელ მაინც მენახა ცხადად. მუხლს მოვიყრიდი მის წინაშე, მოწიწებით ვეამბორებოდი...

უმშვენიერესი პოეტი ომის ჯურღმულში გავიცანი. არ ვიცი საიდან, სოხუმელმა თემომ გაცრეცილფურცლებიანი წიგნი მოიტანა. ჯერ პოეტის სურათმა დაგვატყვევა, მერე – პოეზიამ. უკუნი ღამეები დაგვითბუნა იმ ლექსებმა. სანთლის ალზე ვკითხულობდით, პოეზიის კოცონით ვთბებოდით ომის დაობებულ ღამეებში.

როგორ ამაყობდა თემო, პოეტს რომ იცნობდა!

მე?!

ჩემი სიამაყე, აბა, მაშინ გენახათ, როდესაც გავიგე, მზისდარი ქალი ჭიათურელი ყოფილა, ჩემი კუთხის შვილი...

ჩვენ გვათბუნებდა მისი ლექსები, გვაძლიერებდა, გვიცავდა!

ახლა?! ახლა, თითქოს, მე მესროლეს გულში ტყვია და დავდივარ გულდაფლეთილი, უსაშველოდ ტკივილიანი, მშველელს ვეძებ და არსაიდან ჩანს იგი!

გესმით?!

პოეტი ქალი დახვრიტეს!!!

ზეცასთან თანაზიარის სიცოცხლე მოსპო ტყვიამ, ტყვიის გულიანი კაცის ნასროლმა. ულამაზესი არსება წაართვეს დედამიწას. ეს სიგიჟეა. ეს ომი კი არა, ჯოჯოხეთია. სიყვარულისთვის დახვრიტეს სიყვარულის პოეტი და თქვენ, მშვიდად გძინავთ, თუ?! თუ ცოცხლები აღარ ხართ, თუ, სრულიად დაყრუვდით, დაბრმავდით, ქართველებო?!!

დედას გიკლავენ, დას გიკლავენ, ზეციერთან თანაზიარის სცოცხლეს გისპობენ და სადა ხართ, სად? რატომ ყველანი აქ არ გაჩნდებით სულშეძრულები?!.

კარგით. მშვიდად იძინეთ ყურთბალიშებზე. მე კი?! მე ვიძიებ შურს თქვენს ნაცვლადაც. მუზების ტრფიალის ხსოვნას შევწირავ ჩემ სხეულს, სულს, ლექსებს, ჩემს სიყვარულს, შვლისთვალება გოგოს, თვალცრემლიანი რომ მელოდება. შევწირავ იმისათვის, რომ თავად სიყვარული გადავარჩინო!..

ტყვიით განგმირული პოეტის სისხლი წვეთ-წვეთად მოჟონავდა ულამაზესი სხეულიდან. სული კი, სპეტაკი ცრემლებისაგან აკინძულ, ლამაზფეროვან ცისარტყელას გზას მიჰყვებოდა ზეცად, მინარნარებდა ყოვლად დიადთან...“

პ ო ე ტ ეთერ სამხარაძე-ჯღამაძის უკანასკნელი წ ე რ ი ლ ი შვილებს:

„ამ წერილს ვწერ ღელეში, წყალში ჩამჯდარი, ზემოდან ფოთლები მაფარია. თენდება, ასოებს ძლივს ვარჩევ, ავტომატიანებს დავემალე. ახლა ღელიდან ხოხვა-ხოხვით უნდა შევაღწიო ბიჭიკო ბარამიას სახლამდე. აგერ, გრიშას სახლი იწვის, შუქი აქ მოდის. მეშინია არ დამინახონ. გავრბივარ... შვილებო, გამაგრდით. მე თქვენ მიყვარხართ. მამასაც ძალიან უყვარდით. არ შეგვირცხვენიხართ.“

„უ ვ ი წ ყ ა რ ა . . . ‘’

სიცოცხლემოწყურებულ პოეტს უსაზღვროდ უყვარდა მინდვრის ყვავილები, განსაკუთრებით – უვიწყარა...

ღვთის მიერ შექმნილი, ყველა და ყველაფერი უყვარდა!

მშობლიური ქალაქი ჭიათურა, მშობლიური სოფელი რგანი, ოცი წელი მწუხარებდა უსაყვარლესი ქალბატონის, სოხუმში გათხოვილი და იქვე ულმობლად გულმკერდ დაფლეთილი დედისერთა ასულის ვერ დატირებას.

„ვერ მოგიტანეთ თრიმლის ტოტები,
და მშობლიური რგანის ვარდები,
შენს გამო ჩვენი სული ღონდება,
სულ გვენატრები და გვედარდები...“

(პოეტ ციცო ცარციძის ლექსიდან „სოხუმი, ყაზბეგის ქუჩა“).

ოცი წლის შემდეგ პატარა, კოპწია ქალაქში, პოეტის სახელობის ულამაზესი სკვერი, „უვიწყარა“ გაიხსნა.

შვილიშვილი ეთერ სამხარაძის სიმბოლურ საფლავზე

იმ დროიდან მოყოლებული, იქ, მემორიალურ დაფასთან მიდიან, მშვენიერი ყვავილები მიაქვთ, სანთლებს ანთებენ, პოეტის ლექსებს კითხულობენ, ხან ცრემლი ღვენთავთ, ხან სიამაყის განცდა ეუფლებათ...

იქ ფერად-ფერადი, ულამაზესი ფარვანები დაფარფატებენ. იქნებ, რომელიმე მათგანი პოეტის სულად არის მოვლენილი?!..

სიმბოლური საფლავი...

ვინ იცის, საოცრად ეწადა პოეტს, რომ მისი საფლავის ქვაზე მისივე ლექსის საოცარი სტრიქონები დაეწერათ?

„ეს სიცოცხლეც დაიხარჯა,
შფოთვით, წვით და აღელვებით,
მაგრამ ქვეყნად ლექსი დამრჩა,
შენს ტკბილ თარზე სამღერები...
ნუ წყვეტ, კარგო, მაგ ყვავილებს,
მის ყლორტებში ლექსი ყვავის,
ის ხომ უტყვი მოწმე არის,
რომ ამქვეყნად მეც ვიყავი...“

(ლექსიდან, „წარწერა პოეტი ქალის საფლავის ქვაზე.“)

ულმობელი მტრის ხელში უსათუთესი პოეტი უსაფლავოდ დარჩა...

ოცი წლის შემდე მშობლიურმა ქალაქმა ჭიათურამ (იმდროინდელი გამგებლის, სულხან მახათაძის მხარდაჭერით) იზრუნა, რომ პოეტის სოფელ რგანში, მშობლების საფლავებს შორის, დედისერთა ასულის სიმბოლური საფლავი ყოფილიყო.

ქვაზეც გაჩნდა სტრიქონები საოცარი ლექსიდან...

კოკისპირულად წვიმდა. უსაშველოდ ტიროდა ცა!

სასაფლაოზე უამრავი ადამიანი მოგროვილიყო.

იყვნენ პოეტის შვილები, შვილიშვილები, ახლობლები, თაყვანისმცემლები. ცხელი ცრემლები ეღვენთებოდა საფლავს. ტიროდა დიდი თუ პატარა...

პოეტის შვილიშვილი, ცრემლმორეული თამარ ჯღამაძე ამბობდა: „რას ვიფიქრებდი თუ ამდენი ხალხი დაგვხვდებოდა. საოცარი ფაქტია. ქართული ფილმი, „ფესვები“ მახსენდებაო...“

მამა თადეოზი (სარალიძე) სიმბოლურ საფლავს აკურთხებდა.

განსაკუთრებულად ამაღელვებელი ფაქტი იყო, როდესაც პოეტის შვილებს, მათთვის სრულიად მოულოდნელად, პატარა პარკებით, აფხაზეთიდან ჩამოტანილი მიწა ჩამოურიგეს და ის მიწა გმირი ქალის საფლავზე მიმოაფრქვიეს.

იყო უზღვავი ცრემლი, ცრემლნარევი სიხარული...

„თქვენ მე დაკარგული დედა მაპოვნინეთ!“ – ბრძანა უსაზღვროდ მადლიერმა, პოეტის ქალიშვილმა, უსათუთესმა ქალბატონმა აზა ჯღამაძემ...

წუთიერად წვიმამ გადაიღო და ცაზე ცისარტყელა გაკრთა!...

პაწაწინა, ჭრელი ქისაკი
ჩემი ჭრელი ქისაკი!..

ჰო, უსაზღვროდ მეწადა, რომ ჭიათურაში ყოფილიყო ქალბატონი ეთერ სამხარაძე-ჯღამაძის სახელობის სკვერი, სოფელ რგანში კი პოეტის სიმბოლური საფლავი (ამაში ადგილობრივი ხელისუფალნი და სოფელ რგანის მესვეურები, სკოლა დაგვეხმარნენ).

მადლობა უფალს,
გამოგვივიდა!

ასევე, უსაზღვროდ მსურდა, სიმბოლურ საფლავს აფხაზეთიდან ჩამოტანილი მიწა მოფრქვეოდა.

ადვილი არ იყო, მაგრამ ერთი აფხაზეთელი, კაფანდარა, საოცარი გოგო, თეო პაპავა დაგვეხმარა.

ჩემს სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა, როდესაც მისი მცდელობით, ცოტა კი არა, ბევრზე ბევრი აფხაზეთის მიწა ჩამოგვიტანეს. რამდენი ვიტირე მაშინ. ახლაც ვცრემლობ...

ჰო, იმ მიწის უმეტესი ნაწილი პოეტის საფლავზე მიმოიფრქვა, სულ ცოტაოდენი კი, პაწაწინა, ჭრელ ქისაკში, ჩემთვის შევინახე და აგერ უკვე შვიდი წელია მიწას, ქისაკს, სასოებით ვესათუთები.

სულ მგონია, რომ იქ მიწადქცეული პოეტის სხეულია.

სული კი ზეცაში დანავარდობს...

თეა კალანდია

ცნობილი კაცი

ივანე თარბა (1921-1994 წ.წ.).აფხაზი პოეტი. აფხაზეთის ომის შემდეგ აღმოჩნდა პეტერბურგის ფსიქიატრიულ კლინიკაში, სადაც გარდაიცვალა კიდეც. დაკრძალულია სოხუმის პანთეონში.

იყო და არა იყო რა. შორს, ძალიან შორს, თითქმის სამი ათეული წლის წინ იყო ერთი ქალაქი. ქალაქს სოხუმი ერქვა. ძალიან ლამაზი ქალაქი იყო. ფრთებდახრილი პალმები, შავი ზღვა, თოლიები, გრძელი სანაპირო, ყავახანები, ყავახანებში ყავით გამთბარი კაცები, თეთრი ხომალდები, ოლეანდრები, ლურჯი გლიცინიები, თეთრი და წითელი ქვაფენილით მოპირკეთებული გამზირები, მყუდრო ოჯახები და ადამიანები, ადამიანები თავიანთი სურვილებით. მხოლოდ ამ ქალაქში „სვამდნენ დაისის ცხარე დარებს და მღეროდნენ პალმის სიმღერას“.

ქალაქში ერთი ცნობილი კაცი ცხოვრობდა. ივანე თარბა. აფხაზი მწერალი, პოეტი, საზოგადო მოღვაწე. ცოლად ძალიან ლამაზი აფხაზი ქალი ჰყავდა-ეთერ კოღონია. აკაკი ხორავას სტუდენტი, ბრწყინვალე მსახიობი (სპექტაკლებს ქართულად თამაშობდა, კაცო! გ.კალანდია).

ბედნიერი ოჯახი, სადაც როგორც ცნობილი კაცი წერდა:

„...სვანურ-აფხაზურ სიმღერებს ვჭექდით,
ქართული ხმებით ოთახს ვავსებდით.
და ეტეოდა პატარა ჭერქვეშ
მთლად საქართველო და აფხაზეთი“
(ი.თარბა „ოჯახი“ ნინო ჟღენტს, თარგმნა შ.ნიშნიანიძემ).

ცნობილი კაცი და მზე

– კიდევ, კიდევ რა იყო?
– კიდევ მზე იყო.
– მზეზე წერდა ცნობილი კაცი?!
– მზეზე?! ჰო, მზეზე წერდა:
„მე ყოველ დილით მზე მომაკითხავს
და ოქროს სხივებს მომხვევს ფრთებივით
მერე გავდივართ ერთად სახლიდან
და დავყიალობთ მეგობრებივით.
სულში ჩამდგარა მზის შარიშური,
ვით ვნებიანი გულის ფანცქალი
მზე არის ჩემი სათნო მიჯნური
და ეჭვიანი ანჩხლი წაწალიც....
მე იგი მიყვარს დაბადებიდან
მისი დალალი ხელით მიჭირავს
და ჩემი აკვნის თავზე ეკიდა
მისი სხივების ოქროს ღინჭილა.
მე და მზეს ერთი გზები გვქონია,
და რაღაც უფრო კიდევ საერთო
ჰოდა, მე და მზე ასე მგონია
ვერსად ვერ გავძლებთ უერთმანეთოდ“
(ი.თარბა „მზე მუდამ ჩვენთანაა“, თარგმნა შოთა ნიშნიანიძემ).

უერთმანეთოდ

ასე „დაყიალებდნენ“ მზე, ქართველები და აფხაზები აფხაზეთში, სოხუმში. მათ ეგონათ, რომ ვერსად ვერ გაძლებდნენ უერთმანეთოდ. სანამ „ციმბირიდან, ბანჯგვლიანი მზის“ (ი.თარბა „მზე მუდამ ჩვენთანაა“, თარგმნა შოთა ნიშნიანიძემ) ბინადარი, ბოროტი კაცი 1992 წლის 14 აგვისტოს სოხუმში არ ჩავიდა. ქალაქს ჭურვები დაუშინა. ცნობილი კაცის ცოლს ჭურვი მოხვდა. ფეხის კიდური მოგლიჯა. ის სისხლისგან დაიცალა. ლამაზი აფხაზი ქალი, მსახიობი, ცნობილი კაცის ცოლი გარდაიცვალა.

– ცნობილი კაცი ლამაზ ცოლზე წერდა?

– წერდა, წერდა და წინასწარმეტყველური ლექსიც აქვს, რომელიც ბევრი წლის წინ დაწერა:

„მე არ ვეწვევი უშენოდ სოხუმს,
მე არ ვეწვევი სოხუმს უშენოდ,
ქალაქში ცალად ვერ ვიწანწალებ.
შენ ამ გულს ყველგან უნდა უშველო,
უნდა უშველო შენ გენაცვალე.
როგორ შევრჩები ზღვას მარტოხელა
გიშრის ნაწნავებს რომ არ გიშლიდე.
ხომ დამიმონა დარდმა ოხერმა,
ხომ დამეკარგა სულის სიმშვიდე
მოდი სიცოცხლე გამიწილადე.
მოდი მომხვიე თეთრი ხელები...
თუ ერთხელ ჩვენს გზებს გეზი ეცვალა
კვლავ ვეღარ შეჰყრის თვითონ ქვესკნელიც.
შევსვათ სამხრეთის ცხელი დარები
და ჩვენც ვიმღეროთ პალმის სიმღერა...
მე არ ვეწვევი უშენოდ სოხუმს,
მე არ ვეწვევი სოხუმს უშენოდ,
ქალაქში ცალად ვერ ვიწანწალებ.
შენ ამ გულს ყველგან უნდა უშველო,
უნდა უშველო შენ გენაცვალე“

(ი.თარბა, „მე არ ვეწვევი უშენოდ სოხუმს“, თარგმნა შ. ნიშნიანიძემ).

უშენოდ

ბოროტი კაცი დანიის სამეფოშიც ბოროტი კაცია ამბობს დანიის პრინცი, ჰამლეტი. სოხუმში ბევრი ბოროტი კაცი დაბოგინებდა. ცნობილ კაცს სახლის კედლებზე თითქმის ყოველ დღე სისხლისფერი წარწერა ხვდებოდა: აფხაზი ერის მოღალატე! აფხაზი ერის გამყიდველი! მოღალატე!

რეალობით შეძრულმა ცნობილმა კაცმა ვერ გაუძლო და ჭკუიდან შეიშალა. გაგიჟდა. ის ბოროტმა კაცმა „ბანჯგვლიანი მზის“ ქვეყანაში, სანქტ პეტერბურგში ფსიქიატრიულ საავადმყოფოში მოათავსა. უთვისტომოდ დარჩენილი 1994 წლის 21 იანვარს გარდაიცვალა.

ბოროტმა კაცმა მაშინ სოხუმში მამებს შვილები, ძმას ძმა მოაკვლევინა, თვითმკვლელობა ჩაადენინა. მომავალი მოსპო. ბუნების კანონი დაირღვა. კავშირი გაწყდა.

ივანე თარბა

მეგონა მართლა ზღვას გავცურავდი

– კიდევ? კიდევ რა იყო?
– ზღვა.
– ცნობილმა კაცმა გადაცურა ზღვა?
– ცნობილ კაცს ეგონა, რომ ზღვას გადაცურავდა:
„მეგონა მართლა ზღვას გავცურავ-
დი,
ჰოი, მას შემდეგ რა დრო გასულა?!
მე თუ ოდესმე ზღვასაც გავცურავ,
შენ გიმადლობებ“
(ი.თარბა, „ქუნდი“, თარგმნა შ. ნიშნიანიძემ).

სიმარტოვის ქალაქი

– ახლა როგორია სოხუმი?
– ახლა სიმარტოვის ქალაქია... სიმარტოვე წვიმს სოხუმში. ქალაქის თეთრი და წითელი ქვაფენილი ალბათ დაბერდა და დახეთქილია, როგორც სამყაროს ჭრელი რუკა. ცნობილი ადამიანის ლანდი სახლის დაბზარული კედლების ხიზანია. ცარიელია ქალაქი. ეზო, სადაც ჩემი ბავშვობის ჩიტი უსტვენდა. და აღარ არსებობს გადაქცევა ლამაზ მითებად. ყველა წავიდა. ყველა წავიდა.. სოხუმი სიმარტოვის დაწყევლილი ქალაქია.

მანძილი

– რა მანძილია სოხუმამდე?
– მანძილი გასროლილია.
– როგორ? მანძილი როგორ არის გასროლილი?!
– მანძილი გასროლილია და ამ მანძილს ტყვია ჰქვია.

რა დაგრჩა?

– რა დაგრჩა?
– მოგონებები. ისინი სუროსავით მომყვებიან. მერამდენედ ვცდილობ და ჩემი მეხსიერების სარკმელს ვეხები. ჩვენი მეხსიერება ნახშირით დატვირთულ მატარებელს წააგავს, რომელიც გვირაბშია და სინათლეს ვერ ხედავს. ეჩვენება, მაგრამ ვერ ხედავს.
– კიდევ?
– ტკივილი.
კიდევ?
– ცხოვრება.
კიდევ?
– ხვალ.

რა უნდა ვქნათ?

– რა უნდა ვქნათ?
– არ ვიცი. გულუბრყვილო ბავშვებივით მერამდენედ გვტუქსავენ და მეტიც, გვასამართლებენ.

რა იქნება?

– რა იქნება?
„დგას გოგონა ზღვის ნაპირას მარტო,
და ზღვაური სასწაული არტყამს
რიგრიგობით მოკირწყლაობს ზვირთი
ამ ზვირთშიაც კრთის გოგონას ფიქრი
როგორ უნდა ზვირთებს შორის იწვეს,
შხეფიც თითქოს საალერსოდ იწვევს.
დგას გოგონა ზღვა კი უფრო მწყარალი
თითქოს ეუბნება კაფანდარა გოგოს
ახლა ნახე, როგორ ვიბობოქრო,
შეგაშინო, აგიცრემლო თვალი.
ზღვაო, მომეც ერთი პეშვი წყალი
ხელგაშვერით უპასუხა გოგომ.
...
შევსვათ დაისის ცხარე დარები
და ჩვენც ვიმღეროთ პალმის სიმღერა“
(ი.თარბა, „მე არ ვეწვევი უშენოდ სოხუმს“, თარგმნა შ. ნიშნიანიძემ).

– და მაინც, მითხარი რა იქნება?
– რა იქნება?!
– მე და შენ ვიმღერებთ პალმის სიმღერას!

თათული რუხაძე

„ღმერთმა მაცოცხლოს განთიადამდე“

ტაიფ აჯბა – თავშეკავებული, მოკრძალებული, საოცრად სიტყვაძუნწი ადამიანი ყოველდღიურ ყოფაში, როგორც პოეტი სიტყვაუხვი იყო. თეთრი ფურცლის პირისპირ იგი სრულიად განსხვავებული ხდებოდა. ალბათ, ამან შეაძლებინა ტაიფ აჯბას სამწერლო ასპარეზზე გამოჩენისთანავე აღიარების მოპოვება. მკითხველი საზოგადოების მიერ მისი არშემჩნევა და არაღიარება უბრალოდ შეუძლებელი იქნებოდა. ეს წარმატება კი, უპირველესად გამოწვეული იყო ტაიფის სტილით, მას თავისი ენა გააჩნდა. უხეში სტილიზაციისაგან დაღლილმა მკითხველმა მწერლის ლექსებში თავისუფალი და მუსიკალური, ჭეშმარიტი პოეტური მეტყველება შეიგრძნო.

ცნობილი აფხაზი პოეტი, დიმიტრი გულიას სახელობის სახელმწიფო პრემიის ლაურეატი, აფხაზური საბავშვო ლიტერატურის მესაძირკვლე ტაიფ აჯბა 1939 წლის 11 მარტს გუდაუთის რაიონის სოფელ აჭანდარაში დაიბადა. სოხუმის პედაგოგიური ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ, სხვადასხვა წლებში, სხვადასხვა ადგილას მუშაობდა: რესპუბლიკურ გაზეთ „აფსნი ყაფშში“, ჟურნალში „სკოლა და ცხოვრება“, გამომცემლობა „ალაშარაში“ რედაქტორად. იყო აფხაზეთის მწერალთა კავშირის ლიტერატურული კონსულტანტი. 1983-1985 წლებში მან მოსკოვის უმაღლეს ლიტერატურულ კურსებზე განაგრძო სწავლა. სახელწოდებით „ლექსები“ 1968 წელს გამოიცა მისი პირველი პოეტური კრებული. კრიტიკოსების შეფასებით, ეს წიგნი აფხაზური ლიტერატურის მნიშვნელოვან შენაძენად იქცა. მწერალი ათამდე კრებულის ავტორია. 1998 წელს პოეტის 50-ე წლისთავთან დაკავშირებით გამოიცა მისი ლექსებისა და პოემების კრებული „დალოცვა“, რისთვისაც ტაიფ აჯბას უმაღლესი ჯილდო – დიმიტრი გულიას სახელობის სახელმწიფო პრემია მიენიჭა. პოეტი მისმა თანამოკალმეებმა აფხაზური საბავშვო ლიტერატურის კლასიკოსად აღიარეს. მისი პოემები და საბავშვო ლექსები აფხაზური ლიტერატურის ოქროს ფონდშია შესული. 2016 წელს, აფხაზური საბავშვო და საყმაწვილო ლიტერატურის განვითარებაში შეტანილი წვლილისთვის, ტაიფ აჯბას სახელობის პრემია დაწესდა. და რაც ყველაზე მთავარია, ტაიფ აჯბა გამორჩეულად უყვარდა და უყვარს აფხაზ მკითხველს.

ჩემი და ტაიფ აჯბას ნაცნობობა საკმაოდ დიდი ხნის წინ შედგა. ეს იყო ის უღრუბლო და მშვიდობიანი, ბედნიერი წლები, როდესაც აფხაზეთის მხიარული და სინათლის მფენი, კაშკაშა მზე

ჯერ კიდევ ერთნაირად დაგვნათოდა და გვათბობდა აფხაზსაც და ქართველსაც, ჯერ კიდევ არაფერი მოასწავებდა მოახლოებულ უბედურებას და ჩვენს, საუკუნეების განმავლობაში ჩამოყალიბებულ ნათესაურ, ახლომეგობრულ, მოყვრულ ურთიერთობებს თითქოსდა არანაირი საშიშროება არ ემუქრებოდა, როდესაც ყველაზე საშინელ სიზმარშიც კი ვერ წარმოვიდგენდით იმ ქარბორბალას, რომელიც ჩვენს თავს დატრიალდა.

ჩვენი ნაცნობობა შედგა გასული საუკუნის 70-იან წლებში, როდესაც პირველად შევდგი ფეხი გამომცემლობა „ალაშარაში“. კარგად მახსოვს, კარებთან შემომეგება მოღიმარი, მშვიდი, გაწონასწორებული, აფხაზური ზრდილობითა და მოკრძალებით გამორჩეული, იუმორითა და ხალისით აღსავსე ადამიანი. როგორც შემდგომ შევიტყე, ეს იყო აფხაზური რედაქციის რედაქტორი, იმ დროისთვის საკმაოდ პოპულარული აფხაზი პოეტი – ტაიფ აჯბა. მოგვიანებით, ახლო მეგობრული ურთიერთობის დამყარების შემდეგ, ის სხვა კუთხითაც წარმოჩნდა ჩემს წინაშე, როგორც უდაოდ განათლებული, ნაკითხი და განსწავლული ადამიანი, რომელიც კარგად იცნობდა მსოფლიო ლიტერატურას და მზად იყო საათობით ესაუბრა მასზე...

ასეთად შემორჩა დღემდე ის ჩემს მეხსიერებას...

ტაიფ აჯბა ტრაგიკული ბედის პიროვნება გახლდათ, მან მეუღლესთან, მსახიობ რიმა კოღონიასთან ერთად არ ისურვა სოხუმის დატოვება, რადგან მიაჩნდა, რომ ვალდებული იყო დარჩენილიყო ალმოდებულ ქალაქში და აღეწერა, აღებეჭდა ყოველივე ის, რაც კი ხდებოდა იმ დროის აფხაზეთში.

„დღევანდელი დრამატული ვითარება აფხაზეთში ადრე თუ გვიან მაინც ჰპოვებს თავის მხატვრულ ასახვას. ისტორია რჩება ისტორიად, ცუდია თუ კარგი, ის უნდა დაიმახსოვრო, დააფიქსირო“,- წერდა აჯბა. ლიტერატურაზე, ლექსებზე უზომოდ შეყვარებული და მისთვის გადაგებული ადამიანი ერთხანს, პოეზიასაც კი განუდგა... როცა ზარბაზნები ქუხან, მუზები დუმანო, – ამბობდა.

ქართულ-აფხაზური ომი პოეტისთვის მოულოდნელი იყო. არ სურდა ერწმუნა, რაც ხდებოდა აფხაზეთში. ამ უნდობლობითაა გაჟღენთილი მისი ხელნაწერიც. „ღმერთმა გათენებამდე მაცოცხლოს“, „მაცოცხლა გათენებამდე“ („Дожить до рассвета“), ეს ფრაზები ხშირად მეორდება მწერლის დღიურში. ამიტომაც, მოგვიანებით გამოცემულ მის წიგნს სწორედ ასე უწოდეს.

„14 რიცხვში, დაახლოებით დღის პირველ საათზე, სოხუმის სადგურში ჩავჯექი მატარებელში, რათა აჭანდარაში მყოფი ჩემი შვილები, ალიასი და ალისა მომენახულებინა. აჭანდარას გადასახვევთან ომის დაწყების ამბავი შევიტყვე, ვერ დავიჯერე, უსაფუძვლო ჭორია, დავასკვენი ჩემთვის. მსუბუქი ავტომობილის მძღოლმაც იგივე ამბავი რომ დამიდასტურა, ნუ აყვები ჭორებსთქო, შევეწინააღმდეგე მასაც. სოფელში ჩამოსულს ომის დაწყების შესახებ რომ მიამბეს, ტელევიზიით გადმოსცესო, არც მაშინ დავიჯერე, არ მივიჩნიე სიმართლედ. მთხოვდნენ დავრჩენილიყავი სოფელში, ხომ არ გაგიჟდი, სად მიდიხარო?! მე კი გულწრფელად მიკვირდა, რატომ არ უნდა დავბრუნებულიყავი საკუთარ სახლში, სადაც მეუღლე მელოდა“ – ასე აგვიწერს 90-იან წლებში აფხაზეთში დატრიალებული ძმათამკვლელი ომის დაწყების ისტორიას პოეტი ტაიფ აჯბა თავის დღიურში, რომლის წერასაც ის 1992 წლის აგვისტოში, ომის დაწყებისთანავე, შეუდგა.

9 ოქტომბერი. პარასკევი. პოეტის დღიურში უკანასკნელი ჩანაწერი

კეთდება, როგორც ყოველთვის შინაარსი თავშეკავებული და აწონილია: „.... უკვე 10 საათია, ჯერ კიდევ სიჩუმეა, არ ისმის სროლების ხმა. ცივა, ცოტა ხანში წვიმაც წამოვა, უკვე ჟინჟლავს...“ ახსენებს ელცინის განზრახვას შევარდნაძესთან შეხვედრის შესახებ და წერს: „უნდა სადღაც დაიმალო, მაგრამ სად...“ ამ სიტყვებით წყდება მისი დღიური.

1992 წლის 9 ოქტომბერი. ეს დღე საბედისწერო აღმოჩნდა მწერლის ცხოვრებაში, არავინ ელოდა, რომ ყველაფერი ასე ტრაგიკულად დასრულდებოდა... იმ დღეს ტაიფ აჯბა სამხედრო საბჭოს გვარდიელებმა გაიყვანეს სახლიდან. მას ეგონა, ქართველ ტყვეებზე გასაცვლელად მიჰყავდათ... მაგრამ, უკან აღარ დაბრუნებულა, უგზო-უკვლოდ დაიკარგა. მისი ადგილსამყოფელის შესახებ დღემდე არაფერია ცნობილი. დაუდასტურებელი ინფორმაციით, აფხაზი პოეტი წამების შემდეგ დახვრიტეს. მისი დაკრძალვის ადგილი დღემდე უცნობია. გულსატკენია, რომ ტაიფის სიკვდილის მიზეზი მისი ეროვნება გახდა, რადგანაც ამ ნათელ ადამიანს, არავითარი სამხედრო დანაშაული არასოდეს ჩაუდენია. ის მწერალი იყო, რომელსაც ყოველგვარი ძალადობა ეზიზღებოდა. ტაიფი ომის მსხვერპლი გახდა, სამწუხარო, გაუმართლებელი მსხვერპლი...

ტაიფ აჯბა ერთ-ერთ ლექსში საკუთარ თავს ადარებს მღელვარე, მშფოთვარე ზღვას, რომელიც თავის უკიდეგანო არტახებში ვეღარ ეტევა, მაგრამ საღამოს დაღლილი და დამშვიდებული ძალ-ღონეს იკრებს, ივიწყებს დაღლილობას და ხელახალი ბრძოლის დასაწყებად ემზადება. ვინ იცის, რამდენ ხანს გაგრძელდებოდა პოეტის ბრძოლა მუდმივი შემოქმედებითი ძიებების გზაზე, ასე ტრაგიკულად და ნაადრევად რომ არ დაეტოვებინა წუთისოფელი... ან როგორი იქნებოდა დღეს აფხაზური პოეზია პოეტს „გათენებამდე რომ ეცოცხლა“!



„ალაშარას“ რედაქტორი ტაიფ აჯბა

ტაიფ აჯბა

თარგმნა ჯანო ჯანელიძემ

მიწის ანგელოზი

სადაც არ ვიყავ,
სადაც არ წაველ,
და რა ბედისაც ვიყავ ზიარი,
ცრემლი ყოველთვის შერჩა წამწამებს,
ვიყავ დაჭრილი შენი იარით.
მოგიგონებდი ასე ნაწამებს,
თან მხიარული, თან ნაღვლიანი.
შენი სიმაღლის ვიყავ მსურველი
და შენი სული მე თან დამქონდა
და მთვრალს მაგ შენი მთვარის სურნელით
ლელო ყოველთვის შენით გამქონდა.
შენ იყავ, რაიც მქონდა, არ მქონდა.
მიწა რომ ჰყვავის, ვიცი შენა ხარ,
ცა რომ კრიალებს, შენა ხარ ისიც,
ვინმემ სამოთხე თუკი ვერ ნახა,
შენთა ვარსკვლავთა უცქიროს ციმციმს,
მოვკვდე? – საფლავზე შენმა ვენახმა
ხელი აღაპყროს ლოცვით და ფიცით.

ივანე თარბა

თარგმანი შოთა ნიშნიანიძის

სადაც კი წავალ სახეტიალოდ...

სადაც კი წავალ სახეტიალოდ
ბედნიერების ცრემლი მერევა,
აფხაზეთში კი (რა დაგიმალოთ)
ყველაზე უფრო ბედნიერი ვარ.

მაინც რა არის გრძნობა ასეთი –
უბრალო კაცსაც
ღმერთს რომ მადარებს,
ისე მცირეა ეს აფხაზეთი,
სადაც კი წავალ, თან დავატარებ.

ვნახე ზღაპრული აღმოსავლეთი,
ბედმა ციმბირის გზებსაც მასტუმრა,
მაგრამ სადაც კი ღამეს ვათევდი,
მე აფხაზეთი მედო სასთუმლად.

მესიზმრებოდა პატარა რიწა –
ტყიანი მთების დიდი იგავი,
სადაც ვიყავი, კაცობას ვფიცავ,
მე აფხაზეთის შვილი ვიყავი.

ეთერ სამხარაძე–ჯღამაძე

მე მოვალ მაშინ...

მე მოვალ მაშინ,
ნუში და ბალი კვირტებს რომ გაშლის,
შმაგი მდინარე რომ აიყრის
ზვირთების ფაფარს,
მოვალ და ალალ სიყვარულზე
გიამბობ ზღაპარს.
მე მოვალ მაშინ,
როცა ტყეები გადაიცვამენ
შრიალა კაბას
და როცა ბუჩქებს გაზაფხულის
ცვარ-ნამი დაბანს.
როცა იები შეამკობენ
გაძარცვულ მთა-ბარს.
და მეც ჩავიცვამ ფოთლებისგან
შეკერილ კაბას.
მე მოვალ მაშინ,
ტყის მყუდროებას როს დაარღვევს
ფოთლების ტაში...
მე მოვალ მაშინ.

ფიქრები საქართველოზე

სხვა არის ეშხი ჩემი მთა-ბარის,
აქ სიყვარული ახლად იწყება...
მას ნატერფალი შვენის თამარის,
როგორც წარსულის არდავიწყება.
თუმცა წყვდიადიც ვერ დამაყუჩებს
ასე ურჩსა და ასე გამბედავს,
მითხარი მაინც, ვით გადავურჩე
შენი თვალების ცეცხლის ნაღვერდალს...
შემომაშუქე, შემომაშუქე
შენი ბრდღვიალა მზე და ყაყაჩო
და ის სიცოცხლე, შენ რომ მაჩუქე,
კვლავ შენს ზრუნვაში უნდა დავხარჯო...

ოქროს ფესვი

ნისლებს იშორებს მოცხარი მორცხვად
და ტკარცალებენ ურჩი ვერხვები,
მე შენი ზეცის სილურჯეს ვლოცავ
და მიწას ცხელი ტუჩით ვეხები..
მოჰქრის მდინარე, მოანგრევს ბექობს,
მარტის ცრემლებით ადიდებული
და ლურჯ ტალღებში მოსულ სამსხვერპლოს
ზეიმით ხვდება ზღვა დიდებული.
სხივი კაშკაშა ოქროს ფესვია
მამულის, გუშინ მზეს რომ დამპირდა...
დღეს მზიან ვარდებს მიტომ მესვრიან
ჩემი ოცნების ღია სარკმლიდან...

გულის ძახილი

მე შენი მთების ღვიძლი შვილი ვარ,
სულით ჯანსაღი, არა სნეული,
მე შენი ზეცის ერთი სხივი ვარ,
ბერმუხის ტოტზე გადამსხვრეული...
მე შენი ვაზის ნედლი ძირი ვარ,
მხრებზე შენი მზის მადგას უღელი..
შენი ლხინი ვარ, შენი სტვირი ვარ,
საძმო სიმღერით გადაუღლელი.
ზღაპრულ სამოთხის ლერწმის ღერი ვარ,
ცისფერ ლაჟვარდებს შეხამებული,
შენი ეკა ვარ, შენი მერი ვარ,
შენს გმირ მოყმეზე შეყვარებული.
მთებში ნუ მეძებ, ღრუბლებს მაღლა ვარ,
აქ მესმის შენი ხმა დიდებული,
შავი ყვირილას შმაგი ტალღა ვარ,
მარტის ცრემლებით ადიდებული.
ხან შხაპუნა ვარ, ხანაც მზეს ვგავარ,
შენი მშვენებით გაოცებული.
მე ღვთისმშობელის ნაზი ფრესკა ვარ,
ზარზმის ტაძრიდან გამოქცეული...
მე შენი ლექსის ერთი ბწკარი ვარ
და შენი წიგნის ერთი ფურცელი,
შენი ქსანი ვარ, შენი მტკვარი ვარ,
დარშიც, ავდარშიც ნირშეუცვლელი...
შენი გელათის დიდი ზარი ვარ,
ბალახი, მტრისგან ვერმოცელილი...
თამარ დედოფლის ნატერფალი ვარ,
ზედაზნის გზებზე შემორჩენილი.
ჩემს საიდუმლოს ვერვინ მიხვდება,
ვარ ხორბლით სავსე ვრცელი ბეღელი...
გმირი წინაპრის ძველი ციხე ვარ,
მტრისგან მარადის აუღებელი.
თუმცა ქალი ვარ, განა მხდალი ვარ,
სიცოცხლის მხსნელად სანამ მეგულვი,
დიდი ერეკლეს ბასრი ხმალი ვარ,
დუშმანის მკერდზე აელვებული.
ჰოდა, სანამ ვარ, დაფნის ტოტებით
უნდა შეგამკო, უნდა გეფერო,
შენთვის ვიცოცხლებ, შენთვის მოვკვდები,
შენ, ჩემი ფიქრის დიდო მეფეო...

* * *

ველარ ვისვენებდი,
ველარ ვისვენებდი,
შავი კაბის კალთებს
ცრემლით ვისველებდი.
შენი ლურჯი ნისლი
ზოგჯერ კაბად მცმია,
ვიდექ დასეტყვილი
თეთრი აკაცია.
ზოგჯერ, კარგო, შენზე
ფიქრიც არ დამცლია...
დღეს კი კვლავ კეკლუცობ
ტურფა პატარძალი.
დგახარ ნაციხარი,
დგახარ ნატაძრალი,
ვარდით ამოგვსია
ყველა გზა და ხნული,
დგახარ უკვდავების
დაფნით დადაფნული.
ვხარობ, მზე რომ მზეობს;
ვხარობ, ცა რომ ცაობს,
ჩემო სახატევ და
ჩემო სალოცავო!..

აფხაზეთის გაზაფხული

შენი ზღვა და მზის ბრდღვიალი,
ცაზე ვარსკვლავთ განაზება
და ცის ცვარი ლორთქო ფოთლებს
დაკიდული ალმასებად.
ქარაფს მორცხვად ჩახვეული
შენი ხავსი,
შენი სურო,
ლამის სულში გაიფოთლოს,
რომ სურვილი შევისრულო.
შენს ყოველ ბუჩქს,
ყვავილს,
ბალახს,
სატრფოს თვალით ვაკვირდები.
შენი მიწა ავგაროზად
ყელზე ჩამოსაკიდები.
ნეტამც გულზე დამაყარო
და ცვრით კალთა დამისველო,
რომ მეც ზამთრის თეთრ საბნის ქვეშ
შენს ფესვებთან დავისვენო.
ასე ხარბად მზეს რომ ვუმზერ,
მეც მოვხუჭო თვალი ვინძლო.
მერე ადრე გაზაფხულზე
შენს ფოთლებში გავიღვიძო.

ნოდარ ბოკუჩავა

აპოკალიფსი

1993 წლის სექტემბრის ბოლო დღეებია. მთავარსარდალმა შეაწმინდა ხელები ომში დაღუპულ მეომრებს, მოსახლეობას და გადამალული თვითმფრინავით ყვარყვარე თუთაბერივით გაიპარა აფხაზეთიდან. დარწმუნებული ვარ იმაში, რომ თვითმფრინავამდე ის კაბაგადაცმული მივიდა. შინაგანად მჯერა და მწამს, კონსპირაციის მიზნით, ის ამას იკადრებდა. იმიტომ რომ დიდი იყო ზიზღი მოსახლეობისა და მეომრების რისხვა მის მიმართ, რამეთუ მან დაჭრილ-დახოცილნი, საავადმყოფოებსა და აეროპორტში დარჩენილი მოსახლეობა, მოხუცები, ბავშვები პირდაპირ ხელში შეაჩეჩა მტერს, თვითონ კი გაიქცა. ხალხი გამორბის სახლებიდან, ინტენსიურად იბომბება სოხუმი. გაოგნებულია მოსახლეობა, თავიანთი ოფლით შეძენილი სახლ-კარი უნდა დატოვონ და გაუდგნენ გოლგოთის გზას. გზას, რომელსაც სოხუმი-დრანდა-ჭუბერის მონაკვეთი ჰქვია, გზა სიცოცხლისა და ჯოჯოხეთისა. ეს ის საზვერეა, რომელსაც მიცვალებულის სული გარდაცვალების შემდეგ ორმოცი დღის განმავლობაში გაივლის. მე კი თამამად გეუბნებით, აფხაზეთიდან დევნილმა მოსახლეობამ ეს გზა სიცოცხლეშივე გაიარა და ისიც ზუსტად ორმოცი დღე გაგრძელდა – არც მეტი და არც ნაკლები.

სოფელში ვარ. 1993 წლის 27 სექტემბერია. ზემო ფშაფი ესაზღვრება ბახტურას ტყეს. ჩემი სოფლის შარაზე დევნილთა ნაკადი არ წყდება, – მოხუცები, ახალგაზრდები, ბავშვები, ფეხმძიმე ახალგაზრდა დედები, ოთხმოცდაათს გადაცილებული მოხუცი ქალები.... შავი სუდარა გადაეფარა არემარეს, თითქოს დაბნელდა. ეს აპოკალიფსია, ჯოჯოხეთის კარიბჭე. ჩვენს ეზოში შემოდიან უცნობები, ნაცნობები, ნათესავები, სულს ითქვამენ. წასვლას გვირჩევენ.

მამა კატეგორიულ უარზეა, არ ტოვებს სახლ-კარს. დარწმუნებულია იმაში, რომ 84 წლისას ხელს არავინ ახლებს. იმდენად თავდაჯერებული კაცია, მეორეჯერ გამეორებას არ პატიობს არავის, რადგან ეს უპატივცემლობად მიაჩნია. ვიცოდი რა მისი ხასიათი, მაინც გავუმეორე თხოვნა. შენ მიხედე შენს დაჭრილ ძმას და დედას, მე აქ ვრჩები – იყო კატეგორიული პასუხი. საოცარი სურათია – დედა დავითანხმეთ. ვატყობ, მასაც დარჩენა სურს, არ უნდა დატოვოს მეუღლე, ეზო-კარი, ბოლო-ბოლო 50 წელია ერთად არიან, ძნელია განშორება, მაგრამ დაჭრილი უფროსი შვილიც ვერ მიუტოვებია, ორადაა დედის გული გახლეჩილი. ტოვებს დედა სახლ-კარს, თავის ნაოფლარ, ნატანჯ, მუხლმოდრეკით ნაშენებ ეზო-კარს, სადაც თითოეულ გოჯ მიწას მისი ხელის სითბო და შუბლიდან ჩამოსული ოფლი ახსოვს. ახლაც თვალწინ მიდგას მისი მოკლე, ნელი ნაბიჯები, ჭიშკრამდე ორმოცდაათ მეტრზე უფრო დიდი მანძილია. ვინ იცის, რაზე ფიქრობდა დედა მაშინ.

ალბათ, მის გონებაში წამში გაირბინა განვლილმა ცხოვრებამ: შრომამ, წვალებამ, სიყვარულმა, სიხარულმა, რომელიც აქ ჰქონდა განცდილი და რომელსაც საბოლოოდ ეთხოვებოდა. ბოლოს ნაბიჯები შეანელა, ასე მგონია, მუხლი მოეკეცა, უკან არ მოუხედავს, ისე გააღო ჭიშკარი. გაისმა კარის ჭრიალი, რომლის ხმას ათას სხვა ჭიშკრის ჭრიალში გამოვარჩევდი. ამ დროს მესმის მამაჩემის ხმა, „რაისა, მომცად აკა წუთს“, დედაჩემი ჩერდება, მამა შედის ოდაში და ერთი წუთის შემდეგ გამოდის, ხელში რაღაც ნაჭერში შეხვეული უჭირავს, მიუახლოვდა დედას და ხელში ჩაუდო ისე, რომ არაფერი უთქვამს. დედაჩემმა ხელის კანკალით ფრთხილად გახსნა და ხელში საქორწინო ბეჭედი შერჩა, რომელიც მას დაკარგული ეგონა. სიცოცხლის ბოლომდე დედას ის ბეჭედი ხელიდან არ მოუხსნია. ჩემი ძმაც მიჰყვა დედას კოჭლობით, დაჭრილია ფეხში. გააღო ჭიშკარი და საქონელი შემოუშვა. საქონელიც ხვდება, რომ რაღაც ისე არაა. თქვენ წარმოიდგინეთ, პირს არაფერს აკარებს. არადა ვიცი, როგორი მაძღარიც არ უნდა იყვნენ ძროხები, მაინც აგრძელებენ ძოვასა და ცოხნას.

უსიტყვოდ ვშორდები მამას, წინათგრძნობა მაქვს, რომ საბოლოოდ ვეთხოვები. მივდივარ, ვტოვებ ჩემს ოდაბადეს, გული ლამის ამოძვრეს საგულედან, ვუახლოვდები ჭიშკარს, ჩემი ძმა ორივე მუხლზეა დაჩოქილი, ჭიშკარზე აქვს თავი მიყრდნობილი. როგორ არ გამისკდა მაშინ გული, არ ვიცი. მივედი, ფეხზე წამოვაყენე, სიტყვა არ უთქვამს, ცრემლი შევამჩნიე, ცდილობს თავი შეიკავოს. შემდეგ განვითარებულმა მოვლენებმა აჩვენეს, რომ ჩემი ძმაც გრძნობდა მოახლოებულ მუხანათურ სიკვდილს, საბოლოოდ ეთხოვებოდა თავის ოჯახს, მამას, უსაყვარლეს ცოლ-შვილს, მას სიკვდილამდე სულ ერთი კვირა, შვიდი დღე ჰქონდა დარჩენილი თურმე...

წინ კიდევ დიდი გზაა გასავლელი. ჩვენ შემდეგ სომხებით დასახლებული სოფელია. ღამეა, მივუყვებით ნელი ნაბიჯით. ყველა სომხის სახლში სინათლე ჩამქრალია და ჭიშკარი ჩაკეტილი. არადა, ყველანი შიგნით არიან მოკალათებულნი, გათენებას ელოდებიან, რათა დასცხონ სააღლუმო ზურნასა და ნაღარას უკუნი ღამეა, ბილიკი არ ჩანს. სომხები გატრუნულნი არიან. ვიცით, არც ერთს არ სძინავს. მიყურადებულნი არიან ფანჯარას. ჩვენი ერთგული გერმანული ნაგაზიც აგვედევნა. მასაც ვერ გაუგია, ასეთ უკუნ ღამეში სად მივდივართ, სახლი რატომ მივატოვეთ!..

მივდივართ. ისე ვართ სახლიდან წამოსული, პურიც არ გვაქვს წამოღებული. შაქარი, რომ შაქარია, ისიც არ წამოგვიღია, რადგან კიდევ არ გვჯერა და არც ვიცით, რა ხდება ჩვენს თავს. არ ვიცით, სად მივდივართ. ასე გვგონია, სადღაც შუა გზაზე, უკან დაგვაბრუნებენ. შევდივართ ბახტურას ტყეში, მაღალი ადგილია. სოხუმის ზეცა ფეიერვერკების ალშია გახვეული. ზეიმობენ აფსუები და სომხები, სოხუმი დაეცა. ეს საშინელი განცდაა, რომელსაც უბრალო მოკვდავი ვერ აღწერს. ნაომარი ბიჭების გულში ჩამახედა, ნეტავ, რას განიცდიდნენ ისინი მაშინ. ერთ-ერთი იმათთაგანი, ჩემი ძმა, გვერდით მომყვებოდა. სიტყვა ვერ ამოვაღებინე, დამუნჯდა. დავისვენეთ, ჩაგვთვლიმა და თავზე დაგვათენდა. რაღაც საშინელი ხმები მოგვესმა, ბოლოს გავერკვიეთ, ეს მიტოვებული საქონელია, ასე გულსაკლავად რომ ბღავის. მატულობს ბღავილი და მამლების ყივილი, ძაღლების ყეფა. მუდარასავით ისმის მოშიებული ბოჩოლების განწირული ბღავილი, ეს საშინელებაა- აპოკალიფსის დასაწყისი...

შევედით ტყეში, მივუყვებით ბილიკს. შიმათის მთაც გამოჩნდა. აქ საძოვრებია, სადაც მწყემსები აზამთრებინებენ თავიანთ საქონელს. ერთ-ერთი მწყემსი გვაპურებს. ჩემს ძმას უჭირს სიარული, დედას არა უშავს.

ჩავედით ღურძულს. აქ უკვე დაგვხვდა მიტოვებული ეზო-კარი. დაუკრეფავი ხილი და ყურძენი მივირთვით, ძალიან გვეგემრიელა, კაკალიც არის, წაბლიც. დიდ არს უფალი და მოწყალება მისი, არ გვტოვებს ულუკმაპუროდ. ცივი წყაროს წყალი გადავივლეთ და გავუდექით

ფიანჩის აღმართს, სადაც ბერძნების ნასახლარია. ცოტა გაგვიჭირდა აღმართზე სიარული, მაინც ავედით და წებელდაც გამოჩნდა. უნდა ვიჩქაროთ, თორემ შეიძლება დაგვასწრონ და ალყაში მოგვაქციონ. ხალხი გვემატება, უკვე ხმაურია, ისმის გამწარებული ქალებისა და მოხუცების წყევლა-კრულვა, მშიერი ბავშვების ტირილი. უკვე ქარავანს ვემსგავსებით, გრძელია ხალხის ნაკადი. ადგილობრივებიც გვემატებიან, არ სჯერათ რაც ხდება, მაგრამ ყველაფერი აშკარაა. შევდივართ წებელდაში და ვადგებით სოფელ ოქტომბრის გზას. შემდეგ ლათა, ჩხალთა, აჟარა, გენწვიში, ჭუბერი. სასწაული სანახაობაა. შემზარავი. მოსეს წინამძღოლობით ებრაელთა გამოსვლა ეგვიპტიდან გსმენიათ ყველას, ზუსტად იგივე მდგომარეობაა, იგივე ბრბო, ბავშვები, მოხუცები, ქალები, ურიკები, ცხენები, ზოგს საქონელიც გამოურეკია, ამას დამატებული მანქანები, ზედ შემომსხდარი სახეწაშლილი მგზავრებით. მიდიან წინ, მაგრამ როგორც მე არ ვიცი სად, ისე არც ამათ იციან, მაგრამ მაინც წინ მიიწევენ, სადღაც მაღლა, იმედი ეგულებათ. ჩხალთას ვუახლოვდებით. გულის შემზარავი სურათია გადაშლილი, ურიცხვი და ულევია ხალხის ნაკადი, მანქანების საყვირებმა ხომ ყური წაიღო, ამას დაემატა უპატრონოდ მიტოვებული ჯარისკაცები, არც კი იციან სად მიდიან, რუსთავიდან არიან ბიჭები; არც მეთაური, არც ასეულის უფროსი, მოლასლასებენ მშიერ-მწყურვალნი, სხვა შენაერთიდანაც არიან მესამე და მეექვსე ბატალიონები. ამათ წესრიგი ეტყობათ, მეთაურები გვერდით ჰყავთ, ადგილობრივები არიან და გზა მაინც იციან, დენიკინის დროინდელი ბეტეერი და ტანკიც გამოჩნდა, სულ კვამლშია გახვეული, ვერ მიდის, ჩაქრა და გზა გადაკეტა, რა დასძრავს ახლა ამას ადგილიდან! იქმნება საცობი, უშველებელი. საშინელი სურათია, უკვე მესამე დღეა, რაც გზაშია ხალხი. იმძლავრა შიმშილმა, გზაზე ყრია ჩანთები, ჩემოდნები, ტანსაცმელი, სულ აღმაა სასიარულო. ვერ უძლებს ხალხი ჯოჯოხეთის გზაზე სიარულს. ძალიან გაუჭირდათ სოხუმელებს, ისინი სულ შიშველ-ტიტველნი არიან გამოქცეულნი. უკანასკნელ ჟამს მიატოვეს ქალაქი. საცოდავი სანახაობაა. დედებს ბავშვები გულზე ჰყავთ მიკრული, უსიტყვოდ მიდიან, ბედის ამარაა ხალხი მიგდებული, არსაიდან ხმა, არსით ძახილი. ეს ხალხი უნდა დაწყდეს ისე, რომ ამბის ჩამტანიც არავინ იყოს. აგერ, პირველი მიცვალებულებიც – გზის პირას ჯჯირკებივით მიყრილნი, გულმკერდზე ნიშნული ადევთ მათი სახელითა და გვარით. იმ იმედით, რომ იქნებ ნათესავი ან ახლობელი გამოჩნდეს ვინმე, მიწას რომ მიაბარონ. დედა მშიერია, ჩემი ძმაც. რა ვქნა, არ ვიცი. ამდენ ხალხს რა დააპურებს. ვუახლოვდებით აჟარას. რაღაც სხვა სიტუაციაა, გაუგებარი. ნეტავ, რა ხდება?! იარაღიანი ბიჭები დგანან, ხალხს აჩერებენ, ამოწმებენ, ჩანთებსა და ჩემოდნებში უშნოდ დაძვრებიან, ბილწსიტყვაობენ, ზომაზე მეტად უხეშობენ. მერე ვხვდები, ეს ჯაბას ბიჭები არიან თავის სტიქიაში, „ჩითავენ“ და ძარცვავენ ყველას, ვინც კი ამ გზაზე გამოივლის. „მხედრიონი“ ისევ ამოქმედდა და ადგილობრივ მოროდიორებთან ერთად მუსრს ავლებენ სახლებიდან გამოდევნილ გამწარებულ ხალხს. მათ დაემატა ჩამოსულ დამსმენ კრიმინალთა ბანდა. აბა, საიდან იგებენ ადგილობრივები, ვის რა აქვს და ვინ ვინ არის? მითუმეტეს, აქ სრულიად უმწეო და დამშეული ხალხი ჰყავთ მომწყვდეული. უკან დაბრუნება სიკვდილის ტოლფასია, მხოლოდ ერთი გზაა – წინ უნდა იარო და გახვიდე ჭუბერს. დედას მიჩერებენ, მარტო ხალათი აცვია, შიგ უძვრებიან, ხელებს უფათურებენ, ვერაფერი უნახეს. ორივეს კალაშნიკოვი უჭირავს, გამეცინა სიმწრისაგან, ამაზე უნდათ მომდონ შარი... არ ესიამოვნათ, როგორ თუ გავიცინე; დედის მუდარამ გაჭრა და მე კი კიდევ ერთხელ მოვკვდი და ვინ იცის მერამდენედ მეწვევა სიკვდილი ამ გოლგოთის გზაზე. დაღამდა. შევდივართ ოჯახში, სადაც ჭიშკარი გაღებულია, ბევრი მანქანაა აქ შემოსული. ხალხიც ბევრია დამშეული და მილეული. ოდა სავსეა დევნილებით. დედა ფაცხაში შევიყვანე, ადგილი დაუთმო ვიღაც

ღვთისნიერმა. შუაცეცხლია დანთებული, ოჯახის დიასახლისები ტრიალებენ, კუბდარს, ხაჭაპურს, პურს აცხობენ და ყველას ურიგებენ. დედაჩემს რომ ჩაუდეს ხელში ცხელი კუბდარი, გულზე მომეშვა, ახლა ძმას უნდა მივხედო, ვაშლი და მსახალი დავკრიფე ეზოში, ზედ ყურძენიც მივაყოლე. ვიღაცის „მოსკვიჩში“ ჩაგვეძინა.

დილაა, დედა წამომდგარა და გვეძებს. გვიპოვა, რაღაცას გვაწვდის – კუბდარი მცირედი უგემია მხოლოდ, დანარჩენი ჩვენთვის შეუნახავს. ცუდად გავხდით, ძალით ვაჭამეთ, დავაჯერეთ, რომ ჩვენც დაგვანაყრეს. ის ღვთისნიერი ოჯახი, ვინც ჩვენ და უამრავი სხვა დევნილი მიიღო და დააპურა ნოდარ არღვლიანისაა. როგორ შეიძლება ასეთი დიდი კეთილშობილების დავიწყება. მაგრამ საკმარისი იყო სახლიდან გამოსვლა და გზაზე შედგომა, ისეთი რამ ხდებოდა, დედა შვილს ხელში ვერ აიყვანდა. ბევრი ფიქრის შემდეგ მივხვდი, რომ ეს ერთი კაცის მოფიქრებულია, ცდილობს, რაც შეიძლება შეგვაძულოს ქართველებს ერთმანეთი.

დედა და ჩემი ძმა მარტო გავუშვი. რაღაც უნდა ვიღონო, ვიშოვო პური ჩვენი არსობისა, თორემ, ვიცი, ჭუბერის უღელტეხილს ვერ გავცდებით მშიერნი. დედა ხომ გზაში შემომაკვდება, ძმაც ცოდვაა, დაჭრილია. რა ვქნა, ვის მივადგე? მყავს სამეგობრო სვანეთში, მაგრამ ვისთან მიხვალ, ყველა ოჯახში ასობით დევნილია, სად არის ამდენი ხორაგი, თანაც ისეთი პერიოდია, საძოვრებიდან საქონელი ჯერ კიდევ არ ჰყავთ ჩამორეკილი. დევნილებითაა სავსე ოჯახები, ზოგს სახეზე ვერც შეატყობ, თითქოს ვერ გაუცნობიერებია რა ხდება, მხიარული სახე აქვთ შერჩენილი, უფრო სწორად, ღიმილი შეყინვიათ სახეზე. ბავშვები, როგორც ყოველთვის, ცელქობენ, აზრზე არ არიან...

ცენტრალურ გზას დავადექი, ხალხის იმოდენა მასაა, რომ თვალს ვერ ვუჯერებ. ნუთუ ამდენი ვიყავით?! ვუყურებ და ყოველი მათგანის სახეზე ჩემს ტკივილს ვკითხულობ. შიმშილი და გზა, ამას დამატებული ძარცვა, დამცირება. ახალგაზრდა დედები შემეცოდა, ბავშვებით არიან, ზოგს ერთი მოჰყავს, ზოგს სამი და ოთხიც. ბავშვების ტირილი, ცრემლი მათ ღაწვებზე, როგორი სანახავია! განსაკუთრებით, ბავშვის ძახილი – დედა, მშია, მშიაო. რა ქნან ამ დედებმა, როგორ ანუგეშონ და დააპურონ შვილები – თვითონაც მშივრებმა, არადა აწი იწყება გზა უღელტეხილის, სიკვდილ-სიცოცხლის გზა, რომელიც ბევრი მათგანის სიცოცხლეს შეიწირავს, განსაკუთრებით, ბავშვების. ამ ფიქრებში ჩემი თავი მავიწყდება, დედაც და ძმაც.

მანქანები უკვე იმდენია, მათი გადაადგილება გამორიცხულია. გაჩერებული არიან ადგილზე. პატრონებს და მათ ოჯახებს ჯერჯერობით კიდევ აქვთ თავშესაფარი, მაგრამ მხოლოდ ჯერჯერობით. საკმარისია დაღამდეს და მხედრიონელები თუ სხვა გარეწრები იწყებენ ძარცვას. ირგვლივ არაამქვეყნიური, განწირული წივილ-კივილია, ქალების, ბავშვების, მამაკაცების მხრიდან ოდნავი წინააღმდეგობა და ავტომატის კაკანი არ აყოვნებს, ვინც უძალიანდებათ, ნაცემ-შეკრული მიჰყავთ სადღაც, მეტი რომ გამოსძალონ. ისეთი გაბოროტებული და გაბრუებული არიან, თავისიანსაც არ ინდობენ, აფრიკული გიენებივით ღამ-ღამობით დაძრწიან და მძორსაც არ ტოვებენ დაუყნოსავს. ვიღაცების გვარ-სახელს კითხულობენ, თითქოს ნათესავს ეძებენ. ვისი გვარიც იკითხეს, ყველა შეძლებული და ფულიანი ხალხია. ყველაფერი ნათელია – ჩიტი ბრდღვნად ღირს. ესენი „დახვეწილი“ არამზადები არიან, მცირედზე არ გაისვრიან ხელს?! სამაგიეროდ, სხვები ქალებს საცვლებშიც უძვრებიან, ყველაფერს კადრულობენ, საქორწინო ბეჭედებსაც აძრობენ ხელებიდან. უცებ დედა გამახსენდა, ვხედავ, თითზე ბეჭედი არ უკეთია. გული შემიღონდა, არა, აგერ მაქვსო, მაჩვენა, დავმშვიდდი....

გრძელი გზა მაქვს წინ... ძმასაც ვერ ვხედავ – „ლორიკ, ლორიკ, სო რექ წიე“, – ასე ძახილ-ძახილით გენწვიშამდე ავსულვარ. ვფიქრობ, ჩემებს ხომ არ გამოვცდი, უკან ხომ არ მოვიტოვე, ან ამდენი როგორ გამოიარეს. ღამის პირველი საათია, სიარულიც უკვე სახიფათოა, თანაც ზურგჩანთით ვარ, მეგობარი შემეწია გზაში...

ტრიალი მინდორია. სკოლაა ახლოს. აქ გაჩერებულა ხალხი და ისვენებს. ისე არიან არაქათგამოცლილნი, ხმის ამოღებაც ეზარებათ. ვიღაც ჩემსავით დაეძებს თავისიანებს. გიენები კი თავის სტიქიაში არიან, სხვადასხვა იარაღიდან სროლაში ეჯიბრებიან ერთმანეთს. იმდენი იარაღი ჩამოართვეს ხალხს, რომ ნაძარცვით კმაყოფილნი ჩანან და კარგ გუნებაზეც არიან, არ იციან, რით გაერთონ. ერთმა ხომ თავისი ჭკუამხიარულობით ყველას გადააჭარბა, ყუმბართმტყორცნიდან გაისროლა ერთი ჭურვი ტყვარჩელის მხარეს. ღამის წყვდიადში ცეცხლმოდებულმა ჭურვმა გაიწუილა. მისმა ხმამ ძლივს დაძინებული ბავშვებიც კი გააღვიძა. ნეტავი იმ კაცის გულში ჩამახედა, ვინც ეს ჭურვი გაისროლა ამ შუაღამეს, არა მგონია, დედის ნაშობი იყოს...

ღამის წყვდიადში ერთი ლამაზი ნაძვის ხე შევნიშნე. ვიცოდი, ჩემი ძმის სიყვარული ლამაზი ხეებისადმი და მივუახლოვდი. „ლორიკ!“ – დავიძახე ჩუმად და მომესმა სანუკვარი, განუმეორებელი, სიყვარულით სავსე, ტკბილი, მილეული ხმა დედისა: – „ნოდარ რექო, სქუა“. „ო, დედა, მა ვორექ“ – გავეცი პასუხი. არ ეძინა დედას, ვინ იცის, რაზე ფიქრობდა, ამდენი ხანი რომ არ გამოვჩნდი. მე ისე გამიხარდა მათი ნახვა, თითქოს საუკუნეს გაევლო, რაც არ მენახა. ზურგჩანთა გავხსენი, ოთხი სულგუნის ყველი, ოთხი ცალი კარგა მოზრდილი, სახლში გამომცხვარი მრგვალი პური, სვანური მარილი და ბოლში გამოყვანილი „სალა“ ჩაედო მეგობარს. გულიანად და ტკბილად შევჭამეთ. ისე ვისიამოვნეთ, თითქოს მერხეულის ფაცხიდან გამოვსულიყავით. ჯემალ პერტაია იყო თამადა, სასმელად კი მთის ანკარა წყალი გვქონდა; დაღლილ-დაქანცულნი მივესვენეთ.

გათენდა. ამინდი იცვლება. წვიმამ თუ მოგვისწრო, უღელტეხილს ვერ გადავალთ, გაგვიჭირდება, ვერ ივლი კაცი ამ ტლაპოში, მით უმეტეს, მილეული და დაქანცული რომ ხარ და მორალურად დაცემული. გენწვიშიდან იწყება ჭუბერის უღელტეხილი. აღმართია, გზა ჯოჯოხეთში მიმავალი დევნილებისათვის და სარკოფაგი მიცვალებულთათვის. „მხედრიონსა“ და კრიმინალურ ბანდებს ზეობის ხანა უდგათ, ხალხს წინააღმდეგობის თავიც არა აქვს, უმოწყალოდ გლეჯენ, მიდის მანქანების „ახევა“ , ამ სიტყვის მნიშვნელობით, არ ზოგავენ არავის!

სადღაც ახლოს, მინდორზე, ვერტმფრენი დაფრინდა. მიაწყდა ხალხი, ოღონდაც ამ ჯოჯოხეთს დააღწიონ თავი. ზოგი ახერხებს შეღწევას, სხვები ისევ ფეხით ვაგრძელებთ გზას.

ავუყევით უღელტეხილს. თვალწინ საშინელი სანახაობა იშლება. ჯოხზე დაყრდნობილი მოკუნტული მოხუცები ძლივს მიბობღავენ. ახალგაზრდებსაც უჭირთ. ქალები, ბავშვები მილასლასებენ, არავითარი სიცოცხლის ნიშანი, ბავშვებსაც კი დაუკარგავთ ცელქობის ხალისი. ნუ გავიწყდებათ, ეს ჯერ კიდევ დასაწყისია. წინ კიდევ დიდი მანძილია უღელტეხილზე ასასვლელი. ჭუბერი, ხაიში-ზუგდიდის გზამდე დაახლოებით ოცდაათი კილომეტრია, თანაც უკაცრიელი ადგილია, არავინ ცხოვრობს. ტყე და უღელტეხილი გვაქვს გასავლელი. ვის არ ნახავ ამ გზაზე მოარულს: პროფესორიდან დაწყებული უბრალო გლეხით დამთავრებული. შეძლებულნიც და ღარიბნიც გავთანაბრდით გასაჭირის ჟამს.

ორ საათზე მეტია მივდივართ, მოიღრუბლა, ცუდად მენიშნა. თუ გაწვიმდა, მტრისას, სიარული გაგვიჭირდება. ჩვენს წინ დიდი, ორხიდიანი ტრაქტორი მიხრიგინებს უკან მობმული ხუთი მანქანით.

ვიღაცას გაუმართლა, მანქანა გააყოლეს, მაგრამ წინ კიდევ უკაცრიელი ტრამალია გასავლელი. იქ ჯერ კიდევ არიან ჩასაფრებული გიენები.მიცვალებულთა რაოდენობა მატულობს. დედას ეტყობა, თვალს დააკლდა და მიმითითებს, ეს რა არის, რა სჭირსო. მე ვეუბნები, დაიღალა და ისვენებს -მეთქი.სხვა მიცვალებულის დანახვისას კი ვუხსნი, რომ ეს კუნძია, დედა, მოგეჩვენა -მეთქი.გადაყრილი ნივთებისა და ჩანთების რაოდენობა მატულობს, არაფრის ტარების თავი არ აქვს ხალხს, ძალა გამოელიათ. ჯერ კიდევ სად ვართ, ბევრია გასავლელი, გაწვიმდა. გზა ატალახდა, სიარული უფრო გაძნელდა,

მაგრამ უკანასკნელ ძალას იკრებს ხალხი. არავითარ შემთხვევაში არ უნდა გაჩერდე, ინერცია არ უნდა დაკარგო. დევნილთა ნაკადი იმდენად დიდია და იმდენად შემზარავი, არ მეგონა თუ ამას რაიმე რეალობასთან ჰქონდა საქმე, ეს იყო ნამდვილი აპოკალიფსი. ვამხნევებ დედას და თანაც გზადაგზა ვაპურებ. მიცვალებულები უკვე არავის უკვირს. არსაიდან ხსნა, ყოველგნით სიკვდილი.

მარიონეტმა მთავრობამ ხალხი როგორც ამ ომში, ასევე ამ გზაზეც ხელმეორედ გაწირა. წინა დღეს გასული გზას აცდენილი მგზავრებიც გვიერთდებიან. უღელტეხილმა ბევრი უთავშესაფროდ დარჩენილის სიცოცხლეც შეიწირა. განსაკუთრებით ჭარბობენ ბავშვები, დედებს გულზე მიყინვიათ თურმე. შემდეგ კი მიწას რომ ვერ მიაბარეს, ჩანთაში ჩაუსვენებიათ გარდაცვლილები და მოასვენებენ, ჩვენთან ერთად მოდიან და გზას უხმოდ, მდუმარედ განაგრძობენ. მეორედ მოსვლაა სწორედ.

და, აჰა, როგორც იქნა, მწყემსების სანუკვარი კარავიც გამოჩნდა. რაც იმის მიმანიშნებელია, რომ როგორც იქნა უღელტეხილის აღმართიც დასრულდა. გაყინულ-გათოშილი და მშიერია ხალხი. არც ამჯერად შეიმჩნევა ხელისუფლების მხრიდან რაიმე დახმარების მცდელობაც კი. კარვის ირგვლივ იმდენი ხალხი ირევა, აქ გაჩერებას აზრი არ აქვს. აწი უკვე დაღმართია და ჩვენებს ვეუბნები, ტყემდე უნდა გავაღწიოთ როგორმე, მერე კი არა გვიშავს.

შევედით ტყეში, მოვნახეთ მყუდრო ადგილი, ისიც ძნელი მოსაძებნია, ყველგან ხალხი ირევა, ცეცხლი აქვთ დანთებული და თბებიან. ვაგროვებ ხმელ ტოტებს, ვანთებ კოცონს და ვათბობ ჩემს თანამგზავრებს. წავიხემსეთ, როგორც მორალურად ასვე ფიზიკურად იმდენად ძალაგამოლეულები ვართ, რომ არაფრის თავი არა გვაქვს. ამ დროს გვესმის ქალის საზარელი მოთქმა – გოდება, – ერთსა და იმავე სახელს გაჰკივის შეუჩერებლივ. უკვე ორი საათია გასული, ის კი არ ჩერდება, პირიქით, უფრო უმატებს ხმას. ეძებს ვიღაცას, მაგრამ არავის გვაქვს თავი ავდგეთ და გავიგოთ, რა ხდება. ბოლოს ვიკრებ ძალას და ვდგები. საშინელ ამბავს მიყვებიან: წასთვლემია გზაზე საწყალ დედას, ჩანთაში ჩასვენებული, წინაღამით გაყინული პირმშო, გულში ჩაუხუტებია, რომ ჩაეძინა, ეტყობა, ხელი გაუშვა, არამზადებმაც არ დააყოვნეს და მოპარეს. ახლადგამოღიძებულმა ჩანთა რომ ვერ ნახა, ჭკუიდან გადაწეულა საცოდავი. აი, სანამდე ეცემა ადამიანი! იმ წყეულებმა სად მიაგდეს ბავშვიანი ჩანთა, ვინ იცის?! რა თქმა უნდა, ეს ამბავი დედაჩემისთვის არ გამიმხელია.

გახსოვთ, დევნილებით სავსე ვერტმფრენი?! პილოტმა, ეტყობა, ვერ შეძლო გადატვირთვის გამო სათანადო სიმაღლის აღება და უღელტეხილზე ჩამოვარდა, ყველა მგზავრი, პილოტთან ერთად დაიღუპა.

სამი ოქტომბრის დილაა. ხალხი უთენია დაიძრა, დასვენებამ და ძილმა თავისი ქნა. ოდნავ მოღონიერებულნი არიან, ენერგიულობა ეტყობათ. გზამდე, რომელიც ტყეში შედის, ტრიალი მინდორია გასავლელი. აქ უკვე გამოჩნდა ხელისუფლების დახმარების ხელი, – გაოგნებულ დევნილებს თავიანთი მიცვალებულების დასამარხავად წინასწარ ამოთხრილი ორმოები დაახვედრეს. ამას ხომ მოფიქრება უნდა!

ხალხი ჯიუტად მიიკვლევს გზას. დედა და ძმა ერთად მიაბიჯებენ, ნელი სვლით. მე ოდნავ წინ გავუსწარი. ახლობელი მხვდება. ვეკითხები, სად არის დედაშენი-მეთქი. აგერ არისო, ცელოფანში გახვეული, უღელტეხილს ვერ გაუძლო და გარდამეცვალაო. აქ ხომ ვერ დავმარხავდი და მას მერე მომაქვსო, ცელოფანში გახვეული. არავისთვის არ გამიმხელია, ხალხს დედაჩემის ამბით კიდევ როგორ დავუმძიმებდი გულს, სამეგრელოში მივდივარ, ჩემს სანათესაოში, წალენჯიხაში, იქ მინდა დავმარხოო. გული გამიჩერდა კინაღამ, მერე მთელი გზა ჩემს თავს ვეკითხებოდი, მე რომ დამმართნოდა ასეთი რამ, როგორ მოვიქცეოდი, გავაკეთებდი კი იმას, რაც ამ ვაჟკაცმა გააკეთა?!

სამხედრო მანქანები გამოჩნდნენ, ჯერ ჩაგვიარეს და მხოლოდ ამის შემდეგ

დაიწყეს რაღაცეების გადმოყრა, მოგვიანებით გავიგე, პურს ყრიანო. ეშინიათ, რომ გააჩერონ. მანქანის ძარაზე მსხდომ სამხედროებს ავტომატები უჭირავთ და ხალხის მიახლოებისთანავე ჰაერში სროლას იწყებენ, რასაც გერმანელი ფაშისტებიც კი არ ჩადიოდნენ. შენ კი, საკუთარ ხალხს, – წაქცეულს, დამშეულს, ამას უკეთებ. არ ვიცი, ამ საქციელს რა ვუწოდო.

საკმაოდ წამოვსულვარ წინ, არ ჩანან ჩემები. ვჯავრობ, რამე ხომ არ დაემართა დედას. გულდამძიმებული მოვაბიჯებ. გზად ჩემი მეზობელი იანგული ჭედია შემომხვდა. გადავეხვიეთ, მოვიკითხეთ ერთმანეთი. საუბარში შემაპარა, ნოდარ, უნდა გითხრა ეს ამბავი აუცილებლადო. მუხლები მომეკეცა, ვგრძნობ, წავიქცევი სადაცაა. იანგული კი განაგრძობს, სოფელში ჩავრჩი, ვერ გადმოვედი დროზე, შენი სახლის უკან ვიმალებოდი, ამ დროს სომხები შევიდნენ შენს სახლში, გაისროლეს და მამაშენის ყვირილიც მომესმა. აღარ არის ცოცხალი მამაშენი. გავშრი კაცი, ყელზე მომაწვა რაღაც, ლამის გამგუდოს, ვერ ვსუნთქავ... მერე ცეცხლი მოუკიდეს თქვენს ოდას და მამაშენიც შიგ ჩაიწვაო. არ ვიცი, რამდენ ხანს ვიდექი გაუნძრევლად. დედაჩემი და ჩემი ძმა კიდევ არ ჩანან. ვბრუნდები უკან, ხალხს უკვირს, ალბათ, ჩემი წაშლილი სახე. დიდება უფალს, დედა და ძმა ცოცხლები მყავს. გზიდან ცოტა მოშორებით, ლამაზი ხის ქვეშ ჩამომსხდარან და დარჩენილ პურს და ყველს სვანურ მარილთან ერთად ანკარა წყალს აყოლებენ. საწყალ ჩემს ძმას ერთი პური რგებია და მის სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა. მუხლები მომეკეცა, ჩამოვჯექი. ლორიკი პურის ნატეხს მაწვდის. გამოვართვი, მაგრამ ვერ შევჭამე. ვცდილობ, როგორმე არ გავაგებინო ამათ მამის ამბავი. ვიცი, ძმა ამას გულთან მიიტანს და თვითონ დაიბრალებს, მე რომ იარაღი მეჭირა, ამის გამო მოკლესო. ლორიკი მართლაც მიხვდა, რომ რაღაც ისე ვერ არის. მისვამს კითხვებს, რატომ არ ვჭამ, რა მოხდა. დავატანე თავს ძალა და როგორც იქნა გადავყლაპე ლუკმა. ლორიკი მაინც არ მეშვება. ისევ მცდის – მოდი მოგუდულად ვიმღეროთო. ვღიღინებთ... დავაჯერე როგორც იქნა, რომ ყველაფერი კარგად არის, რომ ყველა ჩვენიანი უვნებელია... გზას ვაგრძელებთ. ფეხები დამიმძიმდა. ყოველ წამს მამა მახსენდება, ნაჭერში გახვეული საქორწინო ბეჭედი რომ გადასცა დედას. ეტყობა გულმა უგრძნო, უკანასკნელად რომ ხედავდა თავის რჩეულს. ამ ფიქრებში გართული გავედით ჭუბერი-ხაიში-ზუგდიდის გზატკეცილზე. საღამოა, მანქანებს დევნილები ქუთაისისა და ზუგდიდის მიმართულებით გადაჰყავთ. უწყვეტია ხალხის ნაკადი.

აზვირთებულა და გადარეულა ენგურიც. მისი ტალღები სალ კლდეს გაუგონარი სიჩქარით ეხეთქება და უზარმაზარ ქვებს მოაგორებს. ისეთი ხმაურია, გეგონება ქვეყანა იქცევაო. ლორიკი მეუბნება, ახლა მე ჩავალ ენგურს, ვიბანავებ და ამოვალო... გაოგნებული ვუყურებ, რა დროს ბანაობაა ამ სიცივეში. შემდეგში რომ ვიხსენებდი ჩემი ძმის საქციელს, მისი ყოველი ნაბიჯი, დაწყებული ჭიშკრის ამბორითა და ენგურზე ჩასვლით დასრულებული, იყო სიკვდილთან შეხვედრის რიტუალი, სხვას ვერაფერს დავარქმევ ამას. ისეთი კმაყოფილი ამოვიდა გადარეული ენგურიდან, გეგონებოდა, სულ ახლახანს მონათლესო სალოსმა ბერებმა.

დაღამდა. აცივდა. ჭუბერია. ლორიკი მეუბნება, შემამცივნაო. შემეშინდა, არ გამიცივდეს-მეთქი. თანაც დაჭრილი ფეხის მეშინია, არ გაუმიზეზდეს. დაღლილი კი ვარ, მაგრამ მაინც წამოვდექი. შევაგროვე ხმელი ტოტები, ფიჩხები და ისეთი ცეცხლი დავანთე პიონერული კოცონი გამახსენდა. ვუმატებ ხმელ ტოტებს და ენგურის გამონარიყ მორებს ცეცხლს, გათბა ჩემი ძმა. ახლა მომშივდაო. პური და ყველი იყო დარჩენილი, მოუტეხა დედამ. ჩემი შეგროვილი პანტა მსხალი მივართვი დესერტად. მოგროვილი წაბლი და ნიგოზიც გავასინჯე ახალი. ესიამოვნა ძალიან. ვატყობ, უცნაურად იქცევა, წყალი დამალევინეო, ცივი წყაროს წყალი ამოვუტანე, დალია და დაწყნარდა. ეტყობა, ჩვენთან ყოფნის ბოლო წუთებს წინასწარ გრძნობდა. დედას ეფერებოდა

სულ, ხელებს უთბობდა, არ გამიცივდეო. გვეთხოვებოდა თურმე ყველას და ყველაფერს.

ცოტა ხანში მანქანაც მოვიდა. თამაზს სურს ლორიკი და დედა კაბინაში ჩასვას, ლორიკმა ქვა ააგდო და თავი შეუშვირა, ჩემს ძმასთან ვიქნებიო, არაფერმა გაჭრა. დედა ჩაჯდა კაბინაში. ჩვენ დევნილებით სავსე ბრეზენტგადაფარებულ სატვირთო მანქანაში ავედით. ლორიკის წინათგრძნობა მეც გადმომედო. დაიძრა მანქანა. ისეთი სიბნელეა – არაფერი ჩანს, ვერავის ვხედავთ, ვერავის ვცნობთ. მანქანები სამ-სამად მიდიან. მესტია-ხაიშის გზის მონაკვეთზე ძარცვის უკანასკნელი ციტადელია მოწყობილი. ხალხი სულ შიშველ-ტიტველი უნდათ დატოვონ. ავტომატიანი მხედრიონელები მანქანებს აჩერებენ. ჩვენი მანქანა წინა ორ მანქანას ჩამორჩა. სწორედ ისინი გაუჩერებიათ ამ გარეწრებს. ხალხი ძირს ჩამოუყრიათ, ერთ რიგზე დაუყენებიათ ოსვენციმის ტყვეებივით, ჩანთებსა და საცვლებში უძვრებიან ქალებს, კაცებს. საშინელ წივილ-კივილს, ზედ ბავშვების ტირილი ერთვის. ჩვენი მანქანაც შეჩერდა. მძღოლი დაუცველი ხალხის გამოსარჩლებას შეეცადა. პასუხად ისმის არაადამიანური ღრიალი. კარს გვიკეტავენ და გვიბრძანებენ, აქაურობას გაეცალეთო. თანაც ჩვენს მანქანას ავტომატის ჯერით ცხრილავენ. მანქანაში უკუნია, არაფერი ჩანს. ვიღაც კაცის ხმა მესმის, დაჭრილი ვარ, მიშველეთო. – ლორიკ! – დავიძახე ჩემი ძმის სახელი შეშინებულმა. პასუხი არ გამცა. – ლორიიიკ! – არაადამიანური ღრიალი აღმომხდა. მივვარდი იქ, სადაც ძმა მეგულებოდა. ვხედავ, იქ სხვა ზის. სიჩუმე ჩამოწვა. მანქანა გააჩერეს და გამოღებული კარიდან შემოსულ შუქზე, ჩემი ძმა დავინახე... ლორიკი ჩაკეცილა და გაღიმებული სახით მისვენებია ძარას. კეფაში მოხვედრია ტყვია.სიკვდილი არც უგრძვნია, ისე ავიდა ზეციურ სასუფეველში. ნაძირლებმა ლორიკის, ჩემი და დედაჩემის ცხოვრებას წერტილი დაუსვეს. რა ვუთხრა დედას!

ჩემი უბედური ძმა გავაპატიოსნე და ზუგდიდისაკენ წამოვასვენე. დილის ექვსი საათი იყო, ქალაქში რომ ჩავედით. ქალაქში, სადაც ჩემი გამწარებული და გაუბედურებული, ოდაბადედაკარგული თანამემამულეები შეკრებილიყვნენ, რათა ერთმანეთი ეპოვნათ: დედას -შვილი, ქმარს – ცოლი, დას – ძმა, საზარელი სიტუაცია იყო...

ვიტანჯებოდი, ვფიქრობდი, როგორ უნდა შევხვედროდი მშობელ დედას, როგორ მეთქვა ძმის დაღუპვის ამბავი. ვიღაცამ მირჩია: არ მიხვიდეო ასე დილაუთენია დედასთან, იქნებ სძინავსო ქანცგაწყვეტილს, მეც დავუჯერე. გვიანღა მივხვდი, დედას რა დააძინებდა. დედა განა ის ქალი იყო, შვილების უნახავს ჩასძინებოდა. წუთითაც არ მოუხუჭავს თვალი. რამდენი საათიც დავაყოვნე მისვლა, იმდენჯერ მომკვდარა იმ ღამეს საწყალი ქალი... როგორ გავაგებინო, რა ვუთხრა დედას.

დილის ცხრა საათი შესრულდა. ძლივს ავითრიე ფეხი. მივედი დედასთან. მისი თვალები მახსოვს, სახის სასწაული გარდასახვა, მწუხარების შეცვლა სიხარულით, ერთი შვილი მაინც დამიბრუნდაო ცოცხალი. დედას უკვე წაეკითხა ჩემს სახეზე ყველაფერი. მეუბნება, აქ გოდება, მოთქმა და ტირილი არ ივარგებსო. უფრო მეტად დაიზაფრებაო ისედაც ჯვარს ნაცვამი ხალხი. გაოგნებული შევყურებდი დედას, მეგონა, კივილით აიკლებდა ზუგდიდს. ერთი ცრემლი არ ანახა არავის. გამოვერიდეთ და მივიყვანე მანქანასთან, სადაც ჩემი ძმა ესვენა, საწყალი. მის ფეხებს ეამბორა, მოეფერა, თითქოს გათოშილ ფეხებს უთბობდა, როგორც ბავშვობაში. რა თბილი და ტკბილი იყო დედა შენი ხელები, მაგრამ ამჯერად უძლური აღმოჩნდი, ვერაფრით გაათბე შვილის გული, ლორიკის გული, რომელიც სიცოცხლეზე მეტად გიყვარდა, დედა. ახავაი დო სქან ცოდა, დია.

მარტვილის მიწას მივაბარეთ ჩვენი ლორიკი. ნახარებუს, საგვალიოს სასაფლაოზე ვეებერთელა ორასწლოვანი ხის ძირას ჰპოვა მიწიერი განსასვენებელი. არასოდეს დამავიწყდება ამ სოფლის მკვიდრთა პატივისცემა...

2005 წელი მახსენდება. თბილისიდან

ჩამოვიყვანე დედა ლორიკის საფლავზე. ოთხი ოქტომბერია. მახსოვს მისი სიტყვები, მე აწი შენს საფლავზე ვერ ჩამოვალო, დედა. ვერა ვარო კარგად, შვილო, ვერ გადავუსვამო ხელებს შენს გულზე დაყრილ მიწას. გულმა უგრძნო დედას... მის მერე ლოგინად ჩავარდა და მეხუთე წელს აღესრულა, ქრისტეშობას, საღამოს ცხრა საათზე. სამჯერ დაგვლოცა და სამჯერ გამოცალა წითელი ღვინო. მის ირგლივ შვილები და შვილიშვილები იყვნენ. ერთი შემოგვხედა ყველას და საბოლოოდ დაგვტოვა დალოცვილი ამ მიწიერ სამყაროში, თვითონ კი ლორიკისკენ, უფლის გზას დაადგა ზეცაში.

დედას, სანამ ცოცხალი იყო, სულ დრანდა და აფხაზეთი ენატრებოდა, თავისი ნალოლიავები და ნაფერები კარმიდამო. მეუღლის საფლავის ნახვა სურდა. თავს იდანაშაულებდა, არ უნდა მიმეტოვებინაო მარტოკა ჩემი შურიგე. გული მიკვნესის ამას რომ ვწერ და თვალები ცრემლით მაქვს სავსე. ერთხელ დალოგინებულს, მე სულელმა ბრიყვული შეკითხვა დავუსვი, მამა თუ გიყვარდა-მეთქი. მცირეოდენი პაუზის შემდეგ ასეთი პასუხი გამცა, დაუვიწყარი და საჩვენებელი: მამაშენი რომ შემოაღებდა, შვილო, ჭიშკარს, ჩემი გული იცინოდაო.

ამ განვლილმა გზამ დამანახა, რომ ადამიანი, გაჩენის დღიდან ემზადება სიკვდილთან შესახვედრად. დგება ჟამი, როცა ადამიანი სიკვდილის მოახლოებას გრძნობს, ეს ყველაფერი ჩემი ძმის სიკვდილისწინა ქცევამ და ჭუბერის გოლგოთის გზაზე, გარდაცვლილთა სახეებმა დამანახა, თითქოსდა ყველა მიცვალებულს ნათელი დადგომოდა. არცერთს, მიუხედავად ამდენი ჭირ-ვარამისა და შიმშილისა, არ ჰქონდა გაწამებული სახე. პირიქით, ყველას სახე ნათელი და ღიმილიანი იყო. ასეთივე ნათელი ადგა ლორიკს, როდესაც ის გადარეული ენგურიდან დაბანილი ამოვიდა. განწმენდილი და ნაზიარები მისი სული სიკვდილთან შესახვედრად უკვე მზად იყო. ლორიკის სახესაც ღიმილი გადაკვროდა, როცა ის მუხანათის გასროლილმა ტყვიამ იმსხვერპლა. ეტყობოდა, რომ სიკვდილამდე ერთი წამით ადრე, ღვთის წინაშე წარსდგა. ჩვენ ყველამ, ვინც ჭუბერის გოლგოთა გამოვიარეთ, ბედისწერამ სიცოცხლეშივე გამოგვატარა ჯოჯოხეთს. მჯერა აღდგომა ახლოსაა. ერთადერთი და უპირველესი, რაშიც დავრწმუნდი – ყველგან და ყოველთვის, შენთან არის სიყვარული, ანუ მაცხოვარი!

უკვე მეც ასაკში შევდივარ. ყოველ ღამე მესიზმრება და მელანდება ჩემი აფხაზეთი, ჩემი დრანდა და ფშაფი. ჩვენი ეზო მეზმანება, ეზოში კოინდარი. სახლი დამწვარია, სახლის უკან ვაზია მსხმოიარე, მტევნები დაკრეფასა და დაწურვას ითხოვენ, თითქოს მამა დგას სამზადის წინ და მოლოდინით სავსე თვალებით, ჭიშკრისაკენ იყურება. ვიცი, ჩვენ გველოდება, თავის ნაგრამს. მაგრამ ოცდაათ ვერცხლს დახარბებულმა შურმა და ღალატმა, იუდასა და კაენის სულმა იმძლავრა ჩვენში. მამული, ენა, სარწმუნოება შეგვიგინეს მანქურთებმა და მარიონეტებმა. და მაინც, ეს ჩვენი გზაა, გზა ქართლოსიანთა, გოლგოთის გზა... გზა ცოდვათაგან განწმენდისა და სულიერად ამაღლებისა, გზა ქრისტესი, გზა დაცემისა, ჯვარცმისა და უცილობელი აღდგომისა...

მზე ამოდის... დიდი, ვეებერთელა მზე. სითბოდ და სიყვარულად, იმედად მეღვრება გულში.



მურმან ხურცილავა

მგლები

(ნაწყვეტი რომანიდან)

...მეორე დღეს ჩვენი ქალაქი ერთბაშად ჯოჯოხეთში მოექცა. „გრადი“, „ურაგანი“, „აკაცია“, „ალაზანი“ – ეს ლამაზი, სიკვდილის მთესველი სახელები მაშინ გავიგონე პირველად – გვიშენდნენ და გვიშენდნენ, ხან ცალ-ცალკე, ხან ყველა ერთად, არც ჩვენები ჩამორჩებოდნენ – მთისძირა ტყის მასივში შემალული ქვემეხები გამაყრუებელი გუგუნით აგრუხუნდებოდნენ და გუმისთის მიმართულებით გამანადგურებელ „ამანათებს“ აგზავნიდნენ, თან გვაიმედებდნენ, რომ განწირულნი არ ვიყავით, რომ ჩვენც ვიღაც გვიცავდა. ცოტა ხანს სროლა შეწყდებოდა, ზათქი მიწყნარდებოდა, ისე ჩანდა, თითქოს ამგვარი მეხთატეხვის შემდეგ მოწინააღმდეგე მხარეს ქვა ქვაზე არ უნდა დარჩენილიყო, მაგრამ არა – ცხრათავიანი ურჩხული კვლავ ცეცხლს აფრქვევდა, ქარაშოტი კვლავ ამოვარდებოდა, წივილი და ზუზუნი ისევ და ისევ გრძელდებოდა, ყველაფერი თავიდან იწყებოდა, მიწას ბუღი ასდიოდა და ზანზარებდა.

ხევის გაღმა ფერდობს შეფენილი სოფელი იწვოდა. ქალაქშიც გაჩნდა ხანძარი, კვამლი და მტვერი ერთმანეთში აირია, რამდენიმე ჭურვმა ჩემს სახლს გულისგამაწვრილებელი სტვენით გადაუფრინა და მეზობლის ეზოში აფეთქდა.ჩემთან მინები ჩაილეწა. მეზობლის სახლი ჩიჩილაკივით აბრიალდა. შიფერს ტკაცატკუცი გაჰქონდა. შიში უფრო და უფრო ძლიერდებოდა, ყველანი პირველ სართულზე, სააბაზანოში შევიყუჟეთ, კედლის ერთი მხარე დაუცველი იყო, დრო ვიხელთე და გარედან რკინის ფურცლები ავაფარე, მორები და ფიცრები მივაყუდე. ნამსხვრევებისგან კი დაგვიცავდა, მაგრამ ახლო აფეთქებას ეგ რას უშველიდა?..

უცებ, ჭიშკართან ძახილი მომესმა. „ვინაა და რა უნდა ამ ჭექა-ქუხილში, ვერ შეიცადა დალოცვილმა?“ გამოვიხედე, კირილე იყო. მანქანაში ქალიშვილი ეჯდა. აქ ვერ ძლებს, სოფელში ჩავიყვან და დღესვე დავბრუნდებიო, მომაძახა. მანქანა ადგილს მოწყვიტა და სწრაფად დაეშვა დაღმართზე.

სოფელში ვითომ სიმშვიდე იყო? რა იფიქრა? სად მიდიოდა? ბოევიკთა ცალკეული ბანდები უკვე ქალაქში დაძრწოდნენ. ჩვენი ქუჩის ბოლოს მცხოვრებ მარტოხელა ქალს ყელი გამოღადრესო, გავარდა ხმა. ერთს ოთახში ხელყუმბარა შეუგდესო. მეორის სახლს ქუჩიდან ანთებული მაშხალა ესროლეს და ცეცხლი წაუკიდესო, ესეც გავიგე. ბევრ რამეს ყვებოდნენ გაუგონარსა და დაუჯერებელს. ადრე, გაგრაში რომ შემოიჭრნენ, თურმე, ერთი შავწვერიანი ბოევიკი განსაკუთრებული სისასტიკით გამოირჩეოდა. დაუნდობელი ვინმე ყოფილა, სოფლებს აწიოკებდა და ცოტა ვინმე თუ გადაურჩა მის რისხვას... „აბრეკხანად“ მონათლეს და მისი ნამდვილი სახელი არც ახსოვდათ.

შინ გაჩერება უკვე შეუძლებელი იყო. ცოლ-შვილი და დედა ასთამურის კარს მივაყენე, თუ ძმა ხარ, მიშველე, როგორმე შეგვიფარე-მეთქი. დიდი სიხარული არ გამოუხატავს, – განა არ მესმის? თვითონაც კანკალებდა, – მაგრამ ბუნებით ზრდილობიანი კაცი გახლდათ და უარი არ უთქვამს. იატაკზე სარდაფში ჩაჭრილი კარი ასწია და ჩემიანები მოკლე კიბით, ერთმანეთის მიყოლებით, შიგ ჩალაგდნენ. ცოტა ხანში მეც მათ შევუერთდებოდი. ასთამურმა ზედ ნოხი დააფარა, მაგიდა მიაჩოჩა, სკამებიც შემოალაგა და ამგვარად სარდაფის კვალი წაიშალა. მე და ასთამური გარეთ გამოვედით თუ არა, ელდა მეცა – მის ჭიშკარს ორი ავტომატიანი ბოევიკი მოადგა.. ვინა ხართო, მოგვაძახა ერთმა მათგანმა. მე არ დამიმალავს, მოვახსენე ვინც ვიყავი. ასთამურმაც აუხსნა ვითარება, ჩემი ძმები იბრძვიან, მე კი, ხომ ხედავთ, რა მჭირსო, მიანიშნა ჭრილობაზე. სხვა ვინმე თუა

სახლშიო, არ გვეშვებოდა ის ერთი. არაო, ასთამურმა. მეც მარტო ვარ, ცოლ-შვილი გახიზნულია-მეთქი, ვიცრუე. ჩემმა ნათქვამმა თავად შემაშინა, ვიგრძენი, რა ცეცხლსაც ვეთამაშებოდი. ბოევიკმა, ალბათ, ირწმუნა ჩვენი სიტყვები და, თითქოს საქეიფოდ გვეპატიჟებაო, მშვიდად მოგვმართა, შტაბში წამობრძანდით, იქ ზოგიერთ წვრილმანს გავარკვევთ და მალე გამოგისტუმრებთო. ტანში გამცრა, რა ეშმაკმა მიბიძგა გარეთ, მეც რად არ ჩავეგდე სარდაფში-მეთქი, თავს ვიწყევლიდი, მაგრამ უკვე გვიან იყო – გვერდში ამოგვიდგნენ და შტაბისკენ გზას გაგვიყენეს. გზატკეცილზე გავედით, მერე კი აღმართს ავუყევით. ქუჩის გასწვრივ ჩამწკრივებულ ქართველთა სახლებიდან უცხო საუბარი და ღრიანცელი მოისმოდა. ისინი უკვე ბოევიკებს დაეკავებინათ. კიდევ ცოტა ხანი ვიარეთ. ჩემთვის აღმართზე ჩიქჩიქი იოლი არ იყო, მაგრამ რა უნდა მექნა ავტომატმომარჯვებულ ყაჩაღებთან, რომელთაც ვინ იცის როდის რა მოეპრიანებოდათ, წუწუნს ხომ არ დავიწყებდი?!

ქუჩის მარჯვენა მხარეს, გზაჯვარედინზე, სწორედ იქ, სადაც სოფლის ზონა იწყება, ერთი ბერიკაცი ესახლა, ბიძად მეკუთვნოდა. მის ეზოში რამდენიმე კაცი შევნიშნე და ხმამაღალი საუბარიც მომესმა (შემდგომ შევიტყე, მოხუცი ავტომატით დაუცხრილავთ, სახლი დაუწვავთ, ძველებური მოფამფალებული ხის ოდა საცხოვრებლად არ გამოადგებოდათ. სახლები ასარჩევად ჰქონდათ). იქიდან, რატომღაც, საჩქაროდ მოგვაბრუნეს, ქვევით, ვიწრო და ოღროჩოღო ბილიკით ღელემდე ჩავედით და წყალგაღმა, პირდაპირ, ვიღაცის ეზო-კარს მივადექით. მე და ასთამური ღობესთან მიყუჟულ, ცარიელ, ჩაბნელებულ ფარეხში შეგვყარეს, თვითონ კი უზარმაზარი სახლის ქვედა სართულში შერგეს თავი. ეტყობოდა, იქ შტაბი ჰქონდათ მოწყობილი.

პირველ წუთებში გაბრუებულივით ვიყავი. არ მეშვებოდა ფიქრი: „ნუთუ განწირული ვარ?“ თან იმაზე ვდარდობდი, ვაითუ სარდაფს მიაგნეს... ვაითუ... თითქოს მიმიხვდაო, ასთამურმა ჩემი დამშვიდება სცადა:

– ნუ გეშინია, ისინი საიმედოდ არიან. ოღონდ ეგ არი, შიმშილი შეაწუხებთ.

– შიმშილს არა უშავს. საჭიროებისთვის რომ ამოვიდეს ვინმე? არც ჩვენი ამბავი იციან.

– როგორ ამოვლენ. ვერ ხედავდი, როგორ დავხერგე?

ღმერთო, რა დღეს მოვესწარი!

გარაჟის ვეება კარი გულისგამაწვრილებელი ჭრიალით გაიღო და დღის შუქი შემოუშვა. გამოდითო, გვიბრძანა ნაცნობმა ბოევიკმა და პატარა ოთახში შეგვიძღვა. მაგიდასთან წვერებიანი ახალგაზრდა კაცი იჯდა... მინახავს მიმინო, რომელსაც კლანჭებში მსხვერპლი მოუმწყვდევია და სისხლიან თვალებს აბრიალებს, სწორედ ასეთი თვალები ჰქონდა. იმ მზერას რა დამავიწყებს!

– შენ რატომ არ იბრძოდი? – უცებ ასთამურს ეცა.

– ვერა ხედავთ, რა მჭირს?! რომელი მეომარი მე ვარ! – ასთამურმა კვლავ თავისი „საბუთი“ მოიშველია.

– მაინც უნდა გებრძოლა, – ხმას აუწია წვერიანმა, – ჩვენთან ბევრია შენისთანა... ეს საპატიო მიზეზი არ არის. პასუხს აგებ.

ასთამურს სახეზე სიწითლემ გადაჰკრა.

– შეენ? – ახლა „მიმინომ“ თვალები მე მომაბჯინა – იბრძოდი თუ არა?

მე ავუხსენი, ავარიაში მოვყევი, დიდხანს საავადმყოფოში ვიწექი-მეთქი. ასთამურმა დამიდასტურა.

– შენ გაჩერდი. ცხვირს ნუ ყოფ!

ასთამურს ახლა სახე ლიმონის ფერი გაუხდა. წვერებიანმა კვლავ მე შემომხედა.

– მე შენ გიცნობ, მიტინგებზე მინახიხარ.

– კი, დავდიოდი. იქ აფხაზეთზე საუბარი არ ყოფილა.

– იყო, განა არ ვიცი!

მართლაც, როგორ არ ეცოდინებოდა, აკი ვთქვი, აქა-იქ შეგზავნილი მსტოვრები ყურდაცქვეტილები იდგნენ და რაც მიტინგებზე ითქმებოდა, მიარბენინებდნენ საცა საჭირო იყო. მინახიხარო, გამოდის, თვითონაც იქ ტრიალებდა... მეც კვერი დავუკარი.

– უმნიშვნელო. ვინმე შემთხვევით თუ წამოიძახებდა, ძირითადად გამოსვლები სამხედრო გადატრიალებას, ხუნტას ეხებოდა.

– ამ კაცს თუ იცნობ? – უცებ სიტყვა შეაბრუნა და სურათი თვალში მატაკა.

– პირველად ვხედავ.

– ამას? ამას? -ფოტოსურათები მაგიდაზე მიმოფანტა.

არც ერთი არასოდეს არ მინახავ-მეთქი, მივუგე.

– კარგი! კარგი! გატყობ, არ ხარ პატიოსანი კაცი.

„ღმერთო ჩემო! ესეც რომ სიტყვას ძრავს პატიოსნებაზე!“ – გავიფიქრე ჩემთვის. თქმით, აბა, რას ვეტყოდი... ცოტა ხანს შეჩერდა, თითქოს რაღაც მოიფიქრა, მერე ხმას მეტი რისხვა ჩააყოლა და პირდაპირ მაჯახა:

– ცრუობ. ვითომ მატყუებ, არ გამოგივა. მაინც დაგხვრეტ!

ადგა, ხანჯალივით გრძელი დანა დააძრო, ფარდას ჩამოჰკრა და მოზრდილი ნაჭერი ჩამოახია. „ალბათ, ჩემი თვალების ასახვევად უნდა“. ისედაც შეჭაღარავებული თმა თითქოს სულ გამითეთრდა, ტანში გამაჟრჟოლა. ეჭვი არ გამიმართლდა – იმ ნაჭრით თავი წაიკრა,

თანამებრძოლი, ჩვენი ნაცნობი, იხმო და გაიყვანეო, ჩემზე უბრძანა.

– შენ კი მოითმინე! – ასთამურს შეხედა.

მე ისევ ფარეხში შემაყუდეს. რამდენიმე ხნის შემდეგ ასთამურმა კარების ღრიჭოდან შემომძახა, ნუ გეშინია, არაფერს დაგიშავებენ, მე მალე მოვბრუნდებიო, და წავიდა. ალბათ, გაუშვეს.

დაშავებით მართლაც არა დაუშავებიათ რა. იმ ერთი მუქარის გარდა, გინება და შეურაცხყოფა არ უკადრებიათ... დავრჩი მარტო. პირისპირ შევრჩი ჩემს ფიქრს, სიკვდილს, შიშს, სასოწარკვეთას. ო, რა ძნელია, რომ იცოდეთ! „დამხვრეტენ, არ დამხვრეტენ! იქნებ მძევლად ამიყვანონ და მერე ვინმეში გამცვალონ!“... ვემშვიდობებოდი ოჯახს, ახლობლებს... როგორ გავუძლო ამ მტანჯველ მოლოდინს? იქნებ, ჯობია აქვე გამისკდეს გული ამ ბნელ, რკინის დახშულ ყუთში, ამ გამზადებულ სარკოფაგში ამომხდეს სული, ვიდრე ამათ დამახალონ ტყვია?!“ ღრიჭოში შემოსულ შუქზე კუთხეში მიყრილი ქაღალდის ტომრები შევნიშნე. გადავწყვიტე გამოსათხოვარი წერილი დამეწერა, დასახვრეტად გამზადებული კაცის წერილი, ჯიბეები მოვიქექე, მაგრამ ერთადერთი დაჟანგული ლურსმნის გარდა, ვერაფერი აღმოვაჩინე...

ამასობაში კარმა კვლავ გაიჭრიალა. ჩემს ზემოთ, მთის ძირას მცხოვრები რუსი გენა კონდახის ცემით შემოაგდეს. საცოდავს ცხვირ-პირი სულ დასისხლიანებული ჰქონდა, გამიკვირდა, რუსებს და სომხებს ისინი ხელს არ აკარებდნენ, გენას რაღას ერჩოდნენ-მეთქი.

– კი, მაგრამ, შენთან რა უნდოდათ? – გენა ლაპარაკის გუნებაზე არ იყო, ნაიარევს ხელს აფარებდა და „Боже мой, Боже мой“-ო, ოხრავდა. ამგვარად ტკივილს იმსუბუქებდა. დიდხანს პასუხი არ გაუცია, მერე თავი ასწია და შემომხედა:

– საიდანღაც გამოუჩხრეკიათ, რომ სიძე მყავს ქართველი, იმიტომ მცემეს. ეს თუ მაკმარეს, კიდევ ჰო!

გენას, ჩვენს უბანში, გამრჯე კაცის სახელი ჰქონდა. ბოლო ხანს, როცა ნახა, რომ ცხოვრება სულ უფრო და უფრო ძნელდებოდა, ღორების მოშენებას მიჰყო ხელი. მაღლა, განმარტოებით ცხოვრობდა, თვალისგან მოშორებით, და თავის საქმეს მშვენივრად უძღვებოდა. ისეთი ტახები ჰყავდა, მგელს დაგლეჯდნენ. ვეებერთელა ჯიშიან დედა ღორს სხეულის ტარება უმძიმდა. გენას, ალბათ, თავისი მუყაითობის გამო, ყველა აფასებდა და პატივს სცემდა. ახლა რომ გასისხლიანებული შემომიგდეს „საკანში“, შემებრალა კიდეც. ჩემს წინ ჩასკუპდა და ჭრილობაზე თუთუნი მომაყარეო, მთხოვა. გამეგონა, ეგ ვერაფერი წამალი იყო, მაგრამ სხვა საშუალება რაკი არ გაგვაჩნდა, სიგარეტი გავტეხე და თამბაქო იარაზე უხვად მოვაყარე. სისხლისდენა თითქოს შეწყდა. ცხვირსახოცი დაიფინა და კარგა ხანს ასე ეკავა.

გენას გამოჩენა, ერთის მხრივ, მეამა, ხმის გამცემი მაინც მყავდა, სხვა მხრივ, შიში გამიძლიერა – თუკი რუსებს არ ინდობდნენ, ჩემი შველა ხომ არ იქნებოდა. ისევ და ისევ თავს ვიწყევლიდი, დროზე რომ არ გავეცალე აქაურობას, სასწორზე შევაგდე ცოლ-შვილის ბედი, საკუთარი სიცოცხლე. დანაშაულს ვგრძნობდი, მაგრამ უკვე გვიან იყო! გენა რომ დამშვიდდა, სამწუხარო ამბავი უნდა გითხრაო, ახლოს მომიჩოჩდა. გულმა რეჩხი მიყო...

კირილე სოფლიდან, რომელიც არც ისე შორს – აეროპორტის მიდამოებში მდებარეობდა, უკან რომ ბრუნდებოდა, სახლამდე არ მისული, მოსახვევში ჩასაფრებულ ბოევიკებს დაუჭერიათ, მანქანიანად გაუტაცნიათ და სადღაც ხრამში ჩაუცხრილავთ.

თითქოს თავში ურო ჩაერტყათ, ისე დამეცა ეს ამბავი, ქალიშვილი ვის შეატოვა ნეტავ?! სოფელში ძმა ეგულებოდა, მაგრამ ვინ იცის, შინ დახვდებოდა თუ არა, იქნებ, სახლი დიდი ხნის გამოკეტილი იყო? საცოდავი კირილე! აი, დაუდევრობისა და უგნურების კიდევ ერთი მსხვერპლი! განა არ შეეძლო დროზე გადასულიყო, ადრე გახიზნული ცოლისა და შვილიშვილების კვალს გაყოლოდა?! სადმე თავი შეეფარებინა?! სადმე, სადმე, ოღონდ სხვაგან! თუნდაც ფეხით გადგომოდა გზას მეუდაბნოე მწირივით, ამ ტყვიის დელგმას ხომ განერიდებოდა, სიკვდილს ხომ გადაურჩებოდა?! არა, მოხუცს ვინ რას მერჩისო, ვისთვის რა დამიშავებიაო, ამგვარად სჯიდა მისი გონება. ბევრს, ძალიან ბევრს, მათ შორის მეც, კარგად არ ჰქონდა გათვითცნობიერებული და შეგნებული, რა საშინელი ძალა მოდიოდა, რა წამლეკავი ტალღა მოგორავდა. და ამ ძალასთან აგდებული დამოკიდებულება მიუტევებელი შეცდომა იყო. ეჰ, კირილე, კირილე! წინ იხედებოდა, თავის სასარგებლოდ ანგარიშობდა და გეგმას აწყობდა. ერთი სირაქლემასავით ინდაური ჰყავდა, შვილივით უვლიდა, საკენკს რომ არ მიეკარებოდა, მუხლებში მოიმწყვდევდა და ჩიჩაყვში ტენიდა. ცხოვრება რომ დალაგდება, დავკლათ და მაგრად შევუბეროთო, მეტყოდა, შენი ღვინო და ჩემი ინდაურიო (ჩემი ღვინო თავისას ერჩია). ა, გესმით?! კაცი ბჭობდა და ღმერთი იცინოდაო, სწორედ ამაზეა ნათქვამი. იმას კი არ წუხდა, ომს გადაურჩებოდა თუ არა, ან ომის შემდეგ რა მოხდებოდა, არამედ იმ იმედით ედგა სული, რომ ხვალ-ზეგ ქარიშხალი ჩადგებოდა და ცხოვრება, როგორც ნაპირებიდან გადმოსული მდინარე, თავის კალაპოტს დაუბრუნდებოდა. განა ეს სიბრიყვე არ იყო?! განა მეც ასე არ დამემართა?!

გენამ შეშფოთება შემატყო:

– შიში ნუ გაქვს, ყველაფერი მოგვარდება, გამაგრდი, არ იფიქრო ამაზე.

გამაგრდიო, სათქმელად ადვილია.

არ ვიცი, ეს წამება რამდენ ხანს გაგრძელდა – ერთი საათი, ორი, სამი, ხუთი... მოსალოდნელი აღსასრულის, განუწყვეტელი შიშის განცდა... ჩვენამდე სროლის ხმა და კანტიკუნტი აფეთქების ხმა აღწევდა. ერთი ნაღმი სადღაც სულ ახლოს აფეთქდა. ჩვენები უკან იხევდნენ და ჭურვებს არ იშურებდნენ. ყურთასმენის წამღები ზათქი რომ მიწყნარდა, გარკვევით გავიგონე: „Сова! Сова! Я орел!“ ცხადი იყო, რადიოგადამცემის საშუალებით რაღაც მნიშვნელოვან ცნობას აწვდიდნენ ერთმანეთს,„Понял 27,“ „27-27“... აქ ლაპარაკი შეწყდა. 27, – ჩემი ვარაუდით, იერიშის დაწყების თარიღს ნიშნავდა. „დღეს 26 სექტემბერია... ე.ი. ხვალ! რა ვქნა! რომელ ჭერს ვატაკო თავი? უნებლიეთ მტრის საიდუმლო ამოვხსენი. როგორღა მივაწვდინო ჩვენებს?“ ყველა გზა მოჭრილი მქონდა. უმწეობამ ბოლო მომიღო. „იქნებ ეს თარიღი უკვე არავისთვის არ არის საიდუმლო? ანდა, რომც აუწყო, ამით საბოლოოდ გაფუჭებულ საქმეს ვითომ ეშველება? ვითომ ჩვენები ერთბაშად გალომკაცდებიან და თავად შეუტევენ?“ რა დიდი ჭკუა-გონება უნდოდა იმის მიხვედრას, რომ ქალაქი მალე დაეცემოდა და მტკიცება – საზღვარი ისეა დაცული, ჩიტიც ვერ გაიჭაჭანებსო – ძილისმომგვრელ ზღაპრად დარჩებოდა.

ჩემი ჩამწარებული ფიქრი ფარეხის კარის ჭრიალმა დაარღვია. ნაცნობმა ბოევიკმა შემოალაჯა. უკან ასთამური მოჰყვებოდა. ასთამურის თვალებში იმედისმაგვარმა ნაპერწკალმა გაიბრწყინა. ოდნავი ღიმილიც გამოკრთა. ხომ არ მეჩვენება?

– გამოდი! – წამოისროლა უცებ ბოევიკმა, – ჩქარა მოუსვი აქედან, თავისუფალი ხარ...

„თავისუფალი ხარო“... ისეთი სიმსუბუქე ვიგრძენი, თითქოს წონა დავკარგე და საცაა ბუმბულივით ავფრინდებოდი, ბოევიკის შემდგომი სიტყვები ძლივს მესმოდა:

– ერთად წადით, ფრთხილად იარეთ, გზაზე არავის გადაეყაროთ... მიხვალ თუ არა (ეს მე მეხებოდა), ტელეფონი გადაჭერი... შევამოწმებ. თუ არ გადაგიჭრია, ვაი, შენს დღეს....

– კი, ძმაო, რა ჭირად მინდა ტელეფონი! -ჩემდაუნებურად მივუგე. ანდა რამ მათქმევინა „ძმაო“, მოულოდნელმა სიხარულმა ამჩატება იცის.

გენაც წამოდგა, წელში გასწორდა, შარვალი ჩამოიფერთხა, უკვე ჭრილობაც არ ახსოვდა, ხომ გეუბნებოდიო, ჩემს გასაგონად ჩაილაპარაკა.

– შენ დარჩი! – ბოევიკის ბრძანებამ გენას ცივი წყალი გადაასხა, გუნებაწამხდარი ადგილზე გაშეშდა.

მე და ასთამური შინისკენ გზას დავადექით, წელში მოხრილები ღობე-ღობე მივდიოდით, ახლომახლო ნაღმები სკდებოდა და ვითომ თავს ვარიდებდით. მერე გზიდან გადავუხვიეთ, ოთხსართულიანი შენობების გასწვრივ მდებარე ბოსტნების დაბალ ზღუდეს ზედ ვახტებოდით და ამგვარად ბილიკზე გავედით.

ასთამურს, ვიდრე გარაჟში ამომაკითხავდა, სარდაფში ჩემიანები დაუმშვიდებია, როგორც თვითონ თქვა. „მოუსულიერებია“, ბოევიკებთან ჩვენზე თბილი სიტყვა არ დაუშურებია,ხელს მიმართავდნენო, არც ეს დავიწყნია. მოკლედ, „მოურბილებია“ ისინი. თუ ასეა, ჯანდაბას, გაუშვითო. სწორედ იმას შევუწყალებივარ, ვინც შუბლში ტყვიას მპირდებოდა... თვითონ ასთამურს რა უთხრეს და რა პირობით გაისტუმრეს, ამაზე სიტყვა არ დაუძრავს.

როგორც იქნა, სახლამდე მივაღწიეთ. მაშინვე სარდაფში ჩავეშვი და ყველას სათითაოდ გადავეხვიე... თურმე, არ ეგონათ,ცოცხალი დავბრუნდებოდი, სიხარულის ცრემლებს ვერ იკავებდნენ...

ასთამური, როგორც იტყვიან, ჩვენი პაპა და ნათლია გახდა. პური და რამდენიმე ნატეხი შაქარი გაეხერხებინა და ჩამოგვაწოდა. ძველებური გრაფინით წყალიც მოაყოლა. გვიან ღამით თითო-თითოდ საჭირო ოთახში გაგვიყვანა. თვითონ დადგა ყარაულად -შიშობდა, ვინმეს არ ეგუმანა, ქართველებს ხელს რომ აფარებდა... იმ ბოევიკს ხომ შეეძლო შეემოწმებინა, შინ ვარ თუ არა და ჩემი უეცარი გაუჩინარების მიზეზი ამოეცნო? ვიდრე კარს დაკეტავდა და დახერგავდა, გადავწყვიტე ჩემი ეჭვი ასთამურისთვის გამეზიარებინა:

– ვინმემ რომ გკითხოს, რას ეტყვი? იქნებ, ჩემთან ჯობია?

– ამაღამ დარჩი, ხვალ რამეს მოვიფიქრებ. საცაა ჩემი ძმები გამოჩნდებიან. ისინი სამშვიდობოს გაგიყვანენ. აქ გაგიჭირდებათ. ვინ იცის, რა მოხდება, – ასთამური ნამდვილად ზრუნავდა ჩვენზე და ყოველნაირად ცდილობდა, ამ გაჭირვებიდან გამოვეყვანეთ, თანაც, რა თქმა უნდა, საკუთარ თავზეც ფიქრობდა. საიდუმლოდ გაეგოთ, უტყუარი სიკვდილი ელოდა.

სარდაფში სივიწროვე იყო. კედელს დატანებული ჭვრიტინა – მცირე საჰაერო ხვრელი – სარკმლის მოვალეობასაც ასრულებდა. ხანდახან სუნთქვა გვიმძიმდა. უსაშველოდ გრძელი მეჩვენა ის ღამე. არა და არ იქნა გათენება. ბოლოს და ბოლოს მაინც დაიხია უკუნმა, ჭუჭრუტანიდან ალიონის სიომ და შუქმა გაუბედავად შემოაღწია. ოდნავ სული მოვითქვით. ასთამურს ველოდი, დილით უნდა მოსულიყო, ასე გვქონდა დათქმული, მაგრამ არ ჩანდა, რატომღაც იგვიანებდა, ეჭვმა გამკრა „ხომ არ დაემართა რამე? ანდა სინდის-ნამუსზე ხომ არ

აიღო ხელი? არა, ეს არ მოხდება... მაინც რამ მაფიქრებინა?..“ ცოტაოდენი პური გვქონდა, შიმშილი არ გვაწუხებდა. თურმე, ამგვარ ყოფაში ადამიანს ეს გრძნობაც უჩლუნგდება, ვისა აქვს ჭამის თავი! ბიჭები სხვა რამეს ვერ ითმენდნენ – ბუშტები ებერებოდთ.

– კუთხეში მიდექით და მიაფსით, ჩვენ თვალებს დავხუჭავთ, – ყველას გაეცინა. ეს იყო პირველი სიცილი ამ ხნის მანძილზე, ამ ჯოჯოხეთში.

ალბათ, შუადღე იქნებოდა,ზემოდან დახერგილი ნივთების ბრაგუნი ატყდა. გულისფანცქალით ველოდებოდი, როდის აიხდებოდა ხუფი... აჰა, ახადა, აჰა, გამოჩნდა. მოვიდა ჩვენი მხსნელი და გადამრჩენელი... ასთამური პურზე წასულიყო და ამიტომაც შეგვიანებოდა. ერთი მრგვალი პური მომაჩეჩა, რომლის ფერს ვერ გაარჩევდი, მაგრამ ერთბაშად ჩვენი დახშული სარდაფი ნაცნობმა და უკვე გაუცხოებულმა სურნელებამ აავსო...როგორ შეიცვალა, როგორ შეტრიალდა გარემოება!..

დღეც ნამეტანი გაიწელა. იქნებ, ამ ქვესკნელში სხვანაირია დღისა და ღამის საზომი? იქნებ, მე მეჩვენებოდა ასე? ის იყო ღამემ გაშალა ყორნის ფრთები და გარემოს გადაეფარა, ავტომატების ჯერი, თოფების ბათქაბუთქი და პისტოლეტების კაკანი მოგვესმა. „სარკმელში“ თავს ვერ გაყოფდი, იმ ჩარჩოდან მაინც გავხედე ცას, რომელიც სააღლუმო რაკეტებს გაენათებინა! მორჩა! ამით დამთავრდა ყველაფერი – წლების განმავლობაში ნათრევი გრძნობები – „ძმობა“, „მეგობრობა“, „ნათესაობა“, ფუჭად გაწეული ზრუნვა და ამაგი, კეთილი ნაბიჯის გადადგმის წადილი და მეცადინეობა, ყოველივეს მსუყე წერტილი დაესვა. ისინი გამარჯვებას ზეიმობდნენ!... კედელს მოვშორდი და ვიგრძენი, ლოყაზე როგორ ჩამომიგორდა ობოლი ცრემლი.

– ვაი ჩვენს პატრონს! – ჩუმად, გულში კი არა, ყველას გასაგონად ამოვაყოლე შხამსა და ნაღველს. დედა, როგორც ყოველთვის, ტიროდა და მოთქვამდა. ნატაც მას შეუერთდა. ბიჭები კი გასუსულები ისხდნენ...ყველასთვის აშკარა იყო, რომ გასრულდა ჩვენი იქაური ცხოვრება და, თუ გადავრჩებოდით, სხვა გზა უნდა გვეძია ამ დუნიაზე. დაეცა ჩვენი საყვარელი ქალაქი. ჩვენი მშველელი არავინ აღმოჩნდა, მარტონი შევრჩით აგორებულ ტალღას, სიცრუეს, ღალატს, ორგულობას, განუკითხაობას, საკუთარ დოყლაპიობას და, ცხადია, ვიწვნიეთ ის, რაც უნდა გვეწვნია: მარცხი, შერცხვენა და გაბითურება...

მძიმე ნაბიჯების ხმამ და ხორხოცმა სარდაფშიც ჩამოაღწია. ისევ შიში და გულისფანცქალი. ისევ მტანჯველი მოლოდინი, ვიდრე სარდაფის ახდილ კარში ასთამური არ ჩამოყოფს თავს. მადლობა ღმერთს, ამჯერადაც ის იყო! ყველანი ამოლაგდითო, ჩამოგვძახა. თურმე მისი ძმები დაბრუნებულიყვნენ და ხმაურიც ამას გამოეწვია. ასთამურს ძმებისთვის ვითარება აეხსნა და ისინიც ჩვენდამი კეთილად განეწყვნენ. თუმცა, სიმართლე ითქვას, ჩვენს შორის არც მანამდე ყოფილა წვრილმანი მეზობლური დავა, ერთ დიდ ოჯახად მცხოვრებ ძმებთან ჩვენ თბილი ურთიერთობა გვქონდა.

ცოტა ხანში სუფრაზე მიგვიწვიეს. ყურადღებას არ გვაკლებდნენ, ერთგვარი დაძაბულობა მაინც იგრძნობოდა. სუფრას მადლი აკლდა, ვისხედით და ვილუკმებოდით... დამშეულ ტყიურს რომ შეიფარებ, ის ბოლომდე მაინც არ გენდობა, დაფეთებულია და საკვებს შიშით არ ეკარება. მე ფანჯარასთან ვიჯექი და ცალი თვალი ჭიშკრისკენ მეჭირა. ვინმე უცხო რომ მოდგომოდა, სარდაფში უნდა ჩაგვესწრო. შუათანა ძმა, ჯუმკა, მიმიხვდა გასაჭირს:

– სანამ ჩვენთან ხართ, ხელს არავინ დაგაკარებთ.

– სიფრთხილეს თავი არ სტკივა.

ჩემს წინ, მათი სიძე, ბათალი, იჯდა. ვიდრე სუფრას ვუსხედით, მის სახეზე ღიმილი არ შემინიშნავს, ხმაც არ ამოუღია, სულ დაბღვერილი იყო. მას ადრეც ვიცნობდი, გულგაშლილობით არასდროს გამოირჩეოდა, ისეთი გამოხედვა ჰქონდა, თითქოს ნიადაგ ვიღაცას ემდუროდა. ახლა კი სულ მოჟამული ჩანდა. ალბათ, ომმაც მოახდინა გავლენა. გაღიზიანებული მხეცივით იმზირებოდა, მუდამ რომ მზადაა მსხვერპლს ეძგეროს და ნაფლეთებად აქციოს. ხან მე მომაბჯენდა გამჭოლ თვალებს, ხან – ჩემს ბიჭებს. აშკარად ეტყობოდა, ჩვენი იქ ყოფნა სულაც არ ეჭაშნიკებოდა, ბრაზი ახრჩობდა, თავს ძლივს ერეოდა, რომ შხამი არ გადმოენთხია. პირთან ლუკმას რომ მიიტანდა, კუპრივით შავი, წვრილიანი წვერიდან ჩოღერა კბილებს გამოაჩენდა.

არც მაინცდამაინც გამარჯვებით გამოწვეულ სიხარულს იმჩნევდა, თითქოს ყოველივეს, რაც მის გარშემო ხდებოდა, გულგრილად უყურებდა. არა, იქნებ, ასე ჩანდა გარედან, გულში კი რა ედო, ან თავში რა აზრი უტრიალებდა, ეშმაკმა იცის. აი, ძმები აღფრთოვანებას ვერ მალავდნენ. მათი ქცევა, საუბარი, ზოგჯერ გადამეტებული, თითქმის ბავშვური აცეტება იმაზე მეტყველებდა, რომ ცხოვრებაში მომხდარ ცვლილებას ისე უყურებდნენ, როგორც ღვთისგან ბოძებულ სიკეთეს, ცის მანანას, ჭეშმარიტების ზეიმს, და ისეთი ჟამი ედგათ, როცა ადამიანს უნებურად სიმღერა მოუნდება, ანდა ცეკვის გუნებაზე დადგება. ცდილობდნენ, ჩემთან თავი შეეკავებინათ, მეზობლის ყადრიც გაეგებოდათ, მაგრამ მათი პოლიტიკური შეხედულება არაფრით განსხვავდებოდა სხვა, უფრო რადიკალურად მოაზროვნეთა შეხედულებისაგან.

ასე, რომ ჩვენ „იდეოლოგიური მოწინააღმდეგენი“ ვიყავით. ჩემი ეჭვი გამართლდა – ვიღაცამ ჭიშკარი ჯიქურად შემოაღო, სახლს მოუახლოვდა და დაიძახა: „ჯუმკა, ჯუმკა!“

წამოდგომა დავაპირე, მაგრამ ჯუმკამ შემაჩერა, დარდი ნუ გაქვს, ჩვენიანიაო, ჩაილაპარაკა, ჩქარა გავიდა და მოსულს მიეგება. ეს ისე სწრაფად მოხდა, რამე სახიფათოც რომ ყოფილიყო, სარდაფში მაინც ვერ ჩავასწრებდით.

შემოსულმა – აბრეკხანი მჭირდებაო (სწორედ „აბრეკხანი“ ახსენა, კარგად გავიგონე და გულში ტყვიასავით მომხვდა), სათქმელი მაქვს, გარეთ გამოვიდესო. ჯუმკამ ოთახში შემოიპატიჟა, მაგრამ იმან უარი თქვა, ქვემოთ კაცი მელოდებაო.

ჯუმკა ბათალს მიუახლოვდა, დაიხარა, ცხვირი ყურს მიაბჯინა. ბათალი ადგა და კარში მიიმალა.

ამ ერთ წუთში ფერი, ალბათ, ცხრაჯერ მეცვალა, ცივი ოფლი ქეჩოდან კოჭებამდე ჩაცურდა. გატრუნული ვიყავი, საკუთარი სუნთქვის მეშინოდა. წარმოგიდგენიათ, ჩემს წინ თავად აბრეკხანი იჯდა! სწორედ ბათალი აღმოჩნდა ის განთქმული ყაჩაღი, შიშის ზარს რომ სცემდა ადგილობრივ მოსახლეობას! მოულოდნელობამ ერთბაშად გამაოგნა, გაურკვეველი, უჩვეულო გრძნობა დამეუფლა. რატომღაც აბრეკხანი (უჩვეულო მეტსახელის გამო) ჩრდილოეთ კავკასიის მკვიდრად წარმომედგინა, ეს კი, აგერ, ჩემი კაი ხნის ნაცნობი არ ყოფილა?! მოდი და სასწაულს ნუ დაიჯერებ!

ბათალი მალე შემოვიდა, თავის ადგილას მოთავსდა და ხორცის მიტოვებულ ვეება ნაჭერს მიუბრუნდა. სახეზე რამე ცვლილება არ ეტყობოდა, ალბათ, რაღაც თავიანთი „საიდუმლო საქმე“ აქვთ, გავიფიქრე და თანდათან შიშიც დავძლიე.

როცა წამოვიშალეთ და სამზადისკენ გავემართეთ, რათა ჩვენს „ბუნკერში“ ჩავცვენილიყავით, ოთახიდან გაცხარებული საუბარი წამოგვეწია. ბათალი ასთამურს უყვიროდა, ხმას უფრო და უფრო უწევდა, ასთამური ზოგჯერ თუ ჩაურთავდა სიტყვას. ჩუმად პასუხობდა, თითქოს დარცხვენილი იყო და სიძის წინაშე თავს იმართლებდა. სამწუხაროდ, მათი ენა არ მესმის, მაგრამ, როგორც ჩვევიათ, საუბარში რუსულ სიტყვებს ურევდნენ და მივხვდი, რაზედაც კამათობდნენ. ცალკეული გამოთქმები გამოვიჭირე: „Риск“, „Опасно“, „С ума сошел“, Завтра, завтра“. კბილჩოღერას ჩვენ ვყავდით მიზანში ამოღებული, ასთამურს იმის გამო კიცხავდა, რომ ჩვენ ხელს გვაფარებდა და ამით ყველას საფრთხეში აგდებდა. ბათალს, ანუ „აბრეკხანს“, როგორც ერთ-ერთი რაზმის უფროსს, ზურგი ჰქონდა და, ჩანდა, ცოლისძმები მორჩილებაში ჰყავდა. მისი ნათქვამი ასე გადმოვთარგმნე: „ხომ არ გაგიჟებულხარ. აქ მათი ყოფნა საშიშია ჩვენთვის, და ხვალვე აიბარგონო“. ასთამურის პასუხიდან მხოლოდ ორი სიტყვა ჩამწვდა: „Соседи“ და „ფხაშაროპ“, ე. ი. მეზობლისთვის უარი როგორ მეთქვა, სირცხვილიაო. ეტყობა, ეს გრძნობა ბათალს არ გააჩნდა...

გულმა რეჩხი მიყო: „ვაითუ დაგვასმინოს, ასთამური და მისი ძმები სულაც ფეხზე დაიკიდოს. არა, ასე როგორ დაეცემა!“

უკნიდან მოახლოებულ ასთამურს მივმართე, რა მოხდა, რაზე გედავებოდა-მეთქი.

– არაფერია. ნუ სწუხხარ, – შევატყვე არ სურდა სიმართლე ეთქვა ჩემთვის, მაგრამ არ მოვეშვი:

– ჩვენს გამო გიყვიროდა?

– ჰო.

– რას იზამს, ბიჭებს ხომ არ მოგვისევს?

– არა. სიტყვა მომცა. მაშინ ოდნავ მოლბა, როცა ვუთხარი, ერთხელ დავიდარაბას როგორ გადამარჩინე.

– „Завтра“ რას ნიშნავდა?

– ხვალვე გაიყვანეთო... ასე რომ, გაემზადეთ, ჯუმკა საზღვრამდე მიგაცილებთ.

გამოდის, ყველაფერი სწორად გამიგია.

ამ დროს ჯუმკაც შემოგვიერთდა და ჩვენს საუბარში ჩაერია:

– მისმინე, ჯონდი. აწი სარდაფი არ გჭირდებათ. აგერ არა ვართ? თანაც დრო ბევრი არ რჩება. გაემზადეთ და დილასვე გზას გავუდგეთ.ცოტა ხანი სხვაგან შეიცადეთ, ეს ტალღა ჩაივლის და მერე დაბრუნდებით. ასე ჯობია თქვენთვისაც და ჩვენთვისაც. რა იცი, იქნებ, გაუთვალისწინებელი რამ მოხდეს. აი, ხომ ხედავთ, კირილეს ვერ მივუსწარით...

სიმართლეს ამბობდა. სარდაფში სანამდე უნდა გვეყურყუტა? სულ ხიზნად და მეზობლის იმედით ხომ არ ვიქნებოდით? ვერც ესენი შეძლებდნენ დიდხანს ჩვენს მფარველობას. განა არ გამეგებოდა, რომ უკვე ზღვარს მივადექი, რომლის იქითაც დამამცირებელი ყოფნა იწყებოდა?! აწი მაინც ჩემი თავისთვის თავად უნდა მიმეხედა...

ნივთები ჩალაგებული გვქონდა. ნავსადგურიდან რომ დავბრუნდით, მას მერე მათთვის ხელი თითქმის არ გვიხლია. ჩატეხილ ფანჯრებს ფირფიცარი ავაჭედე, ფარღალალად ხომ არ დავტოვებდი. ის ღამე ჩვენს სახლში გავათენეთ, უკანასკნელი ღამე. ადრე დილით გასაღები კვლავ ასთამურს ჩავაბარე, სახლს მიმიხედე-მეთქი, მადლობის ნიშნად გადავეხვიე, და ყველანი მანქანაში შევეტენეთ... კისერი მომეღრიცა – სანამ მანქანამ არ მოუხვია, ჩემი სახლისთვის თვალი არ მომიშორებია...

...მშვიდობით, მშობლიურო სახლ-კარო, იშრიალეთ ჩემი ხელით დარგულო ხეებო, შრიალი თქვენი სუნთქვაა, ის თან მომყვება და საცა არ ვიყო, მაცოცხლებს და მასულდგმულებს. მშვიდობით, ეზოს თავზე დამხობილო ჩემი კუთვნილი ცის გუმბათო, ჩემო მთვარევ და მზეო, მოწკრიალე ვარსკვლავებო, ლეღვის ძირას მობიბინე ბალახო, ენძელავ, თებერვალში თოვლიდან მორცხვად თავს რომ ამოყოფდი და ნაზამთრალ გულს პირველი სიყვარულივით აათრთოლებდი...წინ გრძელი, უცნობი სახიფათო გზა მიდევს, სხვა ცის, სხვა მზისა და მთვარის, სხვა ვარსკვლავების საძებნელად მივდივარ,მშვიდობით, „გამახარელნო გულისა“!

მშვიდობით, ასთამურ, ჩემო კეთილო მეზობელო. წლები ისე ჩამოვიტოვეთ, ერთმანეთისთვის არ წაგვიყვედრებია შენი აფხაზობა და ჩემი ქართველობა. ჩვენ უამისოდაც კარგად ვგრძნობდით თავს, ვცხოვრობდით ისე, როგორც მეზობლებს შეეფერებათ. ნეტა, ყველა შენისთანა იყოს! მშვიდობით, ჩვენო გადამრჩენელო. ღმერთმა შენ გადმოგხედოს!..

დაღმართი რომ ჩავათავეთ და ფართო გზაზე გავედით, გენას მოვკარი თვალი, ჩემს „გარაჟელ მეგობარს“, მანქანიდან ხელი დავუქნიე, მაგრამ ისე გაფაციცებით მიდიოდა თავჩაღუნული და მხრებში მოხრილი, ირგვლივ, ალბათ, ვერაფერს ამჩნევდა, მხოლოდ გზას უყურებდა...

ჯუმკას დავეღრიჯე, თუ ძმა ხარ, შუქურის მიმართულებით წავიდეთ, დას გავუვლი, რახანია, არაფერი მსმენია-მეთქი.

– არა, იქით საშიშია... გაძლიერებული პოსტებია... თავი ხიფათში რატომ ჩავიგდოთ.

გავჩუმდი. რას ვეტყოდი. ბატონი ბრძანდებოდა და უნდა დავმორჩილებოდი... რკინიგზის სადგურს მივადექით, იქიდან აღმართს ავყევით და რუსეთისაკენ მიმავალ გზატკეცილს დავადექით. სატახტო ქალაქში ჩემი არმიელი ამხანაგი, საშა მეგულებოდა და ცოტა ხანს, სანამ ფეხს მოვიკიდებდი, თავშესაფარს არ დამამადლიდა. მით უმეტეს, რამდენჯერ მთელი ოჯახით ჩემთან ისვენებდა...

მანქანა უკვე ვაკეზე მიქროდა. ფანჯრიდან უკან ჩამოტოვებულ ბორცვებს, ფერდობებს, შენობებს გაოცებული ვაკვირდებოდი: ის ადგილები, რომლებიც წესით, ჩვენების გამოტყორცნილ ყუმბარებს ნაცარტუტად უნდა ექცია, აქაურობა უნდა გადაეწვა და გადაებუგა, ხელუხლებელი გამოიყურებოდა, არსად მათი ნაკვალევიც არ ჩანდა. მთვარეს ხომ არ უშენდნენ ის დალოცვილები!..

ჩვენს მძღოლს მანქანა ნელა მიჰყავდა. საზღვარს ისე მივადექით, არავის უკითხავს, ვინ ხართ და საით მიბრძანდებითო. საკონტროლო პუნქტთან აყუდებულ ავტომატიან ბოევიკს ჯუმკამ რაღაც ჩაულაპარაკა. იმან ამხედ-დამხედა, შუბლი შეიკრა და ბრაზით, ისე, რომ ჩემთვის თვალი არ მოუშორებია, ჯუმკას გასაგონად თქვა:

– ეს კაცი სადღაც მინახავს, შენი ხათრი, თორემ ყველას აქვე, კედელთან მივაყენებდი.

რაღა ყველგან „ნაცნობები“ მხვდებიან. ვინ ოხერია, არ ვიცი! კრინტი არ დამიძრავს, არც იმას დაუწყია ზედმეტი კირკიტი და გაგვატარა. აქეთ – რუსების საგუშაგოც შეუფერხებლად გავიარეთ.

ღმერთო, დაილოცოს შენი სახელი! ნუთუ სამშვიდობოს გავაღწიეთ? ნუთუ მშობლიურ ველ-მინდვრებთან ერთად, განუწყვეტელი შიშიც ჩამოვიტოვეთ? თითქოს წელში გავსწორდით, თავისუფლად ამოვისუნთქეთ, თითქოს მხრებიდან მძიმე ტვირთი ჩამოვიბერტყეთ... ერთად ვართ! ცოცხლები ვართ! მართალია, აცვენილ-გადახვეწილნი, უცხო ქვეყნის ხიზნები გავხდით, მაგრამ, მთავარია, ერთად ვართ! მთავარია, ცოცხლები დავრჩით!

ნანა ჯეჯელია

იაფოს ხუნდები

ნაომარ აფხაზეთში წლების მერე ჩასულისათვის, ნაცნობთან შეხვედრის სიხარულით გამოწვეული ემოცია უცებვე ჩაუკლავს კითხვას: – მუჟამ მეურქ იშო? (როდის ბრუნდები უკან)? და აღფრთოვანების წუთისთვის გაგრძელების საშუალება აღარ მიუცია. ეს კითხვა იმ დამოძღვრას ჰგავს, ამერიკიდან საქართველოში სულმოუთქმელად ჩამოსულს რომ დამხვედრია: რა ბედნიერი ხარ, აქედან დროზე რომ წახვედითო... თმაგაწეწილმა, სიხარულისგან გადარეულმა იაფომ, რომელიც გალში ჩარჩენილიყო და ვერაფრით იხსენებდა, გაგიდიდან ჩამოვიდა თუ გაგრიდან ამოყო აქ თავი, მკითხა: – ხომ ქუდოსკიდუქ? ვედა იშო... (ხომ დარჩები? არსად წახვიდე)!..

დიდად არც წინათ აქცევდა ვინმე ყურადღებას. უიღბლოდ დაბადებულს არად აგდებდნენ და ჭკუანაკლული ეგონათ. ალალბედზე, სასწაულს გადაერჩინა. ახლაც ხბოსავით კუნტრუშებს, გაურკვეველ სიტყვებს ლუღლუღებს, ირგვლივ მივლის და ასე მგონია, აღსარების წრეებს ხაზავს. სიხარულს ვერ იტევს იმის გამო, რომ ვიცანი და ენაც ამიტომ ებმის. დანატრულია ადამიანურ მოპყრობას, გულჩვილია და ვეღარ უძლებს ჩემს მოფერებას. არასოდეს მოსათნოებია ვინმე და, მით უმეტეს, ამ ნელთბილ დროში, იაფოს დასაყვავებლად ვის ეცალა?!

ცოტა რომ დაწყნარდა, ენაც დაიმორჩილა. მისი უთავბოლო მეტყველებაც დალაგდა.

– გოლვაფირო, დორჩინექ, მარა იშენ ქოიღ სქანი სისქვამე! (დაბერებულხარ, მაგრამ შენი სილამაზე მაინც შემოგრჩენია!) – მიკეთებს თავისებურად გულს და არნახული სიკეთით იღრიჯება...

ხან გაგრაში აიწყვეტდა ხუნდებს, ხან გაგიდაში და სანამ ამ ორი მიმართულებიდან რომელიმეს ისევ დაუბრუნდებოდა, გალში დასაბმელი ხდებოდა.

– სო რე ზღვაპიჯი? – კითხულობდა და ნაპირზე ამოგდებული თევზივით თითქოს სულს ღაფავდა. ჰაერი არ ყოფნიდა და, დაბნეული, აქეთ-იქით აცეცებდა ცრემლიან თვალებს.

– ისევ აგერია, ბიჭო გზები? – შეეცოდებოდა დედა-ბებიას და დარცხვენილი იაფოც თავს ჩაქინდრავდა. ვიღასთვის ეთხოვა, წაეყვანათ „შინ“, რომელიც ორი ჰქონდა და, დროდადრო, მესამეც, ჩემი ქალაქი, მისი ბრუნვის წერტილი ხდებოდა. აქ იკვრებოდა მისი სამება. თანდათან სიმშვიდე ემატებოდა, წყნარდებოდა და გარკვეული დროით რჩებოდა. მხოლოდ ის იყო, რომ დამოუკიდებლად, დახმარების გარეშე ვერ აღწევდა თავს იქაურობას და გულმოწყალე გზამკვლევი სჭირდებოდა.

– კარგი, დედა, ნუ გეშინია, აგერ, მურმანია გამოიყვანს დილაზე ავტობუსს და შევეხვეწები. ერთ ადგილს რავა არ მიგიჩენს? ბევრი მგზავრი თუ ეყოლება და გადაიჭედება მანქანა, ფეხზე მდგომსაც რა გიჭირს, გეიხედ – გამოიხედე, ფანჯარა გამოაღებინე ვინმეს, ჰაერი გადაყლაპე, გული გადააყოლე და დროც სწრაფად გავა. ან მურთაზია ჩაგსვამს „ელექტრიჩკაში“, ხომ გიყვარს შენ მატარებლის ბორბლების ხმა და ჩიქჩიქი? – დაარიგებდა ბებიაჩემი ასე სწრაფად ზღვასა და ოლეანდრების შრიალს მონატრებულ იაფოს, ზუსტად ისევე, როგორც ჩვენ მოგვძახოდა ხოლმე სადმე მიმავალთ, სანამ ტრანსპორტში ადგილს დავიკავებდით (ყველას სამყოფი სითბო, გულისყური და სიკეთე ჰქონდა დედა-ბებიას. საშველის პოვნას მარტო ჩვენთვის და ახლობლებისთვის არ ცდილობდა). აწყნარებდა კაცს, რომელსაც შფოთვა ემატებოდა იმ შიშის განცდით, თითქოს მოვიდოდა ვიღაც გადამთიელი, ზურგზე მოიგდებდა მის გაგრას, გაგიდას, ან სულაც დაეპატრონებოდა ამ წალკოტს და იაფოს განდევნიდა იქიდან. ეს შიშები, მგონი, სიზმარშიც აწუხებდა და დაფეთებული ამიტომ თუ ეძებდა ყველგან წყლის ნაპირს.

ასე მგონია, დარჩენილებიდან ყველაზე სუფთა და დიდი გული მან შეინარჩუნა, რადგანაც მხოლოდ საკუთარი თავის გადარჩენაზე არ უფიქრია და არც გამორჩენის ფარისევლური ამბების გაეგება რამე... ჯერ კიდევ არ განელებია ჩემი ნახვით გამოწვეული სიხარული და უკვე მე ვეღარ ავუდივარ უბედურის სათნოებით მოქარგულ კითხვას:

– გოლვაფირო, ხომ ქუდოსკიდუქ? (შემოგევლე, ხომ დარჩები?).

ბუხრებს წმენდდა და ბუხარსვე გადაერჩინა. იარაღიანი ხალხი რომ გამოჩნდებოდა, თუ მარტო იყო, გაიქცეოდა და საკვამურის ყელში ობობასავით გაიხლართებოდა. ამ ბნელ, ვერტიკალურ გვირაბებში თავისი „გზები“ ჰქონდა გაყვანილი, რომლის კიდეებზე ალაგ-ალაგ აგურები ჩამოეტეხა ფეხის მოსაკიდებლად. შენიღბვაც არ სჭირდებოდა. ნახშირი და მური იყო მისი კამუფლაჟი. ხმელი, ძვალი და ტყავი, იმ სარებივით იდგა გრძელ ფეხებზე, ბებიაჩემის დათესილ ლობიოს რომ დაუსობდა. მანამდე კი ბოლოებს ფანქარივით კოხტად წაათლიდა და გვერდით დაიწყობდა ჭიგოებს. მიბობღავდა მაღლა, იქითკენ, საიდანაც ცის ნაგლეჯი მოცისფროდ მოსჩანდა და იმედით ცოცხლდებოდა. რამდენჯერ გასჭირვებია! სუნთქვა გაძნელებია, ხუთვა დამართნია და გარიჟრაჟზე მაინც ამოუყვია საკვამურიდან თავი. ირგვლივ, ყველა ბუხრიდან ამოსული ნისლისფერი ბოლი მოლანდებია და სიხარულისგან გადარეულს – ეჰეჰეიიი მეზობლებოოო! – უყვირია...

სახლები გადამწვარი იყო და ადამიანებიც კანტი-კუნტად, ცხვირპირაკრულნი დაიარებოდნენ, თითქოს შავი ჭირის ჟამი დასდგომოდა ქალაქს. მხოლოდ ბუხრები იდგნენ საყარაულოდ მდგარი ჯარისკაცებივით სმენაზე. ისინი იკედლებდნენ, მალავდნენ იაფოს, რომელიც მალევე უბრუნდებოდა რეალობას და გადარჩენისთვის მადლობას სწირავდა ღმერთს, ანთებული მუგუზლით ხელში ლიტანიობდა.

ხანდაზმულია უკვე. ალაგ-ალაგ ამოგლეჯილი, გადამხმარი მინდვრის მსგავსი ნაწვერალიდან, ჭვარტლჩაკირული კანი მოუჩანს. გრძელცხვირაა და აწონილი. წონასწორობას ვერ იცავს, ტორტმანებს ფეხებზე, მაგრამ მაინც მომყვება მეგზურად ჩემსავე ქალაქში და მიჩვენებს აქა – იქ, შერჩევით გადამწვარ სახლებს.

– ო, გენურაფილო ჭუნდესია, – მიხსნის და თითქოს პირველად დაინახაო ეს ნახანძრალები, ხან მარჯვენა სახელოს გაისმევს ცხვირზე და ხან მარცხენათი იწმენდს ცრემლს. ყველა სახლს ჭირისუფლობს. ბევრი რამის მოყოლა უნდა, ჩქარობს და ეშინია, თითქოს მდევარი მოსდევს და, ვაი თუ, ვერ მოასწროს, ვერ ამოთქვას სხვასთან ვერთქმული, დაგროვილი წუხილი... იქნებ, მხარზე უნდა დამადოს თავი და ჩუმად მიამბოს ყველა უბედურებაზე, რისი მოწმე და მხილველიც გახადეს ეზოებში ჯერ კიდევ ჩამოუნგრეველმა საკვამურებმა?

ვერ მიმეტებს და არ მეუბნება იმას, რომ ომი წაგებულია, ყველაფერი გაყოფილია და მითვისებული... ქანცგაცლილი, მოშვებული ფეხის წვერით ხან წრეებს ხაზავს და ხანაც მიწას ტკეპნის. ხშირად ეძებს სიტყვებს. ეკარგებიან. წვალობს, ყოყმანობს, ენა ებმის, ბორძიკობს და მაინც პოულობს მათ...

– იმ რკინის ბოძზე მიმაბეს, მოხუცი, გაუთხოვარი ქალის სახლის ქვედა სართულს გასამაგრებლად რომ ჰქონდა შებჯენილი, თვითონ კი ზევით აცვივდნენ. ბევრი ვიყვირე, ბოლოს ბღავილზე გადავედი, ლამის სახლი ჩამოვანგრიე მაგრამ არავინ მოგვეშველა. ვინ გაბედავდა მოსვლას? შიშის გამო ლამის ცოცხლად მიწაში ძვრებოდნენ, თავს იმარხავდნენ. ვერც მე გავწყვიტე ჯაჭვები, ვერ ვუშველე ლოგინად ჩავარდნილს, რომლის საწოლის ირგვლივ მხეცებად ქცეული არსებები მოგროვილიყვნენ და ხარხარს ნაკვერცხლებად აყრიდნენ რამდენიმე წუთის წინ ჯერაც ქალწულ მასწავლებელს. დაგეშილები მოცვივდნენ, ვიფიქრე, დავიცავ, აბა, ბუხარში ხომ არ შევძვრებოდი...

გავიკვირვე და შევშფოთდი, ჩავეკითხე, ამას ვინ იზამდა – მეთქი.

კიო, ვიღაცის ჩაწვეთებული იყო, თორემ რა იცოდა გადამთიელმა ქალის უმანკოების ამბავიო... -ზოგიერთებს თუ გადაადნობ და ხელახლა ჩამოასხამ, იქნებ მაშინ გამოვიდეს მაგათგან რამე, თორემ ისე ეგენი შეიცვალონ, მეტი არაა ჩემი მტერი. – ვარაუდობს თავისთვის ისეთ საკითხზე, რომელზედაც პასუხი, იაფომ კი არა, მგონი, მამაზეციერმაც დააყოვნოს...და მიყვება ისეთ ამბებს, რომლებიც, ვისურვებდი არასოდეს გამეგო...

– ძალიან რომ შემცივდებოდა და მშიერიც ვიყავი, იალასთან მივდიოდი, ის არ მამადლიდა ლუკმას. მეორე სართულზე ცხოვრობდა და, რადგანაც ბინას მხოლოდ ერთი კარი ჰქონდა შესასვლელი, უფრო დაცულად ვგრძნობდით თავს, – მითითებს იმ ადგილისკენ, კორპუსი რომ იდგა. სხვა ამბის მოყოლაზე გადავიდა. ნაბიჯს მოუმატა, მეც ავუჩქარე ფეხს და ვიძაბები წინასწარ, ჩემდაუნებურად. – იმ საღამოს, უპულია და დადაიაც ჩაის დასალევად იყვნენ თავმოყრილები. ის იყო, დიასახლისმა ადუღებული ჩაიდანი გადმოდგა ფეჩიდან, კარებზე ბრახუნი გაისმა და სამივე ქალი კედელს მიეყინა. უპულია ხომ გახსოვს? – მეკითხება და ისე მიყურებს, მგონია, ლიბრგადაკრული თვალითაც მხედავს და ამ მზერით ვხვდები, ჯერ არავისთან უთქვამს ამბავი, რის გამხელასაც აპირებს.

ვიგრძენი, ვეღარ გავუძლებდი ასე ერთბაშად (ცალ-ცალკე მოსასმენადაც შემზარავ ისტორიებს) და ვცდილობ, თავი ავარიდო: მოდი, კიდევ რომ ჩამოვალ, მაშინ მომიყევი უპულიაზე მეთქი. თუმცა, ისიც კარგად მესმის, ომი იყო, ჯერაც დაუმთავრებელი ომი, და ტკბილ ზღაპრებს რატომ ველოდი ვითომ?!

ეტყობა, დიდხანს ინახავდა ამბებს, რისი უშუალო მოწმეც იყო და ეს უთქმელობა სტანჯავდა. ცდილობდა, ამოეთქვა და ასე მაინც განთავისუფლებულიყო სიმძიმისგან. მისი გულუბრყვილობა კი ჩემდამი სისასტიკეში რომ გადასდიოდა, ვერ ხვდებოდა, ვერ აღიქამდა, როგორ მაძულებდა იმ წუთებში ადამის მოდგმას... სიხარულით, აბა, ვის მოუყოლია უბედურების ამსახველი ამბები?

– სამშვიდობოდ მოსულის კაკუნს არ ჰგავდა ის ბრახუნი და შიშისგან კინაღამ ხელში ჩამაკვდნენ ქალები. მეც შემეშინდა, მაგრამ მარტო არ ვიყავი და ბუხარში ხომ არ შევძვრებოდიო?– რამდენჯერაც წამოსცდა ეს ფრაზა, იმდენჯერ გმირი იაფო იდგა ჩემ წინაშე და მისდამი მოწიწება მახრჩობდა. – სულ ტყუილად გვეგონა, ერთად ყოფნა გვიხსნიდა განსაცდელისგან. რომ არ გაგვეღო, ძალით მაინც შემოამტვრევდნენ და გავბედე სკამებით და სხვა სამაგრით ჩახერგილ, ჩახრახნილ კართან მისვლა. შემოვარდნილებმა ხელი ისე მკრეს, თავი კედლის ძგიდეს მივარტყი. აი, ხომ ხედავ?– მაჩვენებს ნაწიბურს, რომელიც მკვეთრად ეტყობა.– მომხდურთაგან ერთმა დაიბღავლა: Плоскогубцы, быстро! ასე სწრაფად როგორ მოძებნა, არ ვიცი და მაშინათვე მოარბენინა იალამ ბრტყელტუჩა. როცა პირის გაღება უბრძანეს და წამში ამოაგლიჯეს კბილები, მივხვდი, შიშისგან უაზროდ რომ გაიღიმა, მაშინ შენიშნა იმ ურჯულომ მის ზედა ყბაზე ორი ოქროს კბილი. კედელს აკრული და მოცახცახე უპულია ტუალეტში ძალით შეათრია მეორემ და, სანამ სამივე არაკაცი არ გამოვიდა იქიდან, დიდხანს ისმოდა, როგორ უძალიანდებოდა საწყალი და თან არწყევდა. დადაიას, რომელიც გიჟივით იმეორებდა, ჭირი და კიბო მჭირს, არ მომეკაროთო, მაინც მივარდნენ და გადაკრული მკერდიდან ამოაცალეს ცხვირსახოცის ყურში საწყლად გამოკრული კაპიკები.

იმ საღამოს, მათთან რომ მივდიოდი, ცოტას ყინავდა, მოსარკულ ცაზე მთვარე ანათებდა და ვარსკვლავებიც კი ჩანდა. ეს მხეცები გარეთ რომ გავარდნენ, ისე შეიწოვა უკუნმა მათი სხეული, სიბნელისგან ვერ გავარჩიე, საით, რომელ მხარეს წავიდნენ. იალას ისევ სდიოდა პირიდან სისხლი, უპულიას კვლავ აღებინებდა, დადაია კი თავის დაკაწრულ ძუძუებს გაშტერებული დასცქეროდაო.

ვარსკვლავები ციმციმით ამხელენ სიხარულს. ისინი მაშინ უჩინარდებიან ცაზე, როცა ადამიანები სულით, ხორცით უნაკლოდ მახინჯნი ხდებიან...

შუაღამე არ იყო გადასული, ქალის შეკივლების ხმა გაისმა და საშინელი დაყვირება მოჰყვა, სანამ ქარი ამოვარდებოდა, ღამის სიჩუმეს ისე ცხადად მოჰქონდა ხმები, რომ გვესმოდა, სულის გამგმირავი კივილი ქვითინში, მუდარაში როგორ გადაიზარდა. ქარი ხმაურობდა, ხელს გვიშლიდა. ფანჯრის კუთხეებს მიწებებული, დაძაბულები ვაყურადებდით უცნაურად არეულ ხმებს. აკანკალებული ქალები გასროლის ხმამ პირქვე დაამხო. მერე „საზეიმოდ“ ავტომატის მჭიდიც დაახალეს ცას და, სანამ არ მიწყდა მათი „სიხარულის“ კაკაფონია, თავი არ აგვიწევია ზევით. როგორც კი მიწყნარდა იქაურობა, შეშინებული ქალები ძლივს წამოვაყენე ფეხზე და უსიტყვოდ ვუთხარით ერთმანეთს, რომ უარესი უბედურება დატრიალდა იქვე, ახლოს. სიბნელეს სუსტი სინათლე რომ შეეპარა, გავბედეთ და გარეთ გავედით. იმ სახლთან შევჩერდით, რომლის თეთრად შეღებილი კარებისთვის თითქოს ვიღაცას წითელ საღებავში ამოვლებული ხელები შეეწმინდა. ქარ-ბორია ხან მიკეტავდა, ხან უკანვე გამოაღებდა, კარი ჭრიალებდა, ქვითინებდა, სისხლის ჩქარა ჩამორეცხვას, მოშორებას ითხოვდა თითქოს. ავძაგძაგდით. რისკზე წასვლა იყო ყოველი წუთი. იქნებ აქვე იყვნენ მხეცები და მაშინ ოთხივეს სიკვდილი გველოდა. მაინც გავბედეთ და შევედით. ქვედა სართულზე ცარიელი არყის ბოთლები და ღვინის ჭიქები ეყარა იატაკზე. ალბომებიდან გადმოყრილი სურათებით სავსე იყო იქაურობა. (ალბომებში ფულს ეძებდნენ, თორემ სურათები ვის რაში აინტერესებდა). ზოგი ქარს გარეთ გამოეტანა და ეზოში წარსულის ამსახველ ფურცლებს აფრიალებდა. სადღაც ლეკვის წკმუტუნი გაისმა, ამან იმედი მოგვცა, რომ დამფრთხალი სახლის პატრონი აქვე, ახლოს იყო დამალული. ხმას მივყევით და მეორე სართულზე ავედით, სადაც შიშველი, სკამზე დაბმული, ნაწამები გოგოსთვის ომი უკვე დამთავრებულიყო. თვალგახელილი, ცოცხალივით გვიყურებდა. მის დალურჯებულ ფეხებთან კი ცუგა წრიალებდა... უპულიას ზლუქუნი ახლაც მაწამებს, ცხედრის დანახვისას რომ აუტყდა. უპულია ხომ გახსოვს? – მეკითხება ისევ. ვერ გაუძლო, ვერ აიტანა განსაცდელი. თავი შეიზიზღა. ვერ დავარწმუნეთ, რომ მისი ბრალით არ მომხდარა არაფერი. საჭმელს პირს არ აკარებდა, გახდა, გაილია, დაუძლურდა და ასე გატანჯული, სამი თვის თავზე დავმარხეთ. თავსხმა წვიმა იყო იმ დღეს – მიყვება და ცრემლები ღაპა-ღუპით ჩამოსდის. ასეთ წუთებზეა ალბათ ნათქვამი, რომ ბრძოლაში თუ მაინც განწირული ხარ, ტყვიით

სიკვდილი ყველაზე კარგი გამოსავალია; და ვინ მოიგონა, რომ ომი ყოველთვის ყველაფერს ჩამოწერს...

იაფო ბავშვივით მომენდო და თავი მხარზე დამადო. არ გავნძრეულვარ. იშვიათად შეხვდები ადამიანს, ვისი გულწრფელობა და სიალალე მისსავე ძალაში გარწმუნებს და მართლაც, როგორც მთები არ წარმოიქმნებიან დიდი მიწისძვრების გარეშე, არც ადამიანი ყალიბდება ადამიანად მხოლოდ უბრალო, ყოფითი გასაჭირის დაძლევით.

კარგა ხანს ვიდექით ასე გზაგასაყართან. დრომ უკან დაიხია და ვხედავდი, სხვისი თვალისთვის მორიდებული, უბეში ჩატენილი და სათუთად შენახული ტკბილ-მწარე ამბებით, როგორ გადარბოდა ჩემი ბავშვობა ეზოდან ეზოში და სადღაც უკანმოუხედავად მიიჩქაროდა. ვინატრე, ფეხი არ წამოეკრა რაიმესთვის, არ დაცემულიყო და ეს ფურცლები არ დაეფანტა...

ხომ შეიძლებოდა, არ მომხდარიყო ის, რაც მოხდა?! ხომ შეიძლებოდა...

– მეტი არაფერი მომიყვე! – ვთხოვე და ბრძანებასავით კი გამომივიდა ნათქვამი. გული მიფანცქალებდა და არ მინდოდა, იაფოს ჩავკვდომოდი ხელებში. თავისი გაჭირვებაც ჰყოფნიდა...

მე ხშირად გავურბივარ იმ ნამდვილ მოვლენებს, ომმა რომ დაატრიალა, რადგანაც ობლობისთვის მწირავენ ეს ამბები. არ გაგიგიათ? ყველაზე მწარე სიობლეა ეს. ომი გვასაჩუქრებს ამ ძღვენით და ასე ვხდებით ადამიანით, ქვეყნით, კუთხით, ქალაქით თუ სოფლით დაობლებულნი...

– წამოდი, აქაური ნაყინი გავსინჯოთ! – ვუთხარი იაფოს და ხელკავით გამოვუყევით გზას. უხარია ეს ჟესტი და ამაყად მომყვება. აქეთ-იქით იყურება, თუ მხედავს ვინმეო. კაფეში, რომელსაც მივადექით, სავარაუდოდ, ახალი საქონელი მოეტანათ და სხვებთან ერთად მეპატრონე შემოზიდვით იყო დაკავებული. ხვითქი გადასდიოდა ქალს სახეზე და დიდად არ ესიამოვნა ჩემი თანამგზავრის ნახვა მის სამფლობელოში. აიმრიზა: გარეთ შეჭამოს, თორემ მოეჩვევა აქაურობას და მერე ვერ მოვიშორებ, კლიენტებს დამიფრთხობს. თქვენ კი მობრძანდით, იცით, აქ რა ხალხი დადის?! – ისე ცხვირაწეული მეუბნება და იბღინძება, დიდი დაფიქრება არ სჭირდება, მიხვდე, რა კატეგორია მიაჩნია ამ ქალს დაფასების ღირსად. ისედაც დაწყვეტაზე მქონდა ნერვები და არ მინდოდა ვინმესთან შელაპარაკება მომსვლოდა. გასაგებია – ვთქვი და იაფო ცივად შემოვატრიალე. არა, საწყენად კი არ მითქვამს, – ოდნავ შეცვალა ტონი ორი ულუფა ნაყინის ფასის დაკარგვით შეშინებულმა.

იაფოს რომ შევხედე, მივხვდი, პირი გამშრალი ჰქონდა, თან ნაყინი ბავშვივით უხაროდა და წყენა გადავყლაპე. მაინტერესებდა, რას მოგვართმევდნენ ამ კაფეში ისეთს, სადაც, თურმე, ნუ იტყვი და, ნაღები ფენა დაიარება. ჩემთვის ამ კასტის „ბრწყინვალება“, კვეხნა, ტრაბახი, სამკაულების ასხმა და ძალად განაზებული ხმებით საუბარი სასტიკი მიუღებლობის გაელვებაა და ისიც კი მყისვე ქრება.

– თენა რენო მაროჟნი ? – კითხულობს იაფო და სკამზე ცქმუტავს. სწრაფად ურევს კოვზს პატარა ფიალაში.

– ჰო, არ არის ეს სოხუმის სანაპიროზე გასინჯული ნაყინი, ბურთულებად რომ იდო ვერცხლისფერ, ფეხიან ლამბაქზე და თავზე ბლომად აყრიდნენ მოხალულ თხილს ... თვალს არიდებს ქალს, მაგრამ მაინც მის გასაგონად წუწუნებს. ასე უხდის სამაგიეროს გულცივობის, ათვალწუნების, არად მიჩნევის და სიხარბის გამო.

ვუყურებ მის ოინბაზობას: მთლად გადასაგდებადაც ვერ იმეტებს ამდენი მორევით რძეს დამსგავსებულ პლომბირს და ნელ-ნელა ხვრეპს. დაღლილია, უკვე დაბერებულიც, მაგრამ რომ შემომხედავს, ისეთი სიწრფელე კიაფობს მის თვალებში, იმ წუთსვე ეს მზერა აფხაზეთის კარიბჭედ მექცევა. მას შეუძლია, გაგამხნეოს, შენთვის თავი გადასდოს. საოცარია, რომ არასოდეს უყურებს ეჭვის თვალით ადამიანებს. მხოლოდ იმას ამბობს, რაც ნახა, მოისმინა და რაშიც დარწმუნებულია. რადგანაც იცის, რომ უნდობლობა კლავს და ანადგურებს სიხარულს. მგონი, მე უფრო მჭირდებოდა იმ წუთას მის გვერდით ყოფნა, ვიდრე მას. ეს წუთები, აუცილებლად უნდა გამევლო მარტოს, რომ ბევრ რამეს მივმხვდარიყავი...

მოდუნდა, თვალები ელულება და ... ხომ არ შემომესმა? დიდი ხნის წინ დამარხული რომ მეგონა, იმ მოტივს ღიღინებს: „დედა, გომიტეეე დიდი ნეძიშაა, ყოროფილი ვამიძირუ ჟირიშ მეტიშაა“... და თითქოს გუშინ იყო, ბებიას რომ ვეკითხებოდი, ვინ იყო ის, ვისი ნახვაც მხოლოდ ორჯერ მოასწრო იაფომ და მესამედ რატომ აღარ დაადგა საშველი, რომ სატრფოსკენ მიმავალ გზას დასდგომოდა? გაჩერდი, დედა, ვინ მისცა მაგ უბედურს ყოროფილიო, – მეტყოდა ჩემი იმერელი ბებია, რომელსაც ჩვევად ექცა მეგრული სიტყვების გარევა წინადადებაში.

ღიღინებდა იაფო და სანამ მურთაზია სოხუმისკენ მიმავალ „ელექტრიჩკაში“ ჩასვამდა, გულმოდგინედ, ფანქარივით უთლიდა წვერებს ლობიოსთვის დასასობ სარებს. მე კი მჯეროდა, რომ მისი სატრფო, სადღაც იქ, დიდი ნეძის მხარეს, ოდა სახლის ჩუქურთმებიანი აივნის მოაჯირზე, თეთრ, გათქვირულ მკლავებზე თავჩამოდებული გაჰყურებდა შარაგზას, საიდანაც, ეს – ესაა, მიჯნური უნდა გამოჩენილიყო.

ზოგჯერ ლოდინით მოწყენილს, იქნებ ჩამოეძინებოდა კიდეც და მერე, დამფრთხალი, ბურანიდან გამოერკვეოდა. იაფო კი ნახევარი საუკუნის მერეც ისევ ისე ღიღინებს და თითქოს იმ ნაპირებზე დაბორიალებს, სადაც თავადის ქალმა მაიამ, სიყვარულის გამო, თავი დაიხრჩო...

მზიანი დღე იყო. მოულოდნელად, ამინდს წვიმის შხეფები გამოერია.

– უჯინ, ტურას ოსურ მოყუნს, – წამიერად დაასწრო მან ჩემი ბავშვობის აღტაცებას და გარეთ გავარდა. თავგუნება და ახირებული, ცოტა ჭირვეული და ზოგჯერ მიზეზიანია ჩემი იაფო. არაფრად დაგიდევთ აუტანლად მოსაწყენი, ორდინარული ადამიანების დადგენილ, დაწესებულ და ჩარჩოში ჩასმულ, აკლიმატიზირებულ ქმედებებს. ბედნიერების გიჟია ის! გაშალა ხელები და თითქოს თავისი დღე და წუთისოფელი ქეიფსა და ლხინში ჰქონოდეს გატარებული, ისე ცეკვავს. ფანჯარას მოადგა, ცხვირი მოაჭყლიტა, იღრიჯება უკბილო პირით, ჩვილი ბავშვის კამკამა სიწმინდით და მიხმობს გარეთ, შენც იცეკვეო.

– ბოვშებო, გამოდით გარეთ, ტურა ცოლს ირთავს, ქორწილია ტყეში!– ცხადად მესმის დედა-ბებიას ხმა და ჩვენი ჟრიამული წრეში, სადაც ვტრიალებთ, სახეს ვუშვერთ მზის სხივებში ჩამოცრილ წვიმას, ვსველდებით, მზე გვაშრობს და ვუცინით ცაზე შვიდ ფერს – ამ უმიზეზო ბედნიერებად მორკალულ სალტეს, ასე მსუბუქად, რბილად რომ გადასვლია ფერები ერთმანეთში და ისე შეუქმნია ფერთა ულამაზესი სამეზობლო მომავლის სიხარულად, რომ არცერთი პიგმენტი არ არეულა ერთმანეთში.

იაფო კი ისევ მიკაკუნებს და გულმოდგინედ მითითებს ცისარტყელაზე. შლის ხელებს და როგორც ფილმში ნანახი ბერძენი ზორბა, ტრიალებს წრეზე. ვეღარ ვითმენ, ვტოვებ კაფეში გაკვირვებულ, ათვალწუნებით მომზირალ პერსონალს და გავდივარ გარეთ. – გამახსენე, მასწავლე ცეკვა! – ვეძახი იაფოს.

ერთი ლექსი

ბათუ დანელია

უნდა გველოდო აფხაზეთო!

უნდა გველოდო, აფხაზეთო, უნდა გველოდო,
როგორც არ უნდა გაიწელოს უსაშველოდრო!
ო, უჩვენობით გულმოკლულო, მაინც დიდგულო,
სიზმარში შენს წინ დაჩოქილი, ლოცვებს ვკითხულობ.
მე მინდა, ღვთისგან მონიჭებულ წმინდა უფლებით,
ანგელოზები დაირაზმონ ერთხელ უკლებლივ
და დაგვაბრუნონ შენს ტკბილ მკერდში ჩასახუტებლად,
რომ სხვამ ვერ შეძლოს შენი გულის დასაკუთრება...
ცა ზაფხულისა რაზე დარობს, ზამთრის – რაზეთოვს,
თუკი ჩვენ აღარ გველოდები, შენ, აფხაზეთო?!
არ დაუდვია ღმერთს ჩვენს შორის საზღვარ-მიჯნადა –
ქართველი – აფხაზს, აფხაზი კი ქართველს ნიშნავდა.
სად გაგონილა ცა უმზეო, ზღვა – უხმელეთო
და აფხაზეთი – უქართველო?! – უნდა გველოდო!
ჩვენ უსიკვდილოდ დავბრუნდებით სულის ფრთებისთვის,
მოვალთ, მოგივალთ და მწუხარე იერს შეგიცვლით,
ისე მოგივალთ, როგორც მწყურვალს წყალი კოკიდან
და შენთვის დაღვრილ სისხლის ვარდებს უხვად მოგიტანთ...
სხვებმა რაც უნდა მოგიტანონ ძვირფასეული –
და რაც არ უნდა დაამშვენონ შენი სხეული,
და რაც არ უნდა გაიწელოს უსაშველოდრო,
უნდა გველოდო, აფხაზეთო, უნდა გველოდო!

მაია მიქაია

პაემანი ბლოკპოსტზე

ახლა გადავშლი... რამე უფრო უკეთესს დავწერ,
უფრო უბრალოდ, უფრო სადად და გასაგებად -
მხოლოდ ფიქრებში შემონახულ ბავშვობის სახლზე,
თეთრ პიონებზე, სიზმარშიაც რომ მენატრება;
დედაზე...
ვნახე ხუთი წუთით – როგორც მირაჟი,
წლების უნახავს ჩავეხვიე, ისიც მლოცავდა,
საკუთარ ცრემლებს რომ ვმალავდი თავსხმა წვიმაში,
მისას – ტუჩებზე რომ ვიცხებდი მალამოსავით.
...და ისევ წლები დაგვაშორებს (ოღონდ იცოცხლოს!)
და მხოლოდ მის ხმას გავიგონებ (ოღონდ მესმოდეს!);
დავიმახსოვრებ ენგურის ხიდს – ცოდვის სიმბოლოს,
ხიდზე მიმავალ შავოსან ქალს – ძვირფასს ესოდენ;
ჩემს ძმას...
– ერთბაშად ხვალ არ გნახო!.. აღარ დავეძებ,
დავსველდე!.. უხმოდ ჩავეხვევი მხრებს. არა უშავს,
რომ ეჩქარება... რამხელა ტვირთს იტევს ამ მხრებზე –
ქვეყნის, ოჯახის, ახლობლების... ჩემს სიყვარულსაც!..
განა არ ვიცი, როგორ უჭირს, თუმცა მუდმივად
ისე ალალად იღიმება... მაინც ეტყობა,
სულ სხვა ნაპირის, სხვა ცხოვრების ნახვის სურვილი,
თვალების ფსკერზე მიმალული უიმედობა...
. . .
ასედაც ხდება – ვერც შენ ხვდები, სხვასაც ვერ უხსნი,
რატომ ვმორჩილებთ დროს, მოვლენებს, გარემოებას?!.
ბავშვობის მძიმე ჭრილობები რატომ შეუხსნა
და დაუნდობლად აქუცმაცა წლების მორევმა –
ბერი, ახლა რომ ვერ იხსენებს სახელს საკუთარს,
აკვიატებულ გზის საზღვართან მისვლას ეღირსა.
ვეღარ ვიჯერებ, რომ შევძელით!..
ლტოლვა დასრულდა
აფხაზეთისკენ და მშობლების საფლავებისკენ.
დგას დაბნეული, თან იმ მიზნით გაბრწყინებული,
განაწამები და სნეული რასაც სული სთხოვს –
ხსოვნაში ცოცხლად შემორჩენილ მიცვალებულებს
ლოცვა და ცრემლი საფლავებზე ჩამოურიგოს.
იქიდან ბიჭი წავიდა და ბერი ბრუნდება...
თითქოს ვუყურებ უკვე ნაცნობ სურათს ბიბლიურს,
ცრემლი, გამომშრალ ნაოჭებზე ნამარხულები,
ისე მორჩილად ეკიდება ყურის ბიბილოს...
. . .
„აშო ჩელა დო იშო ბუსკა...“ ურმის კიჩოებს
მიჰყავს ჩემები, ჩემი გულიც – სადღაც მათ შორის...
ვერ შეძლებს ხიდი და-ძმა დიდხანს აშორიშოროს,
ის უარყოფილ ბავშვობასთან თუ დამაშორებს!..
აქეთ დავრჩი და... მხოლოდ გრძნობა არის ნაცნობი,
ხეხილის ბაღსაც უკვე აღარ ვემახსოვრები -
დაბერდებოდა... ჩათვლემილი ჩემი ბავშვობის
ღამეებს ლამბავს გაფარჩხული, ხშირი ტოტებით.
სიტყვა, უძლური – ჭრილობაზე მტკივნეულია,
ერთ მარცვალ ცრემლში რომ ტევ ძვირფას ადამიანებს –
როცა მშობლიურ სახლის კედლებს უცხო სუნი აქვს,
როცა ჭიშკარიც უჩვეულოდ უცხოდ ჭრიალებს.
ღმერთო, შემინდე!.. უნდობლობით ვხდები სნეული,
სულს მინგრევს ჩემი უძლურება და უმწეობა,
როდესაც სვამენ ყანწებით და განსხვავებულით
გამეტებული ჩემი კუთხის სადღეგრძელოებს.
მიკვირს, სუნთქვა რომ მიგუბდება და მჩხვლეტს ლავიწთან
და ისიც მიკვირს, რატომ ვბრაზობ, რატომ მოველი,
რომ ყველა იგრძნობს, რა უზომო ტკივილს განვიცდი
ერთი დევნილი და რიგითი წუთისოფლელი?!.
...ახლა გადავშლი, რამე უფრო უკეთესს დავწერ,
უფრო უბრალოდ, უფრო სადად და გასაგებად –
მხოლოდ ფიქრებში შემონახულ ბავშვობის სახლზე,
თეთრ პიონებზე, სიზმარშიაც რომ მენატრება;
დედაზე...

ერთი ლექსი

მანონ ბულისკერია

* * *

შენს ზამთარზე და შენს გაზაფხულზე
ვესაუბრები ძვირფას ქალაქებს...
თუ ესმით, ნეტა, ჩემი? იციან,
რომ სიყვარული მალაპარაკებს?
თუ ხვდებიან, რომ ახლა სურვილი
შენთან კვლავ შეყრის ისე დიდია...
გაზაფხულდება მალე... უშენოს
დამწველმა ფიქრმა შემომიტია!
და მაპატიე – გული გიკვდება,
ძნელია, როცა შენგან მიდიან!
. . . . . .
ან, იქნებ, სულაც არ წამოვსულვარ,
ზღვის მაცოცხლებელ ხმაურად დავრჩი.
თუ მელოდები? ახლა ტკივილად
იფანტებიან ფიქრები ქარში.
თუ მელოდები, როგორც ალერსის
მოლოდინშია მტირალი ბავშვი?
თუ მელოდები „ლამაზი გულით,
როგორც გაზაფხულს ელიან მთაში“.
ხომ მელოდები? ვაი, თუ არა,
თუ უსაშველო ლოდინში დაშვრი...
ხომ მელოდები, როგორც მეომრებს
ელოდებიან დედები სახლში!
ხომ მელოდები? ცვრიან ბალახზე
შიშველი ტერფის კვალს ხომ არ წაშლი?
დამელოდები? მე სულ გზაში ვარ
და კარავს შენთან მოსვლამდე არ ვშლი!

ნანა კუკრა

ხელოვანი და ომი

ცდუნება დიდია, თხრობა „ომისა“ და „ხელოვანის“ ცნებათა საბედისწერო „შეხვედრის“ არქეტიპული შრეებიდან დავიწყოთ...

„არს ჟამი ომისა და ჟამი მშვიდობისა, ჟამი შენებისა და ჟამი ნგრევისა“, – კონსტატირებულია „ეკლესიასტეში“, სხვაგანაც, ბევრგან...

თეტისი აქილევსს აუხსნის ომის ბედისწერულ არსს და იმ ტრაგიკულად უცნაურ კანონზომიერებასაც, რომ „სახელიც ომში იშოვება“...

სულ სხვაგვარი ჩანს იგივე ომი ტროას გალავნიდან...

უფრო აქეთ, „გერნიკას“ გენიალური ტრაგიზმიც მოგვაგონება და „მშვიდობით, იარაღოს“ ოდნავ კონიუნქტურული, მაინც ტრაგიკული პათოსიც... მაგრამ „დიდი ნარატივების დრო წავიდა“, ის ღირსებაც არსადაა, თუნდ ყველაზე სისხლისმღვრელ ომებში რომ აცვიფრებდა მოწინააღმდეგეთაც და მერე, მონათხრობით – შთამომავლებსაც („თუ სიცოცხლეს ვინმესაგან ვიჩუქებდი, მხოლოდ შენნაირი ვაჟკაცისაგანო“ – ქრესტომათიულიც მოგვაგონდება „ნიკოლოზ გოსტაშაბიშვილიდან“), არც ალუდასა და მუცალის დარი მტრობაა და არც ჩოხელისეული „ლეკთა ბელადის“ ხამურზა ბეისა და ჯურხასდარი...

„ცუდას რად უნდა მტერობას“ ენერგეტიკაც მინავლულია...

არც „თავდაცვითი“ და „თავდასხმითი“ ომების არსზე მსჯელობს ვინმე „დათა თუთაშხიას“ პერსონაჟებივით...

ომიც ჩიაკაცების საქმედ იქცა, არა ხმლით, „ჩოთქითა და არშინით“ რომ ირკვევა გამარჯვებულ-დამარცხებული...

ცდუნება დიდია, ინტერპრეტაციებს მივყოლოდით, მაგრამ სულ სხვა ხელოვანსა და სხვა ომზე მოვყვები, უფრო სწორად, ომის თანმდევი დევნილობის ტრაგიკულ აბსურდზე.

მნიშვნელობა არა აქვს, რა ეროვნებისაა დევნილი ხელოვანი და რომელ სივრცეში გათამაშდა ომის კიდევ ერთი ტრაგიკული სპექტაკლი – ხელოვანის სული ერთნაირად აღიქვამს თანამედროვე ომ(ებ)ის ბინძურ აბსურდს თუ აბსურდულ სიბინძურეს...

მურიდ ალ-ბარღუთის „მე ვნახე რამალა“ დიდი ხნის წინ წავიკითხე და, რომ არ მცოდნოდა ავტორის ვინაობა და ტექსტის ქრონოტოპი, საკუთარ თავგადასავალს ამოვიკითხავდი (როგორც ნებისმიერი დევნილი – ხელოვანიცა და არახელოვანიც... დევნილობაც „ხელოვნებაა“, ალბათ – სიმწრით სცადო საკუთარი როლის თამაში უფესვომ და უჭერომ – „განწირულის სულის-კვეთებით“).

„ყველას რაიმე აქვს სახსოვარი“ – ხსნა, მშველელი, გადამრჩენელი ვიზიონი, სურნელი, სიტყვა... იქნებ, სულაც ლეღვის ხე – კრიალა აღმოსავლური ეზოს მაჩრდილობელი, თაობათა ხე, სულ რომ ჩრდილავდა სამკვიდროს და უჩრდილავდა მამათა, შვილთა, შვილიშვილთა დაღალულ სულს („ფრთათა საგრილთა შენთასა ვესვიდე“ (ფს.)).

„როგორ აღვწერო გარემოებები, რომელშიც აღმოვჩნდი? როგორ გამოვყო, ერთი მხრივ, დიალოგები, კონფლიქტური მოსაზრებები და პოლიტიკური თეორიები და, მეორე მხრივ, აი, ეს ლეღვი, სახლის გვერდით მდებარი ბორცვის ერთ მესამედს რომ ფარავს?!“ – რიტორიკულ კითხვას დასვამს პალესტინელი ხელოვანი – პოეტი მურიდ ალ-ბარღუთი.

სად დგას ეს ლეღვი – ჟამიერ შიდა ეზოში, თუ წარმოსახვის მაღალ, მოუწყვლად ტალანში, ვერანაირი ოკუპაცია რომ ვერასოდეს ამოძირკვავს?!

მეხსიერება ინახავს საიმედოს, ხელჩასაჭიდს: „ეზოს შუაგულში ლეღვის უზარმაზარი ხეა, რომლის უგემრიელესი ნაყოფიც ჩვენს მამა-პაპებს გაუსინჯავთ“...

ეს – მეხსიერებაში, სულის უღრმეს, საიმედო ტალანებში.

მაგრამ რეალობა სხვაა. „დროთა კავშირი დაირღვა.“

ოკუპირებულ დირ-ღასანაში (რამალას მახლობელ სოფელში) ლეღვის ხის ადგილას ახლა ცემენტის ბლოკი ძევს.

ლეღვი ებრაელ ჯარისკაცებს არ მოუჭრიათ – უზარმაზარი, მიტოვებული სახლის ერთადერთმა მკვიდრმა, მოხუცმა ბიცოლა უმ ტალალმა მოაჭრევინა, ოცდაათი წლის შემდეგ ორიოდე კვირით დაბრუნებულ მკვიდრს, მურიდ ალ-ბარღუთს კი განუმარტა: „დავბერდი და დავსუსტდი. ხალხი სხვაგან გადასახლდა. ზოგი ამქვეყნადაც აღარ არის. ლეღვი ვიღასთვის მინდა, შვილო?! არავინ კრეფს ხილს და აღარავინ ჭამს. ნაყოფი გახმობამდე ეკიდა ხეზე და მერე მთელ ეზოს ანაგვიანებდა, ძალიან დამღალა. ამიტომაც მოვჭერი. აინ ად-დერი დაიქცა, შვილო, მაყვლის ბუჩქებით დაიფარა. ტურები თავისუფლად დასეირნობენ აქ.“

ფაქტთა მშრალი კონსტატირება გაუსაძლის ტკივილს დაიმარხავს.

ფუძეზე დარჩენილი მოხუცისათვის დრო დგას. მისი დ რ ო ა დ გ ი ლ ს ემთხვევა – საყრდენი, ლიბო წანაცვლებული არაა, ოღონდ ამ დროს აქვს მხოლოდ წარსულისა და აწმყოს ჰიპოსტას(ებ)ი, მომავლისა – აღარ. შთამომავლობა აქ აღარ ცხოვრობს, ნებით არა, მაგრამ...

ორი კვირით დაბრუნებისას (ოცდაათწლიანი იძულებითი განშორების შემდეგ) სული სახსოვარს მოიძიებს, კვლავ განშორებისას დრომ და მანძილმა რომ არ გასრისოს.

სამშობლო, ფუძე (ნაფუძარიც კი!) „არ არის ა დ გ ი ლ ი. ის დ რ ო ა. გაღვიძებისა და ადრეული ლოცვების დრო. განთიადის შუქზე ხიდან ლეღვის მოწყვეტის, დაგემოვნების დრო. ცვრით დანამული, მკვირცხლი ჩიტების მიერ ჩანისკარტებული ლეღვი“...

ლეღვის ხისა და მამულის პარადიგმები იგივდება. წარმოსახვის იდუმალ სამყაროში, განსხვავებით რეალურისაგან, ჰარმონიაა – აქ ლეღვი თავის ადგილასაა, სულ აქ იქნება, რადგან წარმოსახვა რეალობაზე საიმედოა.

წარმოსახვაში ლეღვი ისევ ფარავს შიდა ეზოს. ქარვისფერი ნაყოფის სიტკბო, ალბათ, ფუტკარსაც იტყუებს და პატიოში ისევ მომთენთავი, ტკბილი ზუზუნია...

მიტევებაც ადვილია: „მოხუცი უმ ტალალი ჩემზე მეტად იყო დამოკიდებული ლეღვის ხეზე. რაღაც მომენტში მისი მოჭრა ძალიან აუცილებელი უნდა ყოფილიყო, მაგრამ მე ეს არ ვიცი და არა მესმის, რადგან მე ა ქ არ ვიყავი, ის კი ა ქ იყო. მე რომ აქ მეცხოვრა, შესაძლოა, თავად ამეშენებინა ან დამენგრია, დამერგო ან მომეჭრა... ვინ იცის... მათ აქ გაატარეს თავისი წლები, მე – იქ... შეიძლება ორი დრო ერთმანეთს მიაბა?!“

ეს არაა მხატვრული ტექსტის პასაჟი, ფიქცია, ეს რეალობაა – ტრაგიკული, მწუხარე სინამდვილე ახლო აღმოსავლეთის (და არამხოლოდ...)...

ხელოვანი – პალესტინელი პოეტი მურიდ ალ-ბარღუთი უცნაური სიმშვიდით ჰყვება საზარს, ტრაგიკულს – დიდი სასოწარკვეთის დიდი სიმშვიდით. დიდი ტაქტითაც. სიძულვილისა და შურისძიების განცდის გარეშე... ფესვებდაჭრილი კულტურული ადამიანის სასოწარკვეთით, სიმშვიდით, ტაქტით...

„კულტურული ადამიანი მკვდარი ადამიანია. ყველაფრის მიღება მისი შედგომის წინაპირობაა“ (მ. გოგუაძე).

იდუმალ თითქოს ფრთხილობს კიდეც ალ-ბარღუთი, ეჭვიც დაძლევს წამით – ვის ააღელვებს ამ კაენურ ჟამს მისი სულის ნაღვლიანი საგა, სახეების, სახელების, სახსოვრის, სიტყვების მწუხარე კორიანტელი?!

საგა გრძელია – ოცდაათი გრძელი წლის რეფლექსია – უსამშობლობის, ფესვთაგან იძულებითი მოწყვეტის, ამოძირკვის გრძელი ამბავი – რაც უფრო ხანგრძლივი, მით უფრო დამადამბლავებელი ტკივილი...

მეტაფორებისაგან, ეპითეტებისაგან სრულიად განძარცული ტექსტი თითქოს დღიურის უბრალოებას ირეკლავს – არსად ფრაზით კეკლუცობა, ფერადოვანი სიტყვების განგებ მოძიება. ესეც პოეტის დიდი შინაგანი ტაქტის წარმომჩენია – ვარამი ვერ იგუებს ვარაყს...

ქვეყნისა და პიროვნების ბედისწერის საკრალური ჯუფთობა ცნაურდება დიდი მწუხარების დამმარხველ პატარა წიგნში.

ხელოვანისეული წვდომა ომის არსისა იმდენად ზუსტია, პირუთვნელი და ტრაგიკული, ზემოთქმულის დასტურად მთელი წიგნის ციტირება იქნებოდა უპრიანი.

მოვიყვანთ ვრცელ ამონარიდს: „ადგილები, რომლებიც ჩვენს სურვილებშია, დროა, მაგრამ მთავარი კონფლიქტი ყოველთვის ადგილებს ეხება. კონფლიქტი ხელს გიშლის, გქონდეს ეს ადგილები და, მათთან ერთად, მიაქვთ შენი ცხოვრების ნაწილი [თუ მთელი ცხოვრება არა – ნ. კ.]. საქმის ვითარებამ სულ სხვადასხვა ვითარებაში გვაცხოვრა. იძულებულნი ვიყავით, ხშირად დაგვეტოვებინა ადგილები და მათ დაკარგეს ჩვენთვის კონკრეტულობა.

უცხოს [ამ ტერმინით მოიხსენიებს ალ-ბარღუთი მთელ მსოფლიოში იძულებით მიმოფანტულ პალესტინელ თანამემამულეთ – ნ. კ.] ყოველთვის მყიფე ურთიერთობის დამყარება ურჩევნია, ღიზიანდება, როდესაც რომელიმე საცხოვრისის მიმართ მისი გრძნობები ძლიერდება. მოხეტიალე კაცი არაფერს ეჭიდება. ცხოვრება უფლებას არ გვაძლევს, ტრაგიკულ მოვლენად აღვიქვათ ა რ ა ე რ თ ხ ე ლ გ ა ნ მ ე ო რ ე ბ უ ლ ი ა მ ო ძ ი რ კ ვ ა, რადგან ვიცით, რომ ეს ყოველივე ფარსია... ცხოვრების საქანელასაც ორ უკიდურესობაზე შორს არ მიყავხარ – ესაა ფარსი და ტრაგედია – სამყარო აგრძელებს ქანაობას. სინათლის ბურუსშია გახვეული ორივე ჰორიზონტი“...

დირ-ღასანას პარაბოლურ-ენიგმური ლეღვის დამკარგველი, ხელოვანი წითელ ნემსიწვერებს გაახარებს ქაიროს, ამანის, ბუდაპეშტის უცხო, ვერგაშინაურებულ აივნებზე, მორიგი დეპორტაციისას კი (კონკრეტულ ქვეყანაში ცხოვრების „ვადა“ რომ ამოეწურება), ყვავილებს, ჩუმად გულდაწყვეტილი, ჟამიერ სამკვიდრებელ ქალაქ-სადგურებში შეძენილ მეგობრებს უსახსოვრებს...

ნაფერებმა ნემსიწვერებმა ქოთნის მიწის საზღვარი მაინც უწყიან, განსხვავებით ალ-ბარღუთისაგან, ყველა ქვეყნის ყველა დევნილისაგან...

პალესტინა ალ-ბარღუთისათვის „ლეგენდებისა და ლექსების მიწაა“ [„როგორ ვიმღერო უფლის სიმღერა უცხო მიწაზე?!“ – ფს. 136] – ეს უღრმესი ტკივილი „საქანელას მეორე მხარესაც“ განუცდიათ – ყოველ კონფლიქტს ყოველთვის ჰყავს „მეორე მხარე“...

ქვეყნის ბედზე მონაღვლე აუცილებლად ჩაეკითხება საკუთარ სულსა და უფალს:

„ჩემი დამოკიდებულება სამშობლოსადმი ისეთივე ამაღლებულია, როგორც ეს მასზე დაწერილ სიმღერებში ჩანს?!“

ოცდაათ წელიწადს უდაბნოში უნდა ეხეტიალა „დევნილად“, „ლტოლვილად“, „უცხოდ“, „უადგილოდ“ სახელდებულს, მშობლიურ რამალასა და დირ-ღასანაში

უცხოს ნებართვით ორიოდ კვირით დაბრუნებულს, ოკუპირებულ ტერიტორიაზე ადრევე დაბრუნებულ თანამემამულეთაგან რომ მოესმინა პალესტინის დაბრუნების არცთუ უსაფრთხო, მაგრამ ერთადერთი გზის შესახებ: „თუკი ვინმეს შეუძლია დაბრუნება და აქ ცხოვრება [ისრაელი მხოლოდ ასაკოვან პალესტინელთ რთავს ნაფუძარზე დაბრუნების ნებას – ნ. კ.], დაუყოვნებლივ უნდა ჩამოვიდეს. განა რუსებსა და ბრუკლინელ ებრაელებს უნდა დავუტოვოთ აქაურობა?! თუ კოლონისტებს?! ყველა უნდა დაბრუნდეს, ვისაც შეუძლია – აღდგენილი უფლებით, სამსახურით, ნებისმიერი საშუალებით. ააშენეთ სახლები თქვენს სოფლებში. პალესტინური დასახლებები ავაშენოთ პალესტინაში.“

ნიშნავს თუ არა პალესტინის სუროგატულ ნაგლეჯზე დაბრუნება პალესტინაში დაბრუნებას?! – ეს ის „წყველაკრულვიანი საკითხავია“, ყოველ პალესტნელს რომ აწამებს გონის თუ არა, გენის დონეზე მაინც...

«Тут я не нужна, там я невозможна» – ემიგრანტის, დევნილის უმზეო ყოფის უზუსტეს დეფინიციას იპოვის მარინა ცვეტაევა.

ხელოვანი იკითხავს: რა სჯობს, არავის სჭირდებოდე და მაინც იყო მამულში, რომელიც გასხვისდა, თუ იყო სხვაგან, სხვათა „მუდმივ სამშობლოებში“, რომელთა ბედნიერ მკვიდრთა სახელებსაც დამამცირებელ მეტასტაზებად არ შესცოცებია გაარსებითებული ეპითეტები: „დევნილი“, „ლტოლვილი“, „უცხო“, „უადგილო“?!

ალ-ბარღუთი ხელოვანია, მაშასადამე, განსხვავებით მირიადი თანამემამულისაგან, არაა „სხვაგან შეუძლებელი“ (ცვეტაევასეულის პერიფრაზით), შეუმდგარი პერსონა – პოეტია, არაბულ სამყაროსა თუ დასავლეთ ევროპისა და ამერიკის კულტურულ-ინტელექტუალურ წრეებში პატივდებული, დაფასებული (ისევე, როგორც მისი მეუღლე – ეგვიპტელი რომანისტი, „გრანადის ტრილოგიის“ ავტორი, რადვა აშური და „პოეტთა უფლისწულის“ ტიტულის მფლობელი ვაჟი, თამიმი). ხელოვანის ხვედრი არაა (როგორც თავად ამბობს ტრაგიკული სარკაზმით) მენაგვეობა, ფეხსაცმლის მწმენდავობა (როგორც პალესტინელთა აბსოლუტური უმრავლესობის), მაგრამ ხელოვანის პალესტინური ფესვები „ქოთნის მიწას“ ვერ იგუებს, სხვათა მდიდრული აეროპორტების, კრიალა, ფეშენებელური სასტუმროების ყალბად ზეიმურ ინტერიერში ვერ გაიხარებს...

პალესტინელ პოეტსა და ინგლისური ლიტერატურის სპეციალისტს უცილობლად გაცნობიერებული აქვს ტომას სტერნზ ელიოტის („დაბრუნების არ მაქვს იმედი“), ტომას ვულფის („ვერასოდეს დაბრუნდები“) სტრიქონების ტრაგიზმი – ოთხმოცდაათიანი წლების რამალა (რომელშიც ორიოდ კვირით დაბრუნდა) არაფრითა ჰგავს სამოციანი წლებისას (როდესაც გააძევეს)... უნუგეშოდ ჩავლილია რამალაში გასატარებელი და ვერგატარებული ათწლეულები...

„ჩვენ მივეჩვიეთ გასვენებებში სიარულს, გარდაცვლილების გაცილებას მოწოდებებითა და ხმაურით მეტაფორული მიზნისაკენ – პალესტინისაკენ და ფაქტობრივი მიზნისაკენ – სამარისაკენ“ – ეს სტრიქონები არც პოეტური ვიზიონია, არც ჰიპერბოლა...

ეს პალესტინელთა (და ქართველთა) ყოფის რეფლექსიაა...

ასეთი ვიზიონები გარითმულ სტრიქონებად ვერ ჩამოინაკვთება, მხოლოდ ვერლიბრის მკაცრი სისადავე თუ დაიმარხავს, ან დღიურ-მემუარები – „მე ვნახე რამალა“ – დოკუმენტური პროზის მკაცრი, პირუთვნელი მხატვრული ქსოვილი...

„დოკუმენტურ პროზაში“ ჟამით-ჟამ გაკრთება მარად ახალგაზრდად დარჩენილ მიცვალებულთა პორტრეტებიც („ცოცხლები ბერდებიან, მიცვალებულები – არა“), ეზოს მაჩრდილობელი ლეღვის, პაპის კარიბჭესთან მიბმული აქლემის (რობაქიძისეული ბეხანის ტრაგიკული სილუეტიც მოგვაგონდება), რამალას ყუჩი ბიბლიოთეკის სილუეტები...

სამკვიდროზე ვერასოდეს იფიქრებ, „მქონდა იგი, თუ მომაგონდაო“...

ალ-ბარღუთის ჰქონდა და აქვს პალესტინა – ის მის წარმოსახვაში ცოცხლობს, დროის სამივე ჰიპოსტასში განფენილი.

პალესტინა ბებია უმ ათაა, ორი შვილი რომ უქმროდ გაზარდა, ოცი წლის ასაკში დაქვრივებულმა, მშვიდი, მუდამ განონასწორებული მამა პოეტისა, მწვანეთვალება დედა, ყვავილების გამხარებელი, არაფრით რომ ჰგავს „პოლიტიკას მიკედლებულ აქტიურ ქალებს“, სამი ძმა – პარიზში სწორედ პალესტინელობის გამო მოკლული მუნიფი და ორიც – უმცროსი...

პალესტინელობა განაჩენია...

„არსებობენ ბედნიერი ერები, სამშობლოს თავისუფლება და ერთიანობა რომ არ ეოცნებებათ“ (ო. ჭილაძე).

„ოიდიპოსს სულაც არ შეუძლია, კატასტროფა კარნავალად და ფესტივალად გადააქციოს; შექსპირს ტრაგედიის დაწერა თუ სურდა, ტრაგედიას წერდა, ჩვენ კი, არაბები, ტრაგედიისა და კომედიის ერთსა და იმავე გვერდზე კითხვას მივეჩვიეთ“, – კვლავ უზუსტესია ხელოვანისეული რეფლექსია ტრაგიკულისა.

კომედიაა, ტრაგედია თუ ფარსი, ჟენევაში მიმავალი სანათესაო „პასპორტთა კოქტეილით“ რომ განაცვიფრებს შვეიცარიელ მებაჟეს – „თითოეულის გვარი ალ-ბარღუთი იყო, მაგრამ პასპორტები – იორდანიის, სირიის, ამერიკის, ალჟირის, ბრიტანეთის, საფრანგეთის, ეგვიპტის, ისრაელის (ისრაელისაც კი!)... და ტრაგიკული დასკვნა: „ჩვენი ერთად მგზავრობა სირცხვილია“... ის, რაც ასე ბუნებრივია, ასე ადამიანური – ნათესავთა შეკრება, სითბოსა და სიყვარულის ურთიერთგაზიარება, ტრაგიკომიკურ იერს იძენს, ხელოვანის მახვილი მზერა აფიქსირებს ბოშათა ბანაკივით აშლილი მოდგმის ყოფის ტრაგიზმს, ბალაგანურ-ფარსული ელემენტებით...

[როგორ არ მოგაგონდება ერთი ცნობილი კლიპის პასაჟი – სოხუმისაკენ სუპერთანამედროვე მანქანებით დაძრული სრულიად საქართველო და მხოლოდ დევნილები – დაფხავებული „იკარუსით“... აქაც ერთმანეთში ირევა ტრაგედია, ფარსი, კომედია]...

და მაინც, ხელოვანი, რომელიც ომის საზარ არსს აცნობიერებს, ვერ გაექცევა უარსებითეს კითხვას: ვისია წმინდა მიწა, ზეციური იერუსალიმის სახელით კვართივით გადანაწილებული, მიწა რამალასი – იერუსალმის ზურმუხტოვანი გარეუბნისა, სადაც ისრაელ-პალესტინის კონფლიქტამდის მონაზონი და მუეძინი ერთად მკვიდრობდნენ, უფლის საგალობელსაც ერთად აღავლენდნენ, „ქალაქი მათში იყო, ისინი – მასში“...

დევნილი ხელოვანის ნაფიქრალი უზუსტესად ირეკლავს ნებისმიერი კონფლიქტის ტრაგიკულ აბსურდულობას: „მთელი მსოფლიო იცნობს იერუსალიმს, როგორც ძლევამოსილებას სიმბოლოსი. იერუსალიმს თვალი ისე ხედავს, როგორც კლდის წვერს და კმაყოფილია. მსოფლიოსათვის ის რელიგიების, პოლიტიკისა და კონფლიქტების ქალაქია, ასე რომ, დიდად არ ანაღვლებს ჩვენი – ხალხის – იერუსალიმი – სახლების, მოკირწყლული ქუჩების, სუნელების მაღაზიების, არაბული კოლეჯის, ანტიკვარიატის და სადაფის, ქუნჯუთის ნამცხვრის გამყიდველების, ქუჩაში გატოტილი პალმების, შინ გახარებული მცენარეების, ქვაფენილიანი ხეივნების, ვიწრო შესახვევების, სარეცხის თოკების იერუსალიმი, ჩვენი გრძნობების, ჩვენი ბავშვობის იერუსალიმი...

აღდგომის შაბათს ქრისტიანებთან ერთად ვიდექით წმინდა ტაძრის სიბნელეში და მათთან ერთად ვწევდით ანთებულ თეთრ სანთლებს...

ეს ჩვეულებრივი იერუსალიმია – ქალაქი ჩვენი პატარ-პატარა, უმნიშვნელო შემთხვევებისა, რომლებიც მალე გვავიწყდება, რადგანაც ჩვეულებრივია – ისე, როგორც წყალი წყალია და ელვა – ელვა, ხოლო, როცა ხელიდან გვისხლტება, ზეცისკენ მიიწევს, სიმბოლოდ რომ იქცეს.

ყველა კონფლიქტს სიმბოლოები ურჩევნია. იერუსალიმი ახლა თეოლოგიის იერუსალიმია, მსოფლიოს მისი „სტატუსი“ ეხება, მისი იდეა და მითი, მაგრამ – არა ჩვენ ცხოვრება იერუსალიმში და არა იერუსალიმი – ჩვენს ცხოვრებაში. ცის იერუსალიმი ყოველთვის იცოცხლებს, მაგრამ ჩვენს ცხოვრებას მასში გაქრობა ემუქრება...“

მურიდ ალ-ბარღუთი ეხება საკრალურს, ეხება ფაქიზად, ტაქტით, მაგრამ – კატეგორიულად: „არაფრით შემიძლია დავუშვა ორი თანაბარი უფლება ერთ მიწაზე, ვერ აღვიქვამ ღვთაებრივს მიწიერი პოლიტიკური ცხოვრების უმაღლეს ეშელონებში. სერიოზულად არასოდეს დავინტერესებულვარ თეორიული დისკუსიებით იმის თაობაზე, თუ ვის აქვს უფლება პალესტინაზე, რადგან ჩვენ მიწა დებატებში არ დაგვიკარგავს – ის ძალის გამოყენებით დაგვაკარგვინეს... როცა პალესტინა პალესტინა იყო, არ გვეშინოდა ებრაელებისა, არც მტრებად გვყავდა წარმოსახული. შუა საუკუნეების ევროპას სძულდა ისინი და არა ჩვენ, ჰიტლერს ეზიზღებოდა და არა ჩვენ, მაგრამ, როდესაც ჩვენი ტერიტორია დაიკავეს და იქიდან გაგვასახლეს, ჩვენც და ისინიც თანასწორი უფლებების მიღმა აღმოვჩნდით. ისინი გახდნენ მტრები და გაძლიერდნენ, ჩვენ გავხდით იძულებით გადაადგილებულები და სუსტები. მათ გეოგრაფიითა და წარმოსახვებით, სიწმინდის ძალითა და ძალის სიწმინდით დაიკავეს ჩ ვ ე ნ ი ტერიტორია.“

საგულისხმო, საცნაური და ტრაგიკულია ფრაზა: „არაფრით შემიძლია დავუშვა ორი თანაბარი უფლება ერთ მიწაზე.“

ალ-ბარღუთი დევნილი ხელოვანია, ომის მრავალთაგან ერთ-ერთი მსხვერპლი.

სხვა დევნილი ხელოვანი, ბოლშევიზმის კოშმარით ტანჯული, წერდა: «Всяк дом мне чужд, всяк дом мне пуст, и все равно, и все едино, но если по дороге куст встает, особенно рябина...»

ცვეტაევასეული მრავალწერტილი აქ შემთხვევითი სულაც არაა.

კამიუ წერდა, „მწერლისათვის უკეთესია, არაფერი თქვას, ვიდრე თქვას ზედმეტიო.“

ცვეტაევასეული ცირცელი (рябина), თუ ალ-ბარღუთისეული ლეღვის ხე ის სახსოვარია, სასოდ და ნუგეშად რომ აქვთ სატელეფონო ზარების მისტიური მუსიკით შეძრწუნებულთ.

ვის უხმობს ზარი, ან რისთვის ხმობს? იმისათვის, რომ სამყაროს მირიად კუნჭულში მიმოფანტულთ ახლობლის გარდაცვალება აუწყოს, უიშვიათესად – სადღაც გადაკარგულში – ქორწილი... და (გავიმეორეთ ზემოთქმულს) ბარღუთების დიდი საგვარეულო ისრაელის, ბრაზილიის, ეგვიპტის, სირიის, იორდანიის, ამერიკის შეერთებული შტატების, ბრიტანეთის „პასპორტების კოქტეილით“ ბოშათა ბანაკივით დაიძრას საკუთარი სისხლისა და ხორცის უბედურების თუ ბედნიერების გასაზიარებლად, მებაჟეთა საქილიკოდ, ისიც – იმ ბედნიერ შემთხვევაში, დროებითმა „სამკვიდრო ქვეყანამ“ თუ ინება „უადგილოთა მიღება“...

ფესვდაჭრილ პალესტინელთა იმედებისა და სასოწარკვეთის დამმარხველი ფრაზა საცნაური ტრაგიზმით ემთხვევა ქართველ დევნილთა მწუხარე ფიქრს: „სანამ ყველაფერი გაირკვევა...“ ისევე, როგორც ალენბის, თუ მეფე ჰუსეინის, თუ დაბრუნების ხიდის პარადიგმა – ასეთი ხიდი არსადაა მსოფლიოშიო, იტყვის ალ-ბარღუთი.

ასეთი ხიდი არის და ეს ენგურის ხიდია.

1948 წელს პალესტინის დასავლეთის სანაპირო რომ აჰყარა ისრაელმა, იძულებით გადაადგილებულთ საკუთარ ქვეყანაში „ლტოლვილებად“ ვიხსენიებდითო, წერს ალ-ბარღუთი, ბავშვები ეგრე ვეძახდით, არც უფროსებს დაუშლიათო.

კონტექსტი იტევს ხელოვანის მთავარ სათქმელს – დასავლეთის სანაპიროსადმი დანარჩენი ქვეყნის ეს გ ა ნ უ რ ჩ ე ვ ლ ო ბ ა ამზადებდაო 1967 წლის ტრაგედიას – ოკუპაციის გარდუვალობას.

თუ 1948 წელს დასავლეთის სანაპიროს დაინარჩუნებდნენ ებრაელები, პალესტინელთა განურჩევლობით თუ გულარხეინობით გულმიცემულნი, რად ვეღარ დაისაკუთრებდნენ, სულ რაღაც ოციოდ წელიწადში, მთელ პალესტინასაც?! ღმერთმა ნუ ქნას, „დასავლეთის სანაპიროს“ (აფხაზეთს) „დანარჩენი საქართველოც“ მიაყოლოს „ჩაგრულ ერთა“ ბედზე მონაღვლე იმპერიამ...

ალ-ბარღუთის წიგნის კითხვისას ოთხმოცდაცამეტის სექტემბერში სოხუმის სანაპიროზე პატრონისაგან მიტოვებული ძაღლიც მომაგონდა, ტალღებს რომ აწყდებოდა, გაწბილებული და დაბნეული (ამ კადრს 27 სექტემბერს იმეორებენ ხოლმე ტელევიზიები, სოხუმის დაცემის (გაცემის!) მორიგ წლისთავზე, საინფორმაციო გამოშვებების ორწუთიან რეპორტაჟებში, რეკლამასა და რეკლამას შორის): „წარსული იქვე იყო, სოფლის მოედანზე, მზის გულზე გაედგა ფესვი და იჯდა პატრონის მიერ მიტოვებული და მივიწყებული ძაღლივით. მომინდა ხელი ჩამევლო მისთვის, წინ გამეგდო – თავისი მომავალი დღეებისაკენ, უკეთესი მომავლისაკენ, და მეთქვა: გაიქეცი!“

„სანამ ყველაფერი გაირკვევა“, იზრდებიან თაობები უცხო ქალაქებში, უცხო ალაგთა სიყვარულით, სხვანაირი მოგონებებით, სხვათა სასტუმროებში, არაფრით რომ ჰგავს მყუდრო სახლს («дом, и не знающий, что мой, как госпиталь или казарма» – კვლავ მარინა ცვეტაევა). ემშობლიურებათ კი ოდესმე რამალა, სოხუმი, ცხინვალი?!

„ოკუპაციის ხანგრძლივმა პროცესმა შექმნა ისრაელის მთელი თაობები, რომლებმაც არ იციან სხვა „სამშობლო“ და, იმავდროულად, პალესტინელთა მთელი თაობები, რომელთათვის პალესტინა უცხოა.“

ფაქტის უბრალო კონსტატაცია ეგზისტენციური ვარამითაა გაჯერებული.

მაგრამ იმედიც აქვე – ბარღუთის ნათელ წიგნში – ყოყმანის, დაეჭვების გამომრიცხავი: „მოვა დრო და თამიმი [მწერლის ვაჟი – ნ. კ.] აქ იცხოვრებს...“ თუ თვითონ ხელოვანი მამა ვერა, შვილი, თამიმი, მაინც...

სამშობლო დროა და არა მხოლოდ ადგილი...

ალბათ, დადგება დრო, „როცა ყველაფერი გაირკვევა“ – უფლის მაღალი ნებით.

მამამ ნახა მშობლიური რამალა („დიდსულოვნად“ დართეს ნება სამკვიდრებლის ორკვირიანი მონახულებისა – ოცდაათწლიანი იძულებითი განშორების შემდეგ). შვილი დაბრუნდება მამისეულ რამალაში. ალ-ბარღუთისაგან ნაკარნახევი, უთუმცაო იმედი – აფხაზეთსა და სამაჩაბლოსთან დაკავშირებით – „მოვა დრო და ქართველი აქ იცხოვრებს...“

P.S. პალესტინელი ხელოვანის, მურიდ ალ-ბარღუთის სევდით ნაქსოვი წიგნი „მე ვნახე რამალა“ (რედაქტორი – როსტომ ჩხეიძე) დარჩებოდა „მტილად დახშულად, წყაროდ დაბეჭდულად“ არაბულის არმცოდნეთათვის, რომ არა ნინო დოლიძის ზნეობრივი არჩევანი – ეთარგმნა პალესტინური საწუხარის რეფლექსია, ქართულს რომ ეხმიანება. წიგნი დროის სატკივარს, ქართული ყოფიერებისა და ცნობიერების ღია ჭრილობასაც – აფხაზეთისა და სამაჩაბლოს ტრაგედიასაც ეხმიანება. ღირსეული მთარგმნელი ალ-ბარღუთის დარდიან ტონს ქართული სიტყვის ქსოვილით აღადგენს, ქართულ სევდად ჩამოქნის...

უცხო ომის უცხო ხელოვანისმიერი რეფლექსია ჩვენს პირშეუკრავ ჭრილობას ეთანადება...

დარიკო ფიფია

ანდრო ჟვანიას შემოქმედება

ანდრო ჟვანია 1907 წლის 18 აპრილს დაიბადა ქ. სოხუმში. 1997 წლის 14 ნოემბერს გარდაიცვალა ოკუპირებულ აფხაზეთის დედაქალაქში. ამბობენ, სოხუმელმა აფხაზმა მწერლებმა მიაბარეს მიწასო.

ანდრო ჟვანიას ათი წელი (1932-1947) გადასახლებაში გაუტარებია. იქედან დაბრუნებულს, არც სოხუმში ცხოვრების უფლება მისცეს და არც არაფერს უბეჭდავდნენ. ციმბირგამოვლილი მწერალი, ერთ დროს, ტყვარჩელში ცხოვრობდა. რამდენიმე წელიწადში მიიღო მშობლიურ სოხუმში ცხოვრების უფლება. 1958 წლის 27 იანვარს მოხდა ა.ჟვანიას რეაბილიტაცია: აფხაზეთის ასსრ უმაღლესმა სასამართლომ გააუქმა საქართველოს შინსახკომის სამეულის 1937 წლის გადაწყვეტილება, მაგრამ ჯოჯოხეთური იარები, სულიერი ტანჯვა – როგორი დასავიწყებელია?! აფხაზეთში გაჩაღებულმა ომმა, მწერალს მთლად მოუთავა ხელი, დაავადდა. აფხაზეთიდან ვერ წამოვიდა, 80 წელს გადაცილებული ანდრო ჟვანია სოხუმში დარჩა, სადაც გარდაიცვალა კიდეც.

რევაზ კვერენჩხილაძე წერს წიგნში „წამების გზა“: „1975 წელს, ჩემთვის მოწერილ ბარათში ბატონი ანდრო მწერს: „თბილისში დღემდე არაფერი გამომიქვეყნებია...“ განაპირა პროვინციებისადმი ჩვენი ასეთი უყურადღებობა შემდეგში საქართველოს ძვირად დაუჯდა!“

ქართული ლიტერატურის ისტორიის გაუხუნარ ფურცლებზე დღემდე იკითხება ანდრო ჟვანიას, როგორც მწერლის და ღირსეული მამულიშვილის შემოქმედებითი ბიოგრაფია. მისი ცხოვრება და ლიტერატურული მოღვაწეობა აფხაზეთში მეოცე საუკუნის ისტორიული ქარტეხილებით დამძიმებულ წლებს ემთხვევა. სწორედ ასეთ ვითარებაში ყალბდება მისი მწერლური მრწამსი, მისი პატრიოტული სულისკვეთება ეროვნული მუხტით გაძლიერებული, რაც უმთავრეს მოტივად აისახა ანდრო ჟვანიას ლიტერატურულ ნაწარმოებებში. დრამატული პოემები, პუბლიცისტურ-კრიტიკული წერილები, ლირიკული ლექსები, თარგმანები ის ლიტერატურული სივრცეა, სადაც ანდრო ჟვანიამ საკმაოდ თამამად გამოხატა თავისი განცდები, შეხედულებები და წარმოაჩინა საკუთარი შემოქმედებითი სახე.

1968 წელს დაბეჭდილი დრამატული პოემა „რუსთველის ხმალი“ ანდრო ჟვანიას 1934 წელს დაუწერია და ის მწერლის პირველ სერიოზულ ნაწარმოებად მიიჩნევა. მართალია, „რუსთველის ხმალი“ ცალკე წიგნად მოგვიანებით გამოიცა, მაგრამ ეს პოემა საკმაოდ გახმაურებული და ლიტერატურულ წრეებშიც კარგად ცნობილი იყო. პოემის შემოქმედებით ისტორიას თუ დავაკვირდებით, ის 1935 წელს „აფხაზეთის მწერალთა ალმანახში“ დაბეჭდილა რუსულ თარგმანად, ხოლო 1966 წელს მოსკოვში, ჟურნალ „თეატრში“ გამოქვეყნდა პოეტ ოლეგ ჩუხონცევის მიერ თარგმნილ ახალ ვარიანტად.

„რუსთველის ხმალი“ ცნობილი იყო შალვა დადიანისთვის. მას ასევე კარგად იცნობდა სიმონ ჩიქოვანი და სხვა მწერლები. „თამარის ეპოქის თუნდაც რომელიმე ერთი კუთხის გაშუქებას ქართველებისათვის მუდამ დიდი, სულიერად ამამღლებელი სარგებლობა მოაქვს... გასახარელია, რომ თქვენ კარგად იცნობთ იმ დროს, იმ არეს, იმ ატმოსფეროს... კარგად გაქვთ სასახლის კარი აღწერილი თავისი დიდებულებით, მათი ყოყლოჩინობით, ზვიადობით. კარგად არის გამოვლინებული ამ აბულასანების და სხვათა მტრული დამოკიდებულება შოთასადმი. აქ ძალიან ძუნწად, მაგრამ მაინც გადმოშლილია თამარის სახე...“,

– წერს შალვა დადიანი ანდრო ჟვანიასადმი გაგზავნილ წერილში და დადებითად აფასებს პოემას. იქვე დასძენს, რომ მიუხედავად რეალური აღწერისა, პოემას სიმბოლურ ნაწარმოებად მიიჩნევს. თამარის ბრძანება, რომ შოთას ხმალი კვლავ შემოირტყას, შალვა დადიანს უმყარებს პოემის სიმბოლურობის განცდას და თამამად ამბობს: „ავტორს უნდოდა შოთას ამ საქციელით უფრო ღრმა აზრი ეთქვა და ეს სიმბოლურად მოგვაწოდა“. რასაკვირველია, ამ სიმბოლური დატვირთვის ამოცნობა ნაწარმოებში ძნელი არ უნდა იყოს. თვით დაწერის თარიღი – 1934 წელი ჩვენი ქვეყნისთვის უსასტიკეს ეპოქაზე, დაპყრობილი ქვეყნის ჭირზე მეტყველებს, რაც შალვა დადიანის ობიექტურ მზერას არ გამორჩენია.

პოემა სტრუქურულად შემდეგნაირად გამოიყურება: თხრობა იწყება მცირე პროლოგით, შემდგომ კი მთავარი სათქმელი სამ ძირითად თავში იშლება. I–საუბარი პირველ სარკმელთან, II–საუბარი მეორე სარკმელთან და III–საუბარი მესამე სარკმელთან. პირველში წარმოდგენილია დემეტრე და გიორგი მეფეების დიალოგი, მეორეში ავტორს დიდებულები შემოჰყავს მოქმედებაში, ხოლო მესამეში კი – აბულასანი, მხარგრძელი, კარისკაცი, სეფექალი, თამარი... პოემაში ხშირად ვხვდებით შოთას სიტყვებს თამარის მიერ წარმოთქმულს:

„შენი სიცოცხლე მეგულვის, ჩემად იმედად გულისად...“

შოთა პასუხობს:

„მე არა ძალმიძს, არა, მოსმენა
პირიმზის მიერ წაკითხული შაირებისა! “.

ცხადია, „რუსთველის ხმალში“ ანდრო ჟვანიამ კიდევ ერთხელ გააცოცხლა ქართულ ლიტერატურაში და ისტორიაში ჩავლილი დიდი ეპოქა.

„აბრსკილის შეპყრობა“, – ასე ჰქვია 1972 წელს გამოცემულ კიდევ ერთ დრამატულ პოემას. წინასიტყვაობიდან ვგებულობთ, რომ პოემას საფუძვლად დასდებია უძველესი აფხაზური თქმულება აბრსკილის შესახებ და ასახავს ბოროტისა და კეთილის ჭიდილს, როგორც ორი ძალის დაპირისპირებას. აქაც თავიდან ბოროტი იმარჯვებს, მაგრამ საბოლოოდ ის მარცხდება და გამარჯვებას სიკეთე იმსახურებს. აბრსკილში განზოგადებულია ხალხის კეთილდღეობისთვის, სიკეთისთვის დაბადებული გმირი. ასეთი გმირი უკვდავია და ანდრო ჟვანიამ თავის პოემაში მას უკვდავების ძეგლი აუგო.

პოემა იწყება აბრსკილის გაცნობით, რაშიც იშველიებს მითს, თქმულებას, რომ აბრსკილი „აფსნის“ (აფხაზეთის) მიწაზე მტრებს ებრძოდა. ის ანგელოზებმა შეიპყრეს და ჭლოუს (აფხაზთა სოფელი) გამოქვაბულში ჩასვეს. პოემის ძირითად ნაწილში კი საუბარია, თუ ვინ არიან მისი დამპყრობი ანგელოზები:

„უხსოვარ დროში აფსნის მიწაზე,
აბრსკილი არაშს დააქროლებდა
და სამშობლოს მტრებს დაუზოგავად
ხოცავდა თავის ალაბაშათი“.

ავტორს პერსონაჟთა ფართო წრე საშუალებას აძლევს წარმოაჩინოს საზოგადოების სხვადასხვა სოციალური წრის წარმომადგენლები. აქ ერთმანეთს ენაცვლებიან ქალები, ქუაჯიჯი, კაცუბა, აცვბა, ამზა, ქამგაზი, ასოცი წლის უხუცესი, აბრსკილი და სხვები. აღწერილია აფხაზთა ძალისხმევა აბრსკილის დასახსნელად. უხუცესი თავის გამოსვლაში „აფსნის“, როგორც სულის დასასვენებელი მხარის, წარსულს აღწერს და ამით მუხტავს გარშემომყოფთ, რომ დაიცვან სამშობლოს ღირსება და იხსნან მტერთაგან:

„ჩვენი უტკბესი სამშობლო „აფსნი“
თავის საზღაპრო მშვენიერებით
დიდი წამების გადამტანია.
უცხოეთიდან დაძრული მტერი
შინაურ მტრებთან შეთანხმებული,
ცეცხლს გვიკიდებდა და გვიმონებდა...“

აბრსკილი ხალხის რჩეულია. მან კაცუბას კითხვაზე, თუ ვინ დაიხსნიდა მას, პასუხი გასცა: – ხალხი!

„როდესაც იგი თავის საკუთარ უფალს გააჩენს
და მიხვდება, რომ ღმერთი,
რომლისაც ახლა სწამს,
მის ღმერთი არ არის!“

საოცრად წინასწარმეტყველურია მწერლის განცდა და სიმბოლურად ეხმიანება თანამედროვე რეალობას. იმ რეალობას, რაც დღეს სამწუხარო ისტორიული თუ პოლიტიკური ფაქტია. ნამდვილად, აბრსკილის სახით დატყვევებულია ის „სულის სავანე მხარე“, რასაც აფხაზეთი ჰქვია და მისი გათავისუფლება მხოლოდ უფლის და ხალხის ნება უნდა იყოს.

„კატორღის ნათელი“ 1977 წელს გამოცემული დრამატული პოემაა. წიგნი მწერლის დაბადებიდან 70-ე წლისთავთან დაკავშირებით დაიბეჭდა გამომცემლობა „ალაშარაში“. წინ უძღვის მიხეილ ჩაჩუას წინათქმა და მასში შესულია დრამატული პოემები „უკრაინის გედი“ და „კატორღის ნათელი ანუ დოსტოევსკი სემიპალატინსკში“. „უკრაინის გედი“ ლესია უკრაინკას მხატვრული სახის წარმოჩენაა და მისი ცხოვრების უკანასკნელ

წლებს ასახავს. ავტორი გვიყვება მის ჩამოსვლას საქართველოში სამკურნალოდ და გადმოგვცემს დედასთან დიალოგს, თავისუფლებისმოყვარე ლესიას წინათგრძნობას, რომ რევოლუცია ახლოვდება. „უღლის ქვეშ მშვიდობა მუდამ ხელოვნურია“, – ეს ლესიას სიტყვებია პოემიდან, რაც ნიკოლოზ ბარათაშვილის სოფიოს დარდიან ნათქვამს მოგვაგონებს „ბედი ქართლისაში“.

„კატორღის ნათელი“ თეოდორ დოსტოევსკის მძიმე ცხოვრების ერთ-ერთ პერიოდს აღწერს. ანდრო ჟვანია ცდილობს, წარმოაჩინოს დიდი მწერლის მსოფლგანცდა, პროგრესული მხარეები, მისი ფიქრები რუსეთზე, ხალხზე, რევოლუციაზე. უნდა აღინიშნოს, რომ ამ ისტორიული რეალობის ფონზე არ უჭირს მას დიდი მოაზროვნის ნამდვილი პორტრეტის შექმნა და მხატვრული სახის ჩვენება.

1984 წელს გამომცემლობა „ალაშარამ“ პოეტ ჯანო ჯანელიძის რედაქტორობით გამოსცა ანდრო ჟვანიას პოემა „პატიოსანი ეიბი“. პოემა ეხება ამერიკის შეერთებული შტატების ერთ-ერთი პროგრესული სახელმწიფო მოღვაწის აბრაამ ლინკოლნის ცხოვრების ბოლო პერიოდს. მწერალი გვაცნობს იმ ხანას, რომელშიც პრეზიდენტს უხდებოდა ცხოვრება და მოღვაწეობა.

„გაზაფხულის ერთ თბილ საღამოს
ის გამოვიდა თეთრი სახლიდან
და გაემგზავრა თეატრში ეტლით“, –

ასე იწყება პოემა და იქვე ავტორი გვაუწყებს, რომ „ამერიკის მომავლისკენ მზერით გამთბარი თვალები მოკლეს“. ამ დრამატული სცენარის მყუდროებას I და II ხმა არღვევენ, შემდგომ ნიკოლაი, ჰეისი ენაცვლებიან ერთი-მეორეს. ლინკოლნი ტედისთან /შვილთან/ დიალოგში გადმოგვცემს თავის ბიოგრაფიას. ის შეშის მჭრელი იყო, მისისიპზე ხეს აცურებდა, ხნავდა, თესავდა, ძროხას წველიდა, შიმშილობდა და მშობლებს გვერით ედგა... აშკარაა ავტორის სიმპათიები ამ პოლიტიკური გმირის მიმართ. ის პრეზიდენტის დემოკრატიულ კონცეფციას ასე აყალიბებს:

„ამერიკელი კლავს ამერიკელს,
ერთი მათგანი კარგავს უფლებას
ამერიკელად იწოდებოდეს!
ჰო, დამიმიზნეთ ეგ პისტოლეტი,
მაგრამ გახსოვდეთ, არ დაგავიწყდეთ,
რომ ტყვიას გულში ვერ მომახვედრებთ,
რადგან მას მკერდში როდი ვინახავ, –
ხალხს მივაბარე, დიდი ხანია!“

ცხადია, ანდრო ჟვანია ხაზს უსვამს ამ პოლიტიკური გმირის პატრიოტიზმს, ადიდებს მისი თავისუფლებისმოყვარე იდეებს, ეწევა თანასწორობის აპოლოგიას (ზანგ ქალს უკრძალავს მის წინაშე დაჩოქებას):

„იყავით ღირსნი თავისუფლების
და არ გაბედოთ კაცის წინაშე მუხლებზე დგომა!“ – ასეთია ლინკოლნის დემოკრატიული განაჩენი. პოემაში ხმები მოქმედებენ. ერთ-ერთი ხმა მკვლელია. „მთელი ამერიკა უკან დაედევნა მას“, – წერს ავტორი და სწუხს კაცობრიობის ამგვარ ქმედებაზე, ომში გამარჯვებული პრეზიდენტის მკვლელობაზე.

ორი დრამატული პოემა გაერთიანებულია 1987 წელს გამოცემულ ანდრო ჟვანიას წიგნში „ოქროს დილა“, სადაც ასახულია ინგლისის სახელმწიფოს განვითარების ის პერიოდი, როცა მის ყოფაში ნელ-ნელა იკიდებდა ფეხს კაპიტალიზმი. სწორედ ამ ფონზე აღწერს მწერალი გენიალური დრამატურგის უილიამ შექსპირის სახეს, ხელოვნებისა და ხელოვანის ბედს იმ ეპოქაში. „ოქროს დილაში“ გადმოცემული ამბავი დროით 1961 წელს აღწერს. მოქმედების ადგილი ლონდონია. შექსპირთან ერთად პოემაში ვხვდებით ინგლისის დედოფალ ელისაბედს, ფილოსოფოს ფრანსის ბეკონს, შეთქმულთა ჯგუფს, შექსპირის ძმა ედმუნდს, ლედის, მასხარას, ფრანგ ქალს და სხვა პირებს. პოემა ათ სურათადაა წარმოდგენილი. თეატრი „გლობუსი“ შექსპირის ტრაგედიის სათამაშო ადგილია. პოემის დასასრულს, დედოფალი ოქროს დილის უბრწყინვალეს კომედიანტს უწოდებს შექსპირს.

მეორე პოემით „ამირანი“ ანდრო ჟვანია ლიტერატურაში კარგად ცნობილ თემას ეხმაურება. ის წერს:

„არს ერთი მთა საქართველოში,
მას ამირანის მთას ეძახიან.
იმ მთაზე იყო მიჯაჭვული
ამირან-გმირი, ამბობენ დღემდე...“

ასე იწყება თხრობა და მოქმედ პირებად აჯი, ბაჯი, ბაყბაყდევი, ამირანი, უხუცესი, მოხევე, მოხუცი, გიგაი ჰყავს გამოყვანილი.

მისი ამირანი გმირი და უშიშარია. მას არ აშინებს ტანჯვა, თუკი სიკეთე გაიმარჯვებს:

„მიკურთხე ჩემი პირადი ტანჯვა,
მას შემავედრე, მთლად არ მომტეხოს
და ჩემი ხალხის მტერთან ბრძოლაში
იმდენი მაინც შემაძლებინოს,
რომ ღირდეს ჩვენი კავკასიონის
ქედზე მიჯაჭვად“.

პოემაში გამოკვეთილია სიმბოლური ნაკადი, რაც ანდრო ჟვანიას შემოქმედების ნიშანდობლივი მხარეა.

გამომცემლობა „ალაშარამ“ 1990 წელს

გამოსცა ანდრო ჟვანიას ახალი წიგნი „ორი გული“, რომელშიც შესულია ისტორიული ხასიათის ორი დრამატული პოემა „ასინეთის ქოხი“ და „მე დავსდებ სულსა“. პირველში აღწერილია დიდგორის ბრძოლის წინადღე, დიდი მეფე-სარდლის სამზადისი გადამწყვეტი ბრძოლისათვის. მეორე პოემა კი დემეტრე მეორე თავდადებულის გმირობას ეძღვნება. მოთხრობილია, როგორ გადაარჩინა დემეტრე მეფემ საქართველო მორიგ აოხრებას. წიგნი ჩვენი ქვეყნის ისტორიის დიად წარსულს სწორედ დავით აღმაშენებელს და დემეტრე მეფეს უკავშირებს და მათ სამშობლოსთვის, საქართველოს გადასარჩენად დაფერფლილ გულებს ეთაყვანება.

„ასინეთის ქოხი“ ამგვარი პოეტური თქმით იწყება:

„აგვისტოს ღამე მოქანცული მიიპარება.

გათენდება და დაიწყება დიდგორის ომი.

სადღაც დიდგორის მახლობლად დგას პატარა ქოხი, რომელშიც ქვრივი ასინეთი ცხოვრობს მარტოკა...

იგი ლოცულობს გულმხურვალედ

და ღმერთს ავედრებს მთელ საქართველოს“...

„ასინეთის ქოხი“ ლიტერატურული პარალელისთვის გრიგოლ ორბელიანის „სადღეგრძელოს“ მოგვაგონებს და ილიას პოემა „აჩრდილსაც“. აქ ასინეთი ქვეყნისთვის მლოცველი ქართველი ქალია, რომელიც ღმერთს, ყოვლისშემძლეს სთხოვს, მტრისგან, „თურქმანნისგან“ იხსნას ქვეყანა. სთხოვს, არ შეირყეს ქართლის დიდება და რწმენა, „არ შეგვიგინონ საკურთხეველი“. ასინეთი ის დედაა, ვინც მამულს შვიდი ძე და მეუღლე შესწირა:

„ისმინე შვიდი შვილისა და მეუღლის სისხლში

ნაბანი ხვეწნა და ვედრება ასინეთისა:

მფარველად ექმენ საქართველოს ხვალ და მარადის! “

მეორე პოემას „მე ვდებ სულსა“ წამძღვარებული აქვს ჟამთააღმწერლის სიტყვები: „მე დავსდებ სულსა ჩემსა ერისთვის ჩემისა და არა დავიშლი ურდოსა წასვლას“. პოემა იწყება საბედისწერო საკითხზე მსჯელობით, რაც დემეტრე მეფის ურდოში დაბარების ისტორიულ ფაქტს უკავშირდება. დანანებით წერს ავტორი დემეტრე მეფის ხვედრზე, რომელიც გაავებულ ხანს უნდა ეახლოს:

„ბუღას ღალატით დამდუღრული, არავის ინდობს

და შეიძლება, არ დაინდოს ქართველთა მეფეც.“

პატრიოტული სულისკვეთება, ჩვენი წარსულის სიდიადე დემეტრესა და დავით მეფის დიალოგში გამოააშკარავა ავტორმა:

„დავითი – შენ საქართველოს ამომავალ მზედ მიმაჩნიხარ!

დემეტრე – მე მინდა ვიყო მებრძოლი და არა მნათობი...

დიდო მშობელო და ხელმწიფევ,

მე აღვასრულებ შენს დარიგებას“...

და პირობას დებს, რომ სიცოცხლესაც კი შესწირავს მამულს.

„უბედურება ქართველებს ცად გადაგვეხურა“, – ასე აღწერს პოემის ავტორი მაშინდელ საქართველოს ავბედობას, მაშინდელი საქართველოს მტერმრავლობას. პოემაში მხატვრული ხერხებით გადმოცემულია დემეტრე მეფის თავდადების ცალკეული პასაჟები, სადაც ავტორი ცდილობს ისტორიული წარსულის ფრაგმენტულ გაცოცხლებას. პოემა ადიდებს საქართველოს გადამრჩენ ორ გულს, ადიდებს დავით და დემეტრე მეფეებს და მხატვრული ფერებით მოსავს მათ უკვდავებას.

„ნადუმარი“, – ასე უწოდა ანდრო ჟვანიამ 1981 წელს გამოცემულ ლექსების წიგნს, რომელსაც რეცენზირება დ. გიგიბერიამ და გ. ბერაიამ გაუწია. ეს ლექსები ავტორს უკვე მხცოვან ასაკში დაუწერია და თვით სათაურიც მოწმობს, დიდი დუმილის შემდეგ შექმნილა. „ნადუმარი-ნაჩუმარი“, – ასე განმარტავს ამ სიტყვას საბა“, – ვკითხულობთ წინათქმაში. ლექსებში პოეტის განცდებს, შეგრძნებებს, ფიქრებს ერთად მოუყრია თავი. ის განსჯის და ისე წერს. აქვეა ა. გაწერელიასადმი მიძღვნილი ციკლი – „კლარჯეთის აჩრდილები“, რაც რუსთველის ცხოვრებიდან წარმოდგენილი ქრონიკებია.

წიგნი შვიდტაეპიანი ლექსითაა დაწერილი. ეს ანდრო ჟვანიას ხელწერაა და ამით მან ორიგინალობა შეძლო და შეინარჩუნა. ჩანს, მწერალი ამ სალექსო ფორმას კარგად ჰგუობს, არ წერს ძალადატანებით და ნაფიქრალ-ნააზრევიც კარგად აქვს შემოსილი მხატვრული სახეებით, ფრაზებით, ხშირი მეტაფორებით, შედარებებით, ეპითეტებით, რაც ლექსს ასე ძალიან ამდიდრებს. წიგნში არაერთ მიძღვნას წავაწყდებით. ავტორი სიყვარულს და პატივისცემას არ იშურებს შოთა რუსთველის, ნიკოლოზ ბარათაშვილის, ილია ჭავჭავაძის ლესია უკრაინკას და სხვა ცნობილი სახეების მიმართ.

ერთ-ერთ უსათაურო ლექსში პირველივე გვერდიდან ლექსს მიმართავს:

„ლექსო, მეგზურად აგირჩიე და ჩინებულად

მემსახურები უხმაურო ცხოვრების გზაზე...“

საყურადღებოა ასევე ანდრო ჟვანიას ლექსი „ჩელა“, რომელიც ტარიელ ჭანტურიას ეძღვნება და კოლხეთის სიყვარულით, წინაპრების მოგონებითაა გამთბარი:

„მღერიან „ჩელას“ ხანდაზმული კოლხი გლეხები
და მოჭრიალებს ჭალადიდის ტყეში ურემი.
რა ნაღვლიანი სიმღერაა, ჯიმაღურელი,
განუკითხავად დამლახვრელი, ნაზი შეხებით.
განუკითხავად ურმის უღელს დაგადგამს შენაც,
წარსულის ოხვრად ჩაგესმება კამეჩის ქშენა
და წინაპართა დაირწევა საწუთრო შენში“.

მისი დახვეწილი, ნატიფი ლირიკა პოეტური შეგრძნებებით სავსე და მხატვრული ფორმებით მდიდარი შემოქმედების ის ასპექტია, საიდანაც დახვეწილი, რაფინირებული ავტორი ეხმიანება მკითხველს და მეგზურობას უწევს თავის პოეტურ სამყაროში. ამ განწყობას გვიქმნის მისი ერთ-ერთი ლექსი „სოხუმური იანვარი“:

„ეს იანვარი გაზაფხულის მონაგვარია,
საამურია მოზეიმე გაზაფხულივით,
გაძარცვულ ხეზე ჩიტი გალობს გაზაფხულის ხმით,
გალობს იმაზე, რომ არ იცის რა უხარია“.

ანდრო ჟვანია ზღვის პოეტია. ზღვისპირა ქალაქში მცხოვრებისთვის ბუნებრივია, ახლო და ორგანული უნდა ყოფილიყო ეს მოტივი. მისთვის ზღვა ხილული საოცრებაა თავისი სილურჯით, სილაჟვარდით, ტალღებით და ნაპირებით. მისთვის ზღვა პოეზიაა და არ უძნელდება მასზე წერა, მასზე ფიქრი და მასთან საუბარი. ამიტომაც, მისეულ განცდებს ზღვაზე შექმნილ არაერთ ლექსში მოუყრია თავი („ზღვა შენთანაა“, „ზღვის ვედრება“, „ზღვა“...).

საილუსტრაციოდ შემდეგი სტრიქონების დამოწმებაც არ იქნება ურიგო:

„ზღვა ისე სავსე არასოდეს არა ყოფილა“ („გახსოვს?“);

„მე ზღვის სიღრმიდან ვხედავ სამყაროს“ („სიმაღლე“);

„ზღვა ლაპარაკობს, მღელვარეა და ლაპარაკობს,
ფარდაგებად შლის ნაპირებზე ზვირთთა აკორდებს,
მისებრ დროულად სუყველა რომ ლაპარაკობდეს,
გულში არავის ჩაეხშობა სალაპარაკო“. („ზღვა ლაპარაკობს“).

ანდრო ჟვანიას ლექსების წიგნი, მისი ლირიკული წარმოსახვა არ არის გამიჯნული სატრფიალო მოტივთან. გრძნობის სიჭარბე, გულის დამათრობელი ტრფობა, მოგონებებში მინავლებული ცეცხლის აელვარებას ჰგავს. პოეტი ერთგულია ხსოვნაში დარჩენილი შეხვედრის, სატრფოსთან სიახლოვით განცდილი ღელვის და ლექსშიც ფოტოგრაფიული სიზუსტით აღწერს განცდილ ფორიაქს:

„მე შენი შავი აბრეშუმის ქოლგა მეხურა,
შავი, ვითარცა მაშინდელი ცა ღამეული.
მას ეცემოდა წვიმა რისხვად გადანთხეული
და განუწყვეტლივ ხმაურობდა თავისებურად.
ჩქაფს რკინის ჩონჩხზე გადაკრულმა გაუძლო ფარჩამ,
შენს არსებაში ჩემი გრძნობის წვეთიც არ დარჩა,
ქოლგა კი არა, შენი გული მეჭირა ხელში!“
(„კეკლუცი ქალის წერილიდან“).

სწორედ ამ პოეტურ კრებულში შესულ ლექსებზე გაკეთდა აქცენტი 1977 წლის 15 დეკემბერს სტატიაში „ამაგდარი“, რომელიც იმხანად ოჩამჩირის პერიოდულ გაზეთში „კომუნიზმისკენ“ დაიბეჭდა. რეცენზენტი ი. მექიშვილი ანდრო ჟვანიას ლექსებს „პოეტის შინაგანი განწყობის გამომხატველ საუკეთესო მაგალითებს“ უწოდებს და დასძენს, რომ ამ ლექსების ავტორი პოეზიაში განსხვავებული, საკუთარი სტილის მქონე, ჩინებული მამულიშვილი და ამაგდარი მოღვაწეა.

ანდრო ჟვანიას კრიტიკული თვალსაწიერი ნათლად ჩანს მისსავე ნააზრევში, რაც ალმანახ „კრიტიკის“ 1978 წლის №2-ში გადმოსცა რუბრიკაში „კრიტიკოსს ეკამათებიან“. ანდრო ჟვანიას წერილზე „სახედარზე შესმული მიცვალებული და ესთეტიკური შვება?“, როგორც მინიშნებულია, სოხუმში დაიწერა. სტატიით ანდრო ჟვანია ეხმიანება გურამ ასათიანის წერილს, რომელიც 1977 წელს დაიბეჭდა ამავე ალმანახში /№ 2/ და ეხება ოთარ ჭილაძის რომანს „ყოველმან ჩემმან მპოვნელმან“... აი, როგორი აზრი აღმიძრა, – წერს ა. ჟვანია და მისეული კრიტიკის მიზეზად მიიჩნევს გურამ ასათიანის მოსაზრებებს ესთეტიკის საკითხებში და ეკამათება მას: „ხელოვნება შემოქმედების ნაყოფია და ამდენადვე შემოქმედების გამამართლებელი უნდა იყოს“.

ის მსჯელობს ხელოვნების ესთეტიკურ პრინციპებზე და დაუშვებლად მიიჩნევს ამ პრინციპებიდან გადახვევას. მსჯელობა კონკრეტულად რომანის ერთ-ერთი გმირის ალე-

ქსანდრეს მიერ სახედარზე შესმული გარდაცვლილი პაპის სახეს ეხება და ამ პასაჟზე გურამ ასათიანის მიერ გამოთქმულ აზრს: „ეს სურათი, მიუხედავად მისი შეუფარავი სიმახინჯისა, თავისებურ ესთეტიკურ შვებას იწვევს მკითხველში“. ანდრო ჟვანია არ ეთანხმება კრიტიკოსს, ხელოვნების ესთეტურობის თემას თავისებურად აშუქებს და აცხადებს, რომ „ხელოვნებაში საშინელსა და საზიზღარს შორის პრინციპული ზღვარია. აზრის დასადასტურებლად ის იმოწმებს ლ. ტოლსტოის „ცოცხალ ლეშს“, აქვე მოჰყავს საილუსტრაციოდ გ. ფანჯიკიძის ერთ-ერთი რომანის გმირის თავგასულობა, როცა საუბარი „შემწვარ ნეკზეა“ და ა. შ. ასევე იხსენებს გუსტავ ფლობერის მატოს, მედეას შურისძიების ამბავს... და ასკვნის, რომ „შესაზიზღებელი და მხოლოდ სიმახინჯის გამომხატველია სახედარზე მიცვალებულის შესმა“. ანდრო ჟვანიას აზრით, ეს ადამიანური დაცემის დემონსტრირებაა და ავტორიც გულგრილია, გადაალახინოს ადამიანს ეს სინამდვილის მიერ ნაჩვენები ზღვარი...

ამიტომაც, მკაცრია კრიტიკაში. ის არ ინდობს ავტორს. უფრო მეტიც, კიცხავს „ცოცხალ ცალხელა არსებას, რომელმაც იგი სახედარზე შესვა“ (ა. ჟ.). კრიტიკოსის აზრით, ეს სახე ხელოვნების კანონზომიერების უგულებელყოფის ნიშანია. რაც შეეხება ალექსანდრე მაკაბელის მხატვრულ სახეს, ა. ჟვანია ფიქრობს, რომ არაბუნებრივი და არაპროლეტარულია ასეთი გარდასახვა გმირისა, რომელმაც პაპა მიცვალებული სახედარზე შესვა და „სულ მალე საოცრად კეთილმყოფელი“ ხდება... უნდა შევნიშნოთ, რომ გურამ ასათიანის კრიტიკული წერილი, თემის არასრულფასოვანი გაშუქებით, უკმაყოფილების განცდას უმწვავებს კრიტიკოსს და ასკვნის, რომ გ. ასათიანს ბევრად უფრო მნიშვნელოვან პასაჟებზე უნდა გაემახვილებინა ყურადღება, ვიდრე საშინელსა და ამაზრზენ ფაქტებზე. მითუმეტეს, ყოველივე ამისთვის ესთეტური ტკბობის უნარის მინიჭება, ყოვლად უსაფუძვლოდ მიაჩნია. ანდრო ჟვანია დასაბუთებით გვარწმუნებს, რომ მკითხველში ხელოვნებამ უფრო მეტი დადებითი უნდა შეიტანოს, ვიდრე არაესთეტურის ესთეტურად აღქმის სურვილი.

ანდრო ჟვანიას შემოქმედებითი და პიროვნული ღირსებები არ იყო შეუმჩნეველი თავისი დროის ლიტერატურულ-საზოგადოებრივ სივრცეში. დასაფასებელია როგორც მისი შემოქმედების პოეტური ასპექტები, ასევე მისი მთარგმნელობითი მოღვაწეობა. ანდრო ჟვანია ცნობილია დიმიტრი გულიას მთარგმნელად აფხაზური ენიდან. მისივე ნაწარმოებები თანამედროვე მწერალთა მიერ ითარგმნა რუსულ და უკრაინულ ენებზე.

ლიტერატურული პროცესი ყოველთვის ასახავს ქვეყნის რეალურ ყოფას, მის სულიერ და ფიზიკურ მდგომარეობას. შეიძლება დადგეს ლიტერატურულ ფასეულობათა გადაფასების ჟამიც, მაგრამ გვჯერა, ანდრო ჟვანიას შემოქმედებითი ტენდენცია ყოველთვის გაუძლებს დროთა და ეპოქათა ჭიდილს. გვჯერა, მისი მწერლური პროფილი არასდროს ამოიშლება ქართველ მწერალთა და მოღვაწეთა იმ ლეგიონიდან, რომლებმაც მიუხედავად საბჭოთა რეჟიმის მიერ საქართველოში დატრიალებული „ჟამიანობისა“, მიუხედავად „სისხლის დროისა“, მაინც შეინარჩუნეს ეროვნული თვითშეგნების უნარი, მაინც არ დათმეს ჩინ-მედლებისა და ორდენების მოსაპოვებლად პიროვნული სიმაღლეები და დარჩნენ ქართული სიტყვის, ქართული მწერლობის, მისი წარსულის და მომავლის ერთგულ მსახურებად. ანდრო ჟვანიას შემოქმედებაც სწორედ ამ ნიშნით არის და იქნება დამკვიდრებული ქართული ლიტერატურის დიდ და ისტორიულ საგანძურში.

ანდრო ჟვანია

დათია ბადალაშვილი

ბუდიდან გადმოცვენილები

ჯობია იმით დავიწყო, თუ რა მახსოვს იმ ომიდან.

ყოველ შაბათ საღამოს, საქონლის მოსვლამდე, გორიდან წითელცხვირა ავტობუსი გადმოდგებოდა ხოლმე. ავტობუსს სოფლის ქალები ჩამოჰყავდა ქალაქიდან, სადაც ეს ქალები მაწონს ჰყიდდნენ. მე გზაზე ყურებით მაწყდებოდა თვალები, ბებიაჩემს ჩემთვის რვეულები და კალმები უნდა მოეტანა.

როცა მაწვნის ცარიელ ქილებს, რძის ბოთლებს ჩამოვალაგებდით, როცა ბებიაჩემი მუხლს ჩახრიდა ამბობდა ხოლმე რომ გაივსო ქალაქი „ტოლვილებით“, რომ ყველგან მეგრული ლაპარაკი ისმის. რომ ძალიან მცდელი ხალხია. ეს არ იყო შებრალება, ეს იყო ერთი გაჭირვებულის შური და ბოღმა მეორე გაჭირვებულის მისამართით. ბებიაჩემი კარგი ქალი იყო, ღმერთი ჩემთვის, თუმცა ასეთებსაც ხშირად ეშლებათ ხოლმე.

და ჩვენი ნათესავი, ფოტოებიდან, რომელსაც ქერა ულვაშები და თბილი თვალები ჰქონდა. ის როგორც ბატალიონის მეთაური იმ ომში დაიღუპა. მისი მოსაგონარი უსიკვდილოდ ისმეოდა სუფრაზე, თუმცა ზოგი იმასაც ამბობდა რომ, ეს მისი ომი არ იყო და ტყუილად მოიკლა თავი...

„გამშვები პუნქტი“ მძიმე წიგნია, თუმცა ვერანაირად იქნებოდა მსუბუქი. ავტორი ახალგაზრდა კაცია, ოსტატობა არ დაეწუნება, პირიქით. თავის გადატანილს ჰყვება, რომელიც ამავე დროს ბევრის თავსაა გადავლილი. ამბები, სამწუხაროდ, ნამდვილია, გამოგონილი არ არის.

როცა ვკითხულობდი, შემრცხვა, მე ხომ თოფის გასროლაც არ გამიგია, პურის რიგებიც, მონაყოლით ვიცი. შემრცხვა ჩემი სულმოკლეობის გამო, როცა მე ბერწ ზამთარზე და მწირ მოსავალზე ვჩივი. ამ დროს კი შენთან ახლოს, ადამიანებს გული ძაფზე უკიდიათ...

პირველ კლასში მისულ დევნილ ბავშვს, თანაკლასელი ეუბნება, რომ ომის დაწყება მათივე ბრალია, მათ ხომ ენა დაივიწყეს. ბავშვმა ის თქვა, რაც გაიგონა. რა იქნებოდა მის მშობლებს მისთვის ეთქვათ, რომ ძმის გაგარეულება და გადასხვაფერება მარტო მისი ბრალი არაა, ჩვენი ბრალიცაა.

იმავე დევნილი ბავშვის დედას, ერთი ისეთი ქალი, რომელსაც ეს ქარიშხალი არ შეხებია, ეუბნება: „რად ხართ უკმაყოფილოები? სახელმწიფო ქონების დასაკუთრების საშუალება ხომ მოგეცათო?!“

ამას სხვის კარზე სამადლოდ შეკედლებულს რომ ეტყვი... შურით რომ დაგივიწროვდება თვალები... არადა, ასე იყო თითქმის ყოველთვის, საქართველოს ერთ კუთხეს, მეორე კუთხის მკვდარი – მძინარე ეგონა. ამიტომაც მოვდივართ და მოვტირით ყოფას, ქვეყანად ვერ ვიქეცით. თუ არ დამეთანხმებით, ის გაიხსენეთ, რომ თქვენს გარშემო ერთი ადამიანი მაინც, აჭარელ მუსლიმანებს დღემდე „თათრებს“ ეძახის.

არადა, მართლა შურდათ, ცივ ქვაზე დამსხდრებმა ძალა იპოვეს, ყველაფერი თავიდან დაიწყეს, რაღაც მოინაგრეს კიდეც. ვისაც მათი შურთ, ის ავიწყდებათ, ბუდიდან გადმოვარდნილი ბედნიერი ვერასოდეს იქნება, სულ ბუდეში დაბრუნების ნატვრაში იქნება...

ამ წიგნს წარმატებას ვუსურვებ, მინდა პატარა ბილიკი გაიყვანოს, ძმათაშორის (აფხაზთა და ქართველთა) ურთიერთობებში, ამ გაუცხოვების და წყენის ტევრში.

ირაკლი შამათავა

გამშვები პუნქტი

1992 წლის შემოდგომაა... სულ რაღაც ხუთი წლის ვარ. ამ ასაკში შეუძლებელია ყველაფრის ზედმიწევნით გახსენება! ერთადერთი, რაც კარგად მახსოვს საყვირის ხმაა და ბუნდოვნად გარჩეული სიტყვები – სწრაფად დატოვეთ სოფელი, ომია და მტერი გვიახლოვდება... არაფრით მესმოდა ვინ მოგვსდევდა და ვერც ის წარმომედგინა, ჩვენს კეთილშობილ და სტუმართმოყვარე ოჯახს რანაირად შეიძლებოდა ავისმოსურნე ჰყოლოდა! სხვათა შორის, ეს „ხმა“ დღემდე მომსდევს და ისეთი განცდა მაქვს, თითქოს სულ სადღაც გავრბივარ, მას მერე ხომ ადგილუპოვნელი გავხდი.

ომის წყალობით, ქართულ-აფხაზურ ურთიერთობებში პირველი ხელოვნური საზღვარი გაჩნდა – ბარიკადები ენგურის ხიდთან, რომელმაც ჩახერგა მშვიდობიანი ურთიერთობა და განსხვავებული პულსაციით ააძგერა მოძმე ერის გულები. დღეს, მემატიანე ხიდი გახდა შინდასაბრუნებელთა გზამკვლევი და რუკის ფუნქციის მატარებელი.

მდინარე ენგურს გამოღმა, სოფელ რუხთან დავრჩით სრულიად უქონლები. რაც ომის ქარცეცხლს გადაურჩა, [ვგულისხმობ წვრილმან საყოფაცხოვრებო ნივთებს] ისიც მხედრიონელებმა წაგვართვეს. თითქოს „მავთულხლართების ქალაქს“, გამოვექეცით, მაგრამ არანაკლები ბარიერები აღიმართა ჩვენს ყოველდღიურ ცხოვრებაში.

სამაგიეროდ, ჭირიც მარგებელიაო რომ იტყვიან, გაძარცულებმა და უსახლკაროებმა ერთი რამ მოვიპოვეთ, – დევნილის სტატუსი, (ისიც, თუ საერთაშორისო სამართლის სპეციალისტმა არ განმარტა, დღემდე ვერ გაემიჯნა ლტოლვილისას).

სტატუსზე გამახსენდა, იმ რთულ წლებში, ერთი ბუზღუნა ქალი გადაეკიდა დედას: – განა კმაყოფილი არ ხართ? ომმა ბაღებისა და სასტუმროების პრივატიზების შესაძლებლობა მოგცათო, რაზეც დედა აუღელვებლად პასუხობდა: – კმაყოფილება და უკმაყოფილება ცხოვრების მონაპოვარია. პირველს ხასიათი და მდგომარეობა განაპირობებს, უკანასკნელს – უქონლობა. ოცდაათი წლის ასაკში, ზღვა ადამიანური დანაკარგის ფონზე, ხელახლა ვიწყებთ ცხოვრებას, შენ კი ნუგეშის ნაცვლად... ბაბილონურ ენებზე მოსაუბრე ქალებს ვგავართ ჩვენ, არ გვესმის ერთმანეთის გაჭირვების და არც ღირს წყენამ მოწამლოს მეზობლური ურთიერთობაო.

ასე დაიწყო მომთაბარეობა, ჩემოდნით წანწალი სოფლიდან – სოფელში, ქალაქიდან – ქალაქში. გაქცევა სახლებიდან, მერე საკუთარი თავებიდან, საბოლოო გა-

ნაჩენი – უმისამართო მოგზაურობა. არ გვქონდა კომპასი, არც გეზი უსწავლებია ვინმეს. ავადსახსენებელ წლებში, განა ვინმეს შეეძლო მეგზურობა. მაინც რაღაცნაირად გადავრჩით!.. დაგვფერფლეს და ისევ ფენიქსივით აღვსდექით. როგორც მოკვდავებს, უამრავი რამ დაგვჭირდა, არა ფუფუნებისთვის, არამედ საარსებოდ, თავის გასატანად! ბავშვური ქვეცნობიერი ვერ იგებდა, რატომ ვიწექით იატაკზე, რა იქნა სათამაშოები და რას ნიშნავდა ასე ყოველ წუთში ნათქვამი სიტყვა უსახლკარობა. არც ის მესმოდა, თაკარა სიცხეში ან წვიმაში რატომ ვიდექით პურის, ნავთის, ჰუმანიტარული დახმარების თუ ათასი რამის რიგებში. არც ის მესმოდა, სკოლაში შესვლის პირველივე დღეს რატომ მეუბნებოდა თანაკლასელი: – ომი იმიტომ მოხდა, ქართული ენა რომ დაივიწყეთ და სათანადო პატივი არ ეცითო!.. (კლასელის სიძულვილის ენაზე მხრებს ვიჩეჩავდი, რა პასუხი უნდა მქონოდა).

ოთხმოცდაათიანების საქართველოში უცებ გავიაზრე ბავშვობადაკარგულობა და ცეცხლს გადარჩენილი ფოტომატიანეთი შევეცადე აღმედგინა ენგურზე ცურვის (ნაადრევად) დაუფლება, თევზაობა, საპოვნელას, ნიშხანიშხას, კლასობანას, ომობანას და ორდროშობანას თამაში. გამახსენდა, დიდედას ვებერთელა ეზოში, როგორ ვიკრიბებოდით ბიძაშვილები და მშვენიერ სოფიას გვირილებით ვუმტკიცებდით სიყვარულს. წლების მერე, გვირილის ყოველ შეხებაზე „მიყვარვარ, არმიყვარვარ“ ჩანაცვლდა – „დავბრუნდებით, არდავბრუნდებით“.

გადარჩენისთვის საჭირო იყო ერთმანეთის ხათრით და ჯიბრით ცხოვრება, თუმცა ისიც ფაქტია, რომ ნახათრალ-ნაჯიბრალმა სიცოცხლემ არ გაამართლა და მთავარი კომპონენტი – სიყვარული გამოგვრჩა. მივხვდი იმასაც, რომ ცხოვრება საოცრად ჰგავდა შავ-თეთრ გამოსახულებიან გაბღენძილ ტელევიზორში ნაჩვენებ მოკლემეტრაჟიან ფილმს და იგი სულაც არ იყო ველოსიპედის ტარებასავით მარტივი... რომ ქრისტიანის ოჯახში დაბადებული კაცი, ჯვარს იმისთვის არ ვატარებდი, რწმენა სა(ყოველ)თაოდ აღიარებული [მოდური] არ იყო. სააღდგომო კვერცხი, ასოციაციით, ნებისმიერი ფერი შეიძლებოდა ყოფილიყო, გარდა წითლისა!.. რომ არ შეგვეძლო გვქონდა ჩვეულებრივი, ტრადიციული აღდგომა და მუდამ ვეძიებდით მისტიკურ ჯვარცმას.

ისეთი განცდა მაქვს, ლარნაკში გამხმარ ყვავილს რომ შეიძლება დაეუფლოს. ომისდროინდელ ჭრილობას ვერ ვშველი, თორემ უბრალო ქრისტესისხლათი იარა მრავალგზის მომირჩენია... ქვიჯაში დანაყულ ნიორივით ვარ! ვცდილობ ტკივილის მხატვრულად მოგერიება ვისწავლო და მას ყოველ ჯერზე ინდივიდუალური თერაპიით ვუბრუნდები!.. შემდოგომის სუსხში, უტანსაცმლოდ დარჩენილ მოზარდს, არაფრით მეჯერა, რომ ომის კადრების პარალელურად სხვა ცხოვრებაც არსებობდა... რომ ადამიანები იარაღის სასხლეტზე მხოლოდ თითის გამოკვრით კი არ ერთობოდნენ, ან ხელოვნური საზღვრების დაკანონებით, არამედ – სხვა უფრო ზეაღმატებულზე ფიქრითაც. რომ მიუხედავად პურის რიგებისა, ლამფის დაუვიწყარი სუნისა თუ მეზობლისგან ნასესხები ხახვის ან ღერღილის ფქვილისა, გაცილებით ერთმუშტადშეკრულნი ვიყავით... ჭირიც საერთო იყო და ლხინიც საზიარო, ომისას დარდის მოკავშირენი გავხდით, შევიქმენით ხელოვნური იმედი და გათითოკაცებით ცხოვრებაზე ერთხელ და სამუდამოდ უარი ვთქვით. [სხვათა შორის, ეს ერთობაც ომმა გვასწავლა და იმაზე შიშმა, სახვალიოდ ბევრად მეტი არ დაგვეკარგა. ბავშვობადაკარგულობის მერე დიდი ალბათობით, – ცხოვრებადაკარგულიც შეიძლებოდა გავმხდარიყავი].

ომმა სამწუხარო ჭეშმარიტება დაგვანახა. ხელის ერთი მოსმით გაგვიქრო ქართულ-აფხაზური, ათასწლეულობით

შესისხლხორცებული იდილია. გაუკ-აცრიელდა კარ-მიდამო, ხოლო მარანს, სადაც უწინ ვაზის ნაჟურს ვღვრიდ-ით, მორიელები შეესივნენ. ისლით დახურულ ოდას საბუხრე მოერღვა; დაცარიელდა ნალიაცა და ბეღელიც. თავლაში ნაკელი გახმა და არც მსხ-ვილფეხა საქონლის აბღავლება ისმის, საღამო ხანს სახლის კართან მომდგართ რომ სჩვეოდათ. ჭამდე მისასვლელი ბი-ლიკი ეკალ-ბარდებით დაიფარა. ქანდა-რაზე გადმომდგარი მოკუნტული ქათ-მების ადგილას ყვავებმა იწყეს ბოინი და ყრანტალით აიკლეს იქაურობა. თურმე ისეთი ამაზრზენი სანახავია სოფელი, რომ ძველებურად შიში მიპყრობს, ზუს-ტად ისე, მეხის გავარდნისას რომ მეუ-ფლებოდა და აფორიაქებული კარადაში ვიყუჟებოდი, ვიდრე გრუხუნის ხმა არ მინავლდებოდა.

ასე გაიქცა წლები. ჩვენ, ბავშვობა-დაკარგულები, გავიზარდეთ, ცხოვრე-ბის გზა გავისიგრძეგანეთ და აწ უკვე დიდ ბავშვებს შანელის ფერებით კი არ გვსურს სამყაროს აღქმა, არამედ სხვა უფრო მხიარული კოლერით. ფერი, სა-დაც არ არის შავი და თეთრი... ფერი, რომელშიც ყოველივე არ მეწამულის-ფერდება, არამედ მანათობელ მზესავ-ით ხასხასაა!

ყველა ალიონზე ის განცდა მაქვს, ჰა და ჰა, საცაა აფხაზეთის მთებიდან ამოიწვერება მზე და ბოლოს თავს ისევ ზღვისპირეთში დაიხრჩობს. იქ, სადაც სამყარო ყველაზე იდუმალი და რომან-ტიკულია. „დაკარგული სამოთხის“ მა-ძიებელი მარტო ჯონ მილტონი კი არა, ყველა ოთხმოცდაათიანელია!..

არ მინდა მახსოვდეს ომის სისასტიკე, მაგრამ არც დავიწყება მინდა. რადგან ომის პარალელურად, მახსენდება ჟამ-თააღმწერელი ნაძვის ხე, რომელიც სულ ერთი ციდა დავტოვე და გიგანტურად გაზრდილი დამხვდა. მახსენდება მამის დაპირება, ერთად მოვრთოთ საახალწ-ლოდო და შენ ყველაზე გასაოცარი ნაძ-ვი გექნებაო... მახსენდება მეზობლის-გან გამოგზავნილი ფოტო, რომელსაც საერთო არაფერი აქვს ჩემს ბუნდო-ვან მეხსიერებაში შემორჩენილ სახლ-თან... მახსენდება აწგარდაცვლილი ბი-ძის აღტაცებული თხრობა: – საოცრად იწვოდა სოფელი და ათას ფერებში ინ-აცრებოდა იქაურობა, დამუნჯებული კაცი კი ვცდილობი მიმეღო ყოველივე ისე, როგორც ბედისწერის საჩუქარი... მახსოვს ენგურს გამოღმა დარჩენი-ლი ბავშვი, ღამის სიზმრებში, როგორ ვმოგზაურობდი ენგურს გაღმით. ვეძებ-დი ბავშვობისდროინდელ სურნელს, რე-ჰანისა და პიტნის მძაფრ სუნს, ყოველ ზაფხულს ბოსტნიდან რომ ამოდიოდა.

კიდევ ერთი ძალიან თბილი სუნი მახსოვს, ბებიაჩემის კალთის სურნელი, სულ პატარა რომ ჩავკიდებდი ხელს და მთელი ძალით ვებღაუჭებოდი. ამ სურ-ნელს მე ჩაჭიდების და განუყრელო-ბის სურნელი დავარქვი... ეს სურნელი სამუდამოდ აფხაზეთში დარჩა, ომის დროსაც და მერეც, – როგორც წმინდა რელიკვია... ის სამუდამოდ იქ განისვენ-ებს.

რაც ფრაგმენტულად მახსოვს და ბუნდოვნად, ნელ-ნელა ისიც ქრება. მე მინდა ისე ძლიერ მახსოვდეს, რომ ეს მეხსიერება გადავცე ჩემს შვილებს, მათ კიდევ თავიანთ შვილებს, კავშირი იყოს მარადიული და უწყვეტი... მანამ, სანამ განსხვავებული პულსაციით აძგერებუ-ლი გულები კვლავ არ შეერთდება და ხელოვნური საზღვრები არ მოირღვევა.

მანამდე კი, ისღა დაგვრჩენია, ქრონი-კული დევნილობით დაღლილებმა ერთ-მანეთისთვის ვილოცოთ, შევწყვიტოთ კონფლიქტი არაფრის გამო და ღმერთს შევთხოვოთ, – სამუდამოდ შეწყდეს მავთულხლართობანა...

ეკატერინე გაბელავა

ზღვა ღელავს

სოხუმს ჩაუცვამს ცისფერი ძაძა,
პალმის გამხმარ რტოს შეწირული ჩემი ბიძების
სისხლის სუნი სდის!
ზღვა ღელავს...
მაგრამ
ისეთი უმწეოა ვერ აქრობს ხანძარს
და ვიწვი ცოცხლად...
დაკარგული ჩემი მიწების
წამებით...
დაიბრუნეთო
მოსვენებას არ მაძლევს ღამ-ღამ,
ბაბუა...
როგორმე უნდა მოვიშორო-თ სულიდან დამღა...
ზღვა ღელავს...
ისევ ისე...
ისევ ისე...
ისევ ძაძაში
შემოსილია და აფხაზი უზის კალთაში...
რუსმა რომ გუშინ დააობლა
დებით და ძმებით...
დედა და მამა შეუმოსა შავი ძაძებით...
და მე...
და ჩემი ახალდაბა...
ჩემი ტკივილი...
ვდუმვართ...
ვდუმვართ და სული ხორცში გამოკერილი
დაგვაქვს...
ზღვა ღელავს...
ღელავს...
მემატება დამღა დამღაზე...
მე ქართველი ვარ ჩემო ძმაო,
ჩემო აფხაზო,
და ჩემს მიწაზე
ბიძაჩემის სისხლით დამბალზე
შენ დააბიჯებ...
და მე ვტირი ახალდაბაზე...
ზღვა ღელავს...
ღელავს...
მეც ზღვასავით ვღელავ დობილო..
ვერდატირებულ ძმებს დავეძებ გულდალპობილი...
იმ ორღობეში
სადაც ფეხი ერთად ავიდგით...
სადაც ბაბუამ სათამაშო სახლი დაგვიდგა
უჩემობის და უშენობის ცოდვით დამწვარი
დაძრწის და გმინავს
უპოვარი
ქარი აშარი...
ზღვა ღელავს...
ღელავს...
ლურჯ ძაძაში
და ცას აშავებს...
და ჩვენ ყველანი ამ
ტანჯვაში
ვართ დამნაშავე!
და გვეძახიან წინაპართა
წმინდა სულები
გადავარჩინოთ ერთმანეთი
დაკარგულები...
სანამ ჯერ კიდევ არ არის გვიან!..

* * *

აბდაუბდებში დაგვეკარგა ღმერთი და ვჯავრობთ,
საქანელაზე ქანაობას გაყვა ბავშვობა
სუვენირივით დაკიდული კისერზე ჯვარი
დაცემული და სისხლიანი შეგვრჩა სამშობლო!...
ქვეყანავ ჩემო,
როგორც გული ისე ამტკივდი,
რა დროს დარდია!
სევდა? – არა რა დროს სევდაა!..
აკივლდი სულო,
აბობოქრდი სულო აკივლდი!
ის რაც წამართვეს ეს ხომ ჩემი ღვიძლი დედაა!
ჩვენ ოცდაერთი საუკუნე ვაგეთ სანგრები,
ქუდზე კაცები
ჩვენში ისევ მრავლად არიან,
სალოცავები წინაპართა ხელით ნაგები
გვეძახის,
და შენ გაგვიძეხი მზეო მარიამ!!!
დგას ბიძაჩემი ახალდაბის დანგრეულ სახლთან
მომბღავის!
ან მე რა მაძინებს
რა დროს ძილია!
არ გამიყიდოთ საქართველო ეშმაკის დახლთან,
უსამშობლოოდ მე სიცოცხლე არ შემიძლია!!!

ნატალია ზღვისპირელი

არა, სოხუმი არ დაცემულა

არა, სოხუმი არ დაცემულა,
უქართველობამ გახადა ავად,
მე შევიძულე გადამთიელი,
ჩვილი ბავშვი რომ მიუგდო ჯალათს...
ქართული ჯიშის გადაშენება
არ გამოუვათ, არა და არა,
ქართველი დედა ახლაც რომ ტირის,
სოხუმი იმან გახადა ავად.
მე შევიყვარე აფხაზი ბიჭი,
ჩემს ეზოში რომ თიბავდა ბალახს,
გული დავუდე ენგურის ხიდთან,
ჩუმად წაიღო და უბით დააქვს.
მე იქ დავტოვე ძუძუმტე ერთი,
ხელს მიქნევდა და კვნესოდა ქარი,
თუ დამაჯერეს ღალატი მისი,
მაშინ კი მართლაც ვიქნები მკვდარი.
არ დაცემულა სოხუმი, არა...

ნანა გასვიანი

რექვიემი

ზურაბ ჭავჭავაძის ხსოვნას

გაღმაა თეთრი მოუსავლეთი, სამოთხის მზით და მთვარით ნათალით,
გამოღმა წყევლა უთქვენობის და აკივლებული ბაცი ცარგვალი.
რა მეხად მოსკდა იმ თვის ცამეტი, თავსასთუმალთან გველივით მიწვა,
რა შაგრენივით დაპატარავდა ცისფერი სისხლით გამძღარი მიწა.
მხრებჩამოყრილი იდგა ბორითი, ეჭვებისა და ჭორის მთქნარებით,
შორს ევკლიდური ხვნეშოდა ზეცა და ჯადოქრობდა გუნდი მღვრიე დოსტაქარების.
შიშით ჩაიწვა ანთებული თქვენთვის სანთელი, როგორც ის ღამე ღვინობისთვის,
ჩამონაწვიმი, მე ვარ მუხლზე დაცემული ძველი წარმართი,
ღვთისმშობლის ხატთან ხელებაწვდილი.
უდაბნოებზე გაშლილ მირაჟებს აკენკავს ქარი, – ავი მოირა,
და ბალაგანზე მოკუნტული გაათევს ღამეს, ღმერთო, ვოი რა
სიმწრით ანთია უნაბისფერ ცაზე ვარსკვლავი, რა ჰამლეტივით ჭმუნავს ეროსი,
მე თქვენ მეზმანეთ: თოვლისფერი გეცვათ ჩოხა და
მოაბიჯებდით მზეჭაბუკი საქართველოსი.
დაჟანგვიაო ვადა სატევარს, შაითანბაზარს მოდგა თათრის მქისე ყაყანი,
ვინ დააოთხა გასახედნი ურა კვიცები სამაჩაბლოს და სამურზაყანოს?
ვის შეეყარა გზაზე ყივჩაღი, გულღრძო და ჯერაც დაულეწელი,
ვინ აეფარა ივერიის ნახანჯლარ ზეცას მკერდით და შესვა სიმძიმილი ლურჯი ძეწნების?
გაღმაა თეთრი მოუსავლეთი, ფეერიული ლანდთა საუფლო,
მოდიხარ ლოცვად ყოველცისმარე მამულის ჭირზე კვლავ სასაუბროდ.
გაღმაა თეთრი იდუმალება, სამოთხის მზით და მთვარით ნათალი,
თქვენ გვიბრუნდებით უვნებელი ქართულ ზღაპრიდან,
ყველა ზღაპარზე უფრო მართალი...

სლავა დენისოვი, მხატვარი ჯადოსნური სოხუმიდან

სლავა დენისოვი დაიბადა ქ.სოხუმში 1941 წელს. სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის პედაგოგიური ფაკულტეტი დაამთავრა, ფიზიკა-მათემატიკის განხრით. იყო სსრკ-ს მხატვართა კავშირის წევრი. 1994 წლიდან ცხოვრობდა ამერიკის შეერთებულ შტატებში, ქ. დალასში. მას არასოდეს უფიქრია სამშობლოს მიტოვება, მაგრამ ცნობილმა მოვლენებმა, რომელიც აფხაზეთში განვითარდა, აიძულეს მხატვარი და მისი ქართველი მეუღლე, დაეტოვებინათ მშობლიური ქალაქი... ქალაქი, რომელიც ასე ძლიერ უყვარდა. თავად წერს: „მე დავიბადე ქალაქში, რომელსაც ეწოდებოდა სოხუმი. მთელი ჩემი შეგნებული ცხოვრება ვიცხოვრე ამ ჯადოსნურ ქალაქში. ამ ქალაქში მიმიღეს სსრკ მხატვართა კავშირის წევრად. აქ დავამთავრე პედაგოგიური ინსტიტუტი და მომენიჭა ფიზიკა-მათემატიკის პედაგოგის კვალიფიკაცია. აქ დავმეგობრდი ხალხთან, რომელნიც ინტერნაციონალისტები იყვნენ. მე არასოდეს დავტოვებდი საკუთარი სურვილით ქალაქს, მაგრამ ბედისწერამ სხვაგვარად განსაზღვრა...დღეს მე ამერიკაში ვცხოვრობ, მაგრამ ღამღამობით მუდმივად მესიზმრება ჩემი სოხუმური ბავშვობა და ახალგაზრდობა.“

2019 წლის 1 მაისს ამერიკაში გარდაიცვალა ვიაჩესლავ ბორისის ძე დენისოვი. ნიჭიერი, განსაკუთრებული ტალანტის მხატვარი. მან დატოვა მნიშვნელოვანი შემოქმედებითი მემკვიდრეობა, რომელიც გაჯერებულია აფხაზეთის სიყვარულით, ის ინახავს მისი თანადროული ეპოქის სულს, ამიტომაც დენისოვის შემოქმედება სამუდამოდ დარჩება აფხაზეთის კულტურის მნიშვნელოვან და განუმეორებელ შემადგენელად.

ქართულ ინტერნეტსივრცეში სლავა დენისოვს სიყვარულით იგონებენ მისი თანამემამულე მხატვრები. დავით ბაძაღუა: „კარგად ვიცნობ მის შემოქმედებას. ერთის მხრივ პრიმიტივისტთა წარმომადგენელია, მაგრამ კომპოზიციები ტრადიციული მიმართულებისაა.“ ეკატერინე ქარჩავა: „მისი მხატვრობა მკვეთრად ინდივიდუალურია და გამოირჩევა ძლიერი, ექსპრესიული კომპოზიციებით.“ ნერსე ბაცაში: „კარგად ვიცნობდი სლავას. კარგი ადამიანი და კარგი მხატვარი იყო. ახლაც მახსოვს მისი შესანიშნავი მინიატურები. ხელოვანი კაცი იყო.“

ჩვენი ჟურნალის („რიწა“ 2020 №3) უკანა გარე ყდაზე წარმოდგენილია სლავა დენისოვის ორი ნახატი : „მთავრობის სახლის წინა მოედნის რეკონსტრუქცია“ და „რძის მაღაზია სოხუმში“. ორივე ამ ნახატისთვის ავტორს პატარა მოთხრობები დაურთავს, რომელიც ნახატზე ნაკლებად საინტერესო არაა. ამიტომ, აქვე ვაქვეყნებთ ავტორისეულ ჩანახატებს,რომელიც რუსულიდან ვთარგმნეთ, სპეციალურად ამ ნომრისთვის.

„მთავრობის სახლის წინა მოედნის რეკონსტრუქცია“

რასაც ნახატზე უყურებთ, ყველაფერი ჩემი თვალით მაქვს ნანახი, რადგანაც მაშინ კიროვის ქუჩაზე ვცხოვრობდი. ეს გასული საუკუნის 50-იანი წლები იყო. რეკონსტრუქცია დაიწყეს ქალაქის პარტიული უფროსის მგელაძის გადაწყვეტილებით. მუშები მოჰყავდათ ადგილობრივი ფაბრიკა-ქარხნებიდან. შუადღის მათთვის პური მოჰქონდათ. თუ რამე გადარჩებოდა მოსახლეობაზე ყიდდნენ.

მშენებლობა დიდხანს მიმდინარეობდა. სამშენებლო ტექნიკის გამოყენებით შუაგულში ამოთხარეს ქვაბული. იგი მალე ამოავსო სოხუმურმა წვიმამ და წარმოიქმნა პატარა ტბა. მშენებლობა შეფერხდა და ჩვენი, ბავშვების სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა, რადგან სახლის გვერდზე გაგვიჩნდა საბანაო ადგილი. ტივებიც კი გავაკეთეთ.ზოგი საბურავითაც ცურავდა. საქმე იმაში იყო, რომ არქიტექტორის პირვანდელი ჩანაფიქრით უნდა გადათხრილიყო მანძილი მოედნიდან ზღვამდე და როგორც პეტროდვორეცშია, ლენინგრადში. კარგი იდეა იყო და ლამაზიც იქნებოდა, მაგრამ მაშინ ქალაქის სამი კვარტალი უნდა დაენგრიათ. ამიტომ ტბა ამოავსეს. არხის მაგივრად კი ვარდების ხეივანი გააკეთეს და მშენებლობის ტემპიც დააჩქარეს.

ნახატის ორი გმირი მინდა გაგაცნოთ. ესენი ქალაქის მაშინდელი კოლორიტული ფიგურები გახლავან - ქალაქის სანიტარული დასუფთავების დირექტორი გვარად მაგაკოვი და ნავთის დამტარებელი სახელად სამსონი. ორი სრულიად განსხვავებული პიროვნება. ორივეს ჰყავდათ ცხენშებმული მარხილი. აქვე განვმარტავ, რომ იმ დროს სოხუმში კანალიზაციის მდგომარეობა ცუდი იყო. ამდენად, საერთო ეზოების ტუალეტებიდან აყროლებულ მასას დიდი მილებით ქაჩავდნენ სპეციალურ ცისტერნაში, ამ პროცესს მაგაკოვი ხელმძღვანელობდა. ის უნდა გენახათ...თუ გახსოვთ სტალინის პორტრეტი, სადაც მთელი სიმაღლითაა წარმოდგენილი, გალიფესა და ჩექმებში, ქუდითა და კიტელით, ულვაშით - ესაა იგივე მაგაკოვი. ცხენი კი ულამაზესი, თეთრი ჯიშიანი ყავდა. შეაბამდა მას ორადგილიან ფაეტონში და ასე დადიოდა ქალაქის ცენტრალურ ქუჩებში. სახეზე ეწერა - მიყურეთ, გშურდეთ - მე მაგაკოვი ვარ! სამსონის ცხენი მაგაკოვისას ვერ შეედრებოდა, გამხდარი კი იყო, მაგრამ ერთგულად ეზიდებოდა ნავთის კასრებს. მოსახლეობა სათლებითა და კანისტრებით შეგროვდებოდა და სამსონიც ასხამდა ნავთს, დაბალ სკამზე ჩამომჯდარი. მაშინ ხომ გაზი სახსენებლადაც არ იყო და ნავთი ყველა ოჯახს სჭირდებოდა.

ამით ნახატის ისტორიაც შეიძლება დავასრულოთ. მაგრამ მე მაინც მაინტერესებს: ვინ უფრო დაამახსოვრდათ მაშინდელ სოხუმელებს სამსონი თუ მაგაკოვი?!

„რძის მაღაზია“

ეს ნახატიც არის სერიიდან „ჩემი სოხუმური ბავშვობა“. ლამაზი სახლი, რომელშიც იყო მაღაზია „მოლოჩნი“. ეს სახლი იმავე კვარტალში მდებარეობდა, რომელშიც ვცხოვრობდი მე. თამბაქოს საწყობის შენობა გვაშორებდა მაღაზიას. მახსოვს თამბაქო ჩამოჰქონდათ ვირებით, ცხენებითა და ოთხთვალებით, ვინაიდან სხვა ტრანსპორტი არ იყო. თამბაქოს საწყობი, ჩემი აზრით, ბერძნების აშენებული იყო და მის მთელ სიგრძეზე და გაყოლებაზე ჩამწკრივებული იყო დროებითი ქოხები ე.წ. „ვრემიანკები“, რომლებიც წლებთან ერთად სოხუმელთა სამუდამო საცხოვრებლად გადაიქცა.

აქ, ერთ შენობაში, ჩემი ბავშვობის მეგობარი რაფიკ მელკონიანი ცხოვრობდა. რომ გაიზარდა, „ნართაში“ ყავის მომდუღებელი გახდა. თითქმის ყოველდღე მივდიოდი იქ. ვიხსენებდით, ბავშვობაში ერთად როგორ დავრბოდით კარიდან კარზე საშობაო სიმღერით. უმეტესად მანდარინითა და კანფეტებით გვაჯილდოებდნენ ბავშვებს. ფულს იშვიათად გაიმეტებდა ვინმე. რაფიკმა ზეპირად იცოდა, ვისთან აჯობებდა მისვლა; სად მოგვცემდნენ ფულს. დამამახსოვრდა მანსარდაში მცხოვრები მოხუცი, რომელმაც საკმაოდ ფული გვაჩუქა საშობაოდ. ეს კაცი შვილიშვილთან ერთად ცხოვრობდა და ბუკინისტური წიგნების გაყიდვით იყო დაკავებული. დამამახსოვრდა ეს ადამიანი. ამიტომაც, შვილიშვილთან ერთად მანსარდის აივანზე გამოვსახე ორივე.

ნახატზე ჩემი თავიც უკვდავყავი თვითმგორავზე, რომლითაც ზღვაზე ვეპარებოდი ბებიას.

ამ ნახატზეც აღვბეჭდე ნავთის გამყიდველი სამსონი, თავისი დროგით. მახსოვს, ხალხი ლოცულობდა სამსონზე, ვინაიდან მისი ჩამოტარებული ნავთის გარეშე იმდროინდელ სოხუმს ძალიან გაუჭირდებოდა.

მხატვრის ეს ორი ჩანახატი, რომელიც მისივე ნახატების ერთგვარი განმარტებაა, ძალიან მნიშვნელოვანია, როგორც დოკუმენტური ასახვა მეოცე საუკუნის 50-იანი წლების სოხუმისა. ქალაქისა, რომლის სითეთრე და განსაკუთრებულობა სამუდამოდ დარჩა თითოეული ქალაქელის მეხსიერებაში, ისევე როგორც სლავა დენისოვის მეხსიერებაში აღიბეჭდა მისი თანადროული სოხუმი – ლაღი, ხალისიანი, მოყვარული, მეგობრული... სლავა დენისოვს ეკუთვნის საავტორო მოზაიკა ახალ აფონში. მაშინ იმ რესტორანს „აჭარა“ ერქვა. პრიმიტივისტი მხატვრის ნაივური ხელოვნება ინახავს არამხოლოდ სოხუმურ ლანდშაფტსა და ექსტერიერებს, არამხოლოდ არქიტექტურულ ნაგებობებსა და ისტორიულ შენობებს, არამედ რეალურად იმ დროს მცხოვრებ ადამიანებს. სლავა დენისოვის შემოქმედება თვითმყოფადია, გამორჩეული, საინტერესო. ჩვენთვის მნიშვნელოვანია ვიცნობდეთ ამ სოხუმელი მხატვრის შემოქმედებას და ვიცნობდეთ იმ სოხუმს, რომლის სიყვარულით სავსე გულიც ჩაიფერფლა შორეულ ამერიკაში, ჩვენი ქვეყნის ბედუკულმართობის გამო.



სლავა დენისოვი „სოხუმის ხედი“.

ნერსე ბაკაში

სამი გაკვეთილი დენისოვისგან

სლავა დენისოვი 1966 წელს გავიცანი. მის შესახებ ფოტოკორესპონდენტმა სემიონ კოროტკოვმა მიამბო, რომელიც მაშინ „საბჭოთა აფხაზეთისთვის“ ჩემს სკულპტურულ ნამუშევარს („მიჯაჭვული პრომეთე“) იღებდა. სწორედ, სემიონმა მითხრა პირველმა, რომ სოხუმში თვითნასწავლი მხატვრის სლავა დენისოვის ნამუშევრები იყო ექსპონირებული, აფხაზეთის მხატვართა კავშირის საგამოფენო დარბაზში. ჩვენი პირველი შეხვედრაც სწორედ იქ მოხდა. მე მაშინ თბილისის სამხატვრო აკადემიის სტუდენტი ვიყავი, ხოლო დენისოვის თავი უკვე თეთრად გადაეპენტათ წლებს.

ლაკობას ქუჩაზე მდებარე საგამოფენო სივრცეში ცოტა იყო დამთვალიერებელი. ასე რომ, მე ხელი არ შემშლია სრულად შემესწავლა ექსპოზიცია. „თვალებით ვჭამდი“ ნანახს! ვტკბებოდი დენისოვის ნიჭიერებით, მისი მინიატურებით, რომლებშიც უხვად გამოსჭვიოდა ქართულ-აფხაზური ეპიკურ-ფოლკლორული თემატიკა. გამაოცა არა მხოლოდ უტრირებულმა პრივიტივიზმმა, შესრულებულმა გროტესკულ მანერაში, არამედ უწვრილესმა დეტალებმაც კი, რომლებიც ამჟღავნებდნენ ნაციონალური კოლორიტისა და ხასიათის მძაფრ თავისებურებებს. მათ შორის შედევრებიც იკითხებოდა, როგორიცაა „შვიდკაცა“ და სხვა.

სლავა დენისოვთან ურთიერთობით სამუდამოდ ავითვისე სამი გაკვეთილი:

1. იმისათვის, რომ შემოქმედებამ უკვდავყოს ხელოვანი, საჭიროა ღვთიური ნიჭი და გარშემომყოფთა სიყვარული!

2. ადამიანი უქმნის ღირსებას ეროვნებას და არა, პირიქით. დენისოვს ისე გულითადად უყვარდა საქართველო, როგორსაც მე არ მოველოდი რუსისგან. თუმცა, ის ხომ ჩვენი, ქართველთა სიძე იყო...

3. მეგობრისთვის საუკეთესო უნდა გინდოდეს. ერთხელ, დაბა ჯვარში, მეგრულ ფაცხაში მიმიყვანა და მითხრა: „ელარჯით ამ სამყაროში, მხოლოდ მეგობრებს ვუმასპინძლდები, რადგან ეს ჩემი უსაყვარლესი კერძია და მხოლოდ მეგობრებისათვის მემეტება“

დენისოვი ამერიკაში გარდაიცვალა და დევნილმა ქართველმა მხატვრებმა ვერ დავიტირეთ...ვერ დავიტირე ჩემი საუკეთესო მეგობრები ცნობილი აფხაზი მოქანდაკე სტასიკ (ვიქტორ) ივანბა და მისი სიმამრი, ცნობილი ქართველი მხატვარი ჭოლა კუკულაძე ...

ჩემთვის ძვირფასი რამდენი ადამიანი ვერ დავიტირე, ახლადგაჩენილი „საზღვრის“ გამო! მაგრამ, შესაძლოა ვიღაცის ნება-სურვილზე, ხელოვნურად გაჩენილმა ბარიერმა, გააფერმკრთალოს ხსოვნა ან დაგავიწყოს მოგონებები, რომელთაც სამუდამოდ დაიდეს ბინა ჩვენს გულებსა და ტრადიციებში?!

გენო კალანდია



გრძნეული სხივი

სოხუმში, ჭავჭავაძის ქუჩის თავში შერვაშიძეების სახლი იდგა, უფრო ზემოთ, ცნობილი ქართველი მხატვრის, ჭოლა კუკულაძის სახლი იყო, კიდევ უფრო მაღლა გალაკტიონ ტაბიძე იშენებდა აგარაკს.

ჩვენ, ახალგაზრდა პოეტები, მხატვრები, მსახიობები ხშირად ვსტუმრობდით ბატონ ჭოლას. ახალი ნამუშევრების დათვალიერების შემდეგ, ჩვენებური ნატურმორტით გაშლილი სუფრა გვხვდებოდა. მაგიდას, წესისამებრ, მეწამული ვარდისფერი დოქი ამშვენებდა. მასპინძელს თამადობა უყვარდა, ოღონდ წელში გამოყვანილი ღვინის ჭიქებით. თბილი, მომფერებელი კაცი იყო, გვერდში დგომა იცოდა, დიდი ავტორიტეტი ჰქონდა და მთელი ქალაქი პატივს სცემდა.

პარტიზანი იყო, ბელორუსიის უსიერ ტყეებში იბრძოდა. ლეგენდარული ბელორუსი პარტიზანები ხშირად წერილებს წერდნენ, ეპატიჟებოდნენ, ისიც ყოველი ახალი წლის 9 მაისს ფრონტელი ძმებისკენ მიიჩქაროდა.

ჭოლა კუკულაძის ფუნჯი და გონი სამამულო ომის შთამბეჭდავ სურათებს, კომპოზიციებს ქმნიდა. მე კარგად მახსოვს მისი პერსონალური გამოფენა. ხალხი გაოგნებული იდგა ჭოლა კუკულაძის ფერწერული, დრამატული ტილოების წინაშე. რამხელა სევდას, მოგონებას იტევდა თურმე გურული იუმორით სავსე შემოქმედი?! ერთგან, ფეხმოწყვეტილი ჯარისკაცი შემომყურებდა ნისლიანი თვალებით, მეორეგან – სიკვდილის ველზე გადადიოდნენ ქართველი და ბელორუსი პარტიზანები.

ომი ენით აუწერელი გამოცდაა მოკვდავთათვის. სამწუხაროდ, ბევრი ვერ უძლებს ომის სისასტიკეს. ჭოლამ გაუძლო, გამარჯვებული დაბრუნდა შინ! შერვაშიძეების, ემხვარების, გვათუების შორიახლო კერა გამართა, საღებავის ფერით, სურნელით გაანათა თავისი სახელოსნო.

ცხოვრებამ თავისი წესით და რიგით იწყო რონინი. ურთიერთობები თითქოს დალაგდა, მაგრამ ისევ ატყდა ქარბუქი, ეშმაკი შეუჩნდა ჭაბუკსა და ასაკოვანს, თოფი გავარდა. სოხუმი დაეცა... ქალაქს, მთელ აფხაზეთს, მუმლივით მოედო ველური. ძველი პარტიზანი უცებ დევნილი გახდა. როგორც ყველა დიდ ქალაქს, არც თბილისს სჯერა ცრემლის და ნაღველის, სადარდო და სანაღვლო ბევრი ჰქონდა ქართული ფუნჯის ოსტატს. ღამით სიზმრები არ ასვენებდა, დღისით- დიდი ქალაქის ხმაური.

ერთ დღეს ფეხი დაჰკრა და სოხუმში დაბრუნდა ძველი პარტიზანი. ყველაფერი ისევ ხელუხლებელი იყო, როგორც დატოვა. ენქიდუსავით ექვსი დღე და შვიდი ღამე ეძინა, მერე ყველაფერი აირია... ჯერ სიზმარი ცხადი ეგონა, ხოლო ცხადი - მწარე სიზმარი.

აივანზე დამოუკიდებელი საქართველოს დროშა გამოფინა მტრისა და მოყვარის დასანახად, ძველი მეზობლები უცებ გაუჩინარდნენ... მერე ვიღაცები მოვიდნენ შავი სათვალეებით, სადღაც წაიყვანეს...ცოცხალმკვდარი უკან მოაბრუნეს...

და მოკვდა, გაუჩინარდა თავისსავე ქალაქში, ვითარცა გრძნეული სხივი ცისა და მიწისა.

სულ რამდენიმე კაცი მიაცილებდა უკანასკნელ გზაზე. ერთ-ერთი ჭირისუფალი მისი სიძე იყო, – დიდებული მოქანდაკე სტანისლავ ივანბა.

უფალო, შენი წყალობა მარადიულია, უკვდავყავ სახელი მისი.

ამინ!



ნაპო მესხია

რუსეთის ფაქტორი ქართულ-აფხაზურ კონფლიქტში

მკითხველი, რა თქმა უნდა, ჩასწვდა ქართულ-აფხაზური კონფლიქტის არსს, გათიშვის მიზეზებს და და ურთიერთობის აღდგენაში არსებულ პრობლემებს.

უდავოა, რომ ყოველივე ეს განაპირობა არაკომპეტენტურობამ, ხელმძღვანელ პირთა მიერ დაშვებულმა შეცდომებმა, ამბიციურობამ...

მოკლედ, ყველაფერმა ერთად, რაც ისტორიულად მოგვსდევს...

ამას ვერ უარვყოფთ!

ამასთან, იყო და არის სხვა არანაკლებ მნიშვნელოვანი ფაქტორებიც, რომლებიც ქვეყნის ხელისუფლებამ ვერ გაითვალისწინა, ჯეროვნად ვერ შეაფასა.

მოდით, ჯერ იმაზე შევჩერდეთ, თუ რა ვერ გავითვალისწინეთ.

ჯერ ერთი, ისაა, რომ აფხაზეთში ყველა ე.წ. ზვიადისტი როდი იყო, ადგილობრივ მოსახლეობას, აფხაზეთის ქართველობას ნდობა არ ჰქონდა.

უნდა გვცოდნოდა, რომ საქართველოს სახელმწიფოებრივი მთლიანობის საკითხში ყველა ერთიანი იყო. აფხაზეთის ქართველობა არასოდეს არ დაუშვებდა დედა-სამშობლოსგან მოწყვეტას და დაიცავდა საქართველოს ერთიანობას ნებისმიერ შემთხვევაში. აფხაზეთი მართლაც ბორბლებზე არ იყო შეყენებული და აფხაზები მას ორასორმოცდაათასიან ქართველ და სხვა ერის წარმომადგენელ მოსახლეობასთან ერთად ფსოუს იქით ვერ გადაიტანდნენ. რამდენიც არ უნდა ეყვირა არძინბას და მის გარემოცვას, ამით არაფერი შეიცვლებოდა, როგორც არაფერი შეცვლილა 1991 წლის ე.წ. საკავშირო რეფერენდუმის შედეგად. აფხაზეთი ამის შემდეგაც დარჩა საქართველოს განუყოფელ ნაწილად!

მას აქეთ, რაც გვცნო გაერომ, ევროგაერთიანებამ და ამით აღიარებულ იქნა საქართველოს ხელშეუხებლობა მისი საზღვრების ფარგლებში, ჩვენს სუვერენიტეტს, სახელმწიფოებრივ მთლიანობას სამართლებრივად არანაირი საფრთხე არ ემუქრებოდა!

ასეთ დროს, მეტი სიმშვიდე და მოთმინება იყო საჭირო. უნდა მიგვეღო სახელმწიფოს ძირითადი კანონი, სადაც აფხაზეთის სახელმწიფოებრივ-სამართლებრივი მოწყობის საკითხიც იქნებოდა გათვალისწინებული. ამით მოხდებოდა ინტერესთა შეჯერება და უფლებამოსილების გამიჯვნა. ყოველ შემთხვევაში, არ უნდა შეგვეჩერებინა არსებული კონსტიტუცია და არ უნდა შეგვექმნა სამართლებრივი ვაკუუმი. არ უნდა დაგვეშვა პრეცენდენტი იმისა, რომ ამით ესარგებლა აფხაზურ მხარეს და აღედგინა 1925 წლის კონსტიტუცია.

შექმნილ ვაკუუმს საკანონმდებლო შევსება სჭირდებოდა.

ომის დროს სოხუმში აფხაზურ მხარესთან აფხაზეთის პოლიტიკური მოწყობის საკითხის განხილვის (ნადარეიშვილის მიერ ქართულ-აფხაზური დიალოგის ჩაშლის) შემდეგ, ჩემს მიერ, ჯემალ გამახარიას, აკაკი გასვიანის და კიმი ჯაჭვლიანის თანაავტორობით, შემოთავაზებულ იქნა საქართველოს რესპუბლიკის შემადგენლობაში აფხაზეთის სახელმწიფო-სამართლებრივი მოწყობის პროექტი (რომელიც გამოქვეყნდა გაზეთ „სვობოდნაია გრუზიას“ და „საქართველოს რესპუბლიკის“ 1992 წლის 1 და 2 დეკემბრის ნომრებში) საქართველოს პარლამენტისთვის განსახილველად, მაგრამ იგი, სამწუხაროდ, როგორც ბევრი სხვა წინადადება, უყურადღებოდ დარჩა.

ვერ გავითვალისწინეთ პოსტსაბჭოური რეალიები, აფხაზების განწყობა, მათი მისწრაფებები და შევეცადეთ ამ მუხტის „ჩაცხრობას“ ძალისმიერი მეთოდით. გადაგვავიწყდა, რომ ვიქტორ ჰიუგოს შეგონებისა არ იყოს, ხალხის ღირსება და შესაძლებლობები მისი სტატისტიკური მონაცემებით არ განისაზღვრება ისევე, როგორც ადამიანის სიდიადე მისი სიმაღლითა და წონით! თუ ჯარებს სხვა მისია ეკისრა და მშვიდობა გვსურდა აფხაზეთში, ადგილზე უნდა ჩამოსულიყო რომელიმე მაღალი რანგის პირი, რათა თავიდან აგვეცილებინა ყოველგვარი მოსალოდნელი გართულება.

დავივიწყეთ ცნობილი ჭეშმარიტება: ერთ მდინარეში ორჯერ ვერ შეხვალ და გამდინარე წყალს ორჯერ ვერ დალევ, მით უფრო ყანწით!

მხედველობაშია ფსოუს წყალი და „ფსოუსწყალდალეულები!“

ყველაზე მთავარი მაინც, სულ სხვა რამეა. ჩვენ ვერ გავითვალისწინეთ საქართველოს ყოფნა რთულ გეოპოლიტიკურ გზაჯვარედინზე და მასთან დაკავშირებული პრობლემები. ბევრის აზრით, ეს უბრალოდ ევროპისა და აზიის გასაყარსა და აბრეშუმის გზის გზაჯვარედინზე არსებობას ნიშნავს. მათ ავიწყდებათ, რომ საქართველო ორ რელიგიურ, და მაშასადამე, ორ კულტურულ სამყაროს შორის მდებარეობს.

ამით აიხსნება ის, რომ სრულიად უგულვებელვყავით ჩრდილოკავკასიელი ხალხების კონფედერატთა მისწრაფებები და შესაძლებლობები, ისევე როგორც ის, რომ ეს ორივე ორგანიზაცია ყოფილი საბჭოთა კავშირის სუკის მიერ საგანგებოდ იყო შექმნილი კავკასიაში, კერძოდ, საქართველოში დესტრუქციული საქმიანობისთვის.

ყველაზე დიდი სიბეცე კი მაინც ის იყო, რომ სათანადოდ არ შევაფასეთ რუსეთის ფაქტორი, რუსეთის უკიდურესად რეაქციული ძალები, როგორც აფხაზური სეპარატიზმის საყრდენი, მისი ოფიციალური თუ არაოფიციალური წრეების ინტერესების გამომხატველი და მისი სტრატეგიული ინტერესები საქართველოსთან მიმართებაში. დღემდე არ ვითვალისწინებთ იმას, რომ არ იყო და არც არასდროს იქნება რუსეთი პროგრესული და დემოკრატიული, როცა საქმე კავკასიაში, კერძოდ, საქართველოში მის ინტერესებს შეეხება. იგნორირებულ იქნა რუსეთთან აფხაზეთის უშუალო მეზობლობის ფაქტორი. ის მჭიდრო და საქმიანი ურთიერთობა, რომელსაც ათეული წლების განმავლობაში ასე შესანიშნავად იყენებდა ორივე მხარე – როგორც აფხაზეთის ანტიქართული წრეები, ასევე რუსეთი, რითაც აფხაზეთი, როგორც ორი ძიძის პატრონი, ასე განებივრებული იყო, რადგან ჰქონდა ესოდენ დიდი, აშკარა თუ შენიღბული, მხარდაჭერა და წაქეზება რუსეთის მხრიდან. სწორედ ამიტომ გამოსდიოდათ მათ თითქმის ყველაფერი. რადგან მათი ინტერესები ურთიერთშესაბამისობაში იყო. ისინი ყოველთვის იყენებდნენ ერთმანეთს იმისდა მიხედვით, თუ რა ამოცანები წარმოჩნდებოდა მათ წინაშე. აფხაზებმა გამოიყენეს კიდეც რუსეთი, როდესაც ეს მათ დასჭირდათ! რუსეთმა კი ეს თავისი ინტერესების

უზრუნველსაყოფად დიდი სიამოვნებით გააკეთა და თავად ისარგებლა აფხაზეთის „პრობლემებით“ საქართველოს იმპერიისკენ შემოსაბრუნებლად, დსთ-ში შესაყვანად, რაც ქვესკნელში ჩვენი ჩათრევით დასრულდა. ეს უდავოა! რაღა თქმა უნდა, არსებობდა და იარსებებს კიდეც „აფხაზური კარტი“ რუსეთის ხელში, მაგრამ ამ შემთხვევაში იგი გათამაშდა, სამწუხაროდ, ჩვენივე შემწეობით!

სამწუხაროა, რომ ყოველივე ეს, სწორედ ასე მოხდა.

აქ ინტერეს მოკლებული არ იქნება თუ გავიხსენებთ თამაზ ნადარეიშვილის, ზურაბ ერქვანიას, ვახტანგ ყოლბაიას, რამაზ სიჭინავასა და ჩემი მონაწილეობით კრემლში რუსეთის ვიცე-პრემიერ ნ.ბოლშაკოვთან, რუსეთის პრეზიდენტის მრჩეველთან ეროვნული უსაფრთხოების საკითხებში გ.ბატურინთან და სხვებთან, 1993 წლის შეხვედრებს. განსაკუთრებით საგულისხმო იყო ბატონ ბატურინთან ჩვენი დიალოგი. მან გულდასმით მოგვისმინა ყველას ცალ-ცალკე და ქართველი ხალხისადმი სიმპათიებითა და მეგობრული გრძნობით ნათქვამი სიტყვების შემდეგ, ლაკონურად მიგვანიშნა: „Дорогие грузины, вы то с Германией, то с Францией, то с Турцией, то с Америкой, а теперь вспомнили, что есть такая старана, как Россия! Кстати, ваш северный сосед! Определитесь с кем вы, а потом будем говорить, и думаю, можно будет договориться и благополучно решить все ваши проблемы!“

უფრო გასაგებად ვერ იტყვის კაცი!

„სამწუხარო ფაქტია ის, რომ საგარეო პოლიტიკის სტრატეგიულ კურსში აქცენტები შევცვალეთ ისე, რომ უგულვებელვყავით რუსეთის ინტერესები კავკასიაში, კერძოდ, საქართველოში და ბედის მოძიებას სხვაგან შევეცადეთ: ხან სად და ხან სად არ ჩავუშვით ღუზა. რუსეთმა ეს არ გვაპატია და ასე იქნება მანამ, სანამ სტრატეგიულ მიმართულებებში ერთ-ერთ პრიორიტეტად რუსეთს არ მივიჩნევთ, სანამ რუსეთთან არ გამოვნახავთ საერთო ენას. ამ კურსიდან გადახვევა მუდამ გარკვეულ კატაკლიზმებთან იქნება დაკავშირებული, თუ სხვა გზას ავირჩევთ, უნდა შევცვალოთ საქართველოს გეოპოლიტიკური მდებარეობაც, სხვა სიტყვებით, საქართველო თავის მიწაწყლიანად უნდა გადავიტანოთ სხვაგან, იმ სივრცეში, იმ სამყაროსთან ახლოს, სადაც ჩვენ უფრო გვაწყობს და მოგვწონს. მაგრამ ეს შეუძლებელია, ამიტომ უნდა ვიყოთ და ვიცხოვროთ იმ სივრცეში, რომელიც ღვთისგანაა ბოძებული და იმ მეზობლების ინტერესებიც უნდა გავითვალისწინოთ, რომელთა გარემოცვაშიც ვიმყოფებით. ყოველ შემთხვევაში, ასე უნდა მოვიქცეთ მანამ, სანამ არ მოვრიგდებით, თავდაჯერებულად არ წამოვდგებით ორივე ფეხზე და მყარად არ ვიგრძნობთ თავს პროგრესულ ერთა ოჯახში. სხვა შემთხვევაში დამოუკიდებელ პოლიტიკაზე საუბარი უადგილოა!

ეს, ასე რომ ვთქვათ, უბრალო მოკვდავის გადასახედიდანაც კარგად მოჩანს, მაგრამ არ შემიძლია არ აღვნიშნო, რომ ყოველივე ეს გადაავიწყდათ იმათ, ვისაც მუდამ უნდა ახსოვდეს და იცოდეს. სამწუხაროდ, ჩვენს პოლიტიკოსებს, როგორც ადგილობრივს, ასევე ცენტრალურს, დაავიწყდათ, რომ რუსეთი საქართველოს ასე ადვილად არ დათმობდა. შემდგომშიც, ჩვენს ქვეყანაში მისი ინტერესებიდან გამომდინარე, ის ყოველთვის გამოიყენებს ყოველგვარ პოლიტიკურ, თუ არაპოლიტიკურ ხრიკს, ეს უნდა გვცოდნოდა! ეს უნდა გვახსოვდეს!

ჩათრევას ჩაყოლა სჯობიაო, უთქვამთ. წინდახედული ნაბიჯი დროზე უნდა გადაგვედგა. დროზე უნდა შევსულიყავით დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობაში (თუ ეს ასე იყო საჭირო და თუ ვაპირებდით საერთოდ!)

უსისხლოდ, როგორც ეს სხვა ქვეყნებმა გააკეთეს. თუნდაც სოჭის ხელშეკრულების შემდეგ, მის ფასად, უნდა მიგვეღწია რუსეთთან ისეთი შეთანხმებისათვის, რომელიც მოაგვარებდა აფხაზეთის პრობლემებს. მაგრამ აღმოჩნდა, რომ დსთ-ში შესვლა სჭირდებოდა ხელისუფლებას მხოლოდ სავარძლების შენარჩუნებისათვის!

ყოველივე ეს აქსიომატურია, თუ გავითვალისწინებთ იმ დროისთვის ქვეყანაში შექმნილ ვითარებას.

გეთანხმებით, რომ კოლონიზატორშიც არ გაგვიმართლა...

სჯობდა საფრანგეთი ან გერმანია. დსთ საუკეთესო ვარიანტი არ იყო, მაგრამ აქ რუსი ხალხი არაფერ შუაშია. ამიტომ არ შეიძლებოდა ლანძღვა-გინება ყველაფრის, რაც რუსეთთან იყო დაკავშირებული.

დიდი შეცდომა და დიდი სიბეცეა რუსეთთან მიმართებაში კუნთების დემონსტრირება, იარაღის ჟღარუნი და მილიტარისტული რიტორიკა, ისევე როგორც სატელევიზიო გადაძახილები, ზოგჯერ შეურაცხმყოფელი სიტყვებით. ეს არ ეკადრება არავის, არც სახელმწიფო მოხელეს, მით უფრო პრეზიდენტს, რასაც არაერთგზის ჰქონდა ადგილი და გრძელდება დღემდე. ისინი ეტყობა, არ სცნობენ კრილოვის იგავებს, მის შეგონებას: „Ай-да Моська! Знать, она сильна, что лает на слона!“ სწორედ ასეთი ღიმილისმომგვრელი სიტუაცია იქმნება, რომ ვართ მაგრები, საქმე ისე გვაქვს, რუსებს ეშინიათ ჩვენი! სასაცილოა, სატირალი რომ არ იყოს!

აფხაზებმა ჩვენ ყველაფერში გვაჯობეს!

ყველაზე სწორი რუსებთან საერთოს გამონახვა და შინ აუჩქარებელი და წინდახედული პოლიტიკის გატარება გახლდათ. ახლაც არ ვადგავართ სწორ გზას, რადგან, როგორც გამოიკვეთა, ნატოში შესვლაც არ უზრუნველყოფს აფხაზეთისა და სამაჩაბლოს საქართველოს სამართლებრივ სივრცეში დაბრუნებას.

არ უნდა ავჩქარდეთ, უნდა დავფიქრდეთ! უმჯობესია, უფრო მომგებიანია საშინაო საქმეების მოგვარება, დემოკრატიული საზოგადოების აშენება და მხოლოდ ამის შემდეგ შეიძლება საუბარი დაკარგული ტერიტორიების აღდგენაზე, ნატოზე და ევროკავშირზე. სწორედ ამ პრობლემების მოგვარების შემდეგ იქნება მართებული ამ ორგანიზაციებში გაწევრიანების საკითხის წინა პლანზე წამოწევა. მანამდე კი რუსეთთან მეზობლური და მეგობრული ურთიერთობის აღდგენაა უფრო პრიორიტეტული. სხვაგვარად, ნატოში ჩვენი დაჩქარებული ტემპით გაწევრიანება გამოიწვევს აფხაზეთისა და სამაჩაბლოს საბოლოოდ დაკარგვას. ოკეანისგადაღმელ ჩვენს მეგობრებს ნაკლებად აინტერესებთ ჩვენი ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის საკითხი, მათი ინტერესები უკავშირდება ჩვენი ქვეყნის გეოპოლიტიკურ მდებარეობას. ყოველივე ეს უნდა გავიაზროთ და გავაცნობიეროთ, უპირველეს ყოვლისა,

აფხაზეთიდან და სამაჩაბლოდან დევნილმა მოსახლეობამ. ამისთვის დევნილი მოსახლეობა უნდა გაერთიანდეს და მისი წარმომადგენლები უფრო აქტიურად ჩაერთონ მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებში. აქ ბევრი რამ არის ჩვენზე დამოკიდებული. საჭიროა სახალხო მოძრაობის აღორძინება და სოფელ რუხში პერმანენტული საპროტესტო აქციების გამართვა; სახალხო მოძრაობის, სახალხო დიპლომატიის სახელისუფლებო დონეზე აყვანა და მხარდაჭერა; დევნილი მოსახლეობიდან ადამიანთა ჯგუფის შერჩევა, რომლებსაც ძალუძთ აფხაზურ მხარესთან, უშუალოდ აფხაზი ხალხის წარმომადგენლებთან გახსნილი და გულწრფელი დიალოგის წარმართვა, საქმიანი ურთიერთობებისა და ნდობის აღდგენა; აფხაზეთის საკითხებში პრეზიდენტის პირადი წარმომადგენლის ან საგანგებო დავალებათა ელჩის სტატუსის შემოღება, პრეზიდენტის წარმომადგენლის აფხაზეთიდან დევნილ მოსახლეობაში მოძიება და დანიშვნა სათანადო მოვალეობებითა და პასუხისმგებლობით; აფხაზებსა და ქართველებს (ხელისუფალთა) შორის აქტიური და კონსტრუქციული დიალოგისთვის სასურველი ნიადაგისა და ხელსაყრელი ვითარების შემზადება და ჩამოყალიბება; აღიარება იმისა, რომ მხოლოდ აფხაზებთან ერთადაა შესაძლებელი კონფლიქტის მოგვარება და აფხაზეთის საქართველოს სამართლებრივ სივრცეში მოქცევა; მხოლოდ ეთნიკურ აფხაზებთან ერთადაა შესაძლებელი აფხაზეთში დაბრუნებაც; აფხაზეთში, კერძოდ, გალის რაიონში სოციალურ-ეკონომიკური პროექტების განხორციელება, აფხაზებისთვის ალტერნატიული გარემოსა და არჩევანის პირობების გაჩენა – ესაა პრიორიტეტული აფხაზებთან მიმართებაში.

ეს მიდგომა, ჩვენეული ხედვა არაერთგზის იქნა მიწოდებული პრეზიდენტის, პარლამენტის თავმჯდომარისა და უშიშროების საბჭოს მდივნისათვის, მაგრამ უშედეგოდ. არადა, ესაა ერთადერთი სწორი გზა, რაღა თქმა უნდა, ხელისუფლების, კერძოდ, პრეზიდენტის ძალისხმევასთან ერთად.

მხოლოდ ასეთმა ერთობლივმა, შეჯერებულმა საქმიანობამ შეიძლება გამოიღოს სასურველი შედეგი. აქ, რა თქმა უნდა, იგულისხმება, პირველ რიგში, რუსეთთან ურთიერთობის მოგვარება. ნატოსა და ევროკავშირის როლი ამ საქმეში ნაკლებად სარწმუნოა. აქ საჭიროა დევნილი მოსახლეობის ერთობა და მათი მყარი პოზიცია ხელისუფლების ძალისხმევასთან ერთად.

დონა კოლხი – დოდო ნარმანია

დევნილობის ჟამის ქრონიკები

„დავდივარ, ვწუხვარ და მენანება“
გალაკტიონი

მოსკოვი. 2005 წელი, კვლავ იძულებული ვარ, საკუთარი მიწის სითბოგამოცლილი, უცხოეთში შევეგებო აღდგომის ბრწინვალე დღესასწაულს. ტკივილითა და შინაგანი განცდის სიმძიმილით სულჩაბნელებული მივიკვლევ გზას წმინდა გიორგის სახელობის ქართული ეკლესიისკენ. არ მეეჭვება, როგორც სხვა დროს, დღესაც შთამბეჭდავი იქნება აფხაზეთიდან დევნილ მორწმუნეთა რიცხვი.

მივდივარ მოსვენებადაკარგული, მივფორიაქობ, თან მომყვება აფხაზეთში დატრიალებული სასტიკი ომის ექო. ცხადად ჩამესმის უძველესი კოლხეთის წარმტაცი მიწის გმინვა!

***

მოვდივარ მწარე ფიქრებით დათრგუნული და გულის სიღრმემდე მატანს არამხოლოდ მტერთან პირისპირ, უთანასწორო ბრძოლაში დაღუპულ ქართველ მეომართა დარდი, არამედ საკუთარ სახლებში დახოცილ მშვიდობიან მოქალაქეთა ტკივილიც.

უპატრონოდ დარჩენილ განგმირულთ, საკუთარ სისხლში ჩახრჩობილთ, ჯერ კიდევ ცოცხლად დარჩენილი მეზობლები, მოკეთეები უწევდნენ ჭირისუფლობას – დიდი სიფრთხილით, ღამით, ჩუმად უთხრიდნენ საფლავებს ეზოებსა თუ მაღალსართულიანი სახლების სარდაფებში...

სამწუხაროდ, ნამდვილ სასაფლაოებზე გასვლა და გარდაცვლილთა გაყვანა, თითქმის შეწყვეტელი სროლებისა და საარტილერიო ცეცხლის გამო შეუძლებელი იყო.

***

მშვიდობიანი მოსახლეობა, რომელთაც ჩვენი სამხედრო ძალების ხელმძღვანელობის განკარგულებით, ომის დაწყების პირველი დღიდან, სანადირო თოფებიც კი ჩამოართვეს, ხელშიშველი იყო. მათ მტერი არ ინდობდა. განსაკუთრებით, მიზანმიმართულად ხოცავდნენ მათ, ვისი სახლ-კარი მოსწონდათ, რადგან გამარჯვების შემთხვევაში, იქ თავად ჩასახლებულიყვნენ და მოდავე არ ჰყოლოდათ... ოჯახის არც ერთ წევრს ცოცხალს არ ტოვებდნენ.

დიახ, ვერ უიღბლა ბევრ მშვიდობიან მოსახლეს, მათ შორის დათო ქობულიასაც. მისი საკუთარ ეზოში ჩაცხრილვა, ვფიქრობ, ორი მიზეზის გამო მოხდა. ის მიზანში ამოიღეს, რადგანაც დახარბდნენ მის მამაპაპისეულ მდიდარ სახლ-კარს და იმის გამოც, რომ დათო სოხუმის საზღვარს იცავდა, რათა ჩვენს დედაქალაქში ათასი ჯურის მტერს ფეხი ვერ შემოედგა.

არავინ იცის, როდის შემოაღწია ან რამდენი ხანი იჯდა ვერაგი სნაიპერი კაკლის ხის ტოტზე, რომელიც ძველკოლხურად ნაგები ოდა-სახლის წინ, შუა ეზოში იდგა და, როგორც ყოველთვის, ნაყოფით დახუნძლული შემოდგომის მოსვლას ელოდა.

***

ფეხსავალ გზას მძიმე ნაბიჯით მივუყვები ეკლესიისკენ და ვინ იცის, ფიქრით მერამდენედ ვუბრუნდები ქობულიების ტრაგედიას. არაერთხელ ვყოფილვარ დათოს მშობლების სტუმარი, კაკლის ბერტყვასაც ხშირად შევსწრებივარ. მახსოვს, ახალგაზრდები საქმეს რომ მორჩებოდნენ, ტანსაცმელს გამოიცვლიდნენ, გალამაზდებოდნენ, მარნის კარს ხმაურით გააღებდნენ, უპირველესად, მობუჟბუჟე მაჭრით სავსე ქვევრს დააჭაშნიკებდნენ, საიდანაც იმ ქვევრისკენ გადაინაცვლებდნენ, რომელშიც გასული წლის კამკამა, თეთრი ღვინო იდგა. ფრთხილად მოხსნიდნენ თავს და ორშიმოთი ამოღებულ ელექსირს ჭიქებში ჩამოასხამდნენ. სიმღერასაც დააგუგუნებდნენ – „ღვინოვ, კახურო, ვარ შენი მსმელი, გინდ თეთრი იყოს, გინდა წითელი...“ ძმაკაცები თავიდან ბოლომდე ერთსა და იმავე სიმღერას არასოდეს ასრულებდნენ, არამედ ხმაშეწყობილად გადადიოდნენ ერთი სიმღერიდან მეორეზე... სასიამოვნო მოსასმენი და სანახავი იყო, როცა დათო ქვევრს ცეკვა-ცეკვით შემოუვლიდა და ყველას აიყოლიებდა... ასე მხიარულად მასპინძლობდნენ შემოდგომას, სოხუმის ერთ-ერთი ულამაზესი უბნის ნებიერა ბიჭები.

***

ხშირად, ახალგაზრდები სასიმღერო მოძახილით ახლო მეზობლების ყურადღებასაც იქცევდნენ, ისინიც არ აყოვნებდნენ -ჭრიალით აღებდნენ ქობულიების ძვირფასი ხისგან ნაკეთ, ორნამენტებით დამშვენებულ ჭიშკარს და პირდაპირ მარნისკენ იღებდნენ გეზს. ყოველ ახალმოსულს თავისებური კოლორიტი მოჰქონდა.

ასე შეკრებილი ხალხი, ზოგჯერ ვერ ეტეოდა მარნის სივრცეში და დათოს მშობლები სტუმრებს ნიგვზის ჩრდილქვეშ ეპატიჟებოდნენ. კაკლის ბერტყვის დღეს, სტუმრებს ცხელი ხაჭაპურებით, მაჭარითა და ხილით გვიმასპინძლდებოდნენ. ხილი კი, იცოცხლე, მრავალფეროვანი და ულევი იყო მათს ეზო-გარემოში. სტუმრები გვიანობამდე ვუსხედით სუფრას. ასე მეორდებოდა, ყოველ წელს, კაკლის მწიფობისას. ომმა მოშალა ქობულიების კერა და მოუსპო სიცოცხლე ოჯახს, მოგონებებად აქცია მშვიდობიანი, ულამაზესი დღეები.

***

ომის დღეებში არაერთხელ შემომიარა დათომ სახლში. მომიყვა, თუ როგორ გახდა იძულებული, უბნის ბიჭებთან ერთად, ჩაეცვა ჯარისკაცის ფარაჯა და საკუთარი სანადირო თოფით დამდგარიყო მშობლიური ქალაქის, საკუთარი ეზო-კარის სადარაჯოზე.

ის ყოველდღე, უთენია გადიოდა სამორიგეოდ და გვიან ღამე ბრუნდებოდა. ალბათ, ასე იქნებოდა იმ საბედისწერო დღესაც.

***

ავბედითმა გარიჟრაჟმა რომ ინათა, დათო წამოდგა და როგორც ყოველთვის, ჭისკენ წავიდა. ვედრო ჩაუშვა ფერადი კენჭებით ფსკერმოფერადებულ, ნაირფერი ქვებით კედლებამოკირულ და კერამიკის გვიმით ამოზიდულ ჭაში, რათა ჩვეულებისამებრ, უზმოზე ცივი წყალი დაელია და პეშვით სახეზე შეესხა. სწორედ ამ დროს გაისმა, თურმე, სროლის ხმა. როგორც ვარაუდობენ, შუა ეზოში მდგარ ნიგვზის ხეს შეფარებოდა სნაიპერი.

***

დათო გვიმს გადაკიდებული დახვედრია მეზობლებს. უკვე აღარ სუნთქავდა. მტრის ტყვიას წამიერად წაერთმია მისთვის სიცოცხლე.ჭაბუკს დაფლეთილი გულმკერდიდან სისხლი სდიოდა, ჭაში იღვრებოდა და წლების უკან, თავისივე ხელით, ჭის ფსკერზე ჩაყრილ, ნაირფერ ზღვის კენჭებზე ილექებოდა...

ცნობამ, ამ უბედურებაზე, ჩქარა მოაღწია ჩემამდე. რამდენიმე წუთში გავჩნდი ქობულიებთან და დიდი ბოროტების მოწმეც გავხდი. პირველად შევიგრძენი, თუ რა მძიმეა ტკივილი, რომელიც გულის სიღრმემდე ატანს. ის თან გდევს სამუდამოდ, არასოდეს ნელდება, მთელი ცხოვრება გტანჯავს.

ეს ტკივილი დევნილობაში უფრო გავაცნობიერე, კერადაკარგულ უცხო ქვეყანაში როცა აღმოვჩნდი...

***

სხვა გზა არ იყო, ოჯახის ერთადერთი გვარისგამგრძელებელი იმავე დღეს, შეღამებულზე უნდა დაგვეკრძალა. აქვე, ეზოში, რადგან ფხიზლობდა მტერი – სოხუმი ინტენსიურად იბომბებოდა, არ წყდებოდა რაკეტების გამანადგურებელი დარტყმები, ცეცხლი ეკიდებოდა საცხოვრებელ სახლებს, იხოცებოდა მშვიდობიანი მოსახლეობა.

***

დათო სახლში უკანასკნელად შეიყვანეს, დივანზე დაასვენეს. დედ-მამის შავჩარჩოებში ჩასმული, გადიდებული სურათები კედლიდან დაჰყურებდნენ საყვარელ პირმშოს. ასე მეგონა, მათი თვალებიდან, თითქოს, მდუღარე ცრემლები ვაჟიშვილს გაციებულ მკერდზე ეღვრებოდა. შემზარავი იყო ამ უბედურების ცქერა. დღემდე, ეს სურათი, გაუნელებელი შინაგანი ტკივილის შეგრძნებას ბადებს ჩემში.

სწორედ ასეთ განწყობაზე ვიყავი, ტაძრისკენ მიმავალი. ვცდილობდი, ფიქრის ხვეულებიდან გამოვსულიყავი, მაგრამ ამაოდ, კვლავ აფხაზეთში, კვლავ ქობულიების ოჯახში ტრიალებდა ჩემი ფიქრი.

***

საღამო ხანს, დათო უკვე ეზოში, სახლის წინ დავასვენეთ. იქ, სადაც პატარაობისას, ასე უყვარდა თამაში. ახალი „სამოსახლო“ კი, ტირიფების მოშრიალე ხეივანში ელოდა, სადაც თავისუფალ დროს ისვენებდა ხოლმე ქობულიების ოჯახი.

შებინდებისას, როცა ცოტათი შენელდა რუსული იარაღის გრუხუნი, ტირიფებისკენ ავიღეთ გეზი. მიწის ბელტების გრუხუნზე, რაღაც უცნაურმა შიშმა დამიარა. ვფიქრობდი, თუკი მტერი შემოაღწევს, რა მოელით საკუთარ ეზოებში დამარხულთ?! რომ ამოთხარონ და გადაყარონ?! ვინ რას მოსთხოვს უმგვანო, მოთარეშე მუხანათებს?!

რამდენი უპასუხო კითხვა დამრჩა ამ ომისგან! რამდენი!

***

სულ თვალწინ მიდგას „ბოევიკების“ მიერ წამებით მოკლული, ან სნაიპერის ტყვიით განწირული არაერთი სოხუმელი... განსაკუთრებით მძიმეა იმ ექიმებზე ფიქრი, რომლებიც მთელი ცხოვრება ემსახურებოდნენ, სხვათა ჯანმრთელობას, არ არჩევდნენ პაციენტის ეროვნებას და თავად კი ეროვნების გამო იქნენ მოკლულნი. რომელი ერთი გავიხსენო... ბიძინა მგალობლიშვილი, ვერა ყოლბაია, შოთა ჯღამაძე... გული მტკივა ქართულენოვანი გაზეთის რედაქტორის ხუტა ახალაიას, აფხაზეთის დამსახურებული ჟურნალისტის გიგლა ძიძიგურის ყოველ გახსენებაზე. ან როგორ არ მტკიოდეს, ქართველი პოეტი ქალი ეთერ სამხარაძე-ჯღამაძე, უშიშრად რომ შეგებებია სიკვდილს...

***

ბოროტებას საზღვარი არ ჰქონია. უსაზღვრო ყოფილა სიძულვილიც. მიმდინარეობდა ქართველთა მიზანმიმართული ჟლეტა, გენოციდი. განსაკუთრებით ერჩოდნენ ახალგაზრდებს, რათა აღეგავათ მშობლიური მიწიდან ჩვენი გენოფონდი. აფსუებმა ეს მზაკვრული ჩანაფიქრი აღასრულეს დაქირავებულთა ხელშეწყობითაც, ხოლო რუსებმა ოკუპაციით „დააგვირგვინეს“.

***

ომის მწვავე ექო მომაცილებდა და შინაგანი მძიმე განწყობა კიდევ უფრო მიღრმავდებოდა. გონს მაშინ მოვედი, როცა მეტრო „კრასნოპრესნენსკაიას“ მიწისქვეშა გადასასვლელში შევდგი ფეხი. მგზავრთა სიმრავლე იგრძნობოდა. მიწისქვეშეთი თავის ამპლუაში იყო. ქუჩის მუსიკოსები და მსახიობები გამვლელებს სთავაზობდნენ თეატრალიზებულ სანახაობას. მხატვრები გამოწვევაზე იყვნენ, ისტორიისთვის სურდათ ჩვენი სახება შემოენახათ. მუსიკოსები კი მრავალფეროვანი, სასიამოვნო ჰანგებით ავსებდნენ აქაურობას. მთელი მიწისქვეშეთი თეატრალური, ვოკალური და სახვითი ხელოვნების სივრცედ გადაქცეულიყო. აქვე იყვნენ „ხაზინადრები“, რომელთაც „კეპი-ყულაბა“ ეჭირათ და სიცილის

მომგვრელი მანჭვა-გრეხით ცდილობდნენ გამვლელთაგან მეტი წყალობა მიეღოთ. მალე ერთ-ერთი მათგანი, პარიკითა და „შაპკით“ ჩემ წინ გაჩნდა. ხელისგულებით გამთბარი ხურდები გავიღე სიამოვნებისთვის და სანამ მეორე მომიახლოვდებოდა, დავტოვე კიდეც იქაურობა. „ბოლშაია გრუზინსკაიაზე“ გავედი. თუ აღმართს გავყვებოდი, ტაძართან მიმიყვანდა. მაგრამ ჩვევას ვერ ვუღალატე და შოთა რუსთაველის მოსანახულებლად გადავუხვიე. აქ რამდენჯერაც ვყოფილვარ, იმდენი შვება მიგრძნია, სიამაყით აღვსილვარ.

დიდი ქართველის სახება, თითქოს, ამ უკუღმართი ჟამიდან ჩემი დამხსნელია, ჩემი მშველელი.

***

ბაღში, გრძელ სკამზე ვჯდები. მოგონებები წარსულისკენ მახედებენ. ცხადად ვხედავ საქართველოს მთა-ბარს, რომლის ღირსახსოვარი ადგილები ფეხით მომივლია წლების უკან, ქართული ზეპირსიტყვიერების ექსპედიციებსა თუ ალპინიადებში მონაწილეობისას. ოცნებებს მივყვები... გონებით მოვიარე გულითმონაფერი, წითელი ყაყაჩოებით მოჩითული უფლისციხის ძირას გაშლილი მინდორი, ხევსურული ალპური ხეობები, ხევხუვები, ქართული არქიტექტურით ნაქარგი ტაძრები და ციხესიმაგრეები. ფიქრი მაინც ჩემი აფხაზეთისკენ მიმაქროლებს. მიმძიმს, გადამწვარი სახლები, ნაომარი ქუჩები, მოკლული საუკეთესო ქართველები.

***

ამასობაში, მზე ჰორიზონტს მიუახლოვდა. გზას დავადექი. ქუჩას ავუყევი და გეზი ეკლესიისკენ ავიღე. უკვე, კარგა ხანია ამ ტაძარში თავს ვიყრით დევნილები. სავალი რამდენიმე წუთში გავლიე. შავთავსაფრიან, მლოცველ ქალს გვერდზე დავუდექი. ქალი უცნობია, მაგრამ მის თვალებში ნაცნობ სევდას ვკითხულობ. მეც მოვიტანე წმინდა ტაძარში ჩემი გულსთქმა, სანთლებს ვანთებ და ჩურჩულით ვიმეორებ ჩემი უბნის ქართველი და აფხაზი ბიჭების სახელებს: ზურაბი, ასთამური, მერაბი, რენატი, ზაზა, რატი, დაური, დათო ქობულია... ღმერთო, ნათელი დაუმკვიდრე! ღმერთო, გაძლება მოგვეცი, კუთხედაკარგულ და კერაჩამქრალ ადამიანებს!

***

აღდგომის ღამე დგება. იწყება დიდი ლიტურგია, ნეტარებისა და სიხარულის ზეიმი.

– ქრისტე აღდგა! – იმედივით ჩამესმის...

– ჭეშმარიტად, ჭეშმარიტად! – ხმას ვუერთებ მრევლს...

არტურ იურკევიჩი,
მალხაზ ჯაჯანიძე

ნაწყვეტი რომანიდან

„დამარხული ვაზი“

კონტრაბანდა

თავისუფლების პირველი ღამე აეროპორტში გავატარე. ეს იყო ჩემთვის ნაცნობი ერთადერთი ადგილი, სადაც სავარძელში ჯდომაში ფულს არ იღებდნენ და საბუთებს არ ითხოვდნენ. ეს სხვისი პასპორტი ლოდივით მეკიდა კისერზე და გადავწყვიტე, იმ კვიპაროსში დამემალა, რომელიც მოვინიშნე შენობაში შესასვლელიდან მარჯვნივ. დავრწმუნდი, რომ არავინ მიყურებდა და შევჩურთე კედელსა და ხის ზროს შორის დარჩენილ ღრიჭოში, ყდა კიდევ შესანახ კამერაში შევაგდე.

რომ დავბრუნდი, ადგილი უკვე დაკავებული დამხვდა. უმიზნოდ დავყიალობდი და ყოველი მეორე, პერსონაჟების ამ ჭრელ ნაკრებში, მიმაჩნდა ჩემნაირ უბილეთოდ. იმათ, ვინც აეროპორტში გასაფრენად მოვიდა, გამოარჩევდა საქმიანი მანერები და წესიერი ჩაცმულობა. ეს უკანასკნელი მნიშვნელოვანი იყო: დროდადრო დარბაზში შემოდიოდა მილიციის განაწესი და გამოხშირავდა სივრცეს, გარეთ ყრიდა იმათ, ვისაც არ შეეძლო ბილეთის წარდგენა. მე შევნიშნე, რომ ადამიანის შესამოწმებლად შერჩევისას, წესრიგის დამცველები ეყრდნობოდნენ თავიანთ ინტუიციასა და მგზავრების გარეგნობას. მე ტუალეტში შევედი და ამდენი ხნის განმავლობაში პირველად შევხედე საკუთარ თავს: თმა სუფთა მქონდა მდინარეში ბანაობის გამო, მაგრამ ლამის მხრებამდე გამეზარდა და დაუდევრად გამოიყურებოდა. წვერი წესიერად არ მეზრდებოდა და ლოყები და კისერი დაფარული მქონდა აფხაზეთის მთის ტყეებივით ალაგ-ალაგ წამონაზარდი ველური ბღუჯებით. მთლიანობაში გარეგნობა ასატანი მქონდა: წესიერი ქურთუკი, იმპორტული ჯინსი და „სალამანდრას“ მაღალყელიანი ფეხსაცმელები შეიძლებოდა დაცვის სიგელად გამომდგომოდა.

მაინც საფრთხეს მოვშორდი და კაფეში გადავინაცვლე. შევაფასე მენიუ: ფულის დახარჯვა არ მინდოდა, მაგრამ არც დაზოგილი ხუთასი მანეთი მიმაახლოვებდა თვითმფრინავის ტრაპთან. არადა, ასაფრენი მინდორი აგერაა, დიდი ფანჯრების მიღმა. ჩაი და სოსისის ღვეზელი შევუკვეთე, მაგიდას მივუჯექი და უაზროდ ვიყურებოდი აქეთიქით.

მომავლის არანაირი ხედვა არ გამაჩნდა.

ზოგიერთ თქვენგანს გააოგნებს ჩემი უმწეობა, მილიციაში მისულიყო ანდა უფროსებისთვის ეკითხა რჩევაო. მე თავადაც მიკვირს ის ეჭვიანობა, რომლითაც სამყაროს ვეკიდებოდი. ჩემი თავი ძველებურად წარმომედგინა, მხიარულ და გახსნილ მოზარდად, თუმცა სინამდვილეში ველური მგლის ლეკვად ვიქეცი.

აფხაზეთის გამოცდილებამ სამყაროს ნდობა დამიკარგა და თავში არ მომდიოდა, ვინმესთვის დახმარება მეთხოვა. საკუთარი თავის გადარჩენა მხოლოდ მე შემეძლო და სხვას არავის.

გაწბილებულმა მეზობელი მაგიდებიდან ლაპარაკის მოსმენა დავიწყე. ენების საერთო აღრევაში ქართული ლაპარაკი დავიჭირე (ჩვენ ხმამაღალი ხალხი ვართ). საუბრობდნენ ორნი, მკაცრ კოსტიუმებში. მეზობელ სკამთან, სადაც შედარებით უფროსი იჯდა, დიპლომატი იდგა. ისინი თავადაც დიპლომატებს ჰგავდნენ, ანდა საპასუხისმგებლო თანამდებობის პირებს. იქვე მაგიდა თავისუფალი იყო და გადავწყვიტე, ახლოს მივსულიყავი. „იქნებ რამე გავიგო“, – ვფიქრობდი მე, – „ხომ ამბობენ, არ უნდა შეგვრცხვეს იმ ადამიანების კომპანიის, თქვენი თანდასწრებით რომ ითვლიან ფულს: დაკარგვით არაფერს დაკარგავ და შეძენით კი შეიძლებაო. ჩემს მდგომარეობაში ინფორმაცია, იგივე ფულია“.

მივედი მაგიდასთან და დიპლომატის მფლობელმა, მსმენელად რომ გამოდიოდა, შემომხედა მძიმეჩარჩოიანი სათვალის ზემოდან, მაგრამ იქვე მიუბრუნდა თანამოსაუბრეს. გულგრილი გამომეტყველებით დავიკავე ადგილი და მოსასმენად მოვემზადე.

ლაპარაკობდნენ ვიღაც ანზორზე, მთხრობელის ნათესავზე. ანზორი იყო სტუდენტი, მაგრამ არცთუ გზაკვალიანი. ცხოვრობდა და სწავლობდა სოჭში, თავად სოხუმიდან იყო, მშობლებთან ერთად წავიდა ომის დაწყებამდე. ცოტა ხნის წინ ახალგაზრდული ავანტიურიზმისგან რომ არ განირჩეოდა, იმგვარი პატრიოტული აღტყინების ტალღაზე მყოფი ანზორი დაჯდა „კომეტაზე“ და სოხუმში გაუბერა, რათა „წაეომა“ უფროსი ძმის მხარდამხარ, სამშობლოში რომ იყო დარჩენილი. ხომალდი მიდიოდა რუსეთის დროშით, რეისი სამგზავრო იყო, მაგრამ აფხაზურმა კატერებმა აიძულეს „კომეტა“, ახალ ათონში შეჩერებულიყო შესამოწმებლად (იმხანად, ოფიციალურად, ასე უწოდებდნენ ძარცვას). დათარსული მეომარი გალიუნში დაიმალა, მაგრამ მალე იპოვეს. და ყველაფერი „არაუშავსრა“ ჩაივლიდა, ფასეულობებს დათმობდა და გაცურავდა თავისთვის, მაგრამ, ანზორის საუბედუროდ, ერთმა სამხედრომ იცნო, რომ სწორედ იმ იგორის ძმა იყო, გუმისთაზე რომ ფათიფუთობდა. გახარებულმა აფხაზებმა, რასაკვირველია, სცემეს და დაატყვევეს. მთხრობელი სწორედ იმას აპირებდა, რომ შემოვლითი გზით თბილისიდან ჩასულიყო სოხუმში და ეცადა მძევლის გამოსყიდვა.

მოსმენას თავი დავანებე. მე მართლა გავხდი მდიდარი. ადრე როგორ ვერ მივხვდი! საქართველოში მოხვედრა მარტო ჰაერით კი არა, ზღვითაც შეიძლება. „კომეტა“ თვითმფრინავი არაა, სამაგისოდ, მეყოფა ფული!“ – ვხარობდი მე. ისღა დამრჩენოდა, გამეგო, სად იყო თბომავლების გასვლის პუნქტი. იმასაც კი ვფიქრობდი, მივსულიყავი ამ მოსაუბრეებთან და მათთვის მეკითხა, მაგრამ შიშმა ისევ თავისი ქნა: მეჩვენებოდა, ისინი მაშინვე მიხვდებოდნენ, რომ ვუსმენდი და რამე უსიამოვნებას შემამთხვევდნენ.

იმ ღამით თვალი არ მომიხუჭავს. დილით კი პირველივე ავტობუსით გავარდი ადლერის ცენტრში. ჩემთვის ცნობილი იყო ორი ადგილი, საიდანაც შეიძლებოდა, გასულიყო სამდინარო თბომავლები. სოჭში მდებარეობდა საზღვაო ვაგზალი, აქ კი, ადლერში – სოჭის პორტოპუნქტის პირსი. ერთხელ ვიყავი კიდეც იქ, როცა ბაზრის მოვლის შემდეგ მამაჩემმა გადაწყვიტა, ჩემთვის ეჩვენებინა ზღვის სანაპიროს სცენები კომედიიდან „ბრილიანტის ხელი”. მახსოვდა: ბაზრიდან ზღვისკენ ეშვებოდა ქუჩა, რომლის ერთ ეზოში სახლის მმართველი წარმოთქვამდა უკვდავ ფრაზას წყალსაქაჩზე.

სანაპირო ძალიან არ შეცვლილიყო. მხოლოდ ფერები უფრო გამძლე

გამოდგა ფირზე, ვიდრე ცხოვრებაში: ადგილები იგივე იყო, მაგრამ ყველაფერი, ზღვის ჩათვლით, როგორღაც გახუნებული ჩანდა. პირსი ცარიელი იყო. მე მივაწექი იმ შენობის კარებს, რომელსაც „ადლერი" ეწერა, მაგრამ ამაოდ. გამჭვირვალე ფირფიტის ქვეშიდან ქაღალდი იუწყებოდა: „სამუშაო დრო 11.00 – 19.00".

ჩემდა გასაკვირად, ვაგზლის გახსნის საათისთვის მე ვრჩებოდი ერთადერთ მომლოდინედ. სალაროების ოთხი სარკმლიდან ორი მუშაობდა. შევათვალიერე შიგნით ქალები და ის ამოვირჩიე, ვინც უფრო ახალგაზრდა ჩანდა და, ესე იგი, უფრო თავაზიანიც. „გავლილი წლები ხასიათს არ ატკბობენ", – გამახსენდა მამიდას მეზობელი ნინიკო და მისი ჭკვიანი თვალები.

– გამარჯობა! – დავიხარე სარკმელთან.

– გაგიმარჯოს!

– მითხარით, გეთაყვა, ბათუმის რეისი არის?

– სტანდარტული განრიგი არაა, მოლაპარაკებით დავდივართ.

– და უახლოესი როდისაა?

– დღეს. ორ საათზე გავდივართ, საღამოს რვაზე ბათუმში ვართ.

– ადგილები არის კიდევ? – ვცდილობდი, კანკალი არ შემტყობოდა.

– აიღებთ?

– რა ღირს?

– ბარგი მოგაქვთ?

– არა...

– თორმეტი ათასი მანეთია საჭირო.

მე ქურთუკისა და შარვლის ჯიბეებზე ვირტყამდი ხელებს, დაბნეულობას ვთამაშობდი. სინამდვილეში ვყოყმანობდი: ფული პასპორტიანად გამეწოდებინა სარკმელში თუ უიმისოდ მეცადა.

– აი, ინებეთ, – შევაცურე კუპიურები სარკმელში.

მღელვარებისგან ეს ძალიან მკვეთრად გავაკეთე, ზედა ქაღალდების წყვილი წინ გაცურდა და სადღაც დახლის ქვეშ, მოლარის მხარეს ჩაფარფატდა. მე სირცხვილისგან გავწითლდი:

– მაპატიეთ...

ქალმა ჭრიალით გასწია სკამი და ფულის წამოკრეფას შეუდგა. ამისთვის მოუწია ჩაცუცქებამ და გაქრა ჩემი მხედველობის არიდან. ისევ სკამზე რომ მოკალათდა, ხელი გადაისვა აწეწილ თმაზე, ბლუზი შეისწორა და გადათვალა ფული.

– პასპორტი, – მითხრა ცივად.

აქ უკვე მინდოდა, მიწა გამსკდომოდა. ქურთუკის შიდა ჯიბეში ჩავიყავი ხელი, შევბრუნდი და მალულად თვალი ვკიდე კარს: გახსნილი იყო თუ არა უკანდასახევი გზა?

მოლარე იწევდა სარკმლისაკენ პასპორტის მოლოდინში, ჩემი მზერა კი მინის იქითა მხარეს დარბოდა. ისეთ რაღაცას ვეძებდი, რაც საშუალებას მომცემდა, მისი ყურადღება გამეფანტა. „აი, ისიც!" – გავიხარე მე, რაკი დავინახე კედელზე მიყუდებული მომცრო, ზომით ჯიბის სარკისხელა კერამიკის თუ ბრტყელი ქვის ნატეხი. შუაზე გაყოფილი, თეთრი და მეწამული ზოლების ფონზე, რუხი საღებავითა და შავი კონტურებით რაღაც იყო გამოსახული. ეს ნატეხი მაგონებდა მილაკად დახვეულ თამბაქოს ფოთოლს ზურგის მხრიდან: ცენტრალური ხაზიდან ზემოთ მომცრო ხაზები რომ იკლაკნებოდა. ასევე ეს რაღაცა მიაგავდა სვეტს სპირალური რელიეფით, რომლის გარშემო ძლიერი ქარისგან თითქოსდა რაიმე ნაჭერი შემოეხვია. მართალი გითხრათ, ბოლომდე ვერ დავიჭირე ავტორის ჩანაფიქრი: სვეტის ძირში ლანჩებით მაყურებლისკენ და ცხვირებით ზემოთ, – დახატული იყო მაღალყელიანი ფეხსაცმელები...

– მითხარით, თუ შეიძლება, ეს რა მშვენიერებაა? – ვთქვი მე, სანამ მოლარე პასპორტს გადაშლიდა ფოტოგრაფიის გვერდზე.

– სად? – თავი ასწია იმან.

– აი, იქით, მარჯვნივ, – მივუთითე მე.

– აჰ, ეს? – გაიღიმა მან, – ეს ჩვენი კოლეგაა გატაცებული. შემოქმედებითი პიროვნებაა...

– და სიუჟეტი როგორია, უკაცრავად? – თავაზიანობის განსახიერებად ვიქეცი.

– ეს სიუჟეტი არაა, – ის წინ წამოვიდა მკერდით, რომელიც ზედ დააყრდნო ერთმანეთზე დაწყობილ ხელისგულებს, ერთ მათგანში ჩემი ყალბი პასპორტი ჰქონდა, – ეს პორტრეტია. იმ ქალმა ასე დახატა ჩვენი წმინდანი, მამა თეოფანე. ნამდვილი ღვთის კაცი, იმდენს ეხმარება... და აქ იმიტომ მოვიტანე, რომ სამუშაო ადგილზე კარგი ენერგეტიკა ყოფილიყო. თავად მოგეხსენებათ, მგზავრი ათასნაირი მხვდება...

– ძალიან ლამაზია, – ვიცრუე მე.

მოლარემ ცოტა ხანს შეაჩერა მზერა უცნაურად გაყოფილ ნატეხზე, უკან გადაიხარა და პასპორტი გადაშალა. მე ყველაფრისთვის ვიყავი მზად, ოღონდ იმისთვის არა, რომ ის არც კი შეხედავდა შავ-თეთრ სურათს. მხოლოდ მონაცემები აინტერესებდა, რომლებიც იქვე გადაიწერა სამგზავრო დოკუმენტში.

– კეთილი მგზავრობა! – იდაყვზე დაყრდნობილმა მოლარემ პასპორტი დამიბრუნა.

მაშინვე დავეკითხე.

– მითხარით, ჩაჯდომისას პასპორტი საჭიროა? თუ ბილეთი საკმარისია?

– აუცილებელია. მაინც უცხოეთში მიდიხართ.

– შემოწმება სადაა?

– ჯიხურს ხედავთ პირსთან? – მაჩვენა კალმით ჩემს ზურგს უკან, – იქ შეგამოწმებენ: ბილეთს დაარეგისტრირებენ, ბარგს ნახავენ... თქვენ არ იდარდოთ, ხალხი ბევრი არ იქნება, დიდხანს დგომა არ მოგიწევთ.

მე გარეთ გავედი, აღსავსე იმ გადაწყვეტილებით, რომ დაწვრილებით შემესწავლა შემოწმების პუნქტი.

ნავმისადგომის თავში იდგა საზღვაო კონტეინერი, აგურის ფერისა, სწორედ ისეთი, როგორშიც, ალბათ, ახლაც იჯდა მოწყენილი „კნიაზი“. კონტეინერი იკავებდა მისადგომის ნახევარს, რომლის თავისუფალ ნაწილს კეტავდა ცალმხრივ გასაწევი, მავთულის ბადისგან შეკრული კარი. ის მავთულითვე იყო მიმაგრებული პირსის მესერზე და, ეტყობა, იღებოდა სპეცტრანსპორტის შესაშვებად. მისადგომის ორსავ მხარეზე, სანაპიროს ბალუსტრადის სამ ადგილას – გაჭიმული იყო მავთულის ბადე. მას სიმბოლური მნიშვნელობა უფრო ჰქონდა: პირსთან შეიძლებოდა გაგეღწია პლაჟის ვიწრო ზოლითაც. მაგრამ ძნელი წარმოსადგენი იყო კაცი, ამას რომ გაბედავდა: მისადგომი და მთელი ეს ადგილი გახსნილი იყო ოთხივე მხრიდან. ბორტზე მოხვედრა შემოწმების პუნქტის გვერდის ავლით შეუძლებელი იყო.

რაც უფრო ახლოვდებოდა გასვლის დრო, მით უფრო ვეჭვობდი: კარგი იყო თუ არა იდეა, რომ საქართველოში ზღვით გამეღწია? ბავშვობას გრძნობების სხვა მასშტაბი აქვს, ყველაფერი უზომოდ გეჩვენება: სიხარულიც, შიშიც. სულ უფრო მეტი დაჟინებით ამოცურდებოდა ხოლმე გონებაში ანზორის ამბავი. „და თუკი ჩემშიც იცნობენ იმის ნათესავს, ვისი სახელიც ფრონტზე ქუხს?“ – თენგოს საბრძოლო სახელში ეჭვი არ მეპარებოდა, – „და ამაზე უარესი – იმ ბლოკებშებმულმა ჩაძირულებმა მაღლა თუ ამოცურეს და ჩვენ უკვე გვეძებენ?! და, საერთოდ, ამ ხომალდის კაპიტანი აფხაზებთან თუა მოლაპარაკებული და ბათუმის მაგივრად გუდაუთაში მიგვიყვანა?“

მაშინ რომ მცოდნოდა, რამდენად ახლოს იყო ბავშვური შიშები ჭეშმარიტებასთან, ჩახედული ვყოფილიყავი ხომალდების შეპყრობის ყველა შემთხვევაში, მათ შორის, რუსული დროშებით რომ დაცურავდნენ და საბრძოლო კატარღები მოაცილებდნენ, არაფრის დიდებით არ ავიდოდი ბორტზე. ფეხით წავიდოდი შავი ზღვის გარშემო და

მაინც არ ჩავჯდებოდი. მაგრამ ეს არ ვიცოდი, და როცა პირსთან მოვიდა თბომავალი, ხოლო ორმა მესაზღვრემ გააღო კონტეინერის გასაწევი კარები, თავი ვაიძულე, ცოტა ხნის წინ წარმოქმნილ რიგში ჩავმდგარიყავი.

მალე ვინანე ჩემი სიჩქარე: ვიდექი მგზავრების პირველ ოცეულში და უცდომლად მივიწევდი ეშაფოტზე ასასვლელად. დასასრულის სიახლოვე რომ ვიგრძენი, დავიწყე უკან დაწევა შეუმჩნევლად, როგორც თავად მეჩვენებოდა, ხან მგზავრებს გავატარებდი ხოლმე, ხანაც რამდენიმე ნაბიჯს უკან ვდგამდი. საბოლოო ჯამში რიგის ბოლოში მოვექეცი.

უკან დასახევი აღარსად იყო.

უკვე ვიცოდი: კონტეინერის შიგნით მოთავსებული იყო ლითონის მძებნელი ჩარჩო, მისგან მარცხნივ – ბარგის დათვალიერების ლენტი. მომეჩვენა, რომ ეს ჩარჩო უფრო შესახედად იყო: ერთხელაც არ გაუწკაპუნებია და ნათურები არ აუციმციმებია. ბარგს სწავლობდა ერთი მესაზღვრე. ხოლო მისი კოლეგა ლენტის ბოლოს, ჩარჩოს იქით იდგა და დოკუმენტებს ამოწმებდა. „არ დანებდე, იფიქრე, იფიქრე!“ – ვუმეორებდი საკუთარ თავს, მაგრამ მხსნელი იდეა არ ჩნდებოდა.

ყურადღებას მიფანტავდა ბავშვების ურდო ქართული ოჯახიდან, რომელიც წინ გავუშვი. ისეთი დაუდეგრები იყვნენ, რომ ვერც კი დავითვალე, ოთხნი იყვნენ თუ ექვსნი. ოჯახის მამასაც არ შეეძლო მათთვის მიეხედა, უამრავი ჩანთისა და ჩემოდნის გადმოტანით იყო დაკავებული. მერე ეს ზონზროხა კაცი ისე გაიხვითქა, პალტო გაიხსნა და ფართოფარფლიანი შლაპით სახის განიავებას მიჰყო ხელი. ბავშვები მეუღლეს გადაულოცა, მაგრამ იმას რაღაც განყენებულად ეჭირა თავი. სულ შავები ეცვა.

სასოწარკვეთილებისგან საკუთარი თავის წყევლა დავიწყე იმის გამო, რომ რაღაცა სულელური ლოგიკით ვმოძრაობდი და რუსული პასპორტი წამოვიღე: „რაზე ვფიქრობდი?! მეშინოდა, რომ ტყეში აფხაზები დამიჭერდნენ... ახლა მშვიდად ვიყიდდი ბილეთს და წავიდოდი, როგორც თეთრი ადამიანი...“

ამასობაში ოჯახის უფროსმა ბოლო ჩემოდანი შედგა ბარგის დასაწყობ ლენტზე და ხმაურიან კრებულთან ერთად ჩარჩოში შეაბიჯა. მე მექანიკურად ავედევნე მათ: ყველაზე ნაკლებად ის არ მინდოდა, მარტო რომ დავრჩენილიყავი ბარიერის აქეთა მხარეს. მამაკაცმა მესაზღვრეს გადასცა დოკუმენტების მთელი დასტა და ბარგის აღება დაიწყო. თითო ხელში თითო ჩემოდნით კონტეინერიდან გასასვლელისკენ მიემართებოდა, მაშინვე უკან ბრუნდებოდა და მორიგი ტვირთი მიჰქონდა. როცა ერთ ჩემოდანს მისმა ცოლმაც მოკიდა ხელი, გონება გამინათდა.

ხელიდან გამოვართვი ჩემოდანი და ქართულად ვუთხარი:

– მაპატიეთ, პატივცემულო, ნება მიბოძეთ, დაგეხმაროთ.

ქალმა პირველად შემომხედა და წყნარი, სუსტი, სადღაც, მისი სულის საიდუმლო სიღრმეებიდან მომდინარე მწუხარების ტალღა გამოუშვა ჩემკენ. შეუძლებელი იყო, არ შეგემჩნია მისი გატანჯული სახე, ჩამქრალი თვალები, მუქი წრეები რომ უვლიდა გარს. მე უნებურად მზერა დავხარე და დავინახე ქალის მკერდზე მიმაგრებული ბიჭის შავ-თეთრი ფოტო.

– ვიზიარებ, – სწრაფად ვთქვი მე და ლენტიდან კიდევ ერთ ჩემოდანს ვტაცე ხელი.

ქალმა არ მიპასუხა.

გავიარე დოკუმენტების შემმოწმებელი მოსამსახურის გასწვრივ და ბარგი მივამატე იმ გორას, რომელიც აქ ადრე განალაგა ოჯახის უფროსმა. სასურველი თბომავალი ასე ახლოს იყო! ერთი ნაბიჯიც და, რკინის ყუთის სიბნელეს, განათებულს შიშველი ნათურით, შეცვლის უსაზღვრო ზეციური სინათლე კიდით კიდემდე გადაშლილ ზღვაზე... წვალებით ვაიძულე საკუთარი თავი,

დავბრუნებულიყავი ბარგის ლენტთან და კიდევ ამეღო ჩემოდანი. საკუთარ თავს კონტრაბანდისტად ვგრძნობდი, კანონს რომ არღვევდა პასუხისმგებელი პირების ცხვირწინ. ოღონდ კონტრაბანდა ჩანთები კი არ იყო, არამედ მე თვითონ.

ბარგის მომდევნო პარტიით დატვირთულ მამაკაცს რომ ჩავუარე, თავაზიანად ვთქვი:

– ძალიან ვწუხვარ. შემიძლია, კიდევ რამით მოგეხმაროთ?

საგანგებოდ ხმამაღლა ვლაპარაკობდი, რომ მესაზღვრეებს ეჭვი არ დარჩენოდათ: მეც ამ დიდი ქართული ოჯახის ნაწილი ვიყავი. მამაკაცმა მადლობა გადამიხადა და მითხრა, რომ ისედაც საკმაოდ მივეშველე.

– მაშინ ხომალდამდე წავიღებ, – დავიჟინე მე, – რომ ნაკლებმა შრომამ მოგიწიოთ.

მამაკაცმა თავი დამიქნია. თითქოს ბამბის ფეხებზე ვიდექი, ისე წავედი ხომალდისკენ. ველოდი, რომ სადაცაა მამხელდნენ. მაგრამ ჩემთვის არ დაუძახიათ. ბილეთი ისე მეჭირა გამოწეულ ხელში, როგორც ოლიმპიური ჩირაღდანი. დაე, ყველამ დაინახოს, რომ სამგზავრო დოკუმენტი მეც მაქვს.

– კეთილი იყოს თქვენი მობრძანება ბორტზე, – ღირსებით თქვა კაპიტანმა, ხელით მანიშნა, რომ ბილეთი საჭირო არ იყო და სრულიად მენდობოდა.

ავედი. მაქანავებდა და ვერ გამეგო: „კომეტა“ ირხეოდა თუ მე სრულად ვერ ვფლობდი სხეულს. სამყარომ ჩემს თვალებში დაკარგა სიმკვეთრე. მეზღვაურს მივვარდი თუ სხვა მოსამსახურეს და გამშრალი პირით ვკითხე:

– აქ ტუალეტი სადაა?

– ტუალეტი ხმელეთზეა, ახალგაზრდავ, ხოლო ხომალდზე გალიუნია, – გამოცრა მსუბუქი დაცინვით, – შეიძლება, ბილეთი? აჰა, კიჩოს სალონი, პირდაპირ კურსის მიხედვით, – მიმითითა ხომალდის შორეულ ნაწილზე, – მომდევნო სალონს გაივლით, სწორედ მარჯვენა ბორტზე. კარგი ადგილი გაქვთ, ცოტას მანქანები გუგუნებენ... სამაგიეროდ, ღია გემბანია კიჩოზე.

ჩემ წინ ვერაფერს ვხედავდი, ნაჩვენები მიმართულებით გავწიე. შევფრინდი გალიუნში, ჯახუნით მოვიხურე რკინის მძიმე კარი, გავაღე ილუმინატორი და დავვარდი სკამზე. აკანკალებული ხელებით გავხსენი (სჯობს მეთქვა, გავგლიჯე-მეთქი) სიგარეტის ახალი კოლოფი, წინა ხომ რიგში დგომისას გამითავდა. „კაპიტანო, უბრძანე! „ახსენით ხომალდი”, თუ როგორ ამბობთ ხოლმე. მე ახლა ძალიან მჭირდება, რომ გავცუროთ...”

ტუალეტში ჩაკეტილი ვიჯექი არა მხოლოდ იმ მომენტამდე, როცა „კომეტა“ გზას გაუდგა, არამედ, მეტი საიმედოობისათვის, კიდევ ნახევარი საათიც. მინდოდა, დარწმუნებული ვყოფილიყავი, რომ არ მომხსნიდნენ ხომალდიდან, მშობლიური ნაპირების გასწვრივ რომ მიდიოდა.

ესენი ჩემები არიან

„მოწევა სასეირნო გემბანზე“ – წავიკითხე დაფაზე იმის მერე, რაც ტუალეტიდან გამოვაღწიე. მოვწიე არანაკლებ ნახევარი კოლოფისა. ვიგრძენი, რომ „კომეტა“ დადგა ფრთებზე და ფრთხილად გავაღე კარი. არავინ იყო. მსუბუქად ვიწყინე კიდეც. კიჩოზე დავაპირე ადგილის დაკავება, მაგრამ საკუთარი თავი შევაჩერე: „სდექ! ადრე მოეშვი. არ უნდა მიიხედ-მოიხედო?“

გზად კატარღის ცხვირისკენ იქმნებოდა შთაბეჭდილება, თითქოს მგზავრებს მიზნად ჰქონდათ ერთ ადგილას შეეკრიბათ ნივთების გადასატანი ნაკეთობების ყველა წარმოსადგენი სახესხვაობა. სასეირნო თბომავლის კონსტრუქცია არ ითვალისწინებდა ბარგისთვის ცალკე ადგილებს. სამგზავრო სკივრები, ბაულები და ტომრები იკავებდა გასასვლელებს, თავისუფალ კუთხეებს განაკვეთებში და მგზავრე-

ბისგან თავისუფალ სავარძლებს. „ეს, საერთოდ, სამგზავრო თბომავალია თუ ტვირთმზიდი?“ – ვბუზღუნებდი ჩემთვის, საბავშვო ეტლის ჩარჩოს რომ მივეჯახე, რომელზეც აკვნის მაგივრად მოთავსებული იყო ერთმანეთზე გადაბმული ყუთები.

თბომავალი მიაგავდა ჭკუიდან გადასული კრიჟანგის საცხოვრებელს ცნობილი ზღაპრიდან. იმან ჩაიფიქრა, რომ მოეპარა კოლიზეუმი და წლების შემდეგ სახლში დადიოდა ნაქურდალი ქვების გორებს შორის გამავალი ვიწრო ტრანშეებით. „ამათაც აგურები მოაქვთ?“ – ვბურტყუნებდი მე, სულ დავივიწყე ბარგის გადამრჩენელი როლი ჩემს ამბავში.

რიგში ნანახ ქართულ ოჯახს ხომალდის ცხვირზე წავაწყდი. ბავშვები პანორამულ ფანჯრებს აკვროდნენ, მშობლებისთვის ამოსუნთქვის საშუალება მიეცათ. მომინდა, მივსულიყავი ჩემს უნებურ კეთილისმყოფლებთან და მადლობა მეთქვა, მაგრამ უცებ ვიგრძენი, მუცლის ქვემოდან როგორ ამოდიოდა გულისრევის მძიმე ტალღა...

ორივე ტუალეტი დაკავებული იყო. „მოწევა სასეირნო გემბანზე “, – ცნობიერებაში განათდა ახლახან ნანახი დაფა და უკან გავვარდი, კიჩოსკენ. გადავხტი ღია მოედანზე, ბორტს გადავეყუდე და ამოვისუნთქე... გამიმართლა, მე „სუფთა ჰაერის ჩასუნთქვის “ ერთადერთი მსურველი აღმოვჩნდი.

„რამდენი მოვწიე? რიგში ერთი კოლოფი... და კიდევ ტუალეტში...“ – ვითვლიდი მე, გონს რომ მოვედი. გამოდიოდა ერთ-ნახევარი. ჩემთვის, ჯერაც რომ არ მესწავლა სერიოზულად მოწევა, ეს მეტისმეტი იყო. „კომეტას“ უკან დატოვებულ ვერცხლის კუდს რომ ვუყურებდი, უცებ გავიხსენე, რომ წყლის ერთი კუბური კილომეტრი ზღვაში შეიცავდა დაახლოებით ხუთ ტონა ვერცხლს და ათ ტონა ოქროს. ოღონდ ადამიანებს ვერაფრით მოეგონებინათ ხერხი წყალში გახსნილი საგანძურის მოსაპოვებლად. ჰოდა, აი, თავს იწყნარებდნენ ზღვის უფრო ჩვეულებრივი საჩუქრებით.

ასე დავიწყე ფიქრი ჩაძირულ ხომალდებზე, მეკობრეებზე, საგანძურებზე. გავიხსენე კაპიტანი ნემოც. ახლა რა კარგად მესმოდა ამ ზღვის სიღრმეების მცხოვრებისა, უსამართლო სამყაროს რომ ემალებოდა ფსკერზე. მხოლოდ ზღვების სიღრმეშია ადამიანი ნამდვილად თავისუფალი!

თუმცა, „კომეტის“ კაპიტანი არც კი ფიქრობდა სიღრმეებზე. ჩვენ მივდიოდით ნაპირთან სახიფათო სიახლოვეზე, ოთხიოდე მილზე. დურბინდი არ მქონდა და გაგრის ტრავერსზე მხოლოდ ცალკეული ნაცნობი შენობები გავარჩიე. ხოლო ქედების თანაბრად შემოხაზული სამკუთხედები ქალაქის თავზე და მამძიშხას თოვლიანი ქუდი ნებისმიერ მგზავრს შეეძლო შეეფასებინა. კაპიტანი არ ცვლიდა კურსს და გაგრის გავლის შემდეგ ნაპირი უფრო მოახლოვდა. აი, ზღვაში შემოიჭრა ბიჭვინთის კონცხი, რომლის სულ დასაწყისში მდებარეობდა ჩემი მშობლიური ალახაძე... თუკი თქვენ ფიქრობთ, რომ სახლთან სიახლოვის გაცნობიერების გამო მკერდში ტკივილი დამეწყო, მე გავბედავ და ვაღიარებ, რომ ასე არ იყო. ამქვეყნად ყველაზე ნაკლებად მინდოდა იმ ნაპირზე გადასვლა! „მე იქ არ დავბრუნდები“, – სახელურებს ჩავეჭიდე, – „ერთი დღე თავისუფლად და ისევ გალიაში?!“ აქ ჩემამდე დავიდა იმ სიტყვების აზრი, ჩავლილ ზაფხულს რომ გავიგონე რუსთავის ბირჟაზე. „თავს მოვიკლავ, მაგრამ აღარ ჩავჯდები!“ – იფიცებოდა პირველი პატიმრობის მოხდის მერე ჯიბის ქურდი, მეტსახელად „მუნშტუკი“ (იმას მართლა ჰქონდა გრძელი და დახვეწილი თითები). ამგვარადვე თქვა ერთხელ მამაჩემის ნაცნობმა შალიკომ, მართალია, განქორწინების პროცესის ბედნიერად დასრულების შემდეგ. „კიდევ ერთხელ ეს რომ ვქნა!..“ – ხელი ყელში იტაცა, მამაჩემთან

ტყვეობიდან განთავისუფლებას ზეიმობდა. ჯიბგირი „მუნშტუკიც“, კოლმეურნეობის მძღოლი შალიკოც იმეორებდნენ ძველი ბრძენის აზრს, ვინც პირველმა შენიშნა გამოცდილების კავშირი ცუდ განწყობასთან. ადამიანს შეუძლია აიტანოს ყველაზე მძიმე განსაცდელის ტვირთი. მაგრამ იმ პირობით, თუ მათი საშინელება თანდათან ჩნდება. ისინი, ვინც მზად არიან, გაცნობიერებულად გაიმეორონ ერთხელ მიღებული ნეგატიური გამოცდილება, არიან ნამდვილი სულის მებრძოლები. ანდა ბრიყვები, სწავლა რომ არ შეუძლიათ. როგორც შალიკო, რომელმაც ცოლი მეორედაც მოიყვანა და მეოთხედაც კი. არ ვაპირებდი, მისთვის მიმებაძა. არც გმირი ვიყავი და არც ბრიყვი. მე, უბრალოდ, გადარჩენა მინდოდა. როგორც უკვე ვიცოდი, ეს არცთუ ისე ცოტა იყო.

მარტოხელა თოლიას მწუხარე კივილმა, დიდხანს რომ მოსდევდა ჩვენს ხომალდს, უცებ მეხსიერებაში გამოიხმო რამდენიმე წლის წინათ წაკითხული და წარმატებით დავიწყებული ლექსი. ის ეკუთვნოდა ახალგაზრდა მწერალსა და პოეტს, რომელიც სწორე აქ, გაგრაში, დაიღუპა: შტორმისას ზღვაში გადახტა უცნობი გოგონას გადასარჩენად და დაიხრჩო. და წინადღეს – ერთი დღით ადრე! – დაწერა გამაოგნებელი ლექსი. თოლიას მოთქმით გამოღვიძებული სიტყვები ამოდიოდნენ მეხსიერებაში, თითქოს ზღვის სიღრმეებიდან, რომლებმაც ოცდახუთი წლის გულადი კაცი გადაყლაპეს:

„დედა,
არ ჩამოხვიდე ზღვაზე,
ზღვა ძალიან ღელავს.
შენთვის არ შეიძლება აქ ცურაობა,
ზღვა ძალიან ღელავს.
შენც ძალიან ღელავ.
არ ჩამოხვიდე, იცოდე, ზღვაზე...“

მე იმდენად გავერთე განცდებით, რომ მაშინვე ვერ შევამჩნიე, „კომეტა“ წყალზე ჯდებოდა. ჩვენ სიჩქარეს ვკარგავდით. მარცხენა ბორტთან მივირბინე და წინ გავიხედე – შორს კატარღა მოჩანდა. ნაპირის მხრიდან მოდიოდა და ისე ჩქარა გვიახლოვდებოდა, თითქოს ის იყო „კომეტა“ და არა ჩვენ. ხოლო ჩვენს ხომალდთან მოტრიალე თოლია ისევ ჩხაოდა...

მე პანიკაში ჩავვარდი. რა ვქნა, საით გავიქცე?! ადგილზე დავრჩე თუ ტუალეტში შევვარდე? თუ ბორტს მიღმა სჯობს?! კაპიტანი მოლაპარაკებულია, ასეც ვიცოდი! პასპორტს რა ვუყო? პასუხად გულისრევის ახალი შეტევა დამეწყო.

სანამ მე მუცელს ვიცარიელებდი, კატარღამ მარჯვენა ბორტიდან შემოგვიარა, რკალი მოხაზა და ჩასაბმელად დადგა. მეჩვენებოდა, რომ შიგ მსხდომი მეომრები მე მიყურებდნენ და იცინოდნენ.

გაქცევაზე ლაპარაკიც ზედმეტი იყო.

მე დავიცადე, სანამ კატარღა ჩემს გვერდით ჩაივლიდა კიჩოსკენ, ფრთხილად გადავიხედე ბორტიდან: სამნი, კამუფლაჟიან ფორმაში, ამოდიოდნენ ფრთაზე; ორნი დარჩნენ მახვილცხვირიან „ვოლგაზე“. მე კარგად ვიცოდი ეს კატარღა: ასეთზე ვასეირნებდით დამსვენებლებს რიწის ტბაზე. თუმცა, მაშინ იმ კატერს ტყვიამფრქვევი არ ჰქონდა დამონტაჟებული კიჩოზე.

მე პასპორტი ამოვიღე. გადავაგდო თუ დავმალო? „ქაღალდი არ იძირება“, – ვთქვი ჩემთვის მას შემდეგ, რაც შევტრიალდი და საფულე სახურავზე შევაგდე. კარის მინის მიღმა დავინახე, როგორ შემოვიდა სალონში ერთ-ერთი მეომარი. ადამიანები მას დოკუმენტებს უწვდიდნენ. ჩვენ გვყოფდა სავარძლების ოთხი თუ ხუთი რიგი, და ამდენივე წუთი, რომლებიც დარჩენილი მქონდა იმის შანსად, რომ რამე მომეფიქრებინა.

როცა ახალშექმნილი აფხაზეთის სამხედრო-საზღვაო ფლოტის ჯარისკაცი გამოვიდა ჩემთან სასეირნო გემბანზე, მე ზურგით ვიდექი და არც კი მივტრიალებულვარ. თავს ისე ვაჩვენებდი, თითქოს ღებინების შეტევა მქონდა.

საუბედუროდ, მუცელში რაც მქონდა, იმისგან უკვე გათავისუფლებული ვიყავი, – მიწევდა მძიმედ მეხველებინა და გამომეცა არაადამიანური ხორხისმიერი ბგერები.

– დიდი ხანია, აქ ხარ? – გაისმა ხმა.

მე ცოტა მოვიცადე, პირი მოვიწმინდე და ნელა შემოვბრუნდი.

– სოჭიდანვე.

– შუა სალონში უნდა წახვიდე. იქ ნაკლებად გაქანავებს.

მე თავი დავუქნიე, ჩემთვის კი ვფიქრობდი: „ნუთუ გამივა ნომერი?“, მაგრამ ჯარისკაცი არ მიდიოდა.

– ქართველი ხარ?

ისევ დავუქნიე თავი.

– გასაგებია. აბა, ქართველო, პასპორტი მომეცი.

– მე არა მაქვს პასპორტი, – წყნარად მივუგე.

– რა უყავი? – მეომრის განწყობა ცვალებადი იყო, როგორც ზღვა.

– არა, მე საერთოდ არა მაქვს. არასრულწლოვანი ვარ.

– და ხომალდზე როგორღა მოხვდი დოკუმენტების გარეშე? თანაც მარტო.

– ...

– ყრუ ხომ არა ხარ?

– არა, რაღაც ვერა ვარ კარგად... ისა, მე მარტო არა ვარ...

– ვისთან ერთად ხარ?

– მშობლებთან. ოჯახთან, – ვთხზავდი გზადაგზა.

– სად არიან მშობლები? – თვალს არ მაცილებდა.

– იქ, – გაურკვევლად გავუქნიე თავი სალონისკენ.

– წავედით, მაჩვენე, – თქვა ჯარისკაცმა და, რომ დაინახა, ადგილიდან არ ვიძროდი, უცებ გადაწყვიტა, აეხსნა, – მე რა ვიცი, რომ შენ ბათუმში მიდიხარ და არა სოხუმში? თქვენ, ქართველები, ამ პატარა საზღვარს ხშირად ურევთ, – მან კარი გააღო და გაიწია, მე შემიშვა.

ჩემი მდგომარეობა გამოუვალი იყო. ნელ-ნელა მივდიოდი, აქეთ-იქით ვიყურებოდი, თითქოს თბომავალზე მართლა იყო ჩემი ახლობლებიდან ვიღაც. მაგრამ ირგვლივ უცხო სახეები იყო, ისეთივე უტყვი, როგორც ირგვლივ მიმოფენილი ჩანთები და კალათები. ესენი ცოცხალ ადამიანებზე მეტად მაშინებდნენ, მუნჯ მოწმეებად რომ მიმაცილებდნენ უტყუარ სიკვდილზე.

გავიარეთ მეორე სალონი.

ჯარისკაცის არმიული ბოტასები რკინის კიბეზე ახმაურდა.

ყრუდ, მაგრამ სასოწარკვეთით მჩხვლეტდა გული.

„დედა, არ ჩამოხვიდე ზღვაზე, ზღვა ძალიან ღელავს...“

აი, გემის ცხვირიც, ამის იქით გზა აღარაა.

რა ვქნა?

სამარისებური სიჩუმე. ბავშვებიც კი გაჩუმდნენ, იმ წყვილის ქართველი ბავშვები, რომელსაც ჩემოდნები მივატანინე ნავმისადგომზე. „მაშინ გადამარჩინეს, ახლაც გადამარჩენენ!“ – უფსკრულის პირას მაჩერებს სასოწარკვეთილი აზრი.

– სად არიან შენები? – მესმის ხმა უკანიდან.

– აი, – თითით ვუჩვენებ შლაპიან კაცზე და ძაძებიან ქალზე, შეშინებულნი რომ იყურებიან პირველი რიგიდან, – ესენი არიან ჩემები.

– დამეხმარეთ, თუ შეიძლება, – სწრაფად ვამბობ ქართულად, – უთხარით, რომ თქვენი შვილი ვარ.

– თქვენი ბიჭია? – ეკითხება ჯარისკაცი.

პასუხად სიჩუმეა, მარადიულობის სიგრძის სიჩუმე. ოჯახის მამა ყოყმანით უყურებს ცოლს, რომელიც მზერას ამოაცურებს ჩემს სახეზე და ნელა იქნევს თავს.

– რამდენი წლისაა?

ქალი ერთხელ კიდევ ამათვალიერებს და წყნარად ამბობს:

– თექვსმეტის.

– პასპორტი მაჩვენეთ.

– აღება ვერ მოასწრო. წამოსვლამ მოგვიწია... საქართველოში აიღებს.

– რაიმე დოკუმენტი არ გაქვთ? დაბადების მოწმობა?

ჩემს თვალებში ცრემლებია. ეს ქალი ყველაფერს სასწორზე დებს, მე რომ გადამარჩინოს. პასუხის მაგიერ ჩანთიდან წიგნაკების გროვას იღებს. რამდენიმეს ნახავს და ერთს მე გამომიწვდის.

– აიღე, ხუტო ალფაიძე, მიეცი, რაც უნდა, – მეუბნება ქართულად.

მოწმობას ჯარისკაცს ვუწვდი. ის სწრაფად ნახულობს და უკან მიბრუნებს. მღელვარებისგან თითები მიცურავს ყდაზე, დოკუმენტი ძირს ვარდება. მე ვიხრები და ძალა აღარ მაქვს წამოსადგომად.

– თანაგიგრძნობთ, – მკერდზე მიმაგრებულ ფოტოს უყურებს ჯარისკაცი, – ბიჭი კიდევ შუა სალონში დასვით, იქ ნაკლებად აქანავებს.

ჯარისკაცი შეტრიალდება და მიდის.

ხომალდის შემოწმება კიდევ ნახევარი საათი გრძელდებოდა. როგორც ბორტის მატროსი მოჰყვა, რომელმაც გზის დასაწყისში საზღვაო ტერმინოლოგია მასწავლა, ეს სტანდარტული შემოწმება იყო.

– ქართველ მებრძოლებს ეძებენ, – აგვიხსნა მან, – და არავინ აინტერესებთ. ჩვენ ყველა რეისი შეთანხმებული გვაქვს, რაციითაც ვუკავშირდებით, დროშაც რუსეთისაა, მაგრამ რაც უნდათ, მაინც იმას აკეთებენ. წამოუვლით და ამოძვრებიან და ჩხრეკას აწყობენ მაშინვე.

ეს ყველაფერი მერე იქნება, ახლა კი... ახლა მე მუხლებზე ვდგავარ ჩემი გადამრჩენელი ქალბატონის წინაშე. „გმადლობ, გმადლობ...“ – ვჩურჩულებ.

თვალები დახუჭული მაქვს. ქალი თმაზე მისვამს ხელს.

– ნათია, ეს რატომ გააკეთე? – მესმის ქმრის ხმა, – ყველაფერი რომ გამჟღავნებულიყო?

– ეს ბიჭი ღმერთმა გამოგვიგზავნა, ტარო, – ალერსით პასუხობს ქალი, – მე ვიცი, ახლა ჩვენი ხუტო ზემოდან გვიყურებს და ხარობს, რომ ადამიანს გადარჩენაში მივეხმარეთ. და ეს ბიჭიც იმას დიდხანს ვერ დაივიწყებს. და ესე იგი, ჩვენი შვილიც მეტხანს იქნება ჩვენ შორის, გესმის? საკუთარი დავკარგეთ, სხვისი კი გადავარჩინეთ... თუკი ბავშვების დაყოფა შენად და სხვისად შეიძლება...

– რა თქმა უნდა, ნათია, რა თქმა უნდა... – დამამშვიდებლად პასუხობს ქმარი, მე კი სულ ამას ვიმეორებ:

– ესენი ჩემები არიან, ჩემები...

„რიწა“ 2020 №3

მძიმე ნომერი გამოვიდა... თემაც მძიმე იყო – „ხელოვანი და ომი“. შევეცადეთ, ხელოვნების სხვადასხვა სფეროს წარმომადგენელთათვის მოგვესმინა, მათ ხომ ბევრი აქვთ გასახსენებელიც და მოსაყოლიც.

სოხუმის ქართული თეატრის ტრაგიკულ ისტორიას წაიკითხავთ საქართველოს დამსახურებული არტისტის ქალბატონ ლიანა მიქაშავიძის წერილში და გაოცდებით, რამდენი გაიღეს, რამდენი გადაიტანეს, რამდენს გაუძლეს ქართველმა მსახიობებმა, როგორ იბრძოლეს სცენაზე და იომეს თავისი ქვეყნის მთლიანობისთვის და ღვთის წყალობით, ჰაი, ჰაი, რომ ისევ ცოცხლობენ, შრომობენ დევნილობაში, ქ. თბილისში უზნაძის 68 ნომერში გახსნილ კონსტანტინე გამსახურდიას სახელობის აფხაზეთის ქართულ თეატრში.

ნომერში წაიკითხავთ ბევრ კარგ პოეტურ ქმნილებას. ავტორები მხცოვანი და ახალგაზრდა მწერლები არიან, მათ აერთიანებთ ის, რაც ტკივათ – ოკუპირებული სამშობლო. ამიტომაც, ზოგი მისტირის წარსულს, ზოგს დღევანდელობა ტკივა, მაგრამ მაინც მკითხველს ოპტიმისტურად განაწყობს აფხაზეთისადმი მიმართვა – „უნდა გველოდო“, პოეტი ბათუ დანელია რომ ბრძანებს.

ჟურნალში ყველა პროზაული ნაწარმოები იგივე პრინციპით შეირჩა. საგრძნობია, პაციფისტური აზროვნება. ანგარიშგასაწევია და შესამჩნევი, როგორ სძულთ ომგამოვლილ მწერლებს ომი: ერთი მხრივ, ვერ ივიწყებენ თავსგადამხდარს და მეორეს მხრივ, გარკვევით ამბობენ, რომ ომი არის კაცობრიობის სირცხვილი და უდიდესი ბოროტება; რომ იგი არასოდეს არ უნდა გამეორდეს. იგივე სულისკვეთებით წერენ ლიტერატურის კრიტიკოსები, რეცენზენტები და ანალიტიკოსები, რომელთა შესანიშნავ ნააზრევსაც სიამოვნებით გაეცნობა მკითხველი.

ჟურნალი შეგახსენებთ დიდი ქართველი მწერლის ჭაბუა ამირეჯიბის უდიდეს ტრაგედიას, მწერლის ვაჟიშვილის აფხაზეთში დაღუპვის ამბავს. ჩვენ მიერ მოწოდებული გენეტიკური სქემიდან გაიგებთ, რომ ირაკლი ამირეჯიბი აფხაზეთის უკანასკნელი მთავრის – მიხეილ შერვაშიძის პირდაპირი ჩამომავალი იყო, რომელიც აფხაზეთში საქართველოს ერთიანობის იდეას შეეწირა.

განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია ჟურნალის გარეყდა, რომელზეც ერთნაირი ბედისწერის ორი პოეტის ფოტო წარმოვაჩინეთ. ეს ფოტოები მშვიდობიან სოხუმშია გადაღებული. ამიტომაც მასზე გამოსახული ხელოვანები, ჯერ კიდევ, ბედნიერები არიან. თუმცა ომმა არც ისინი დაინდო: პოეტი ეთერ სამხარაძე სეპარატისტებმა გამოასალმეს სიცოცხლეს, ასევეთივე ბედი ერგო აფხაზ პოეტ ტაიფ აჯბას, ქართველთა მიერ მოკლულს. არც ერთის საფლავი არაა ცნობილი. ომმა არ იცის ეროვნება, იგი კლავს! ომი, პირველ რიგში, შემოქმედ ადამიანებს არ ინდობს. მხატვრები ჭოლა კუკულაძე და სლავა დენისოვი, პოეტი ივანე თარბა და მსახიობ ელერდაშვილების ოჯახი... რომელი ერთი უნდა გაიხსენო, უმძიმეს ტრაგედიებად რომ აღიბეჭდილა ქართულ ისტორიასა და ცნობიერებაში.

და მაინც ნიშნად იმისა, რომ ბოროტი მუდამ კეთილით დაიძლევა ბოლო ყდაზე გამოვიტანეთ სლავა დენისოვის მშვიდობიანი სოხუმის პეიზაჟები. ამ ნომრისთვის, ეგებ, ძალიან მხიარული, ჭრელი ფერებია. თუმცა ესეც მიზანმიმართულად გავაკეთეთ, რადგანაც გვწამს, ომი მშვიდობამ უნდა დაამარცხოს!

"Ritsa" 2020 N3

This edition of our “Ritsa” magazine happened to be a heavy one… so was its theme -“Artist and war”. We offered the space of our magazine to representatives of different fields of art, as they have much to recall and say.

The tragic history of Sokhumi Georgian Drama Theatre is presented in the letter of Madam Liana Mikashavidze, Honored artist of Georgia; you will get surprised to learn what Georgian artists had to go through, cope with and sacrifice; how strong was their battle, held on a stage, it was their own war for the integrity of their homeland and thanks to God, they are still alive and continue working as a displaced theatre, here in Tbilisi, at 68 Uznadze street, at Konstantine Gamsakhurdia Georgian Theatre of Abkhazia.

This edition also offers its readers nice poetic pieces, from authors representing different age groups. They are united by the common pain – their Motherland, occupied. Some of them are sad about the past, some – are worried of the present days, but despite this, an optimistic mood is back to readers by a call to Abkhazia - “ You shall wait for us”- as poet Batu Danelia said it.

All prose works in the magazine were selected with the same principle. A pacifist thinking prevails here. It is noticeable, how much the writers, who lived through the war hate it: on one hand they are unable to forget their experience, on the other hand – they clearly say that war is the biggest shame of mankind and greatest evil, that it shall never ever happen again. The same spirit is shared by the literary critics, reviewers and analysts, whose wonderful pieces will be of interest for our readers.

The magazine will recall the deep tragedy of great Georgian writer Chabua Amirejibi - the death of his son in Abkhazia. We published the genetic scheme showing that Irakli Amirejibi, who died in Abkhazia for the idea of united Georgia, was the direct descendent of Mikheil Shervashidze, the last Prince of Abkhazia.

The cover page of our magazine requires special attention, presenting the portraits of two poets, sharing similar fate. These photos were taken in peaceful times in Sokhumi. Therefore these artists look very happy. But the war neither had mercy on them: Georgian poet Eter Samkharadze was killed by Abkhazians; similar was the fate of the Abkhaz poet Taif Adjba, killed by Georgians. Nobody knows where their graves are. War does not distinguish between nationalities, it just kills! Wars are primarily crucial towards artists. Painters Chola Kukuladze and Slava Denisov, poet Ivane Tarba and family of actor Vakhtang Elerdashvili… Sadly, there are many more names to recall, the names which left the footprint as deepest tragedies in Georgian history and consciousness.

And yet, as a symbol that evil will always be defeated by good, the last cover presents the landscapes of Slava Denisov’s peaceful Sokhumi, too colorful, may be, for this edition of Ritsa magazine. However, we did it purposefully, because we believe that war must be defeated by peace!